კვირის პალიტრა

მზე

N16(149) 17/IV 03.

ფასი 60 თ.

ეკა კახიანმა შვილის დაბადებასთან დაკავშირებული საიდუმლო გაამხილა

1168
2003

„პროვოკაციორმა“ აგენტები გაშიფრა

„ძებნილები“ ახალი იმიჯის დამკვიდრებას აპირებენ

გამოგონილი სიყვარული — ბერბიჭობის დაფარული მიზეზები

„რაგბის მართლა, სხვანაირი ხალხი თამაშობს: უჯნეთ, ამორალურ კაცს ჩვენი სამყარო ვერ იგუებს. თუ მეგობრის გაცანა, ტკივილის აცანა, მიტევება, საქმის ერთგულება არ შეგიძლია, რაგბის ვერ ითამაშებ.“

გვ. 27

ქვრის ბალდბერა
№16 (149)
17 - 23 აპრილი 2003
ფასი 60 თეთრი

პროვოკატორი
ვაშა, ამ „ახალ საქართველოს“, ვაშა, შეგნებას!.. 3
პოლიტიკური გამგიტი
„ხვალ შევარდნაძეც კი შეიძლება, საკუთარი თავის ოპოზიციად ვიხილოთ...“ 4
ერთი კითხვა 6
თემა
ბერბიჭობა – ბავშვობიდან გამოყოლილი სენის სავალალო შედეგი 8
ქრონიკალი
• მეგობელმა მარტოხელა ქალს თავი ქვით გაუჩეჩქვა 12
• „ხელში გრძელი დანა ეჭირა, წავართვი და გულში ჩავარტყი...“ 14
გამომგონებელი
„ჭკვიანი“ ნივთების შემქმნელი დათო სონღულაშვილი 16
სალონი
ეკა კახიანმა თაყვანისცემლებს ნინის დაბადებასთან დაკავშირებული საიდუმლო გაუმხილა 18
ტკივილი
„გია გულუას მკვლელობა პოლიტიკური იყო...“ 20
საზოგადოება
ჭირსა შიგან გამაგრება... ანუ რამდენი ვარსკვლავი „ბუდობს“ პოლიტიკოსთა წრეში 24
ტესტი
ერთგული მკითხველი 26
მორაგბე
დათო ბოლღაშვილი: „ავსტრალიაში კენგურუს მწვადის საჭმელად ნამდვილად არ მივდივართ“ 27
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 28
თეთრი ლაქები
როგორ გახდა „ბანკულაკებული“ ოჯახის შვილი საბჭოური რეზიდენტურის წამყვანი ფიგურა 30
სიყვარულის ფსიქოლოგია
• ბედნიერებამ არ უნდა შეგაშინოთ 32
• ეჭვიანობა მანკიერი ჩვევა კი არა – დიაგნოზია 33

ბერბიჭა – ბავშვობიდან გამოყოლილი სენის სავალალო შედეგი



... კიდევ იცით, რატომ რჩებიან მამაკაცები უცოლოდ? ზოგი ქალი ზედმეტად პატიოსანს თამაშობს – შეაყვარებს კაცს თავს, ბოლოს კი აღმოჩნდება, რომ дурная женщина... ის კაცი საცოლის ღალატს რომ შეიტყობს, იმედი გაუცრუვდება და საერთოდ შეიძულებს ქალებს.

8

ეკა კახიანმა თაყვანისმცემლებს ნინის დაბადებასთან დაკავშირებული საიდუმლო გაუმხილა

ჩვენ უფრო ბავშვურები ვიყავით, ვიდრე ახლანდელი 13-14 წლის მოზარდები არიან. ეს სულ სხვა თაობაა. მათ თავიანთ ასაკთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებული რეპერტუარი აქვთ.

18

„როცა მივხვდი, რა ჩავიდინე, ცრემლები წამომივიდა“ – თქვა მკვლელმა

ხარაგაულის რაიონის სოფელ ღარიხევში, ღრმად მოხუცებული თამარ გელაშვილი მეზობლებმა ღამით, საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. მათი თქმით, ოთახებში სისხლის გუბეები იდგა, სახლის შესასვლელ კართან კი, სისხლიანი, საკმაოდ მოზრდილი ქვა ეგდო.

12

„ჭკვიანი“ ნივთების შემქმნელი დათო სონღულაშვილი

მხედველობიდან გამოგვრჩა და წინასწარ არ გაგვიფრთხილებია, რომ „მოლაპარაკე“ უნიტაზი გვქონდა. საცოდავი ქალი დიდხანს არ გამოსულა. ბოლოს, როცა უნიტაზმა მადლობა გადაუხადა, საერთოდ ვეღარ ადგა ფეხზე – ისეთ შოკში ჩავარდა, რომ ძლივს მოვასულიერეთ...

16

დღესასწაული

ბგობა 34

ტაძარი

ვნების შვიდეული 35

ჰიპოთეზა

სიყვარულის კოეფიციენტი 36

ფავორიტები

რონალდო – ფენომენი საფეხბურთო მოედანზე და... საწოლში 38

ვარსკვლავი

გარეგნობით დაკომპლექსებულ გოგონას კინოკარიერაზე არასოდეს უოცნებია 40

რომანი

რუსუდან ბერიძე.
დაგვიანებული რეისი
მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

საფეხბურთო მინდვრებზე 46

სპორტული მოზაიკა 47

ავტო 48

მოგზაურის დღიურები

ამერიკა – ქვეყანა, სადაც ყველაზე კარგი მეგობარი... ფულია! 50

ბომონდი 53

ამპლუა

„ძებნილები“ ახალი იმიჯის დამკვიდრებას აპირებენ 54

ჯანმრთელობა

- ორთაბრძოლა ჰიპერტონიასთან 56
- მამოლოგია 56
- თქვენი პატარა 57
- დიასახლისის კუთხე 59

ნყვილები 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

- კვირის (21-27 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 62
- ზოდიაქოს ქვები 62

ტესტი

- როგორი დიასახლისი ხართ? 63
- როგორი მეხსიერება გაქვთ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ამერიკა – ქვეყანა, სადაც ყველაზე კარგი მეგობარი... ფულია!



„აკაკი, ერთი თვე ადგილობრივ გადაზიდვებზე იმუშავებ, ჩვენს სპეცფიკას გაეცნობი და შორეულ რეისებში მერე გაგიშვებთ. აბა, შენიიცი!“ – ეს მითხრა და კაბინის კარი მოხურა.

...იწყებოდა ამერიკაში ჩემი პირველი სამუშაო დღე მძღოლის ამპლუაში.

50

„ძებნილები“ ახალი იმიჯის დამკვიდრებას აპირებენ



მთავარი ის არის, რომ პოპულარობას ჩვენ თვითონ, პროდიუსერისა და ფულის გარეშე მივაღწიეთ. პატარა ბავშვებს და ტინეიჯერებს მოვწონვართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 10-15 წლის შემდეგაც, ისევ ისეთივე პოპულარულები ვიქნებით, როგორებიც დღეს ვართ...

54

გარეგნობით დაკომპლექსებულ გოგონას კინოკარიერაზე არასოდეს უოცნებია

კიდევ უფრო დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა „ტომას კრაუნის აფერაში“ შესრულებულ როლს, სადაც რენე რუსომ სასიყვარულო სცენებში შიშველმა ითამაშა. „შენ უკვე 44 წლის ხარ, – მეუბნებოდნენ ახლობლები, – იხსენებს მსახიობი.

40

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– რაღაც მინდა გთხოვო... – მორიდებით დაიწყო ელენემ.

– რა იყო?

– იქნებ, ცოტა ფული თემურიკოსთვისაც მიგვეწოდებინა, დედა მოუკვდეს... ვიცი, თვითონ კი ძალიან იუარებს, მაგრამ ციხეში უფულო კაცს ათასი ხიფათი ემუქრება...

42

ვაშა, ამ „ახალ საქართველოს", ვაშა, შეგნებას!..



ხომ გაგიგონიათ, – საქართველო მთაგორიანია და იმიტომ ჩანს პატარა, თორემ რომ გააუთოვო, მთელ რუსეთს გადასწვდებაო... აი, რის დამტკიცებას უპირებს ჩვენი ხელისუფლება ჩრდილოელ მეზობელს. სწორედ ამიტომ ცდილობს ჩვენს გაუთოებას, გაბრტყელებას და მიწასთან გასწორებას, რომ რაც შეიძლება, დიდი ქვეყანა გამოვჩნდეთ.

დაუთოებული და ტყავგამძვრალი მოსახლეობა ცდილობს, კავშირი დაამყაროს მთავრობასთან და აუხსნას, რომ ეს ექსპერიმენტი საშინელი ასატანია, მით უმეტეს, დანამვის გარეშე, მაგრამ ამაოდ: როგორც კომპიუტერი გვპასუხობს, მთავრობასთან კავშირი არ მყარდება. იგი გათიშულია, ან გასულია მომსახურების სფეროდან... ჰოდა, გათიშული და მომსახურებიდან გასული მთავრობა აგვაშენებდა?! ისე აშენდა ჩვენი მტერი!..

ერთი პირწავარდნილი პროვოკატორის გამოსვლა მახსენდება:

– ამერიკელმა ტერორისტებმა მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი, ინდოელმა ტერორისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი; შვედმა ტერორისტებმა მოკლეს შვედეთის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე; ქართველმა ტერორისტებმა... ფუი, არაფერში არ უქნიხართ ღმერთს!..

მოკლედ, ხალხის აღშფოთება კულმინაციას უახლოვდებოდა, აუცილებელი გახდა ხელისუფლების შეცვლა და ახალი ეროვნული სახელების მოსვლა მთავრობაში. და აი, ეს ნანატრი დღეც დადგა: კორუფციის ჭაობში ნაბანავები ხელისუფლების შემცვლელად შეურყვნელი, სპეტაკი ძალა მოგვევლინა პოლიტიკური ბლოკის – „ახალი საქართველოსათვის" – სახით. ჯერ მარტო სახელი აქვს ისეთი, რომ ხელი თვითონ გაგექცევა კაცს შემოსახაზავად, ლიდერებსაც დავაკვირდეთ:

პირველი და უმთავრესი – საქართველოს „ცკ"-ს ექსპირველმდივანი – ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამო წლების მანძილზე იმყოფებოდა გაქცევაში სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად. დისიდენტურ წრეებში უბადლო ღიმილის წყალობით, იცნობენ ფსევდონიმით „ჯოკონდა";

მეორე და მთავარი – ექსჯანდაცვის მინისტრი – კორუმპირებულ ხელისუფლებაში შეპარულია აგენტად სახელმწიფო მინისტრის პოსტზე. პოლიტიკური ფსევდონიმი – „ყაყაჩო";

მესამე და მთავარი – სოციალისტური პარტიის ლიდერი – მეტსახელად „კომპასი", რადგან როგორც არ უნდა დააყენო, თვალი მაინც ჩრდილოეთისკენ გაურბის;

მეოთხე – „სმაკ"-ის ექსშეფი – იძულებით მუშაობს ქვემო ქართლის გუბერნატორად – იძებნებოდა სამართალდამრღვევი ორგანოების მიერ საარჩევნო ურნის გატაცებისა და იქიდან ყალბი ბიულეტენების ამოყრისათვის. ფსევდონიმი – „ჯიგარო".

დანარჩენებზე, განსაკუთრებით, ქალბატონ „სარაზე", ჯერჯერობით არაფერს გეტყვით, მაგრამ ცხადია, რომ ამ საინტერესო სახეების გალერეა კიდევ უფრო გამრავალფეროვნდება. გვერდზე დარჩენილი ოპოზიცია კი იმდენად უმწეოდ იგრძნობს თავს, რომ არჩევნებში გამარჯვების თეორიულ შანსსაც დაკარგავს და ისიც ამ ბლოკში გაერთიანდება; აღარ იარსებებს ალტერნატიული ძალა და გვეყოლება ერთადერთი პარტია – „ახალი საქართველოსათვის".

გამარტივდება საარჩევნო კოდექსიც, რადგან წინასწარვე გაქარწყლდება გაყალბების ეჭვი, საარჩევნო ბიულეტენზე მხოლოდ ერთი ნომერი იქნება აღნიშნული და შემოხაზვაზეც რომ არ ვიწვალოთ, ბარემ შემოხაზულიც დაგვხვდება. აღარც ურნაში ჩაგდებაზე შეგვაწუხებენ და უკვე ჩაშვებული იქნება ყველა ბიულეტენი და საარჩევნო უბნებში მისვლაც აღარ დაგვჭირდება. გაიმარჯვებს ქვეყნის ერთადერთი გადამრჩენი ბლოკი „ახალი საქართველოსათვის" და წამოვა დოვლათი და ბარაქა „ნასიპად".

უსწრაფესი ტემპით წარიმართება ეკონომიკისა და პოლიტიკის პრობლემების მოგვარება: IX და X ენერგობლოკები პირობას დადებენ, რომ აღარასოდეს გაფუჭდებიან; გაიაფდება პროდუქტი, ტანსაცმელი და ინტიმური ტელეფონი; მათხოვრები 10 თეთრსაც დასჯერდებიან და მადლობასაც კი გვეტყვიან; დასაქმდება მილიონი ადამიანი; აშენდება აბრეშუმის გზა, რომელსაც თუთის ნარგავები დაამშვენებს; სააკაშვილი და შარაძე შერიგდებიან და მერიის შენობაზე ორივე დროშა ერთდროულად აფრიალდება; იგივე დროშები იფრიალებს სოხუმისა და ცხინვალის თავზე; აღდგება ტერიტორიული მთლიანობა და ქალიშვილობის ინსტიტუტი; თვალზე ცრემლმორეული პუტინი მის ქართველ კოლეგასა და დიდ მასწავლებელს გადაეხვევა და კასპში საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფას სთხოვს; საერთაშორისო ფონდები ვალს აღარ მოგვთხოვენ და ლარის კურსი ისე გამყარდება, რომ ერთი „ფირონმანი" ორსამ „ვაშინგტონს" იყიდის; ავტობუსის სკამზე მოკალათებული მამაკაცი ფეხზე წამოდგება და ფეხმძიმე ქალს ისე დაუთმობს ადგილს, რომ დაორსულების დეტალებს არ გამოჰკითხავს; ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ჩემი მეზობელი, წყლის ჩამოშვებისათვის ბოდიშს მომიხდის და ჭერსაც შემითეთრებს, მაგრამ ის ფერი მე არ მომეწონება და კიბეს ფეხს გამოვკრავ; ჩვენი წაკინკლავება ჯერ სამეზობლო ჩხუბში, მერე კი ეთნოკონფლიქტში გადაიზრდება, ამას მოჰყვება სამოქალაქო ომი, ბარიკადები და მთავრობის დამხობა...

აუჰ, არ დავაქციე ერთი ქილა საღებავის გამო ეს აწყობილი ქვეყანა?!

P.S. ოღონდ თქვენ ივარგეთ „ახალი საქართველოსათვის", ამ წერილის ბოლო აბზაცამდე ააშენეთ ქვეყანა და ჩემი ჭერი წყალსაც წაუღია.

თუმცა, „საიდანღაც" დაპირებათა ეს ხელწერაც მეცნობა და მისი ავტორის პრინციპიც: „5 მილიონი ქართველიდან ერთიც რომ გადარჩეს, პრინციპი ნაპოვნია"...

პროვოკატორი

„ხვალ შევარდნაძეც კი შეიძლება, საკუთარი თავის ოპოზიციად ვიხილოთ...“

ხათუნა მაღრაძე

პარტნიორების მუდმივი ცვლა, ქართველი პოლიტიკოსებისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ასეთი „ქორწინებები“ განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდისთვისაა დამახასიათებელი, როცა პოლიტიკური პარტიები სოლიდურ გაერთიანებებთან შედიან ალიანსში, რათა მათ ჩრდილქვეშ მოახერხონ საარჩევნო ბარიერის გადალახვა და აიხდინონ ნატვრა — დეპუტატის მანდატის მიღება. გამარჯვების შემდეგ, ამგვარი ბლოკი, როგორც წესი, იშლება და მასში შემავალი სუბიექტები ხშირად, უპირისპირდებიან კიდეც ერთმანეთს, ოღონდ — მომდევნო არჩევნებამდე...

წინასაარჩევნო პერიოდის პირველივე ეტაპზე, ალბათ არავის გააკვირვებდა სახელისუფლებო პარტიების მობილიზება და პრეზიდენტის გარშემო მათი ერთ ბლოკად გაერთიანება. მაგრამ ამ ბლოკში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გამოჩენა, ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. საინტერესოა, რას ფიქრობენ მისი ამ ნაბიჯის შესახებ ედპ-ის ყოფილი წევრები, რომლებმაც ერთ დროს, სარიშვილი-ჭანტურიას პოლიტიკური კურსის გამო მიატოვეს პარტია?

გიორგი კოპაძიძე, *ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის ლიდერი:*

— ბლოკს — „ახალი საქართველოსათვის“ — სახელისუფლებო პარტიების გაერთიანებას რომ უწოდებენ, ეს არ არის სწორი. მე ამ ალიანსს, დამარცხებას მიჩვეული ორგანიზაციების სახელისუფლებო პარტიებთან გაერთიანებას დავარქმევდი... ეს პროცესი გამარჯვების მოსაპოვებელი გზისკენ გაჭირვებული პოლიტოკოსების მიერ გაკეთებული სვლაა, რაც ქვეყანას კარგს ვერაფერს მოუტანს. ხელისუფლების მხრიდან კი, არის სურვილი, ნაჭრებისაგან შეკერილი ფარდის მიღმა მოაქციოს ის სინამდვილე, რაც მძიმე ფორმებითა და ფერებით იკვეთება დღევანდელ საქართველოში — ანუ საყოველთაო კრიზისი ყველა სფეროში, დაკარგული ტერიტორიები და მწვავე სოციალური პრობლემები. ამ დანაშაულების გამო, ქვეყნის ხელმძღვანელობა უბრალოდ, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. ბუნებრივია, მათ ეს არ უნდათ, ამიტომ საჭიროა, კიდევ გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა. ახალი ბლოკის შექმნით, მათ გამარჯვების მიღწევა სურთ, თუმცა, ამის საფუძველი, ამომრჩევლის მხარდაჭერა არ იქნება. ამიტომ ისინი შეეცდებიან ბიულეტენების გაყალბებას და შედეგებს ერთი მარტივი ლოგიკით ახსნიან: რიცხობრივად ბევრნი ვიყავით, ამიტომ შესაბამისი რაოდენობის ხმებიც მივიღეთო. სამწუხაროდ, ამ გაერთიანებაში ახალ სუბიექტებს ვერ ვიხილავთ. ბლოკში გაწევრდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის აღმშენებლობასთან არავითარი შეხება არ ჰქონიათ, ამიტომ ყველაზე დიდი ოპტიმისტიც კი მათ რიგებში ვერ იპოვის თუნდაც ერთ სუბიექტს, რომლის გამოც ეღირება ამ ბლოკის მხარდაჭერა.

— სახელისუფლებო ბლოკში ედპ-ის შესვლას როგორ შეაფასებთ?

— მე ირინა სარიშვილთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. აქედან გამომდინარე, მისი გადაწყვეტილების შეფასებისას ვცდილობ, მაქსიმალურად დელიკატური ვიყო... თუმცა, უნდა ითქვას, რომ ცოტა გაურკვევლობაში ვარ ჩავარდნილი: მაოცებს — რამ აიძულა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, ამ მძიმე ნაბიჯის გადადგმა? თუმცა ფაქტია, რომ მისი პარტიის ცხოვრებაში, დამარცხება დამარცხებას მოჰყვა ბოლო სამი არჩევნების განმავლობაში. ბუნებრივია, რომ აღარ უნდა, კიდევ ერთხელ იგემოს მარცხი. ალბათ ამიტომ გადაწყვიტა შევარდნაძის გვერდით დგომა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკაშიც არის საკითხები, რომლის გადაწყვეტისას კომპრომისი დაუშვებელია და ბუნებრივია, ირინა სარიშვილის გადაწყვეტილება, ედპ-ის გულშემატკივრებს შორისაც გაურკვევლობას წარმოშობდა, რადგან მოსახლეობის დამოკიდებულება ამ ხელისუფლებისადმი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია და ამიტომ, ოპოზიციურად განწყობილი პარტიის, ხელისუფლებასთან ერთ ბლოკში შესვლა, ედპ-ის რეიტინგზე დადებითად ვერ იმოქმედებს.

— არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ ერთხანს, თქვენ ავთანდილ ჯორბენაძესთან დადიოდით რაღაც კონსულტაციებზე. თქვენც ხომ არ მიგიღიათ ამ ბლოკში გაწევრების წინადადება?

— სახელმწიფო მინისტრთან რაღაც პერიოდის განმავლობაში მართლაც მქონდა კონსულტაციები, მაგრამ იქ ბლოკში გაწევრებაზე საუბარი არ ყოფილა. ავთო გამოუცდელი იყო შინაპარტიული მუშაობის სფეროში და მე, როგორც მისი გამოცდილი მეგობარი, ჩემეულ ხედვას და პოლიტიკურ რეცეპტებს ვთავაზობდი. ჩვეულებრივი კონსულტაციები იყო, რომელიც ერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მეორესთან შეიძლება გამართოს. რაც შეეხება ბლოკში ჩვენს შესაძლო გაწევრებას — ორ წელიწადზე მეტია, რაც ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი მოლაპარაკებებს აწარმოებს „აღორძინებასთან“ და ორი მიმართულებით თამაშს არ ვაპირებ... არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ბლოკში ისეთი პარტიები აპირებენ შესვლას, რომელსაც დღემდე ოპოზიციურად მიიჩნევდნენ. არც ეს იქნება გასაკვირი, რადგან პოლიტიკოსების უმეტესობა ერთი პრინციპით მოქმედებს — მიზანი ამართლებს საშუალებას, მთავარი

მიზანი კი — ხელისუფლებაში მოსვლაა.

— თუ მართლა მოხდა ოპოზიციად მიჩნეული ძალების ახალ ბლოკში გაერთიანება, როგორი იქნება მისი პოლიტიკური საფუძველი?

— ვერ გეტყვით, რა იდეის გარშემო უნდა გაერთიანდნენ ისინი. მაგრამ პრეზიდენტისთვის მათი სიჭრელე მიუღებელი არ იქნება: შევარდნაძეს არ სჭირდება დასავლური ტიპის პარლამენტი, სადაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას პოლიტიკური დაჯგუფებების პლატფორმათა ჭიდილი წარმოადგენს. მისთვის მთავარია, რომ პარლამენტში ოპოზიციას არ ჰქონდეს უმრავლესობა. მისი ბლოკის წევრები კი, გამარჯვების შემდეგ, უმრავლესობას ჩამოაყალიბებენ თუ დაიშლებიან — ამას შევარდნაძისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: ის მაინც ერთპიროვნული ძალაუფლების გამტარებელი იქნება.

მას შემდეგ, რაც ირინა სარიშვილი-ჭანტურია შევიდა ბლოკში — „ახალი საქართველოსათვის“, სხვა პოლიტიკური პარტიების ამ გუნდში შესაძლო გაერთიანებაზეც აქტიურად ალაპარაკდნენ. მათ შორისაა „სახალხო პარტია“, რომლის ლიდერი, მამუკა გიორგაძე ამას არ ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ ოპოზიციაში ყოფნა მისთვის თვითმიზანი აღარ არის, რადგან ეძებს ძლიერ გაერთიანებას, რომელიც მის პოლიტიკურ ინტერესებს დააკმაყოფილებს.

— ნებისმიერ პოლიტიკურ ჯგუფს აქვს თავისი მახასიათებლები. ეს არის შემადგენლობა, სტრუქტურა, იდეოლოგია და ხედვა. ჯერჯერობით ამ ნიშნით ხელისუფლებას ახალი არაფერი შემოუთავაზებია. აღნიშნულ ბლოკში გაერთიანდა ის ხალხი, რომელიც წლების განმავლობაში, ღიად თუ ფარულად თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, ამიტომ მისთვის ნდობის გამოცხადება ამომრჩეველს ცოტა გაუჭირდება. მეორე მხარეს კი, დარჩენილია შედარებით მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც პრაქტიკულად, ხელისუფლებიდან გამოგდებული პირებისგან შედგება, რაც უფრო მეტად ამძაფრებს მათ დაპირისპირებას სახელისუფლებო ბლოკთან — მით უმეტეს, რომ მათ შორის უთანხმოება პიროვნული შეუთავსებლობის საფუძველზე წარმოიშვა, რაც ორივე მხარისათვის ბევრად უფრო რთული გადასატანია, ვიდრე უბრალოდ, პოლიტიკური ინტერესების გამიჯვნა. ასეთ სიტუაციაში, მთავარია — ვინ მივა ამომრჩეველთან შიშველი ლოზუნგებით და ვინ — საფუძვლიანი ძვრების გასახორციელებელი პროგრამით.

— როგორ ფიქრობთ — სახელისუფლებო ბლოკი არჩევნების გაყალბებაზე „დადებს ფსონს“?

— არ არის გამორიცხული. ოპოზიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ — ავთო ჯორბენაძემ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც კი აღიარეს, რომ 1999 წლის არჩევნები ტოტალური გაყალბებისა და უკანონობის ვითარებაში ჩატარდა. ეს არა მარტო პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, არამედ სისხლის სამართლის მიხედვით დასჯადი მოქმედებაცაა. თუ შემდგომშიც ასე გაგრძელდა, მომავალ პარლამენტში, საქმეების გარჩევას მუშტი-კრივი კი არა — ტყვიის სროლაც კი მოჰყვება...

— ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ახალ ბლოკში გაწევრება რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის?

— ამაში გასაკვირი არაფერია: ეს ხალხი წლების მანძილზე თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, მათი ნაწილი, ხელისუფლების წყალობით, მაღალ თანამდებობაზეც მოხვდა, ნაწილი კი, მისივე დავალებით, ოპოზიციის მანტიაში გახვეული ემსახურებოდა შევარდნაძის რეჟიმს... თუმცა, არ ვიცი, რაში დასჭირდა სარიშვილს, ამ ფაქტის სააშკარაოზე გამოტანა. როგორც ჩანს, მოსწყინდა შეფარული მოქმედება და საბოლოოდ დაუბრუნდა „მშობლიურ ბუდეს“...

— ამბობენ, რომ თქვენც აპირებთ ახალ ბლოკში გაწევრებას...

— ბუნებრივია, კონსულტაციები პარტიებს შორის იმართება. სხვადასხვა ორგანიზაციის ლიდერებს სურთ „სახალხოსთან“ ერთად ბლოკის შექმნა, მაგრამ ჩვენ ჯერ არ მიგვიღია გადაწყვეტილება. ვეძებთ ძალას, რომელიც შეძლებს, რეალურად შეაფასოს არსებული პოლიტიკური ვითარება, შეისწავლოს საქართველოში მიმდინარე პროცესები და დასახოს პროგრამა, რომელიც ქვეყანას ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანს. რომელ პოლიტიკურ გაერთიანებაშიც ამის პოტენციალს დავინახავთ, ბუნებრივია, სწორედ მის გვერდით დავდგებით. „სახალხოსთვის“ თვითმიზანს არ წარმოადგენს ოპოზიციაში ყოფნა — მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებასთან არასდროს არ ვთანამშრომლობდით, არც თანამდებობები მიგვიღია მისგან და არც მატერიალური კეთილდღეობა...

— ამა თუ იმ ბლოკში გაწევრების დროს, ალბათ ისეთ გაერთიანებას აირჩევთ, რომლის მეშვეობითაც უფრო გაგიადვილდებათ პარლამენტში მოხვედრა...

— ჩვენთვის დეპატუტატობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და ეს არაერთხელ დაგვიმტკიცებია. მთავარია, რომ არჩევნების შემდეგ, იმ ბლოკში ჩვენი საკეთებელი საქმე ვაკეთოთ. ამ თვალსაზრისით, მაფიქრებს ის ნაზავი, რომელიც სახელისუფლებო ბლოკში ერთიანდება. თავისთავად იბადება კითხვა: საით მიდიან და რა იქნება მათი ორიენტირი? ვთქვათ, მოვიგეთ არჩევნები — რას ვშვრებით მერე? თავის დროზე, „მოქკავშირმაც“ მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ მისი საქმიანობა როგორ წარიმართა, ეს ყველასათვის ცნობილია. მე პირადად, არ მინდა ამგვარი პოლიტიკის მონაწილე გავხდე.

— საბოლოოდ მაინც ვერ გავიგე — გაერთიანდებით თუ არა ბლოკში — „ახალი საქართველოსათვის“?

— ჯერჯერობით, ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვადასხვა პარტიის ლიდერებთან. თუმცა, გამორიცხული არაფერია — ხვალ შევარდნაძეც კი შეიძლება, საკუთარი თავის ოპოზიციად ვიხილოთ... ■

„ბლოკი – „ახალი საქართველოსათვის“ ხმების 22-23%-ს აიღებს“

წინასაარჩევნოდ პარტიათა დაჯგუფება-გადაჯგუფების პროცესში, ბევრ ოპოზიციურ პარტიას გულმა სახელისუფლებო ბლოკისკენ გაუწია. რა შეფასებას მისცემთ მიმდინარე მოვლენებს?

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— სახელისუფლებო ბლოკში რჩეულიშვილის და სარიშვილის შესვლით, იმ აქტიური პოლიტიკური მოთამაშეების რაოდენობა გაიზარდა, რომელთაც პოლიტიკურ ტრიბუნასთან მუშაობა შეუძლიათ. ორატორების დეფიციტი ბლოკში ნამდვილად საგრძნობი იყო. სახელისუფლებო ალიანსს პოლიტიკური ძალები კიდევ შეემატება. ჩემი აზრით, ბლოკი — „ახალი საქართველოსათვის“ ხმების 22-23%-ს აიღებს. სახელისუფლებო ბლოკთან ირინა სარიშვილის გაერთიანების საკითხის მომწიფება ხელისუფლების გამოკვეთილმა საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა განაპირობა. ჟვანია-სააკაშვილთან გაერთიანებას, ხელისუფლებასთან ალიანსი იმიტომ არჩია, რომ სარიშვილს ამ ორი პოლიტიკოსის მიღმა მყოფი პოლიტიკური ძალების დასავლური ორიენტაციისა არ სჯერა. რაც შეეხება რჩეულიშვილს — მის პოლიტიკურ კურსში ნელ-ნელა, უფრო დიდ ადგილს იკავებს ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან იცის, რომ რუსეთთან კონფლიქტზე საქართველო არც ერთ შემთხვევაში არ წავა და მას სირთულეები არ შეექმნება. ■

„პანტელეიმონი იგორ გიორგაძის ბიოლოგიური მამაა და არა იდეური...“

— ამ ეტაპზე, თქვენ და კომუნისტებს, პანტელეიმონ გიორგაძის მეთაურობით, ერთი იდეა გაქვთ — მიაღწიოთ იგორ გიორგაძის რეაბილიტაციას და ჩამოიყვანოთ ის საქართველოში. მაგრამ პრინციპულად არ მიდიხართ ერთობლივი გამაფრთხილებელი აქციის მოწყობაზე და გენპროკურატურასთან ცალ-ცალკე მართავთ მიტინგებს. რატომ?

თემურ ჟორჟოლიანი, *ალიანსის — „სამშობლო“ თანათავმჯდომარე:*

— ჩვენ გვინდა, იგორ გიორგაძეს მოუხსნან ცრუბრალდებები. 10 აპრილს მართლაც დაგეგმილი გვქონდა გენპროკურატურასთან გამაფრთხილებელი აქციის მოწყობა, მაგრამ კომუნისტებმა დაგვასწრეს და მაინცდამაინც იმ დღეს ჩაატარეს აქცია, ამიტომ ჩვენ 16 აპრილს წამოვაყენებთ ჩვენს მოთხოვნებს. აქცია იმიტომ გადავდეთ, რომ ხელისუფლების მიერ აგორებული პიარის სუნი ვიგრძენით: ხელისუფლება ცდილობს, მე და პანტელეიმონ გიორგაძე ერთმანეთს „გადაგვაბას“. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენ და კომუნისტებს არაფერი გვაკავშირებს. ვაცხადებ, რომ პანტელეიმონ გიორგაძე იგორ გიორგაძის ბიოლოგიური მამაა და არა — იდეური. კომუნისტებთან იგორ გიორგაძეს არანაირი ურთიერთობა არა აქვს და არც იზიარებს მათ იდეებს. პანტელეიმონ გიორგაძეს ჰგონია, რომ მაინცდამაინც წითელი დროშით ხელში უნდა ჩამოიყვანოს თავისი შვილი. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ეს გამორიცხულია და ამიტომ, არც ერთ აქციას არ ჩავატარებთ კომუნისტებთან ერთად. მხოლოდ იგორ გიორგაძის რეაბილიტაციისთვის კი არა, დაპატიმრებული გვარდიელების გასათავისუფლებლადაც ვიბრძოლებთ — რა თქმა უნდა, კანონის დაცვით. ■

„ქვლავ ბაღდათში ვიყრი კენჭს“

— გავრცელებული ხმებით, თქვენ ისევ ბაღდათის რაიონში აპირებთ კენჭისყრას. მანამდე კი, მიგიღიათ წინადადება, გაერთიანდეთ სახელისუფლებო ბლოკში. მიიღებთ თუ არა ამ წინადადებას?

ვაჟა ლორთქიფანიძე, *ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე:*

— მართალია, ისევ ბაღდათის რაიონში ვიყრი კენჭს და დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ. ჯერჯერობით არ ვიცი, ვინ იქნებიან ჩემი კონკურენტები, მაგრამ წარმატების მიღწევის იმედი ნამდვილად მაქვს... ბევრი შემოთავაზება გვაქვს მიღებული. სხვადასხვა პარტიასთან და ჯგუფთან ვაწარმოებთ ინტენსიურ კონსულტაციებს და ვნახოთ, რა იქნება... ჯერჯერობით ნაადრევია რაიმე დასკვნის გამოტანა, რადგან საერთო ვითარება მარტივი არ არის. ძალიან ჩახლართული პოლიტიკური სპექტრია და რომელიმე დაჯგუფებაზე ორიენტაციის აღება ადვილი არ არის. ამიტომ, ინტენსიურ კონსულტაციებს ვაწარმოებთ ჩვენს ევროპელ კოლეგებთანაც. მოსკოვში არის ჩვენი ინტერნაციონალის შტაბბინა. ჩვენთან ჩამოდიან ხოლმე მისი წარმომადგენლები, რომლებიც აქაურ სიტუაციას სწავლობენ და იმედი მაქვს, გარკვეული გადაწყვეტილების მიღების დროს, მათი კონსულტაციები სასიკეთოდ გამოგვადგება. ჩვენთვის მათ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. ■

„მე რომ აქცია მოვაწყო, ბავშვებს არ ამოვეფარები...“

— ბლოკის — „ახალი საქართველოსათვის“ ჩამოყალიბების გამო, სტუდენტებმა კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია მოაწყვეს, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც გაჩნდა მოსაზრება, რომ მათ რომელიღაც პოლიტიკური ძალები მართავდნენ. ხომ არ იცით, ვინ არის ეს „რომელიღაც“?

ზალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:*

— მათი მოთხოვნა ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ პოლიტიკური მიზნებისთვის სტუდენტთა გამოყენებაა ცუდი. მე მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ვიცი, რომ მართლაც, ბევრი პრობლემა აწუხებთ, მაგრამ როდესაც ისინი პროტესტს გამოხატავენ, მათ ლიდერებში ხშირად ვხედავ „ჟვანია-სააკაშვილის სტუდენტებს“. თუმცა, თუ კარგი იდეისთვის გამოდიან, მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ მართავს მათ. მე სულ სხვა რამ მაწუხებს: ჟვანია და სააკაშვილი თვითონ, შევარდნაძის კაბინეტიდან არ გამოდიან, გარეთ კი, სტუდენტები მის სურათს წვავენ... ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი ამ რეჟიმის გამო მართლა გამოთქვამენ პროტესტს. მე რომ ასეთი აქცია მოვაწყო, ამ ბავშვებს არ ამოვეფარებოდი. წინ მე დავდგებოდი, უკან — სტაჟიან პარლამენტარებს დავაყენებდი, შუაში კი — სტუდენტებს მოვაქცევდი... ჩემი აზრით, ამ აქციით, ჟვანიამ და სააკაშვილმა ხელისუფლება გააფრთხილეს: ჩვენ არჩევნებს გავაყალბებთ და თქვენ თუ ხმას ამოიღებთ, აქციების მოწყობა და ხალხის ქუჩაში გამოყვანა შეგვიძლიაო. ■

„ვინც გინდა, ის იყავი ამ ქვეყანაში...“

— ბატონო ზურაბ, თქვენ განაცხადეთ, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აღარ აპირებთ. რატომ?

ზურაბ ძაფიანიძე, *პარლამენტარი, მსახიობი:*

— პროტესტს არ ვაცხადებ, მაგრამ თუკი პრეზიდენტი ისევ შევარდნაძე უნდა იყოს — ვინც გინდა, ის იყავი ამ ქვეყანაში... მაინც ვერაფერს გააკეთებ... რაც დეპუტატობის პერიოდში მოვახერხე, ეს არის წიგნი — „შუმერები — კაცობრიობის პირველი ანბანი“, რომელიც თავისი არსით, თავდაყირა აყენებს, წლების განმავლობაში გაყალბებულ საქართველოს ისტორიას. მაგრამ შევარდნაძეს, რომელსაც მთავარ იდეოლოგად გაქართველებული სომეხი ჰყავს, რაში უნდა აინტერესებდეს სიმართლე და „ფეხზე დაყენებული“ ისტორია?!. ჩემი წიგნი მეცნიერებმა ათასჯერ განიხილეს, შეკითხვების დასმაც კი ვერ გამიბედეს, რადგან თავის სფეროში, ეს „ვეფხისტყაოსნის“ ტოლფასი წიგნია! ■

„ბეჟუაშვილს პატიმრობა ემუქრება“

— რა შეგიძლიათ გვითხრათ დავით ბეჟუაშვილის საქმის მოკვლევასთან დაკავშირებით? რა სასჯელი ემუქრება მას, თუკი იმუნიტეტი აღარ დაიცავს?

რევაზ ზარანდია, *გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე:*

— საქმე აღძრულია ცალკეულ ფაქტებზე, „საქგაზის“ ყოფილი ხელმძღვანელების მიმართ. ბეჟუაშვილი ორჯერ დაიკითხა მოწმის სტატუსით. ის არ ცნობს თავს დამნაშავედ. მოპოვებული მასალები შესულია პარლამენტში, რომელსაც ვთხოვთ მისთვის იმუნიტეტის მოხსნას. ცხადია — რომ არ ყოფილიყო სერიოზული მასალები, ვერავინ მისცემდა თავს უფლებას, პარლამენტის წევრის მიმართ ასე დაეყენებინა საკითხი. თუ ჩვენი მოთხოვნა პარლამენტმა დააკმაყოფილა, ბეჟუაშვილს წაეყენება ბრალი, რომელიც 5 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ■

„ჩვენ ოპოზიციის გაერთიანება გვინდა“

— ამბობენ, რომ აკაკი ასათიანი უკვე შეხვდა პრეზიდენტს და მათი საუბარი, სახელისუფლებო ბლოკში გაერთიანებას შეეხებოდა. რას აპირებენ „ტრადიციონალისტები“?

ალექსანდრე შალამბერიძე, *„ტრადიციონალისტთა კავშირის“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— ხმებს, იმის შესახებ, თითქოს აკაკი ასათიანი პრეზიდენტთან მოლაპარაკებას აწარმოებს, თვით სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენლები ავრცელებენ. მათ უნდათ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გასვარონ. ბლოკში გაერთიანებულ ადამიანთა უმრავლესობა ხელისუფლების საშინაო პოლიტიკას იწუნებს და საგარეო პოლიტიკითაა მოხიბლული. ჩვენ ამ ხელისუფლების არც საშინაო და არც საგარეო კურსი არ მოგვწონს. ჩემი აზრით, ეს „საყოველთაო გაერთიანება“ ჩვენი პოლიტიკოსების დაბალ კულტურაზე მეტყველებს, ხოლო თუ თქვენ მიერ ნახსენები ჭორები ჩვენზეც ვრცელდება, ეს მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ უნდათ, ასეთი დაბალი პოლიტიკური კულტურის მარაქაში გაგვრიონ... აკაკი ასათიანი შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ შეხვედრისას, ბლოკში გაერთიანების თაობაზე ლაპარაკი არ ყოფილა. საუბარი შეეხო მინისტრთა კაბინეტის შემოღებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებს. ჩვენ ამ ეტაპზეც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიასთან და გვინდა მათი გაერთიანება. ვფიქრობთ, ეს შესაძლებელია. მომავალ არჩევნებში ერთად ვიქნებით: „ტრადიციონალისტები“, „გაერთიანებული დემოკრატები“, „ნაციონალები“, „ახალი მემარჯვენეები“ და ვფიქრობ, ჩვენ გვერდით დადგებიან „აღორძინების“ წარმომადგენლებიც. ■

ბერბიჭები, ისევე, როგორც შინაბერები და საერთოდ, მარტოსული ადამიანები ყველა ეპოქასა და ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ეს სოციალური მოვლენაა, მაგრამ მას არც მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი აქვს და არც ყოფით-მატერიალური. ბერბიჭობის მიზეზი ადამიანის ფსიქიკის სიღრმეში უნდა ვეძიოთ.



ბერბიჭი

ბავშვობიდან გამოყოლილი სენის სავალალო შედეგი

ლელა ჭანკოტაძე

ნუნუ მგელაძე, *დიასახლისი:*

— ჩემი ძმის შესახებ მინდა გიამბოთ. კახეთში ვინ არ იცნობდა ლეგა მგალობლიშვილს?! ის რომ გაივლიდა, ქალები თვალებზე ხელს იფარებდნენ, ისეთი ვაჟკაცი იყო. მაგრამ თვითონ, არც ერთი ქალისკენ არ იხედებოდა, თითქოს მისი დარი ქვეყანაზე არ დაიარებოდა. ჩვენს ეზოს მაჭანკალი ასჯერ მაინც მოადგა. კახეთის საუკეთესო გოგონებს ურიგებდნენ. არავინ ინდომა.

ლეგა
მგალობლიშვილი

— არ გიფიქრიათ, რატომ იდგა ასე მტკიცედ უარზე?

— რა თქმა უნდა, ხშირად მიფიქრია. მას ყველა პირობა ჰქონდა, ჩვენს ოჯახს მატერიალურადაც არ უჭირდა. მამა რომ გარდაიცვალა, ლეგა უკვე ოცდაათხი წლის ვაჟკაცი იყო. ოჯახის გაძღოლა არ გასჭირვებია. პროფესიით ისტორიკოსს, ხელში დღე და ღამე შრომის იარაღები ეჭირა, მისი ვენახი პატარძლის ხელით დალაგებულ ოთახს ჰგავდა... შრომა არ ეთაკილებოდა, შრომაშია სიამოვნებაო, — ეუბნებოდა ყველას, ვინც კი მარჯვენას შეუქებდა. ერთ დღეს, ხმა გავარდა: თბილისიდან მსახიობები არიან ჩამოსულები, მედეა ჯაფარიძე საოცრად ლამაზია, არც ელენე ყიფშიძე უდებს ტოლსო. ყველანი დავირაზმეთ კლუბში წასასვლელად, რათა საყვარელ მსახიობებს შევხვედროდით. ლეგა არ წამოვიდა. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არ დაიშალა. მითხრა: თავს ვუფრთხილდები — ერთხელაც რომ შევავლო თვალი, მასზე ოცნებით მოვკვდებიო... მე ეს ხუმრობად ჩავთვალე. მერე მეზობლები ალაპარაკდნენ: თურმე ვიღაცა, ელენე ყიფშიძეს გადასდგომია გზაზე და ფერხთით თავისი პალტო დაუფენია: ტალახია, ქალბატონო, ფეხი ჩემს სულზე დაადგითო... რას წარმოვიდგენდი, თუ ეს ვიღაც ჩემი ძმა იქნებოდა?! წლების შემდეგ გამომიტყდა: მე ვიყავიო...

— ე.ი. თავისი გრძნობების გამოხატვა შეეძლო?

— არა, მე ასე არ ვფიქრობ. უბრალოდ მშვენიერებას სცემდა თაყვანს. სიყვარულის კი, ეშინოდა. შეეძლო ყველაზე ლამაზი ქალის ქმარი გამხდარიყო. რატომღაც არ ინდომა. ერთ კარგ გოგოს უყვარდა, იმ საბრალოს ნაზი ერქვა. ისეთი მშვენიერი იყო, მინდოდა, სულ მეცქირა მისთვის. განსაკუთრებით მას შემდეგ შემიყვარდა, რაც გავიგე, რომ ლეგა უყვარდა და მასზე ლოცულობდა. ეს ამბავი ისე გახმაურდა, რომ მეგონა, ჩემი ძმა შეიბრალებდა საწყალ გოგოს, მაგრამ ლეგამ მტკიცედ გამოაცხადა: ცოლის შერთვას არ ვაპირებო. ეს სევდიანი ამბავია, მაგრამ რატომღაც მინდა მოგიყვეთ. ერთხელ დილით, ნაზის მამიდამ განზე გამიხმო და მითხრა: ჩემი ძმისშვილი გაგიჟებულია შენს ძმაზე, იქნებ, ეს საქმე გავაკეთოთო. ვიცოდი, რომ ლეგას ამ საკითხზე სიტყვასაც ვერ ვეტყოდი. დაუფარავად ვუთხარი ეს ნაზის მამიდას. ისეთ შეურაცხყოფად მიიღო, რომ პირში მომახალა: ეტყობა, შენი ძმა ბუნებისგან დაჩაგრულია და ცოლის შერთვა ამიტომაც არ უნდაო — ერთი სიტყვით, იმპოტენტიაო. მალე ეს ეჭვი სხვა მეზობლებმაც გამოთქვეს. დედაჩემი ძალიან ნერვიულობდა, შიშობდა — ვაითუ, ხალხი უსაფუძვლოდ არ ჭორაობსო... ბოლოს, ავმა ხმებმა ლეგას ყურამდეც მიაღწია. ისე გაბრაზდა, მეგონა, ნაზის მოკლავდა. თუმცა, ის გოგო არ იყო დამნაშავე, ჭორს მამიდამისი ავრცელებდა. ერთ ავბედით დღეს, ლეგამ ნაზი ვენახის ბოლოში მდგარ პატარა ქოხში შეიტყუა და ნამუსი ახ-

ადა. ალბათ იფიქრებთ — საშინელი ძმა გყოლიათო, — მაგრამ ის ვაჟკაცი იყო და თავმოყვარეობას არავის შეალახვინებდა... რა თქმა უნდა, ნაზის მამიდამ უჩივლა ჩემს ძმას — ძალადობაში დაადანაშაულა. მაგრამ სასამართლოზე ნაზიმ განაცხადა: ჩემი ნებით მივუძღვენი თავიო...

— გოგონას თავგანწირვამ ლეგას გული არ მოულბო?

— არა. ამის შემდეგ მასთან ნაზის ხსენებას ვეღარავინ ბედავდა. მეზობლად ვცხოვრობდით. წარმოიდგინეთ, რა საშინელ დღეში ვიქნებოდი. ამიტომ თბილისში ჩამოვედი, უმაღლესში ჩავაბარე და აქვე გავთხოვდი, მალე დედაც გარდაიცვალა და ლეგა სულ მარტო დარჩა. ოცდაშვიდი წლიდან ორმოცდათორმეტ წლამდე მარტო იცხოვრა, მერე კი უფალს მიაბარა სული.

— არასდროს უნანია იმის გამო, რომ ცოლი არ შეირთო და შვილები არ ჰყავდა?

— არა, ყველას თავისი ბედი აქვსო, — ამბობდა.

— ლეგას და ნაზის გზები აღარ გადაკვეთილა?

— ერთხელ ნაზი მივიდა და უთხრა: თუ შენთვის არაფერს წარმოვადგენ, მაშინ ჩემს ცხოვრებას მივხედავ, გავთხოვდები, თუ არა და მითხარი და სიკვდილამდე დაგელოდებიო. ლეგამ შუბლზე აკოცა და უპასუხა: გმადლობ ასეთი სიყვარულისთვის; ალბათ, საცოდავი ვარ, შენი შეყვარება რომ არ შემიძლია, მაგრამ მე ღმერთმა ასეთი გამაჩინაო... ნაზი გათხოვდა. ისევ არ გაუმართლა — ორ წელიწადში დაქვრივდა. მჯერა, რომ ყოველთვის ლეგას ელოდა... დედამთილ-მამამთილმა ქმრის სიკვდილის შემდეგ, მამისეულ სახლში დააბრუნა. თავაწეული აღარავის უნახავს, მუხლჩაუხრელად შრომობდა და ალბათ საკუთარ უბედურობას დასტიროდა...

— ლეგა რისგან გარდაიცვალა?

— ერთ დღეს დამირეკეს და მითხრეს: ცუდად არის, შეიძლება ცოცხალს ვერ მოუსწროო. ძალიან გამიკვირდა. ჯანღონით სავსე კაცს რა უნდა მოსვლოდა-მეთქი? თურმე სიცოცხლე აღარ უნდოდა: სანადირო თოფით მოუკლავს თავი... ვერ ვიჯერებდი, რომ თავს მოიკლავდა, მაგრამ ექსპერტიზამ ჩემი ეჭვი გაფანტა. ისე წავიდა, ვითომ არც უცხოვრია, კვალიც კი არ დატოვა. მის საფლავთან, მე რომ არ ჩავიდე, ალბათ კაციშვილი არ მივა... სანამ ნაზი ცოცხალი იყო, ღამღამობით მიდიოდა, ასუფთავებდა და თავისი ცრემლით ნამავდა ლეგას საფლავს, შარშან კი, ისიც გარდაიცვალა — გულის შეტევისგან დაიღუპა...

ბერბიჭების შესახებ ფსიქოლოგებს განსხვავებული აზრი აქვთ, მაგრამ ერთ საკითხში ეთანხმებიან ერთმანეთს. მათ მიაჩნიათ, რომ მარტოობას ის მამაკაცები მიელტვიან, რომლებმაც ბავშვობიდან ვერ იგემეს პიროვნული დამოუკიდებლობა, რაც მშობლების გადაჭარბებული ყურადღების, ზოგჯერ კი აგრესიის შედეგია. დღეს ამას ერთვის რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სიდუხჭირე, რომელიც ბევრ მამაკაცს ოჯახის შექმნის საშუალებას არ აძლევს — რომ აღარაფერი ვთქვათ, მატერიალური მდგომარეობის გამო უკვე არსებული ოჯახების დანგრევაზე... ცხოვრების დაბალი დონე კიდევ უფრო ზრდის ბერბიჭების რაოდენობას. თუმცა, ფსიქოლოგების თქმით, გადამწყვეტი მაინც არა მატერიალური პრობლემები, არამედ ბავშვობიდან გამოყოლილი, ფსიქოლოგიური პრობლემებია.

მაია ყუშიტაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— ვფიქრობ, ბერბიჭად მამაკაცი 40 წლის ასაკიდან შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ასაკი მამაკაცისთვის ოქროს შუალედია, თუმცა თვითონ მამაკაცები მას დრამატულად განიცდიან. არადა, ეს ის დროა, როცა მამაკაცმა უკვე ყველაფერი შეიმეცნა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ძალუძს... 40 წლის მამაკაცების გარკვეული ნაწილი ოჯახიდან გარბის და ახალ ოჯახს ქმნის. წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა, ვინც ამ ასაკში დასაქორწინებელია — ე.ი. ვერ შეძლო ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვა და ამჯობინა, რომ რეალობას გაჰქცეოდა, საკუთარ თავში, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა. ბერბიჭის ტიპაჟი უმეტესად, უარყოფითია. ამბიციური, ზედმეტად პედანტური და სენტიმენტალური ბერბიჭა უფრო ხშირად, ვერ ახერხებს მეგობრებისა და ნაცნობების წრეში მშვიდად დროის ტარებას. ნებისმიერი მამაკაცისათვის აუცილებელია ქალის გვერდით ცხოვრება, ქალი და კაცი ხომ ერთ მთლიანობას ქმნიან, ე.ი. ცალ-ცალკე, ერთი მთლიანობის დაკარგული ნაწილები არიან...

— მაგრამ ხომ შეესაძლებელია, რომ ქალის აქტიურობის წყალობით, ბერბიჭამ დაოჯახება გადაწყვიტოს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ძნელია ბერბიჭის შეყვარება: ის იმ თვისებებით ხასიათდება, რომელთან გამკლავება ბევრ ქალს არ ძალუძს. ბერბიჭას უჭირს ჩვეული საშინაო გარემოს დარღვევა, ფიქრობს, რომ ქალი მის სამყაროში შეიტანს დისკომფორტს: გადააადგილებს ნივთებს, დაურღვევს დღის რეჟიმს, დააკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, წაუყენებს პრეტენზიებს, რაც დაანგრევს ბერბიჭის მიერ შექმნილ სამყაროს. თავის მხრივ, ქალს როდი შეუძლია, შეეჭიდოს მსგავს პრობლემებს და მარტოხელა კაცის ცხოვრებაში რევოლუცია მოახდინოს. ქალს მიაჩნია, რომ ის სუსტია და მისთვის ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ მასზე სუსტია კაცი, რომელსაც ცხოვრება დაუკავშირა. ბერბიჭები კი ძალიან სუსტი ადამიანები არიან. თუმცა ისინი გარეგნულად მაგარ ბიჭებს თამაშობენ, მარტოხელა მამაკაცებთან ურთიერთობისას, ქალებს განსაკუთრებული სინაზე და მოთმინება მოეთხოვებათ.

— არადა, ბევრი ბერბიჭა აქტიურ სექსუალურ ცხოვრებას ეწევა, ჰყავს ბევრი პარტნიორი ქალი...

— რა თქმა უნდა, მაგრამ მან იცის, რომ ერთია ქალი სიამოვნებისთვის, სიყვარულისთვის და სულ სხვაა ქალი, რომელიც შეიძლება ცხოვრების მეგზურად აირჩიო. შემიძლია მოვიყვანოთ მაგალითი: 38 წლის მამაკაცმა გადაწყვიტა — მის ცხოვრებას აზრი რომ ჰქონოდა, შვილი უნდა გასჩენოდა. მე შემთხვევით ვნახე განცხადება ერთ-ერთ გაზეთში. უცნობი მამაკაცი წერდა: ვეძებ „სუროგატ დედასო“. დავინტერესდი და დავუკავშირდი. ჯერ ტელეფონით ამიხსნა, თუ რა უნდოდა და შემდეგ მითხრა: თუ თანახმა ხართ, ერთმანეთი გავიცნოთო.

— კონკრეტ-

ულად რა გითხრათ?

— თქვა, რომ ეძებდა ქალს — ჭკვიანს და განათლებულს, — რომელიც მისგან შვილს გააჩენდა. მალხაზი (სახელი შეცვლილია) თავისი შვილის დედას უზრუნველყოფდა ბინით, მანქანით, ფულით და გარდაცვალების შემდეგ კი, მთელ თავის ქონებას შვილს დაუტოვებდა. მზად იყო გაეფორმებინა კონტრაქტი, რომელიც ბათილად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დედა მას ქმრობის გაწევას მოსთხოვდა... მსგავსი შემთხვევა ჩემს პრაქტიკაში პირველი იყო, ამიტომ მოვისურვე მალხაზთან შეხვედრა. ვკითხე: რატომ არ უნდოდა ჩვეულებრივად, ცოლშვილის ყოლა? მიპასუხა, რომ ვერ აიტანდა, რომ მის სახლში უცხო ქალს ებორიალა. მივხვდი, რომ მალხაზს დახმარება სჭირდებოდა, მაგრამ, ცხადია, ამის თქმა ვერ გავუბედე...

— როგორ აეწყო მისი ცხოვრება?

— იპოვა ქალი, რომელიც მის პირობებს დათანხმდა და შვილი გაუჩინა, სხვა ინფორმაცია არ მაქვს...

ონის რაიონის სოფელ ცხმორში ცხოვრობს გუგული კობერიძე, რომელზეც უამრავ საოცარ ამბავს ჰყვებიან. განმარტოებით, ყველასგან მოშორებით, ერთ პატარა სახლში გამოუმწყვდევია თავი. არავინ იცის — რა სწყინს, რა უხარია... უწინ კი, ყველაფერი სხვაგვარად იყო. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, სოფელში ისეთი დამშვენებული დაბრუნდა, მისი დანახვა ერთ რამედ ღირდა. საოცრად დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა. მხარბეჭიანი, ბრგე ვაჟკაცი ყველას მოსწონდა. ერთ დღეს, თბილისში წამოვიდა. სოფელში განადგურებული დაბრუნდა. სახეზე ფერი არ ედო. თურმე ბაზარში წითელკაბიანი გოგონა უნახავს, რომელიც მარწყვს ყიდულობდა, გუგულის გოგონა ერთი ნახვით შეუყვარდა. მისი ცხოვრების აზრი, ეს მშვენიერი არსება გახდა, რომელმაც სიყვარულზე უარი უთხრა... მას შემდეგ, გუგულის სახეზე აღარავის უნახავს ღიმილი. ეზოს კარი ჩარაზა და მეზობლებს გაემიჯნა. სოფელში იმასაც ამბობდნენ — სიყვარულისგან გაგიჟდაო, მაგრამ ეს ჭორია. სიმართლე მხოლოდ იმ ერთეულებმა იციან, ვინც მას თავის ეზოში შესვლის ღირსად ჩაუთვლია. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც გუგული ასე ცხოვრობს. ამ ხნის მანძილზე, ქალს საერთოდ არ დალაპარაკებია. თუ რომელიმე გაბედავს და გამოელაპარაკება, პასუხს არ დაუბრუნებს. ძალიან იშვიათად შეიპატიჟებს ხოლმე ვინმეს. თუ კაცი მოეწონა, თავის ქოხში შეიყვანს და მარწყვის ღვინით გაუმასპინძლდება...

ცხმორში ყოფნისას გუგული კობერიძეს შემთხვევით შევხვდი ეკლესიასთან. წითელი ტანსაცმელი ეცვა. სახეც წითლად ჰქონდა შეღებილი. ზემოთ არც აუხედავს, თავჩაქინდრულმა ჩაუარა ხალხს და გაუჩინარდა. დავინტერესდი, თანასოფლელებს მისი ამბავი გამოკითხე. მიპასუხეს: არავინ იცის, რით იღებავს ტანსაცმელს ან სახეს, სხვა ფერის ტანსაცმელი არასდროს აცვიაო...

გუგულის მეგობრები, ხეები, მდინარე, ბალახები და ფოთლები არიან. ბევრჯერ უნახავთ, როგორ ესაუბრება მათ, ზოგჯერ თავის ლექსებსაც უკითხავს, მის ეზოში მხოლოდ მარწყვი მოდის. გაოცდებით იმდენი მარწყვი აქვს დარგული. მარწყვი წითელკაბიან გოგონას ახსენებს — გოგონას, რომელმაც ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი წაართვა.

სოფელში იმასაც ამბობენ — გუგული ტყეში მოლბერტით მიდის და იქ საათობით ხატავსო. მისი ნახატები სულ რამდენიმე ადამიანს აქვს ნანახი.

მთელი ცხოვრება მარტოობაში გალია და თავისი ცხოვრებით თანასოფლელთათვის ამოუხსნელ ამოცანად იქცა.

***ლონა ანდღულაძე**, ფსიქოლოგი:*

— გუგული კობერიძე მარტოხელა კაცის ტიპური მაგალითია. წითელკაბიან გოგონაში, რომელიც მარწყვს ყიდულობდა, მან თავისი მარტოობის მიზეზი იპოვა: ეძებდა მიზეზს, საბაბს, რის გამოც ცხოვრებას განუდგებოდა და იპოვა კიდეც. შესაძლებელია, ის გოგონა მას არც უნახავს — უბრალოდ, წარმოიდგინა. მთავარი კი ის არის, რომ გუგულის ქალების ეშინია. ის უძალო და ნაზია, მას სუსტი სქესი აშინებს, აფრთხობს... მისთვის უფრო იოლია სიმარტოვეში ცხოვრება, ვიდრე იმ პრობლემებთან გამკლავება, რომელსაც ქალთან ურთიერთობა შეუქმნიდა. ცალმხრივი სიყვარულისგან დატანჯული კაცის სახე მისთვის ნიღაბია, რომლის უკან ტიპური ბერბიჭა იმალება.

***დიმიტრი ნადირაშვილი**, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი:*

— სიტყვა „ბერბიჭა“ ხალხმა მოიგონა, თორემ, მისი ასაკიც კი არ არის განსაზღვრული. ევროპაში მამაკაცმა ორმოც წლამდე უნდა აითვისოს რამე პროფესია, კაპიტალი დაგროვოს, გაერთოს, იმოგზაუროს, მიიღოს სექსუალური გამოცდილება და მხოლოდ ამის შემდეგ ქმნის ოჯახს. ქართველი ამ თვალსაზრისით აზიელს ჰგავდა და ჰგავს: მამაკაცს არა აქვს არც სახლი, არც განათლება, არც გამოცდილება, მაგრამ ის მაინც ქორწინდება, უფრო მეტიც — ყმაწვილების უმეტესობა ცხოვრების გზას ოჯახის შექმნით იწყებს. მართალია, ფსიქოლოგიაში არ არსებობს ცნება „ბერბიჭა“, მაგრამ ფსიქოლოგიას შეუძლია ის ახსნას, როგორც მოვლენა. სამწუხაროდ, საქართველოში უამრავი ადამიანია, რომელიც ვერ ქმნის ოჯახს. ისინი ვერ ლახავენ არა მატერიალურ, არამედ ფსიქოლოგიურ სიძნელეებს.

— რა შეიძლება გახდეს იმის უმთავრესი მიზეზი, რომ მამაკაცი დიდ ბავშვად დარჩეს და დამოუკიდებელ პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდეს?

— მე გამოვყოფდი დედის ნეგატიურ ზეგავლენას. დედა ოჯახში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. ის ხშირად, ნეგატიურ როლს ასრულებს ვაჟის ჩამოყალიბებისას. ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტად მოახვიოს შვილს თავისი ნება, რის გამოც განსაკუთრებით ითრგუნება პატარა ვაჟის მოთხოვნილებები, ინტერესები, ინდივიდუალობა. შემდეგ, უკვე მოწიფულ ასაკში, მას უჭირს დამოუკიდებლად არსებობა, პრობლემების გადაჭრა, თავისი ცხოვრების გზის პოვნა. ცხადია, უჭირს ოჯახის შექმნაც. თუ ბავშვობაში ვაჟი ვერ მოახერხებს საკუთარი თავის გამოხატვას, ვერც შემდეგ შეძლებს საკუთარი რესურსების გამოვლენას და გამოყ-

ენებას.

— ეი. ბერბიჭობა არის „განაჩენი“, რომელიც მშობლებმა შვილებს გამოუტანეს?

— დიახ. ასეა. პასიურია მამა და ზედმეტად აქტიურია დედა — ეს არის ტიპური ქართული ოჯახი. არადა, ხუთი წლის ასაკიდან, დედა აქტიურად აღარ უნდა ჩაერიოს ვაჟის ჩამოყალიბებაში, ეს ფუნქცია მამას გადასცეს.

— მოკლედ, როგორ დახატავდით ბერბიჭის ფსიქოლოგიურ პორტრეტს?

— ეს არის ბავშვობაში დედის ალერსით დაღდასმული მამაკაცი, რომელსაც არა აქვს გაცნობიერებული მამაკაცის სოციალური აქტივობის მახასიათებლები, ამიტომ სადაც საჭირო იქნება რისკის გაწევა, ის აუცილებლად დაიბნევა.

— თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა, რომ ბერბიჭამ მიაღწიოს წარმატებას ბიზნესში, მედიცინაში, სპორტში ან რომელიმე სხვა სფეროში?

— ბერბიჭაში წინა პლანზეა წამოწეული პასიურობა, გაუბედაობა, ახასიათებს სოციალური აქტივობის დეფიციტი. შეიძლება, ბერბიჭა გარკვეულ სფეროში წარმატებას აღწევდეს, რაც იმის კომპენსაცია იქნება, რაც პირად ცხოვრებაში აკლია. მისი ენერგია რაღაცაში ხომ უნდა დახარჯულიყო, ამიტომ ამა თუ იმ სფეროში ბოლომდე დაიხარჯა და წარმატებასაც მიაღწია...

რას ფიქრობენ ბერბიჭებზე „სულიერი ცხოვრების მცოდნე“ — ხელოვანი ადამიანები?

გოდერძი ჩოხელი: *მწერალი,*

კინორეჟისორი:

— ყველა ადამიანს თავისი გზა აქვს და თავისი ბედისწერაც. რა თქმა უნდა, ღვთის ხელიც ურევია იმაში, თუ ვინ როგორ გაივლის ამ გზას. იგივე ითქმის ბერბიჭებზეც. მართალია, ისინი კონკრეტული განსაზღვრების — ბერბიჭის ნიშნით ერთიანდებიან, მაგრამ მიზეზი, რის გამოც განმარტოებით უნდა შეხვდნენ სიბერეს, განსხვავებულია. მე ბევრ ბერბიჭას ვიცნობ, მაგრამ მინდა გამოვყო ჩემი პედაგოგი, რომელიც, როგორც ყირიმის, ასევე სამოქალაქო ომის მონაწილე იყო საოცრად განსწავლული კაცი გახლდათ. თითქოს ღმერთი არ სწამდა, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრებით ღვთის გზას ადგა. შემიძლია ვთქვა, რომ ბერის ცხოვრებასაც კი ეწეოდა... ისეთი შემთხვევებიც ვიცი, როცა მამაკაცი მარტოობას მიეჩვია და მერე სიმარტოვისგან თავის დაღწევა ვეღარ შეძლო...

გურამ ფირცხალავა, *მსახიობი:*

— მე მგონია, რომ მარტო წუნია მამაკაცები რჩებიან ბერბიჭებად: ზოგს ქალის ფეხსაცმელი არ მოსწონს, ზოგს — ვარცხნილობა ან საუბრის მანერა. ბერბიჭები ცოტათი ეგოისტებიც არიან. ორი ასეთი ძმაკაცი მყავს. რომ ვეუბნები ხოლმე: დაოჯახდით, ცოლი შეირთეთ-მეთქი, — სიტყვას ბანზე მიგდებენ, ზოგჯერ მორცხვად გაიღიმებენ ხოლმე, უფრო ხშირად კი — ამოიოხრებენ. ასეთ დროს, ისე მეცოდებიან, რომ ვეღარ ვსაყვედურობ... დრო რომ გავა, ისევ შევუჩნდები ხოლმე: ბავშვი მაინც „გააკეთეთ“ სადმე-მეთქი... სხვათა შორის, არც მე ვაპირებდი ცოლის შერთვას, მაგრამ ჩემმა ცოლმა იაქტიურა... კიდევ იცით, რატომ რჩებიან მამაკაცები უცოლოდ? ზოგი ქალი ზედმეტად პატიოსანს თამაშობს — შეაყვარებს კაცს თავს, ბოლოს კი აღმოჩნდება, რომ дурная женщина... ის კაცი საცოლის ღალატს რომ შეიტყობს, იმედი გაუცრუვდება და საერთოდ შეიძულებს ქალებს. „მაცი ხვიტიას“ გადაღებების დროს მომხსნეს როლიდან. საერთოდ შემძულდა კინოც და თეატრიც. გავრბოდი. ილია თავაძემ და ჩემმა პედაგოგმა შემაჩერეს, თორემ კინოსკენ აღარც გავიხედავდი, ისევე, როგორც უამრავმა მამაკაცმა აღარ გაიხედა ქალისკენ, როცა ღალატის სიმწარე განიცადა... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერბიჭებს ცოტათი გამბედაობის და რისკის დეფიციტიც აქვთ — ოჯახი ხომ დიდი ტვირთია!..

ბაადურ წულაძე, *კინორეჟისორი, მსახიობი:*

— ბევრი მიზეზის გამო ვერ დავოჯახდი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძალიან უდარდელი ვიყავი ცხოვრებაში, თანაც ნასრედინის ვირივით დამემართა — აქეთაც რომ თივა ჰქონდა და იქითაც, მან კი არ იცოდა, ჭამა საიდან დაეწყო და მოკვდა შიმშილით... სწავლა რომ დავამთავრე და რუსეთიდან ჩამოვედი, ბინა არ მქონდა, 15 წელი უბინაოდ ვიცხოვრე. ახლა კი ვნანობ, მაგრამ რაღა დროს სინანულია?! ჩემი მატარებელი წავიდა, ცხოვრებაში ეს ერთადერთი ცოდვა მაქვს და მას ღმერთთან გავარჩევ...

■

მეზობელმა მარჯოხელა ქალს თავი ქვით გაუჩეჩქვა

„როცა მივხვდი, რა ჩავიდინე, ცრემლები წამომივიდა“ — თქვა მკვლელმა

ხარაგაულის რაიონის სოფელ ღარიხევში, ღრმად მოხუცებული თამარ გელაშვილი მეზობლებმა ღამით, საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. მათი თქმით, ოთახებში სისხლის გუბეები იდგა, სახლის შესასვლელ კართან კი, სისხლიანი, საკმაოდ მოზრდილი ქვა ეგდო. როგორც გაირკვა, ქალს სწორედ იმ ქვით გაუჩეჩქვეს თავი და ასე გამოასალმეს სიცოცხლეს. ამ შემზარავი სურათის მნახველნი კიდევ უფრო აღშფოთდნენ, როცა შეიტყვეს, რომ მკვლელი, მათი მეზობელი — 35 წლის ვეფხია თაბაგარი აღმოჩნდა...

79 წლის თამარ გელაშვილი მარტო ცხოვრობდა. მისი ვაჟიშვილები სოფელ ღარიხევიდან დაოჯახებისთანავე წავიდნენ და საცხოვრებლად ერთი რუსთავში, მეორე – ხაშურში გადავიდა. დედას ხშირად აკითხავდნენ. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავენ, მასზე სანერვიულო არაფერი ჰქონდათ, რადგან თამარ გელაშვილი, ხანდაზმულობის მიუხედავად, ჯანმრთელი ქალი იყო, სამეურნეო საქმეებს მარტო უძღვებოდა და მეზობლებსაც კი ეხმარებოდა – მათ შორის, ვეფხია თაბაგარსაც, რომელიც იქვე, ახლოს ცხოვრობდა და თამარ გელაშვილს თურმე ხშირად აკითხავდა – ხან სასმლის ან რაიმე პროდუქტის, ხანაც ფულის სათხოვნელად; 2002 წლის ნოემბერში, მან ქალის დაყაჩაღება განიზრახა...

ვეფხია თაბაგარი იმ პერიოდში ცოლთან გაყრილი იყო. ჰყავს ორი შვილი – 11-ის და 8 წლის. წლების მანძილზე არსად მუშაობდა. 23 წლის ასაკში ის ხარაგაულის რაიონულმა სასამართლომ ხულიგნობისთვის გაასამართლა და 3 წლით პირობითი სასჯელი (სავალდებულო შრომა) მიუსაჯა. ამის შემდეგ ის ღარიხევიდან არ წასულა და თამარ გელაშვილის მკვლელობამდე, იქ ცხოვრობდა.

2002 წლის 14 ნოემბერს, დღისით, დაახლოებით 3 საათისთვის, ნასვამი ვეფხია თაბაგარი თამარ გელაშვილის სახლის ჭიშკარს მიადგა. გამოძიების მასალების თანახმად, მას მოხუცი მეზობლის დაყაჩაღება უკვე განზრახული ჰქონდა, მაგრამ ქალის მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობის გადასალახავად რაიმე იარაღი სჭირდებოდა. სწორედ ამისთვის, გელაშვილის ეზოში შესულმა, მოზრდილი ქვა აიღო და სახლისკენ გაემართა. ოთახში შესვლისთანავე, მან თამარ გელაშვილს 100 ლარი მოსთხოვა. ქალმა უთხრა, რომ ეს თანხა არ გააჩნდა. მაშინ თაბაგარმა ქვა მოიმარჯვა და იგი მოხუცს თავში რამდენჯერმე ჩაარტყა. თამარ გელაშვილმა გონება დაკარგა და დაეცა. ძლიერი დარტყმებისგან მისი თავის ქალა რამდენიმე ადგილას იყო გატეხილი. ბოროტმოქმედმა დასისხლიანებულ, გონწასულ ქალს რომ დახედა, დარწმუნდა, რომ მკვდარი იყო და ოთახების ჩხრეკას მიჰყო ხელი. თაბაგარმა ვერც ფული იპოვა და ვერც რაიმე ძვირად ღირებული ნივთი. იქაურობა ხელცარიელმა დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა ჩაიდინა, სოფლიდან გაქცევა და მიმალვა არც უცდია. გელაშვილის სახლიდან მან პირდაპირ შინისკენ გასწია.

გიზო ტაბატაძე, დაზარალებული, თამარ გელაშვილის შვილი:

„მომხდარის შესახებ მეორე დღეს, – 15 ნოემბერს შევიტყვე. იმ დროს სამსახურიდან მივლინებით ქალაქ ბათუმში ვიყავი წასული. ხაშურიდან ჩემმა მეუღლემ დამირეკა და მითხრა: დედაა ცუდად და იქნებ, ახლავე სოფელში ჩახვიდეო. გარდაცვლილი თუ იყო, არ გამიმხილა. ცოლს ვუპასუხე, რომ სამსახურიდან უცებ ვერ გავთავისუფლდებოდი და ვთხოვე: ჩემს ჩამოსვლამდე საავადმყოფოში წაიყვანეთ-მეთქი. არაფერი უთქვამს, ყურმილი დაკიდა: ცოტა ხანში კი, ისევ დარეკა და მითხრა: საავადმყოფოში წაყვანა საჭირო აღარ არის, გარდაიცვალაო... – რა მოხდა, რა დაემართა-მეთქი? – რომ ვიკითხე, მიპასუხა: ხიდან ჩამოვარდაო. მაშინ ეს ნათქვამი დავიჯერე, რადგან დედაჩემს ეზოში ძალიან ბევრი ხურმის ხე ჰქონდა, ყოველთვის თვითონ კრეფდა ხოლმე საჩირედ.

რა თქმა უნდა, მაშინვე დავტოვე ბათუმი და სოფლისკენ გავემგზავრე. ჩავედი თუ არა სადგურში, მოლარემ მომისამძიმრა, თან შემეკითხა: დაიჭირესო? გამიკვირდა: ვინ დაიჭირეს-მეთქი? – ვკითხე. მოლარე მიხვდა, რომ მე არაფერი ვიცოდი, თავიდან სიმართლის თქმას ისიც მოერიდა, მაგრამ მერე ყველაფერს მომიყვა.

ვეფხია თაბაგარს წლების მანძილზე ვიცნობდი. როცა სოფელში ჩავდიოდი, ყოველთვის ვხვდებოდით და ვესალმებოდით ერთმანეთს. მასთან ნორმალური მეზობლური ურთიერთობა მქონდა. ჩვენ შორის კონფლიქტი არასდროს ყოფილა და რამდენადაც ვიცი, არც დედაჩემთან ჰქონია ოდესმე უთანხმოება. პირიქით, მეზობლები ამბობენ, რომ დედა ვეფხიას ხშირად ეხმარებოდა. ამიტომაც გამიკვირდა, როცა შევიტყვე, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა. არ მესმის, ასეთი საშინელება როგორ ან რისთვის ჩაიდინა? ნამდვილად ვიცი, იმ პერიოდში დედაჩემს შინ იმდენი ფული არ ჰქონდა, მისი გაძარცვის სურვილი რომ გასჩენოდა ვინმეს. არც სოფელში იყო ცნობილი, როგორც ფულიანი ქალი. ჩვეულებრივ, საშუალო მცხოვრებად ითვლებოდა“.

მარიამ სულაქველიძე, მოკლულის მეზობელი:

„მოკლული თამარი თავის სახლში პირველმა მე ვნახე. ელდა მეცა, საწყალი ქალი, მოკუნტული და მთლად დასისხლიანებული იატაკზე რომ ვიპოვე...

იმ დღეს, მასთან უნდა მივსულიყავი, თვითონ დამიბარა: ძალიან ბევრი კარალიოკი მაქვს და რამდენასაც გინდა, იმდენს მოგცემო. საერთოდ, ხშირად დავდიოდი თამართან, ვახლობლობდით და მის ჩვეებსაც კარგად ვიცნობდი. პროფესიით პედაგოგი გახლდათ. ზედმიწევნით მოწესრიგებული ქალი იყო, შინ ყველაფერი თავის ადგილას ჰქონდა ხოლმე. ისიც ვიცოდი, რომ სახლის კარს ღიას არასდროს ტოვებდა. ამიტომაც ძალიან გამიკვირდა: ჭიშკრიდან რომ ვეძახდი,

არავინ მპასუხობდა, ზედა სართულის კარი კი, შევნიშნე, რომ ღია იყო. მაშინ დაახლოებით საღამოს 5 საათი იქნებოდა.

ამასობაში ჭიშკართან მეორე მეზობელი ქალიც მოვიდა, მითხრა: თამარს მეც ვეძებ, მთელი დღე არსად ჩანსო. სახლში შესვლას რატომღაც ვერ ვბედავდი, გული ცუდს მიგრძნობდა და მეშინოდა. ამ დროს, საკუთარი სახლიდან ვეფხია თაბაგარიც გამოვიდა. შევატყვე, რომ ნასვამი იყო, თუმცა ძალიან მთვრალი – არა, რადგან აზრიანად ლაპარაკობდა. დაახლოებით 10 წუთს გაჩერდა ჩვენთან, მე თან ქალიშვილიც მახლდა. ვეფხიამ საუბრისას თქვა: თამართან იმიტომ მოვედი, რომ ნახევარი ლიტრი არაყი მინდოდა მისთვის მეთხოვაო. ვუთხარით: ყველანი მას ვეძებთ და ვერსად ვპოულობთ-მეთქი. – შინ არ უნდა იყოს, დავინახე, რომ წისქვილში მიდიოდაო, – მიპასუხა.

წისქვილი თამარის სახლიდან დაახლოებით 400 მეტრშია. მაშინვე იქ გავუშვი ჩემი ქალიშვილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თამარი წისქვილში იმ დღეს არც მისულა. ამის შემდეგ, ვეფხია ჩვენთან არ გაჩერებულა, შინისკენ სულ სიმღერ-სიმღერით წავიდა. არ გამკვირვებია, რადგან ნასვამი იყო.

ბოლოს, გადავწყვიტე, სახლში შევსულიყავი და ოთახები დამეთვალიერებინა. უკვე 7 საათი შესრულდა და ბნელოდა. შუქი არ იყო და ამიტომაც სახლში თითქმის ვერაფერს ვხედავდი. ოთახი ასანთით გავანათე და შევნიშნე, რომ სკამები თავდაყირა ეყარა იატაკზე, ფეხსაცმელებიც უწესრიგოდ იყო მიყრილი. თამარი არსად ჩანდა. უკვე წასვლა დავაპირე და კართან მივედი. იატაკზე დასხმული რაღაც წითელი სითხე დავინახე. იქვე დიდი ქვა ეგდო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ვიფიქრე: თამარს ალბათ ტყემალი დაექცა-მეთქი. მოგვიანებით გავიგე, რომ სისხლი ყოფილა...

ამ დროს, ხრიალის ხმა მომესმა. საწოლს მივუახლოვდი და იქ უგონოდ დაგდებული თამარი ვიპოვე...“

მეზობლებისა და დაზარალებულის თქმით, სახლს ეტყობოდა, რომ ბოროტმოქმედი რაღაცას ეძებდა. ნივთები გადაადგილებული იყო, ტანსაცმლისა და წიგნების კარადები კი – ანგრეულიო, – აღნიშნავენ ისინი.

მეზობლებისთვის ნათქვამმა ტყუილებმა ვეფხია თაბაგარი გასცა. შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციამ ის იმავე დღეს დააკავა. ეჭვი, რომ დანაშაული მის მიერ იყო ჩადენილი, მოგვიანებით, თითის ანაბეჭდებითა და სხვა მტკიცებულებებითაც დადასტურდა. ბრალდებულმა ჯერ თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ, მაგრამ სასამართლოში, ჩადენილი მკვლელობა სავსებით აღიარა. მან უარყო, რომ თამარ გელაშვილის სახლის გაქურდვა ან აწ გარდაცვლილის დაყაჩაღება განიზრახა. მისი თქმით, ამ საშინელ დანაშაულამდე ის პირადმა პრობლემებმა და ოჯახში შექმნილმა დაძაბულმა ურთიერთობამ მიიყვანა.

ვეფხია თაბაგარი:

„ბოლო დროს, ოჯახში ბევრი პრობლემა მქონდა. ცოლ-შვილთან ურთიერთობა ძალზედ დამეძაბა, მათთან ხშირად მიხდებოდა ჩხუბი, რასაც ძალიან განვიცდიდი. ამის გამო, თითქმის ყოველთვის, ანერვიულებული და გაღიზიანებული ვიყავი. დარდის გაქარვებას კი სასმლით ვცდილობდი.

თამარ გელაშვილთან კარგი მეზობლური ურთიერთობა მქონდა. მისი გაძარცვის სურვილი არასდროს გამჩენია, არც იმ დღეს, როცა დანაშაული ჩავიდინე.

14 ნოემბერს სახლიდან ანერვიულებული გამოვედი. ნასვამი ვიყავი. თამარ გელაშვილთან ფულის სათხოვნელად მივედი. მითხრა, – არა მაქვსო. თუმცა ამ პასუხს არ დასჯერდა და ლანძღვა დამიწყო: შენ რომ კარგი კაცი იყო, ცოლშვილი არ გაგექცეოდაო. ამ სიტყვებმა გული დამწყვიტა და მოთმინება დამაკარგვინა, რადგან ეს ამბავი ჩემთვის მეტად მტკივნეული იყო. ამ დროს მე და თამარი ეზოში ვიყავით. უცებ, თავი ვეღარ გავაკონტროლე და გაბრაზებულმა მიწიდან ქვა ავიღე და თამარს ვესროლე. ქვამ მას თავი გაუტეხა. სისხლი რომ დავინახე, გონს მოვეგე, მივხვდი, რა საშინელებაც ჩავიდინე. თამარი წაიქცა. მე მაშინვე მისი დახმარება გადავწყვიტე, მოვკიდე ხელი და ოთახში შევიყვანე, სისხლიც კი მოვწმინდე. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ მაშინ ცრემლები წამომივიდა, ისე ავღელდი...“

ვეფხია თაბაგარის ჩვენება არც სახელმწიფო ბრალმდებელმა და არც მოსამართლემ არ გაიზიარეს. პროკურორმა მიიჩნია, რომ თაბაგარი ასეთ ჩვენებას, სასჯელის შემსუბუქების მიზნით იგონებს, მიუხედავად განსასჯელის სიტყვებისა: ვიცი, დამნაშავე ვარ და სასჯელის უმკაცრესი ზომით დამსაჯეთო. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ კი, თაბაგარის ცრემლებს „ნიანგის ცრემლები“ უწოდა და მკვლელობის შემდეგ მეზობლებისთვის ნათქვამი ტყუილები შეახსენა. სასამართლო გამოძიების დასრულების შემდეგ, სახელმწიფო ბრალმდებელმა ვეფხია თაბაგარის 18 წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯა მოითხოვა, პატიმრობის მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით.

■

ეპობლები ახალშობილის გარდაცვალებას არ იჯერებენ

მათი თქმით, სამშობიაროში საშინელი დანაშაული მოხდა

2001 წლის 6 აპრილს, თბილისის ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაახლოებით დილის ცხრა საათზე, მაია ჩუბინიძეს ვაჟი შეეძინა. იმავე დღეს, საღამოს 7 საათისთვის, ჩუბინიძესა და მის მეუღლეს – ბეჟან ყვირილიანს შეატყობინეს, რომ ახალშობილი გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ბავშვის მშობლები დღემდე ირწმუნებიან, რომ მათი შვილი ცოცხალია, ის უკანონოდ გაყიდეს, მათ კი, სხვისი, გარდაცვლილი ბავშვის გვამი გაატანეს. ეს უკანასკნელი მათ მუყაოს ყუთით დამარხეს.

ყვირილიანმა და მისმე მეუღლემ განცხადება მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურაში შეიტანეს. თუმცა, პროკურორმა სისხლის სამართალის საქმე არ აღძრა, რადგან მისი თქმით, მომხდარ ფაქტში კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ აღინიშნებოდა.

ამის შემდეგ, ბავშვის მამამ საჩივრით სასამართლოს მიმართა. მოსამართლემ ყვირილიანის მოთხოვნა დააკმაყოფილა და პროკურატურის დადგენილება საქმის არაღძვრის თაობაზე გააუქმა. სასამართლოს მითითებით ბეჟან ყვირილიანის განცხადების საფუძველზე, მომხდარი ფაქტის სრულყოფილი შემოწმება უნდა ჩატარდეს.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას უზენაესმა სასამართლომაც დაუჭირა მხარი.

ძიება განახლდა, თუმცა ყვირილიანი და მისი მეუღლე პროკურატურისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამენ. „მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს დადგენილებიდან ამდენი ხანი გავიდა. პროკურატურა არაფერს აკეთებს. საქმე გენეტიკურ გამოკვლევამდეა მისული, რომელიც რუსეთში უნდა ჩატარდეს. ამისთვის კი თანხაა საჭირო. ფული პროკურატურამ უნდა გადარიცხოს, მაგრამ გვეუბნებიან, რომ უსახსრობის გამო, მასალების გადაგზავნას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ“, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას მაია ჩუბინიძემ.

■

„ხელში გრძელი დანა ეჭირა, ნავართვი და გულში ჩავარტყი...“

19 წლის განსასჯელს პოლიციელის მკვლელობაში ადანაშაულებენ

უზენაესი სასამართლო 19 წლის დავით ქუხილავასა და მის მეგობარს — 18 წლის დავით ნოდიას ასამართლებს. ნოდიას ბრალი რამდენიმე ქურდობაში ედება, ქუხილავამ კი, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, სხვა დანაშაულებთან ერთად, 18 წლის ასაკში, განზრახ მკვლელობაც ჩაიდინა.

ნოდიამ და ქუხილავამ წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარში გაიცნეს ერთმანეთი. დავით ქუხილავას მშობლები განქორწინებულები არიან. ამიტომაც ის ბაბუასთან, ჯვარში იზრდებოდა. ჰყავს ოთხი და, რომელთაგან უფროსი გათხოვილია და თბილისში ცხოვრობს. დათომ ჯვარის სკოლაში 7 კლასი დაამთავრა, შემდეგ სკოლიდან გამოვიდა და სწავლა აღარ გაუგრძელებია. როგორც თავად ამბობს, ის ბაბუას ეხმარებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში. ერთხელ ის, ხელყუმბარის უკანონო შენახვატარებისთვის პოლიციამ დააკავა, წალენჯიხის რაიონულმა სასამართლომ, ქუხილავას, როგორც არასრულწლოვანს, სასჯელის ზომად ჯარიმა შეუფარდა.

დავით ნოდია თბილისელია, თუმცა გარკვეულ პერიოდში, ისიც ქალაქ ჯვარში ცხოვრობდა. ქუხილავა მან სწორედ იმ დროს გაიცნო და დაუმეგობრდა. ბოლო წლებში დავით ნოდია თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. *„მამაჩემი ავადმყოფია, დედა კი ვაჭრობს და მთელ ოჯახს გვარჩენს, თუმცა, მაინც ძალიან გვიჭირს“*, — ამით ახსნა ნოდიამ მის მიერ ჩადენილი ქურდობები. იმ დანაშაულების ჩადენის დროს, რაშიც მას ბრალი ედება, ნოდია არასრულწლოვანი იყო.

2001 წლის დეკემბერში (ზუსტი რიცხვი დაუდგენელია), თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, ნოდია თავისი საცხოვრებელი სახლის წინ იმყოფებოდა, როცა ეზოში უცხო ავტომანქანა — „ვაზ-2107“ შენიშნა. მანქანა თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგზაო პოლიციის უფროს ინსპექტორს — მამადაშვილს ეკუთვნოდა. მამადაშვილი ნოდიას მეზობლად მცხოვრებ თავის ნაცნობთან მიდიოდა. ავტომანქანა მან კორპუსის წინ გაჩერა, კარი ჩაკეტა და სადარბაზოში შევიდა.

ნოდიამ ამ მომენტით ისარგებლა და გადაწყვიტა, მანქანა გაექურდა. მან კარს თავისი გასაღები მოარგო და სალონიდან მანქანის მაგნიტოფონი და დისტანციური მართვის პულტი ამოიღო. მეორე დღეს, ნაქურდალი ვინმე ბურუსიძეს მიჰყიდა 60 ლარად.

პოლიციელი მამადაშვილი ჯერ საკუთარი ძალებით ცდილობდა დამნაშავის ვინაობის დადგენასა და მოპარული მაგნიტოფონის დაბრუნებას, მაგრამ ვერ შეძლო. მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 2002 წლის 9 იანვარს, მან პოლიციაში განცხადება შეიტანა და დახმარება ითხოვა.

პროკურატურის ინფორმაციით, სამართალდამცავებმა მალე დაადგინეს, რომ დანაშაული ნოდიამ ჩაიდინა. მოგვიანებით, ამ უკანასკნელმა მაგნიტოფონის მოპარვა აღიარა კიდეც, ნაქურდალი ნივთი კი დაზარალებულს დაუბრუნდა.

2002 წლის 13 დეკემბერს, დავით ნოდიამ ანალოგიური დანაშაული კვლავ ჩაიდინა. ამჯერად მან ვინმე ჯაფარიძის „ჟიგული“ გაქურდა და მანქანიდან მაგნიტოფონი და აკუმულატორი მოიპარა. ნაქურდალი ჯერ ეზოში გადამალა, შემდეგ კი, სარდაფში შეინახა. მეორე დღეს, მაგნიტოფონი 20 ლარად, ხოლო აკუმულატორი — 15 ლარად გაყიდა.

რაც შეეხება დავით ქუხილავას, გამოძიების მასალების თანახმად, ქალაქ ჯვარში მან ახალგაზრდა მამაკაცი, მისი მცირეწლოვანი ძმისშვილის თვალწინ დანით დაჭრა. ბრალდების მიხედვით, 2002 წლის 14 თებერვალს, საღამოს, დაახლოებით 6 საათისთვის, ნასვამი ქუხილავა, გეოლოგების მიერ მიტოვებულ სახლთან შემთხვევით, ნაცნობს — გივი აქუბარდიას შეხვდა. ეს უკანასკნელი თავის მცირეწლოვან ძმისშვილთან — მონიკა აქუბარდიასთან ერთად, შინ მიდიოდა. ქუხილავას და აქუბარდიას შელაპარაკება მოუხდათ. ქუხილავამ მას ჩხუბი იმის გამო დაუწყო, რომ აქუბარდიას ძმას მისთვის ბატების ფარულად გატაცება დაუბრალებია. აქუბარდიამ სთხოვა: ამ საკითხზე ჩემს ძმას ელაპარაკე, როცა გამოფხიზლდებიო. ასეთი პასუხი ქუხილავამ იუკადრისა, გაბრაზებულმა ჯიბიდან დანა ამოიღო და აქუბარდიას სხეულის სხვადასხვა ადგილას ოთხჯერ ჩაარტყა. დაჭრილი წაიქცა, ქუხილავამ კი იქაურობა საჩქაროდ მიატოვა და მიიმალა.

შემთხვევის ადგილას მოგროვილმა ხალხმა, აქუბარდია საავადმყოფოში წაიყვანა. საბედნიეროდ, ის მხოლოდ მსუბუქად დაჭრილი აღმოჩნდა. აღნიშნულ ფაქტზე პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. 2002 წლის 21 მარტს კი, დავით ქუხილავაზე ძებნა გამოცხადდა.

2002 წლის 14 მაისს, უკვე სრულწლოვანმა ქუხილავამ, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჩქვალერში, ე.წ. ლეშამგეს უბანში, მორიგი დანაშაული ჩაიდინა. საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის, სრულიად შემთხვევით, წალენჯიხის რაიონის შს განყოფილების, ქალაქ ჯვარის ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორს — მურმან კვარაცხელიას გადაეყარა. პოლიციელმა ძებნაში მყოფი ქუხილავა მაშინვე იცნო და მისი დაკავება დააპირა. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, პოლიციის ფორმაში ჩაცმულ კვარაცხელიას ხელიდან დასხლტომოდა, ჯიბიდან დანა ამოიღო და მოულოდნელად სახეში ჩაარტყა მას. პოლიციელს ჭრილობიდან სისხლი წამოუვიდა და იძულებული გახდა, ქუხილავასთვის ხელი გაეშვა. ამ მომენტით ქუხილავამ ისარგებლა და გაიქცა.

დაჭრილი კვარაცხელია საავადმყოფოში თავად მივიდა, მისი განცხადების საფუძველზე კი, ქუხილავას მიმართ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამ პერიოდში, გამოცხადებული ძებნის მიუხედავად, ქუხილავა ნოდიას საკმაოდ ხშირად ნახულობდა. მას თბილისში სტუმრობდა და იქ ღამის გასათევადაც რჩებოდა.

2002 წლის 3 ივნისს, საღამოს 6

საათისთვის, ქუხილავა კვლავ ესტუმრა ნოდიას. უთხრა, რომ ქალაქ ჯვარში აპირებდა გამგზავრებას, სამგზავრო ფული კი არ ჰქონდა. ნოდიამ მეგობარს ხელი ვერ გაუმართა, რადგან საჭირო თანხა არც მას აღმოაჩნდა. მაშინ ქუხილავამ სხვა გამოსავალი იპოვა: მეგობარს შესთავაზა, რომელიმე ავტომანქანა გაექურდათ, იქიდან მაგნიტოფონი ამოეღოთ, გაეყიდათ და აღებული ფულით ჯვარში წასულიყვნენ. ნოდია დათანხმდა.

ღამით, 11 საათისთვის, მათ ვინმე მაქაცარიას კუთვნილი ავტომანქანა – „ვაზ-2107“ გაძარცვეს, მაგნიტოფონი ამოიღეს და იქაურობა დატოვეს. როცა სუხიშვილის ქუჩაზე მიდიოდნენ, ავტოსადგომთან ახლოს პოლიციელთა მანქანა დაინახეს. უნდოდათ თავი აერიდებინათ მათთვის, მაგრამ ვერ მოახერხეს. პოლიციელები უკვე მათკენ გაემართნენ. ისინი ოპერატიულ შემოვლაზე მყოფი, თბილისის, ისანი-სამგორის რაიონის მე-8 განყოფილების ჯგუფის წევრები – ცხვარაძე, მორბედაძე და სტეპანოვი გახლდნენ.

როცა პოლიციელებმა საბუთები მოსთხოვეს, ნოდია მაშინვე ვაზისუბნის დასახლებისკენ გაიქცა. მას მორბედაძე დაედევნა, ცხვარაძე და სტეპანოვი კი ქუხილავასთან დარჩნენ. ის მანქანაში ჩასვეს და პოლიციის განყოფილებაში დაუპირეს წაყვანა, რადგან, მათივე თქმით, ის საეჭვოდ იქცეოდა. ბრალდების თანახმად, სწორედ ამ დროს, ქუხილავამ ჯიბიდან დანა ამოიღო და იგი გვერდით მჯდომ სამველ სტეპანოვს ორჯერ, ძლიერად ჩაარტყა გულმკერდის არეში. დანამ პოლიციელს არტერია და ვენა გადაუჭრა. ქუხილავამ მას დანა ქვედა ყბის არეშიც ჩაარტყა, შემდეგ კი მანქანიდან გადახტა და გაიქცა. დაჭრის მომენტში ცხვარაძე წინა სავარძელზე, საჭესთან იჯდა და ვიდრე სტეპანოვმა თავად არ უთხრა – ვაიმე, დამჭრაო, – ვერაფერი შენიშნა. უკვე გაქცეულ ქუხილავას ის დაედევნა და გამაფრთხილებელი გასროლაც მოახდინა, თუმცა, როგორც ჩანს, ჰაერში არ უსვრია, რადგან ტყვია ქუხილავას ფეხში მოხვდა და დაჭრა. ამის მიუხედავად, მან სირბილი განაგრძო, დააგდო დანა, გაიხადა ქურთუკი და ავტოსადგომის ტერიტორიაზე შევარდა, იქ ღობეს გადაახტა და მიიმალა...

23 წლის პოლიციელი – სამველ სტეპანოვი (რომელიც, სხვათა შორის, ახალი დაოჯახებული გახლდათ), რამდენიმე საათში საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამ ამბის შემდეგ, დავით ნოდიამ პოლიციაში საკუთარი ფეხით მისვლა გადაწყვიტა. სამართალდამცავებს თავისი ნებით ჩაჰბარდა ქუხილავაც, რომელიც მაგნიტოფონის მოპარვამ საბოლოოდ, უმძიმეს დანაშაულამდე – მკვლელობამდე მიიყვანა. თუმცა, ბრალდებულმა სტეპანოვის განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო – მისი თქმით, პოლიციელი მან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში დაჭრა. გარდა ამისა, დასძინა ისიც, რომ იმ დღეს, დანა საერთოდ არ ჰქონია.

დავით ქუხილავა:

„... ერთ-ერთი პოლიციელი, რომელიც სპორტული აღნაგობისა იყო, მომიტრიალდა და ცემა დამიწყო. მან (სტეპანოვმა. – ავტ.) ხელკეტი გადმოიღო და თავში მირტყამდა. მეკითხებოდნენ: ეს მაგნიტოფონი საიდან გაქვსო? მე ვიცრუე: მაგნიტოფონი მოპარული არ არის, ჩემია და შესაკეთებლად მიმქონდა-მეთქი. ამის შემდეგ, ფულზე დავიწყეთ ლაპარაკი. შევთავაზე: 300 აშშ დოლარს გადავიხდი, ნათესავებთან მიმიყვანეთ და ფულს ისინი მოგცემენ-მეთქი. თითქოს შევთანხმდით, მაგრამ მერე, მაინც მოინდომეს პოლიციის განყოფილებაში ჩემი წაყვანა. იმ პოლიციელს, რომელიც მირტყამდა, შევეკითხე: ხომ შევთანხმდით-მეთქი? მან კი მიპასუხა – არა,განყოფილებაში უფრო მეტს გადაიხდიო. ამ დროს მანქანა ნელა მიდიოდა, მე იქიდან გადახტომა და გაქცევა მოვახერხე, თუმცა უკან დამედევნენ და კვლავ მანქანაში ჩამსვეს. მაშინ გვერდით მჯდომმა პოლიციელმა (სტეპანოვმა. – ავტ.) წინა სავარძლებს შორის ჩაყო ხელი, გრძელი დანა ამოიღო და შეურაცხყოფა მომაყენა, ე.წ. „ბოზურ შრამებს“ მადებდა. შემდეგ დანა სახეში გამარტყა, მე ინსტინქტურად ხელი ავიფარე და ამის გამო, ხელისგული გამეჭრა. უცებ გამოვტაცე პოლიციელს დანა და გულმკერდში ჩავარტყი. ამის შემდეგ მანქანიდან ისევ გადავხტი და გავიქეცი...“

პროკურატურამ ქუხილავას ჩვენება არ გაიზიარა და მას ადამიანის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და მისთვის სხეულის მსუბუქ დაზიანებაში, ქურდობაში, კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში არასრულწლოვნის (ნოდიას) ჩაბმასა და განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში დასდო ბრალი. რაც შეეხება ნოდიას, პროკურატურამ ის მხოლოდ არაერთგზის ჩადენილ ქურდობაში დაადანაშაულა. სასამართლოს წინაშე ნოდიამ დანაშაული აღიარა, ქუხილავას კი, კოლეგიისთვის ჩვენება ჯერ არ მიუცია. მომდევნო სხდომაზე, რომელიც 23 აპრილს გაიმართება, დაცვით სიტყვას განსასჯელის ადვოკატიც იტყვის.

■

პოლიციამ თბილისში ცნობილი კრიმინალები დააკავა

2003 წლის 12 აპრილს ცნობილი გახდა, რომ სამართალდამცავებმა თბილისში ერთ-ერთი საშიში კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელები დააკავეს: ოთხჯერ ნასამართლევი, 40 წლის დავით სოხაძე და ორჯერ ნასამართლევი, 35 წლის ბადრი ჯიჯიაშვილი. პოლიციამ ისინი მეტროსადგურ „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აიყვანა.

როგორც ცნობილი გახდა, სოხაძე და ჯიჯიაშვილი ამჟამად უკვე პატიმართან – 25 წლის სოსო გუგიაშვილთან ერთად სჩადიოდნენ სხვადასხვა დანაშაულს, ძირითადად, ქურდობასა და ყაჩაღობას. სოხაძე და ჯიჯიაშვილი სწორედ ბანდიტიზმისთვის არიან წარსულში ნასამართლევნი. მათ ასევე ბრალი ედებათ სავაჭრო ცენტრის – „კედარის“ მახლობლად მდებარე ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტზე თავდასხმასა და დარაჯის – ჯამბულ ხაბაზის დაჭრაში.

ავტომატებით შეიარაღებულ ბოროტმოქმედებს აღნიშნული პუნქტიდან ფულის გატაცება უნდოდათ, დარაჯმა კი მათთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა, რასაც შედეგად მისი დაჭრა მოჰყვა.

■

გამძლიშვილების ოჯახს ყაჩაღები დაესხნენ თავს

გორის რაიონის სოფელ მერეთში მცხოვრები გამძლიშვილების ოჯახს ღამით შეიარაღებული, ნიღბიანი ყაჩაღები დაესხნენ თავს. მათ სახლში კარი შეამტვრიეს, ოთახში შეაღწიეს და ოჯახის წევრებს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. ოჯახიდან მათ 450 ლარი და რამდენიმე ასეული რუსული რუბლი გაიტაცეს. როგორც დაზარალებულები აცხადებენ, გამტაცებლებმა იცოდნენ, რომ რამდენიმე დღის წინ, მათ დიდი რაოდენობით ვაშლი გაყიდეს და სწორედ იმ ფულს მოითხოვდნენ.

თანხის გამოძალვის შემდეგ, თავდამსხმელებმა ოჯახის უფროსი – მიხეილ გამძლიშვილი სასტიკად სცემეს, იქაურობა მიატოვეს და მიიმალნენ.

დამნაშავეები ჯერჯერობით არ დაუკავებიათ, თუმცა, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, თავდამსხმელთა სავარაუდო ვინაობა მათთვის უკვე ცნობილია.

■



საიდან აღარ დადიოდნენ ბაგონ დათოსთან „მოლაპარაკე“ უნიტაზის სანახავად...

ორიგინალურ ნივთებს ვქმნი, სცენარებს ვწერ და ფილმებს ვიღებ — ე.ი. გამომგონებელი ვარო, — ამბობს **დათო სონღულაშვილი,** *რომელმაც რამდენიმე წლის წინ, მთელი თბილისი გააკვირვა თავისი ხელით ნაკეთები, უჩვეულო ნივთებით. თურმე, საიდან აღარ დადიოდნენ ბატონ დათოსთან „მოლაპარაკე“ უნიტაზის სანახავად... ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ უამრავი კურიოზის მიზეზი ერთ-ერთ ფირმას მიჰყიდეს.*

მსახიობ ფარსმან სონღულაშვილის (მოურავი კინოფილმში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) ვაჟი, დათო სონღულაშვილი დაიბადა თბილისში 1951 წელს. ყველა ახლობლის გასაოცრად, მას თეატრალურ ინსტიტუტში არ ჩაუბარებია. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (დღეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) და იქვე მუშაობდა ფიზიკოსის სპეციალობით. დათო რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი და ერთი სრულმეტრაჟიანი კომედიის ავტორი და რეჟისორიც გახლავთ.

დათო სონღულამვილი

შეიძლება ითქვას, რომ ქათმებმა გააღვიძეს ჩემში გამომგონებლის ნიჭი

„ჭკვიანი“ ნივთების ავტორი

დათო სონღულაშვილი

ნათია გუმბერიძე

— წინასწარ არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ უცნაური ნივთები დამემზადებინა. ორიგინალურ ნივთებს საჭიროების გამო ვიგონებ. მე სამი შვილი და სამი შვილიშვილი მყავს. ისე მოხდა, რომ ჩემს ოჯახში სულ ცხოვრობს პატარა. ჩემს მეუღლეს კი, ერთ ხელში სულ ბავშვი უჭირავს და მეორე ხელით უწევს საქმის კეთება. ამიტომ ყველაფერი ისე მოვუწყვე, რომ აღარ გაწვალებულიყო. მაგალითად, გამოვიგონე კოვზი, რომელიც თვითონ ურევს ფაფას, ონკანი, რომელსაც ხელის ოდნავი მოძრაობაც ჰყოფნის საიმისოდ, რომ წყალი წამოვიდეს... მეუღლე ხშირად დამცინის ხოლმე: ლურსმნის ჩაჭედება რომ გთხოვო, ხელსაწყოს გამოიგონებ, რომელიც თვითონ ჩააჭედებსო.

— რამდენი წლის იყავით, როცა პირველი ორიგინალური ხელსაწყო გამოიგონეთ?



... ნათურა, რომელიც სულის შებერვისგან ქრებოდა

— ზუსტად არ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი. სკოლაში ვსწავლობდი, მეათე თუ მეთერთმეტე კლასში. ჩემი ოჯახი სოფელ დიღომში ცხოვრობს. ყოველთვის გვყავდა ქათმები და პაპაჩემი მაგზავნიდა ხოლმე კვერცხების დასათვლელად. იმდენად შეწუხებული ვიყავი, ყოველ დილით საბუდარში ჩასვლით, რომ გადავწყვიტე, რაიმე ისეთი მეღონა, რაც ამ საქმისგან გამათავისუფლებდა. ჰოდა, გამოვიგონე მოწყობილობა, რომელიც კვერცხებს ითვლიდა: კედელზე დამაგრებული მქონდა საათი, რომლის ისარი აჩვენებდა კვერცხების რაოდენობას. ფაქტობრივად, 12 კვერცხზე მეტს ვერ ითვლიდა. ამ, პირველ გამოგონებას თავისი ხარვეზები ჰქონდა: მოწყობილობა კვერცხების რაოდენობას ითვლიდა იმის მიხედვით, თუ რამდენი ქათამი შევიდოდა საბუდარში. ამიტომ, როცა მამალი შევიდოდა საბუდარში, ჩემი საათი მაშინაც ერთ კვერცხს უმატებდა საერთო რაოდენობას... ისე, შეიძლება ითქვას, რომ ქათმებმა გააღვიძეს ჩემში გამომგონებლის ნიჭი, რადგან მეორე გამოგონებაც ქათმებთან არის დაკავშირებული: როცა მე და ჩემი მეუღლე დავქორწინდით, სოფელ დიღომში საცხოვრებლად ჯერ არ ვიყავით გადასულები. მაშინ მანქანა არ გვყავდა, თბილისში ვმუშაობდით და გვიჭირდა სოფელში ყოველდღე სიარული. არადა, გვყავდა ქათმები და საჭირო იყო, ვინმეს მათთვის საკენკი დაეყარა. გამოვიგონე საბაგიროს მსგავსი აპარატი, რომელიც დღეში ორჯერ უყრიდა მათ საკენკს...

— ყველაზე დიდი აჟიოტაჟი და გამოხმაურება, თქვენ მიერ გამოგონილ რომელ ორიგინალურ ნივთს მოჰყვა?

— დაახლოებით 10 წლის წინ, უნიტაზი „ავალაპარაკე“. წარმოიდგინეთ, შედიხართ საპირფარეშოში და უნიტაზი „გესალმებათ“: მობრძანდით, დაბრძანდითო, — გეუბნებათ. იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტად შეყოვნდით, საინტერესო ამბებსაც გიყვებათ და გაქებთ კიდეც იმის გამო, რომ „გინესის რეკორდი მოხსენით“... ბოლოს კი, მადლობას გიხდით პატივისცემისთვის და წყალს უშვებს... უნიტაზს ჩემი მეგობარი მსახიობი ლადო ხელაშვილი ახმოვანებდა. მას ძლიერი ხმა აქვს და კარგ ეფექტს ახდენდა. სტუმარი არ ილეოდა ჩემს სახლში — მოდიოდნენ უნიტაზის სანახავად. კართან ყველას, ჩემ მიერ გაკეთებული ზარი ეგებებოდა. ჩაწერილი მქონდა მამაჩემის ხმა, რომელიც ფილმში — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ჟღერს და მოუწოდებს სტუმარს — „შამო, შამო“... სტუმრებს, რომ-

ამ სურათს დათომ დაარქვა „ახალგაზრდობაზე მეოცნებე მეუღლე“

ლებმაც წინასწარ იცოდნენ ჩემი გამოგონების შესახებ, აღარაფერი უკვირდათ. მაგრამ ერთ დღეს, გვეწვია ხანდაზმული, შინაბერა ქალბატონი, გეოგრაფიის მასწავლებელი. საკმაოდ დიდხანს შეყოვნდა ჩვენთან და სწორედ მაშინ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა, როცა ჩვენი სტუმარი სააბაზანოში შევიდა. რატომღაც მხედველობიდან გამოგვრჩა და წინასწარ არ გაგვიფრთხილებია, რომ „მოლაპარაკე“ უნიტაზი გვქონდა. საცოდავი ქალი დიდხანს არ გამოსულა. ბოლოს, როცა უნიტაზმა მადლობა გადაუხადა, საერთოდ ვეღარ ადგა ფეხზე – ისეთ შოკში ჩავარდა, რომ ძლივს მოვასულიერეთ...

— თუ დაინტერესდა ვინმე ამ სენსაციური გამოგონებით?

– იმ პერიოდში იყო ასეთი ფირმა – „ფიკფუკი“, რომელიც საინტერესო იდეებს ყიდულობდა, რათა შემდეგ, გაეხსნა ორიგინალური ნივთების მაღაზია, რომელშიც ყველაფერი უცხო, უჩვეულო და ერთადერთი გაიყიდებოდა. პირველად, ამის შესახებ რადიოგადაცემიდან შევიტყვე. ჩემი უნიტაზიც ამის შედეგად მოხვდა ამ ფირმაში და არა მარტო უნიტაზი: მაგალითად, „ფიკფუკს“ წარვუდგინე აგრეთვე მოლაპარაკე თერმომეტრი, რომელიც გაზომვისთანავე, ხმამაღლა ასახელებდა ტემპერატურას; ნათურა, რომელიც სულის შებერვისგან ქრებოდა და აკვანი, რომელიც თვითონ ირწეოდა. თუმცა, იმ პერიოდში არავის ეცალა უცნაური ნივთებისთვის და ფირმაც დაიხურა.

— საინტერესოა, როგორი იყო თქვენი დამზადებული აკვანი და რამდენი ბავშვი გაიზარდა მასში?

– ამ აკვანში გაიზარდა ჩემი უფროსი გოგო და შემდეგ, ჩვენი ოჯახის ყველა ბავშვი. საერთოდ, ძალიან მოუხერხებელია ის, რომ ბავშვის ყოველ წამოტირებაზე უნდა მიხვიდე აკვანთან და დაარწიო. ამან დამაფიქრა და აკვანზე ისეთი აპარატი დავამაგრე, რომელიც მას დაარწევდა და უმღერებდა ჩვილს, ოღონდ – მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი ატირდებოდა... ჩემს შვილებს ისე მოსწონდათ, რომ გამუდმებით კრუსუნებდნენ, აკვანი რომ დარწეულიყო. მოგვიანებით, ისეთივე აპარატი დავამაგრე ჩვეულებრივ „ლულკაზე“. დღეს ამ „ლულკაში“ ჩემი შვილიშვილი იზრდება.

— სამომავლოდ თუ აპირებთ კვლავ ისეთი უჩვეულო ნივთების გამოგონებას, რომელიც ხალხს გააკვირვებს?

– რამდენიმე ახალი ნივთი უკვე მზად მაქვს. თანაც, დღეს უკვე მყავს სპონსორი, რომელიც დამეხმარება ორიგინალური ნივთების მაღაზიის გახსნაში, რითიც მომეცემა საშუალება, ხალხი დავაინტერესო ჩემი გამოგონებებით...

■

www.shopge.com

ელექტრონული ჭადრაკი „SABER IV"

ზომები: 210 x 188 x 22 მმ.
წონა: 410 გრ.
კვება: 3x"AAA"1,5 V
ფასი: 125 ლარი

უახლესი გამოგონება სათამაშო ჭადრაკებში, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ასაკისათვის. სპეციალური პროგრამა state-of-the-ort საშუალებას იძლევა ეთამაშოთ კომპიუტერს როგორც ადამიანს. დაპროგრამებული უნიკალური სვლების მოკარნახე აადვილებს სწავლების პროცესს. მას გააჩნია მაგნიტურ-სენსორული დაფა და სირთულის 73 დონე დამწყები და პროფესიონალი მოთამაშეებისათვის. შესაძლებელია თამაშების შენახვა შემდგომი გადათამაშებისთვის. შეგიძლიათ ითამაშოთ მარტო, ან პარტნიორთან ერთად. ჭადრაკის ფიგურები ინახება სპეციალურ განყოფილებაში დაფის უკანა მხარეს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.shopge.com
ელ-ფოსტა: contact@shopge.com
ტელ: (995 32) 53 74 60

ეკა კახიანმა თაყვანისმცემლებს ნინის დაბადებასთან დაკავშირებული საიდუმლო გაუმხილა

ამჯერად, „DJ ბუჯლემ" (ჟურნალი „რეიტინგი") და მოდების სახლმა DK-მ ოჯახურ დუეტს უმასპინძლა: თაყვანისმცემლების წინაშე დედა-შვილი – ეკა კახიანი და ნინი ბადურაშვილი წარდგნენ. როგორც ყოველთვის, დარბაზი თაყვანისმცემლებით გაივსო, რომლებმაც თავიანთი ჯერპები ლამაზი თაიგულებით დააჯილდოეს და უამრავი შეკითხვაც დაუსვეს.

ნათია ქივიძე

— ეკა, თქვენი და ნინის გზა ერთმანეთს დაემსგავსა. ბავშვობიდანვე ორივენი პოპულარულები ხართ და გარეგნობითაც ბევრს ერთმანეთში ეშლებით...

— მე მგონი, ნინი უფრო პოპულარულია, ვიდრე მე ვიყავი ამ ასაკში. როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, ერთი პერიოდი არ ვჩანდი. ნინი სულ სცენაზეა და სულ ჩანს. მართალია — ჩვენ მხოლოდ განვლილი გზით კი არა, თითქმის ყველაფრით ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ერთი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ვართ დაბადებულები *(დედა-შვილი ჰოროსკოპით თხის რქაა. — ავტ.)*, გვაქვს ერთნაირი ხასიათი და გემოვნება. ასაკით რამდენად დიდი ვარ ნინიზე, მაგრამ შინაგანად, მგონია, რომ ტინეიჯერი ვარ. ამ ბოლო დროს, ფიზიკურადაც ისე დამემსგავსა, რომ მართლა ვერ გვასხვავებენ ხოლმე ერთმანეთისგან. ერთი ასეთი შემთხვევა იყო: მე და ნინი ვიყავით ჩემი ბიძაშვილის ქორწილში. ნინი შეხვდა მამაჩემის მეგობარს, გადაკოცნა და მოიკითხა. ამ კაცს თურმე მე ვეგონე და ნინის ჰკითხა: ბავშვები როგორ არიანო?.. ცოტა ხანში მე მივედი და გადავკოცნე. გაგიჟდა ის კაცი — ამ წუთში არ გნახეო?! თუმცა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, ასაკითაც რომ ნინის ვგავარ.

— ნინი, როგორ ფიქრობ — როგორი იქნები, როდესაც 39 წლის გახდები?

— ალბათ ეკა როგორიც არის, ისეთი ვიქნები. ხასიათიც ასეთი მექნება. პროფესიითაც, ისევე, როგორც ეკა, მსახიობიც ვიქნები და მომღერალიც. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე არც მიფიქრია...

— ეკა, ყველაზე მეტად რას აფასებთ ნინის ხასიათში?

— ძალიან მომწონს, რომ ნინი მშვიდი და გაწონასწორებულია. თავისი ასაკისთვის საკმაოდ გონიერი ადამიანია. ამაზე პატარა იყო, როცა, როგორც დიდ ადამიანს, ისე ვესაუბრებოდი. როცა ადამიანი ბავშვობიდანვე პოპულარობას მოიპოვებს, ამბიციური ხდება. ნინიში ამას ვერ ვხედავ და ძალიან მიხარია, თუმცა, ისეთი ცუდი თვისებებიც აქვს, რაც მეც მახასიათებს. სულ ვეჩხუბები, რაღა ამაში დამემსგავსე-მეთქი?!.

— იქნებ, ერთ-ერთი უარყოფითი თვისება გვითხრათ, რომელიც ორივეს გახასიათებთ?

ეკა:

— მაგალითად, ორივენი ზარმაცები ვართ. უფრო ცოცხლები და ენერგიულები რომ ვიყოთ, ავჯობებდა.

ნინი:

— ეკა რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ყველაფერი მეზარება: კლიპის გადაღება, სიმღერის ჩაწერა... ეკა სულ მანჯღრევს და მეუბნება — გაინძერიო...

ეკა:

— ჩვენ გვჭირდება „მოტორი", რომელიც დაგვქოქავს. ჩემი ასეთი „მოტორია" დედაჩემი, რომელიც სულ „მქოქავს", მკარნახობს, რა უნდა გავაკეთო. ახლა უფრო აქტიური გავხდი, რაც დედაჩემის დამსახურებაა. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, ნინიც გააქტიურდება.

— ნინი, როგორ ფიქრობ — შენს ხასიათში კიდევ რა არის უარყოფითი?

— გულმავიწყი ვარ. თურმე ჩემი კლიპი დამიტოვებია „მაესტროში", მე კი ეს არც მახსოვდა. ასევე დავკარგე მინიდისკი, რომელზეც ყველა ჩემი სიმღერაა ჩაწერილი. არ მახსოვს, სად წავიდა. ძალიან ცუდი მეხსიერება მაქვს.

— როგორ და რატომ გადაწყვიტეთ მსახიობობა?

ეკა:

— პირველი კლასიდანვე, მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდი და ვიცოდი, რომ კონსერვატორიაში უნდა ჩამებარებინა, მაგრამ დამეზარა გამუდმებით ფორტეპიანოსთან ჯდომა. იმედს ჩემი მსახიობობა არ უნდოდა, დედაჩემი უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არაბულს ასწავლის და რატომღაც გადამიწყვიტეს, რომ არაბულზე უნდა ჩამებარებინა. არადა, რაც გავჩნდი, სულ სცენაზე ვიდექი! მაგრამ დამყოლი ხასიათის ვიყავი და რადგან იქ ჩაბარება მირჩიეს, დავთანხმდი. გამოცდებზე სულ „ხუთები" მივიღე, თუმცა იმის გამო, რომ სტაჟი არ მქონდა (იმ დროს სამუშაო სტაჟის გარეშე ვერ ჩააბარებდი), გარეთ დავრჩი. მაშინვე წავედი თეატრალურ ინსტიტუტში და სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე.

ნინი:

— თავიდან „უცხო ენებზე" მინდოდა ჩაბარება, რადგან ინგლისური მიყვარს ძალიან. მოგვიანებით, ჟურნალისტობა გა-

გვაქვს ერთნაირი ხასიათი და გემოვნება. ასაკით რამდენად დიდი ვარ ნინიზე, მაგრამ შინაგანად, მგონია, რომ ტინეიჯერი ვარ

დავწყვიტე, მაგრამ ოჯახის წევრებმა მითხრეს, რომ ჩემი სიზარმაცის გამო ამ პროფესიას ვერ დავეუფლებოდი და სჯობდა, სამსახიობოზე ჩამებარებინა. დავფიქრდი და მათი იდეა მომეწონა. წელს სკოლას დავამთავრებ და აუცილებლად თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარებ.

— ეკა, როგორც პროფესიონალი, როგორ შეაფასებთ ნინის ნიჭს? როგორი მსახიობი დადგება?

— არიან მსახიობები, რომლებიც სცენის გარეშეც აქტიურები არიან. ჩვენ ასეთები არ ვართ. საზოგადოებაში უფრო წყნარები ვართ. ნინის ძალიან დიდი იუმორის გრძნობა აქვს.

— ეკა, თუ შეგიძლიათ, გაიხსენეთ ნინის დაბადება და რატომ დაარქვით ნინი?

— 18 წლისას, 14 წლის ძმა გარდამეცვალა. ნინიზე ორსულად გახლდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიჭი მეყოლებოდა, ჩემი ძმის სახელი — ლადო უნდა დამერქმია. ცისფერ ტანსაცმელსაც ვყიდულობდი ბავშვისთვის. ერთ დღეს, ჩემი მეგობარი — თამრიკო ჭოხონელიძე მოვიდა და მითხრა: წუხელ სიზმარში ლადო ვნახე, ბავშვის დაბადების დღე, რიცხვი, სახელი და ნათლობის დღე მითხრა, ოღონდ მთხოვა, შენთვის არ მეთქვაო. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ამის გარდა, თამრიკომ არაფერი გამიმხილა. როდესაც მუცელი ამტკივდა და სამშობიაროში წამიყვანეს, თამრიკო და მაია ჯაბუაც მოვიდნენ. ბებიაქალმა მათ ამბავი ჩამოუტანა: გოგო ეყოლაო. თამრიკომ წერილი გამომიგზავნა: ბავშვს ნინო დაარქვიო, — მწერდა. ვიდრე მისი წერილი ჩემამდე მოვიდოდა — არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა, — მივწერე: ბავშვს ნინოს ვარქმევ-მეთქი, — და გავუგზავნე. გადაირია თამრიკო. სამშობიაროდან მაია თავისთან წაიყვანა და ის ფურცელი აჩვენა, სადაც სიზმარში ჩემი ძმის მიერ ნაკარნახევი ეწერა. ბავშვის სახელი — ნინო, დაბადების დღე — 27 დეკემბერი... ზუსტად მაგ დღეს დაიბადა ნინი...

— ნინ, როგორი მოსწავლე ხართ?

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგი — ჩვეულებრივი. ბავშვობიდან სკოლის სცენაზე ვდგავარ და მამღერებენ, ბავშვობაში სულ ვტიროდი, არ მინდოდა სცენაზე გასვლა, რადგან ჩემი კლასელი ბიჭები დამცინოდნენ. ისე, მასწავლებლები სიმღერის გამო შეღავათებსაც მიწევდნენ. ჩემი პირველი კლიპი რომ გამოვიდა, მივედი სკოლაში და კლასში არც ერთმა არ ვიცოდით ქმიის გაკვეთილი. მასწავლებელმა გვითხრა: „ორიანს" არ დაგიწერთ, ოღონდ ნინიმ იმღეროს და დანარჩენებმა იცეკვეთო. ასეც მოვიქეცით. რამდენჯერ მიმღერია კლასში, არც ვიცი...

— ეკა, როგორც მსახიობი, უმეტესობამ ტელესერიალიდან — „ძილის წინ" გაგიცნოთ. თუ გითამაშიათ სხვა როლი და რა არის თქვენი საოცნებო როლი?

— თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ვსწავლობდი. ის იყო დიდი პედაგოგი და რეჟისორი, რომელმაც კინომსახიობთა თეატრში მიმიწვია. 10 წელია იქ ვმუშაობ. მაგრამ ტელევიზია უფრო პოპულარულს ხდის ადამიანს, სერიალში — „ძილის წინ" ნათამაშევი როლები სახასიათო და გასართობია. სიმართლე გითხრათ, ამ როლებს სერიოზულად ვერც აღვიქვამ. შექსპირის პიესებსა და უამრავ კარგ სპექტაკლში მითამაშია. კარგია, რომ ამ სერიალმა პოპულარობა მომიტანა, მაგრამ გული მწყდება, ხალხი თეატრიდან რომ არ მიცნობს. ადრე ყველას ეგონა, რომ ცხოვრებაშიც ისეთი ქალი ვიყავი, როგორიც ლელა დეკანოსიძეა. ძალიან ხშირად მომდიოდა ხმები, რომ ამბობდნენ: იმედა რა კარგი კაცია და რა საშინელი შვილი ჰყავსო!.. არადა, საერთოდ არ ვგავარ ლელას... რაც შეეხება საოცნებო როლს — ძალიან მინდა ვითამაშო მიუზიკლში, სადაც სიმღერაცა და ცეკვაც ერთდროულად შემეძლება.

— „ლელას შოუზე" რას გვეტყვით?

— ლელა ყოველთვის აქტიური ქალი იყო... თავიდან პოლიტიკოსებს ვიწვევდით, მერე რატომღაც პოლიტიკოსები მოხსნეს სერიალიდან და აქტიური ლელა უფუნქციოდ დარჩა. ბევრი ვიფიქრე და ეს შოუ მოვიფიქრე; მგონი, საინტერესოა.

— ნინ, შენ რაზე ოცნებობ?

— ბავშვობიდან ვოცნებობ, ვიყო ისეთი მომღერალი, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში პოპულარული გავხდე. ძალიან მინდა, ჩავწერო დუეტი უიტნი ჰიუსტონთან.

— რა გაღიზიანებს?

— მაღიზიანებს ამბიციურობა. ამ ბოლო დროს, ბევრს გაუჩნდა ეს გრძნობა. ასევე მაღიზიანებს შურიანი ადამიანი. ერთი თვის წინ, ვიღაც გოგო მირეკავდა და ისეთ ცუდ სიტყვებს მეუბნებოდა, ვერც გავიმეორებ. ვერ ვხვდები, რა დავუშავე?!

— ცხოველები თუ გიყვართ?

ეკა:

— ცხოველები არ მიყვარს.

ნინი:

— ერთხელ კატა მივიყვანე შინ და ეკამ სულ წიხლისკვრით გამიგდო... იმედას „გართულება" აქვს ჩიტებზე. ახლა მოიყვანა სახლში იადონი, რომელიც სულ გალობს.

— ნინ, შენი უახლოესი გეგმები გაგვაცანი.

— ახლახან დავამთავრე ახალი სიმღერის ჩაწერა. შემდეგ კვირას თაკო გაჩეჩილაძესთან ერთად ჩავწერ დუეტს. ალბათ კლიპსაც გადავიღებთ.

— ეკა, როგორ ფიქრობთ — თუ შეიცვალა მუსიკა თქვენი ბავშვობიდან დღემდე?

— რა თქმა უნდა, ძალიან შეიცვალა. მაშინ ჩვენ სულ პატრიოტულ სიმღერებს ვმღეროდით. თანაც ჩვენ უფრო ბავშვურები ვიყავით, ვიდრე ახლანდელი 13-14 წლის მოზარდები არიან. ეს სულ სხვა თაობაა. მათ თავიანთ ასაკთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებული რეპერტუარი აქვთ. მართალია, ლანძღავენ დღევანდელ ქართულ ესტრადას, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ის განვითარების პროცესშია. ყველაფერი დაიხვეწება და დაილექება. ბევრი ნიჭიერი ადამიანი დგას დღეს სცენაზე.

— როგორ ფიქრობთ — დღეს პატრიოტულ თემაზე აღარავინ უნდა იმღეროს?

— რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ პატრიოტული სიმღერები დაიწეროს, მაგრამ ეს თემა ნაკლებად პოპულარულია. ახლა სხვა თაობა წამოვიდა და პატრიოტიზმის თემა მეორე კი არა, მეათე პლანზე გადავიდა.

შეხვედრის ბოლოს, ნინიმ და ეკამ ყველაზე აქტიური თაყვანისმცემელი დაჯილდოეს სპეციალური პრიზით. „DJ ბუკლეს" პროექტში ეს უკვე მეორედ გამარჯვებული, თიკო ჯანჯღავაა.

■

მაია კახიძე

ცხრა წლის წინ, 1994 წლის 20 აპრილს ნუცა დუჩაძემ უკანასკნელად გააცილა სამსახურში მეუღლე — გენერალი გია გულუა. რამდენიმე წუთში, სადარბაზოსთან სროლის ხმა გაისმა. ავტომანქანაში ჩაჯდა თუ არა, ავტომატის ჯერით დაცხრილეს, მაგრამ არც ეს აკმარეს 38 წლის გენერალს და თავში ე.წ. „საკონტროლო“ ტყვიაც დაახალეს.

«გია გულუას მკვლელობა პოლიტიკური იყო...»

ნუცა დუჩაძე, *გია გულუას ქვრივი:*

— დილით ჩვეულებისამებრ გავაცილე ჩემი მეუღლე. მერე სროლის ხმა მომესმა. თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. გარეთ გავიხედე და დავინახე, რომ ხალხი ჩემი ფანჯრისკენ იყურებოდა. მაშინვე ეზოში გავიქეცი, მაგრამ მეზობლები გადამიდგნენ და მანქანასთან არ მიმიშვეს. მათ უკვე ყველაფერი იცოდნენ...

— იმ ღამით ან წინა დღეს, აფორიაქება ან რაიმე განსაკუთრებული ხომ არ შეგიმჩნევიათ თქვენი მეუღლისთვის?

— წინა დღეს, 19 აპრილს დამირეკა — ბავშვები არ დააძინოო. შედარებით ადრე მოვიდა, ერთი საათი ბიჭებს ეთამაშა. მერე კი მთელი ღამე არ სძინებია. ვერ ისვენებდა, წრიალებდა... ვკითხე: რა დაგემართა-მეთქი? — მგონი, გავცივდიო, — მიპასუხა. გაცივებისა ნამდვილად არაფერი ეტყობოდა, ალბათ, სიკვდილის მოახლოება იგრძნო...

— თქვენ არ გქონდათ წინათგრძნობა?

— მეც მქონდა, გიასაც და უფროს ბიჭს — გიორგისაც. გიორგი მაშინ ხუთი წლის იყო, უმცროსი, სანდრო — ორის. მოუსვენრად ვიყავით, სიტყვით ამის აღწერა შეუძლებელია. მრავალჯერ ჰქონია გიას მძიმე პერიოდი, მაგრამ უიმედო არასოდეს მინახავს. ბოლო დროს კი მძღოლს მანქანას აჩერებინებდა, გადადიოდა და ფეხით აგრძელებდა გზას... იმ დღეებში მოწყენილობა შევამჩნიე. ახლობლები ურჩევდნენ — დაცვა აიყვანეო, მაგრამ ასე ამბობდა: მე ხომ იმათ არ ვგავარ, საკუთარი ჩრდილის რომ ეშინიათო...

— იარაღს ხომ ატარებდა?

— ერთადერთი იარაღი ჰქონდა — „სტეჩკინი“, მაგრამ ზუგდიდში ლოთი ქობალიამ რომ დაიჭირა, მაშინ წაართვეს.

— მისი ნივთები თუ დაგიბრუნეს?

— მხოლოდ ტანსაცმელი, რომელიც კაბინეტში ჰქონდა. დანარჩენი ნივთები უშიშროებამ წაიღო. მერე მივაკითხე კიდეც უშიშროების გამომძიებელს, ვთხოვე, თუნდაც ბლოკნოტი დაებრუნებინათ, მაგრამ მიპასუხა: ფასეული იქ არაფერი ყოფილაო...

— თქვენც დაგკითხეს?

— ახალი გარდაცვლილი რომ იყო გია, ერთხელ მაშინ დამკითხა უშიშროებამ, მეორედ — სასამართლო პროცესამდე.

— რამდენადაც ვიცი, შემსრულებლებიდან ერთი — მეტსახელად — სნაიპერა, პოლიციაზე თავდასხმის დროს დაიღუპა. დანარჩენებზე რას მეტყვით?

— საქმე ის არის, რომ თავიდან გიგა გელაშვილმა, თემურ ხაჩიშვილმა და შემსრულებლებმაც აღიარეს გიას მკვლელობა, მაგრამ მერე უარყვეს. კანონმდებლობაში იმდენი რამ შეიცვალა, რომ მშვენივრად გამოიყენეს მათმა ადვოკატებმა ეს ცვლილებები. არადა, გიაზე მოწყობილ ტერაქტში გარეული ზოგიერთი კრიმინალი 2000 წლის 20 აპრილს — ზუსტად მკვლელობის დღეს გაათავისუფლეს. საიდან ასეთი დამთხვევა?.. იმ დილით, 1994 წლის 20 აპრილს უამრავი თვითმხილველი იყო ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონში, გაიგონეს კიდეც გიას ბოლო სიტყვები: მაინც მომკალით, თქვენიო...

— გასულ წელს თემურ ხაჩიშვილიც გაათავისუფლეს...

— თვითონ ის ფაქტი, რომ პიროვნება ციხიდან შეწყალებით გამოვიდა და არა გამართლებით, ბევრ რამეზე მეტყველებს. მერე იყო და, ტელეეკრანიდან მუქარაც კი დაიწყო. სასტიკად აღვშფოთდით. ვფიქრობდით იმაზე, თუ რას მოუტანდა საზოგადოებას მისი ასეთი „ტელემიტინგები“, თორემ მე და ჩემს შვილებს რაც მოგვიტანა დაგეგმილმა და განხორციელებულმა სისასტიკემ, ფაქტი — სახეზეა, მაგრამ როდესაც ხაჩიშვილმა პარტია ჩამოაყალიბა სახელწოდებით „დათვი“, ძალიან „ვიმხიარულე“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელწოდებაც კი, მისი და მისი პარტიელების ტვინის ვიწრო გაქანებაზე მეტყველებს. იცით, ჩემს ბავშ-

ვობაში, ჟურნალ „დილაში“ ერთი ლექსი დაიბეჭდა და ამის გამო, მახსოვს, დიდი ამბავი ატყდა. რედაქტორსაც და ლექსის ავტორსაც ტყავი გააძვრეს. ყოველი კუპლეტი ასე მთავრდებოდა: „დათვი, ტურა და მგელია, სუყველა სადაგელია“... დაბეჯითებით იმის მტკიცება ან უარყოფა არ შემიძლია, გელაშვილმა, ხაჩიშვილმა თუ ვინ დაგეგმა და მოკლა ჩემი მეუღლე. ადრე, ძიების ჩვენებებს ვეყრდნობოდი. მათ აღიარეს: გია გულუა ჩვენ მოვკალითო. გამოძიებაც დიდი ენთუზიაზმით დაიწყო, მაგრამ 9 წლის შემდეგ გამოდის, რომ ჩემი ქმრის მკვლელობის საქმე, ფაქტობრივად, გაუხსნელია.

— თქვენი აზრით, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო გია გულუას მტერი?

— ბევრჯერ მიფიქრია და მითქვამს კიდეც: გიას ერთი და ორი მტერი არ ჰყავდა. მაგალითად, ის ხელს უშლიდა ბენზინის ბიზნესს. გახსოვთ, ალბათ, ის პერიოდი, საწვავის რა დეფიციტი იყო საქართველოში. აზერბაიჯანს საქართველოსთან პრეტენზია ჰქონდა, რადგან იქიდან შემოსული ბენზინი სომხეთში იყიდებოდა და ამაში უზარმაზარი ფული კეთდებოდა. იმ პერიოდში, გიამ პირობა მისცა აზერბაიჯანს, რომ საქართველოდან არც ერთი გრამი არ გავიდოდა, ოღონდ ჩვენთვის მოეწოდებინათ, მაგრამ „მხედრიონი“ იყო თუ ვიღაცები, მაინც ახერხებდნენ საწვავის გატანას. გიამ გადაკეტა ეს გზები, აგრეთვე — ნარკოტიკის შემოტანის გზები. ფოთის პორტზეც ერთი ამბავი იყო ატეხილი, იმიტომ, რომ „მხედრიონი“ და უშიშროება განაგებდა ყოველივეს — პოლიციას საქმეში არ ახედებდნენ. ბოლო დღეებში, ფოთშიც ჩავიდა გია. შს მინისტრის მოადგილე იყო, სატრანსპორტო პოლიციის უფროსი და ყველაფერს საშინლად განიცდიდა.

— ეი. გია გულუა ბევრს უშლიდა ხელს და გამოდის, რომ ბევრს ხელს აძლევდა მისი მოშორება.

— დიახ, ბევრს არ აძლევდა ხელს მისი სამართლიანობა, პატიოსნება. საქართველოში ხომ ვერ იტანენ ისეთ ადამიანს, ვისაც თავისი ქვეყანა გულწრფელად უყვარს?! ჩემი მეუღლის ლიკვიდაცია მაღალ ეშელონებში დაგეგმეს და ხაზგასმით შემიძლია ვთქვა, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო. ერთმა თანამდებობის პირმა თქვა: ალბათ, რაღაც დაშავა, თორემ მე რატომ არ მკლავენო?! მეც ავდექი და შევუთვალე: განსხვავება იმაშია, რომ შენ შეიძლება შეგაშინონ, გადაგათქმევინონ, არაკაცად გაქციონ, გიას კი თავისი პრინციპებისთვის არასოდეს უღალატია-მეთქი. სხვათა შორის, გია მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროში მუშაობდა, სადაც დღემდე ხელუხლებელია მისი სამუშაო მაგიდა და მისი პორტრეტიც კიდია.

— მახსოვს, ათიოდე წლის წინ დაბეჭდილ რამდენიმე წერილში გამოითქვა ვერსია — თითქოს გია გულუას შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია მოაკვლევინა, მაშინ, როდესაც იმავე დავალების შესრულებაზე იგორ გიორგაძემ სასტიკი უარი განაცხადაო...

მრავალჯერ ჰქონია გიას მძიმე პერიოდი, მაგრამ უიმედო არასოდეს მინახავს. ბოლო დროს კი მძიმოლს მანქანას აჩერებინებდა, გადადიოდა და ფეხით აგრძელებდა გზას...

— მიცვალებულის ასეთი ცილის წამება არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება, რადგან ძალიან მოსახერხებელია: თავს ვერ იმართლებს... როდესაც ზვიად გამსახურდია დაიღუპა, გია თბილისში იყო. მეტსაც გეტყვით: მე და გიამ ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამით შევიტყვეთ მომხდარის შესახებ. დიახ, ჩვენ ერთად ვიყავით შინ! ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს ყველამ, რომ ეს სიბინძურე ერთ-ერთი ცნობილი „კარვის ქალის“ მონაჩმახია, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, დიდ თანამდებობაზე რომ დანიშნეს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ უსაზიზღრესი და უსაფუძვლო ცილისწამებაა ეს ყოველივე! ვინც გიას იცნობდა, ყველა დაადასტურებს, რომ ამის გამკეთებელი არ იყო. ამგვარ ბინძურ ქმედებებზე ვერ დაითანხმებდნენ. „კარვის ქალი“ კი სწორედ მკვლელებმა გამოიყენეს, ისინი გამიზნულად სვრიან გიას სახელს ლაფში. მე კი ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ შურისძიების გრძნობა არ გაუჩნდეთ ჩემს ბიჭებს. ამაზე მაინც ხომ უნდა დაფიქრდნენ ის ვაიქართველები, ვინც გია გულუაზე დეზინფორმაციას ავრცელებენ?! სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას შვილს, გიორგის, კარგად ვიცნობ, შესანიშნავი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ისიც განიცდის, როცა ასეთი რამ ესმის. გიორგის, მამამისის და გიას მეგობრობაც კარგად ახსოვს.

— თქვენი შვილები რას ამბობენ მამაზე? უფრო ხშირად, რა კითხვას გისვამენ ხოლმე?

— სანდროს, ფაქტობრივად, არც ახსოვს მამა, გიორგის კი კარგად ახსოვს. რაღაც განსაკუთრებულად უყვარდა მამა. ძალიან მძიმედ გადაიტანა ყველაფერი. ნახევარი წელი არაფერი იცოდა — ვერ ვეუბნებოდი, მეშინოდა, რომ გული გაუსკდებოდა... როცა გაიგო, ვერ აღვწერ მის მდგომარეობას. მამა მიწაშია, მატლები დაეხვევიანო და ისეთ რამეებს ამბობდა...

გიას სიკვდილის შემდეგ, ხშირად, ჩემს მშობლებთან იყო. ჩემი ძმა ძალიან ანებივრებდა, თავს ევლებოდა. მაგრამ სამი წლის შემდეგ, ისიც მანქანაში მჯდომი მომიკლეს... ამდენი ტრავმა ასეთი პატარასთვის მეტისმეტი იყო. არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, მაგრამ გიაზე არ ვლაპარაკობდით. ძალზედ გულჩათხრობილი იყო გიორგი, მე კი მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ჩემი ბიჭები არ გაბოროტებულიყვნენ, გამუდმებით არ ეფიქრათ იმაზე, რომ ვიღაცამ მოუკლა მამა, რატომ მოუკლა... ავუხსენი, რომ ცუდი დრო იყო და ცუდი ადამიანების ხელით, ბევრი კარგი ადამიანი დაიღუპა. არასოდეს უკითხავთ, რატომ მოკლეს ან ვინ მოკლა გია. დღეს მეც ძალიან მიჭირს ამ თემაზე საუბარი. ერთხელ რომ მითხრეს — აღიარეს გიას მკვლელობა, დაუმტკიცდათო, — მერე აღმოჩნდა, რომ სხვა დანაშაულები დაუმტკიცდათ და არა გიას მკვლელობა... სხვათა შორის, გიას დაღუპვიდან წელიწად-ნახევარში, დარდისგან გიას დაც გარდაიცვალა. ავად იყო და უფრო გაუარესდა მისი მდგომარეობა. ოთხი წლის წინ კი, გიას მამაც დაიღუპა ინფარქტით. ასე რომ, 9 წელიწადში მეუღლეც დავკარგე, ძმაც, მამამთილიც და მულიც. დაობლდნენ ჩემი შვილებიც, ძმისშვილებიც და მულისშვილიც...

— თქვენი ძმის მკვლელი მაინც თუ დააპატიმრეს?

— როგორც გიას შემთხვევაში, აქაც ვერ უმტკიცებენ მკვლელობას.

— გიორგი და სანდრო პენსიას თუ იღებენ?

— კი, რეგულარულად.

— ალბათ, ბევრი ნათელი მოგონებაც დაგრჩათ. მაგალითად — გაცნობის, შეუღლების დღეები...

— ჩემი მეგობრების წრეში გავიცანი. საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა გიას... გაცნობიდან ორი წლის შემდეგ დავქორწინდით. ჩემმა მშობლებმა თელეთში გადაგვიხადეს ქორწილი, გიას მშობლებმა — ზუგდიდში. საქორწინო მოგზაურობაში კი ვერ წავედით. გია მაშინ თბილისის ლენინის რაიონში, მილიციის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროსად მუშაობდა, სწორედ იმ დღეებში მძიმე მკვლელობა მოხდა და ამის გამო, ერთი დღეც არ ჰქონდა თავისუფალი... გულწრფელად გეტყვით, რომ ძალიან ვნანობ, ჯვარი რომ არ გვქონდა დაწერილი. გავიდა ხანი და ამაზე ფიქრი არ მასვენებდა. ბოლო პერიოდში, დროც კი დავთქვით, თუ როდის უნდა დაგვეწერა ჯვარი, მაგრამ არ დაგვაცალეს... რომ შევუღლდით, რამდენიმე წლის განმავლობაში, ყოველ კვირას დავდიოდით ეკლესიაში. იცით, მეგობარმა იერუსალიმიდან ხის ჯვარი ჩამოუტანა და იმ ხის ჯვარს ატარებდა. მერე ის ჯვარი სოხუმში დაკარგა და ძალიან განიცდიდა. მართალია, საქორწინო მოგზაურობაში ვერ წავედით, მაგრამ მომდევნო წლებში როგორღაც მოახერხა და ერთად წავედით დასასვენებლად, პირველად — კისლოვოდსკში და მეორედ — კვიპროსზე. არასოდეს ეცალა დასასვენებლად, დილით ადრე გადიოდა და შინ ძალიან გვიან ბრუნდებოდა. გია უბედნიერესი იყო ხოლმე მაშინ, როცა ყველანი ერთად ვიკრიბებოდით. მის დაღუპვამდე ერთი კვირით ადრე, ჩვენთან, ნუცუბიძეზე შევიკრიბეთ. მოვიდნენ გიას დაძმა, გიას მშობლები და გიასთან ერთად უკანასკნელი ფოტოც მაშინ გადავიღეთ.

— ნუცა, ბოდიშს გიხდით, მაგრამ ერთი ძალიან პირადული კითხვაც მინდა დაგისვათ: ხელი რომ გთხოვოთ ვინმემ, გათხოვდებით?

— სხვათა შორის, გიასთან რამდენჯერმე მქონდა ასეთი საუბარი: შენ რომ რამე დაგემართოს, რა ვქნა-მეთქი? ის კი მპასუხობდა: რა და შვილები გაზარდეო!

— რატომ მოგივიდათ აზრად ასეთი რამის კითხვა?

— იმიტომ, რომ უშიშარი იყო. ძალიან მიყვარდა გია და მისი უშიშარი ბუნება, თავისთავად ჰბადებდა ასეთ კითხვას. თვითონ არასოდეს ჰყვებოდა საკუთარ თავზე — სხვებისგან ვისმენდი მის ვაჟკაცობაზე, სოხუმის ამბებზე...

ნუცა დუჩაძემ ორივე შვილი გამაცნო. გიორგი და სანდრო გულუები დედასაც ჰგვანან და მამასაც...

— სანდრო, ხშირად ფიქრობ მამაზე?

— ერთხელ დამესიზმრა, უბრალოდ, დავინახე. ჩემთვის ვიხსენებ ხოლმე, თუმცა ძალიან პატარა ვიყავი. მე ვიცი, რომ გია გულუას შვილი ვარ. მამას მეგობრებიც მოდიან ხოლმე ჩვენთან.

— გიორგი, შენ, როგორც უფროსი, რას გაიხსენებ?

— ჩვენი თამაში მახსოვს, მაგრამ რაც დრო გადის, სამწუხაროდ, ბევრი რამ ბუნდოვანი ხდება. მამის ფოტოს რომ შევხედავ, რაღაცები მახსენდება, მაგრამ...

— მამასავით იურისტობა ხომ არ გინდა?

— წელს მე-8 კლასს ვამთავრებ. არ ვიცი, შეიძლება ბიზნესზე, ეკონომიკურზე ვიფიქრო, შეიძლება — იურისტობაზე. უფრო — იურისტობაზე. წლების წინ, პატარა რომ ვიყავი, ვამბობდი — გენერალი უნდა გავხდე-მეთქი.

— ძმები მამაზე საუბრობთ ხოლმე?

— ძნელად ვეხებით ამ თემას. ზოგჯერ ვსაუბრობთ... სასაფლაოზე ერთად დავდივართ... არ ვფიქრობ მკვლელზე, არ მინდა ვიფიქრო, იმიტომ რომ ვიცი — ღმერთი ყველას საქციელს ხედავს... ■

მე კი ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ შურისძიების გრძნობა არ გაუჩნდეთ ჩემს ბიჭებს. ამაზე მაინც ხომ უნდა დაფიქრდნენ ის ვაიქართველები, ვინც გია გულუაზე დეზინფორმაციას ავრცელებენ?!

იუჯინ შიფი და მისი ექსკლუზიური ვიტამინები

უკვე 60 წელია, კომპანია „შიფ“-ი ვიტამინებისა და სხვა აქტიური დანამატების წარმოების ინდუსტრიაში ლიდერობს. „შიფ“-ი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ კომპანიას წარმოადგენს, ხოლო მისი ექსკლუზიური ვიტამინები მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

კომპანია, ცნობილმა მეცნიერმა იუჯინ შიფმა დააარსა. იგი 1921 წელს უნგრეთიდან ამერიკაში ემიგრაციაში წავიდა. მომავალმა მეცნიერმა დეტროიტში ფარმაცევტული ფაკულტეტი დაამთავრა (ახლანდელი ვესტის უნივერსიტეტი). სწავლის დასრულების შემდეგ მან საკუთარი აფთიაქი გახსნა. თუმცა მას დიდი ხნის მანძილზე აინტერესებდა საკვებისა და მისი აქტიური კომპონენტების თვისებები. შიფი დაკვირვებებსა და გამოკვლევებს ატარებდა და მივიდა დასკვნამდე, რომ ვიტამინები ადამიანის ორგანიზმს ყველა სისტემის მოწესრიგებული მუშაობისთვის ესაჭიროება და რომ ნატურალური პროდუქტებისგან მიღებულ ნატურალურ ვიტამინებს, სინთეტიკური ვიტამინებისაგან განსხვავებით ორგანიზმში უტილიზაციის (ათვისების) საუკეთესო უნარი გააჩნიათ. 1930 წელს მან საკუთარი კომპანია შექმნა. შიფმა პირველმა გამოყო საკვებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომელთა ერთობლიობას საკვები შრატი უწოდა და გამოიყენა, როგორც ნედლეული ბიოდანამატების, კერძოდ კი ვიტამინების წარმოებაში. მის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას ველური ვარდის ნაყოფიდან C ვიტამინის გამოყოფა წარმოადგენს. სწორედ მან დაამტკიცა, რომ ველური ვარდის ნაყოფიდან C ვიტამინის გაცილებით უფრო კონცენტრირებულ წყაროს წარმოადგენს, ვიდრე ფორთოხალი. შიფი იყო პირველი, ვინც ამერიკას ველური ვარდის ნაყოფიდან C ვიტამინის მიღება შესთავაზა.

დაარსების დღიდან, შიფის კომპანია ყოველწლიურად იზრდება და იხვეწება; გააჩნია საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც მუდამ ძიების პროცესშია და ახალ, ეფექტურ ბიოფორმულებს ქმნის.

1997 წელს კომპანია სელთ-ლეიქ-სითი-ში დაფუძნდა. ამჟამად, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელი დოქტორი ლუკ ბუჩია. კომპანია „შიფ“-ის პრეპარატების წარმოება **საუკეთესო მწარმოებლის გამოცდილებისა და ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს (GMP) შეესაბამება,** რომლის ნორმატივები დადგენილია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

კომპანია „შიფ“-ი პრეპარატების ხარისხის სრულ გარანტიას იძლევა!

განსაკუთრებულ ყურადღებას ამ კომპანიის ექსკლუზიური ვიტამინები იმსახურებენ – ე.წ. „წამლები ჯანმრთელებისათვის“. ისინი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც გამოკვეთილი პათოლოგიები არ გააჩნიათ, მაგრამ რომელთა გარეშეც ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე ნებისმიერი ბიოქიმიური პროცესი ვერ განხორციელდება.

ადამიანის ორგანიზმს ვიტამინების გამომუშავება არ შეუძლია, ამიტომ ისინი „გარედან“ უნდა მივიღოთ.

ნუ უფრთხით მულტივიტამინების მიღებას!

სწორად შერჩეული ვიტამინების კომპლექსი შეავსებს ორგანიზმში არსებულ დეფიციტს, მოაწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, გაგიუმჯობესებთ ორგანიზმის საერთო მდგომარეობას და შრომისუნარიანობას.

კომპანია „ჯეოვიტი“ ცნობილი ამერიკული ფირმა „შიფ“-ის ნატურალური ვიტამინების ფართო ასორტიმენტს გთავაზობთ, რა თქმა უნდა, ასაკობრივი გრადაციის გათვალისწინებით:

„პრენატალი“ – მულტივიტამინები ქალის ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდისთვის. აშშ-ის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული ნატურალური ფორმულა 22 კომპონენტს შეიცავს.

„ინფანთ ქეა“ – დაბადებიდან 4 წლამდე ბავშვების მულტივიტამინებისა და მიკროელემენტების ნატურალური ფორმულა დოკოჰექსანოის ამონომჟავას (DHA) შეიცავს, რომელიც დედის რძის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და თავის ტვინისა და მხედველობის ორგანოების განვითარებას უწყობს ხელს.

„ჩილდრენ ჩიუეიბლ“ – 4 წლიდან 16 წლამდე მოზარდების მულტივიტამინები. შეიცავს A და D ვიტამინების დაბალანსირებულ კონცენტრაციას, რომლებიც ბავშვის ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელია. ამ ფორმულაში შემავალი B-ჯგუფის კომპლექსი 6 ვიტამინისგან შედგება და იშვიათ ნაკრებს წარმოადგენს.

„სინგლ დეი“ – 16-დან 55 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის განკუთვნილი მულტივიტამინების ნატურალური ფორმულა. B-ჯგუფის ვიტამინების გაზრდილი კონცენტრაცია ხელს უწყობს ჰომოცისტეინის დონის ნორმალიზაციას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის სტაბილიზაციას.

„ფრაიმ იარზ“ – საგანგებოდ შერჩეული ნატურალური ფორმულა ასაკოვანი ადამიანებისთვის 55 წლიდან და ზევით. პრეპარატში შემავალი ვიტამინების სპეციფიკური კონცენტრაცია ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას, რომელიც ამ ასაკის ადამიანებში მნიშვნელოვნად დაქვეითებულია.

ნუ აჰყვებით ილუზიებს – XXI ს.-ის ადამიანს არანაირ პირობებში არ შეუძლია საკუთარი თავი საკვებით **მიღებული** ნივთიერებებიდან ვიტამინების სრულფასოვანი მიღებით უზრუნველყოს. პოლივიტამინების მიღება ორგანიზმის საჭირო და აუცილებელი ნივთიერებებით უზრუნველყოფის ერთადერთი ხერხია.

„მენოპაუზ“-სისტემა - შეინარჩუნეთ ქალური შარმი და მომხიბვლელობა

- მე არ შევეგუე უძილობას და ნევროზულობას.
- მე აღარ მაშინებს ხშირი ალები და გულის ფრიალი.
- მე შესანიშნავად გამოვიყურები და მამაკაცები ისევ თვალს მაყოლებენ.
- მე მტკიცედ ვიცი, რომ კლიმაქსის პერიოდშიც კი, შესაძლებელია ქალურობის და მიმზიდველობის შენარჩუნება.

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი“, ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56. (სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის ჩათვლით)

R

ჭიჭსა შიგან გამაგრებაო...

ანუ რამდენი ვარსკვლავი „ბულდოზს" პოლიტიკოსთა ცაში

ავთო მარგველაშვილი

ჭირსა შიგან გამაგრებაო, – სწორედ რომ ქართველებზეა ნათქვამი: ჩვენ ხომ სწორედ მაშინ ვართ კარგად, როცა... ცუდად ვართ; სწორედ მაშინ ვმღერით, როცა გვეტირება და ვიცინით, როცა ორი აგური უნდა გვეჭიროს ხელში... ე.ი. რაც უფრო მეტად გვიჭირს, მით უფრო მტკიცე ქვითკირის შენობად ვიქცევით (თუ რა თქმა უნდა, ბატონმა საკრებულოს თავმჯდომარემ ეს შენობა უკანონოდ არ მიიჩნია და ბულდოზერით არ მიადგა დასანგრევად)...

თუ ქვეყანა იქცეოდა, შენ რა გიხაროდაო?.. – მკითხავს ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი – ილარიონ ... (გვარი დამავიწყდა), მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და ალბათ, მართლაც განსაკუთრებული ნიჭი და შინაგანი ძალა უნდა ჰქონდეს ერს, რომ სიმღერის მადლი და იუმორის გრძნობა შეინარჩუნოს ასეთ ქვეყანაში. აღარაფერს ვამბობ ცეკვაზე, რადგან ქართული ცეკვის დონე გაჭირვების პირდაპირ-პროპორციულად იზრდება: ხომ გაგიგონიათ? – „გშია? – ჰო. იცეკვე!.."

ვნახოთ, როგორ ეხერხებათ ცეკვა-სიმღერა-სიცილი და საერთოდ, რამდენად ხელოვანები არიან ის ადამიანები, ვინც პოლიტიკის ხელოვნებას ამკვიდრებს და აქედან გამომდინარე, არც ისე უნდა შიოდეს, როგორც ხელოვნების ბევრ წარმომადგენელს...

გოგი თოფაძე: *„ვცეკვავ მეექვსე ჭიქის შემდეგ..."*

— ბატონო გოგი, რამდენად მუსიკალური ბრძანდებით?

– აუჰ! რაღა ეგ მკითხე *(იცინის)*... საერთოდ არ ვარ მუსიკალური.

— არც მოსმენა გსიამოვნებთ?

– რას ჰქვია, არ მსიამოვნებს?!. ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკა, ვერდის ოპერები...

— მაშინ მერწმუნეთ — გაცილებით მუსიკალური ყოფილხართ, ვიდრე ბევრი დღევანდელი „მუსიკოსი".

– რას იზამ? ვის სიმღერა უნდა, ვინ კი მხოლოდ მოსმენას სჯერდება...

— არც სუფრასთან წაიღიღინებთ ხოლმე?

– ორი-სამი ჭიქის მერე – შეიძლება, მაგრამ ვცდილობ, ხელი არავის შევუშალო და სუფრასთანაც მირჩევნია. ისე კი, ცაბაძის სიმღერები მომწონს, განსაკუთრებული ქართული, თბილისური სუნთქვა იგრძნობა.

— ცეკვის მხრივ, როგორ გვაქვს საქმე?

– გაცილებით უკეთესად. ცეკვა ქალბატონთან, მით უმეტეს ქართული ცეკვა – ბედნიერებაა. ჩაბუქნავ კიდეც გულიანად კაცი. ლამაზია, ესთეტიკური, ქართულ ტრადიციებსა და ჩვენს მენტალიტეტს

უხდება. ასე რომ, მეექვსე ჭიქის შემდეგ, შეიძლება, ვიცეკვო კიდეც...

— ალბათ, ჭიქასა და ღვინოსაც გააჩნია, არა?..

– რა თქმა უნდა!

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ კარგი პოლიტიკოსი ცოტა არტისტიც უნდა იყოს და რამდენად არტისტული ბრძანდებით თავად?

– ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში, სამწუხაროდ, დემაგოგები და მსახიობური ნიჭით დაჯილდოებული ჩინოვნიკები ჭარბობენ. დამეთანხმებით, მართლაც დიდი ნიჭი უნდა, რომ ხალხს „ლამაზი" დაპირებები მისცე, აღარ შეუსრულო და მეშვიდედ თუ მერვეჯერაც ოსტატურად ატყუებდე...

— საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ კარგი იუმორის გრძნობით გამოირჩევით. რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით?

– ცოტა ხნის წინ მოსკოვში ვიყავი საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად და იქ ზიუგანოვი (რუს კომუნისტთა ლიდერი) მოგვიყვა ერთ ანეკდოტს: ხშირად ვკამათობთ რუსი პოლიტიკოსები, გვიყვარს თუ არა ქართველებიო, – გვეუბნება – მე კი ვფიქრობ, რომ რუსებს ქართველები ისე გვიყვარს, როგორც ამ ანეკდოტშია გამოხატულიო:

სანქტ-პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე, სუპერმარკეტთან გამოიკრა განცხადება: „ხვალ შავი ხიზილალა, შეღავათიან ფასებში გაიყიდება". რა თქმა უნდა, ვეებერთელა რიგი დადგა. გამოვიდა დირექტორი და ხალხს ეუბნება: ხიზილალა ყველას არ შეგხვდებათ, ამიტომ გთხოვთ, ქართველებმა რიგი დატოვოთო... ორი-სამი საათის შემდეგ, ისევ გამოვიდა და თქვა: „ხიზილალა ცოტაა მიღებული და ვინც ამ რაიონში არ ცხოვრობს, რიგი დატოვოსო... გავიდა კიდევ ოთხი საათი, ხალხი დაიტანჯა; დირექტორის მორიგი გამოს-

ვლა: ხიზილალა ილევა და მხოლოდ ამ მიკრორაიონის მცხოვრებნი დარჩნენო... რიგი შეთხელდა, ხალხი წაქცევაზეა... ახალი განცხადება: მხოლოდ კომპარტიაში 1917 წელს მიღებულ წევრებს მოვემსახურებითო... დაოსებული ხალხი ხელცარიელი გაიფანტა. დარჩა ოთხად ოთხი მოფამფალებული მოხუცი. დირექტორი ეუბნება: ამ ხნის ხალხი ხართ, ხომ იცით, რომ ეს ტყუილია: ხიზილალა არც მიგვიღია, გაიგეთო? მოხუცები პასუხობენ: ეს კი გავიგეთ, მაგრამ ის ვერ გავიგეთ, ასე რამ შეგაყვარათ ქართველები, რომ პირველები გაუშვით რიგიდანო?!.

— ბატონო გოგი, როგორ აფასებთ დღევანდელი პოლიტიკის ხელოვნებას?

— ეჰ! რა კარგად ვსაუბრობდით და სად გადამიყვანე!..

ხათუნა გოგორიშვილი:

„კლასიკური მუსიკა და ანეკდოტები სვანებზე“

— დაგვრჩა რაიმე არაპოლიტიკური სასაუბროც?..

— გპირდებით, ქალბატონო ხათუნა — ჩვენი საუბარი მხოლოდ მშვიდ და ლაღ თემებს შეეხება. რას იტყვით დღევანდელი ქართული პოლიტიკის ხელოვნებაზე?

— ესაა მშვიდი და ლაღი *(იცინის)*?.. იცით, ეს საკითხი საკმაოდ მრავალწახნაგოვანია და შეხედულებაც სხვადასხვაგვარი არსებობს. როგორიცაა ქვეყანა, ისეთივე დახვეწილია პოლიტიკის ხელოვნებაც.

— პოლიტიკის გარდა, ხელოვნების რომელ დარგთან გქონიათ შეხება?

— სკოლიდან მოყოლებული, ვერ ვიხსენებ ვერც ერთ დღეს, როცა ეს არ იყო ჩემი ჰობი და საყვარელი სფერო. ბავშვობაში გადაწყვეტილი მქონდა, რომ მხატვარი გავხდებოდი და მეგონა, რომ თუ მქონდა კარგი ფურცლები, საღებავები, ფლომასტერები და იდეები, ეს საკმარისი იყო მხატვრობისათვის და ნიჭი სულაც არ იყო საჭირო. სულ მოთხვრილი მქონდა ხოლმე მთელი სახლი, როცა ვხატავდი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ ჩემგან მხატვარი არ დადგებოდა და ხატვა შევწყვიტე. ასე დამთავრდა ჩემი სამხატვრო კარიერა ყოველგვარი გამოფენების გარეშე. თუმცა, ამას უქმად არ ჩაუვლია, დღესაც განსაკუთრებულად აღვიქვამ ფერებს და მათი შეხამებისადმი ჩემეული დამოკიდებულება მაქვს.

— მუსიკასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— მეორე, რაც დღემდე მომყვება, მუსიკაა. მუსიკალური სკოლაც მაქვს დამთავრებული. მაგრამ ამას ბავშვობაში სათანადოდ ვერ ვაფასებდი. დღეს კი, როცა დაღლილი ვარ ან ცუდი განწყობა მეუფლება, მუსიკა ჩემთვის წამალია: მოცარტის, ბახის და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები საოცრად მამშვიდებს.

— დამისახელეთ სიმღერა, იმ პოლიტიკურ ძალას რომ შეეფერებოდეს, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ...

— მინდა, რომ „ჩაკრულოს“ ჰგავდეს!..

— მერე და არ ჰგავს?

— კი ჰგავს, მაგრამ მინდა, უფრო მეტად ჰგავდეს...

— თქვენს ოპონენტებს რომელ სიმღერას მიუძღვნიდით?

— ბევრია ასეთი სიმღერა *(იცინის)*, მაგრამ მინდა, კორექტული ვიყო მათ მიმართაც, ამიტომ ამჯერად, „წუთისოფელი ასეა“-ს მივუძღვნი.

— ცეკვაც ისევე გიყვართ, როგორც მუსიკა?

— ცეკვასთან ცოტა უფრო „გვერდითი“ შეხება მაქვს. ჩემი და დადიოდა ქართულ ხალხურ ცეკვებზე და მეც ხშირად ვესწრებოდი რეპეტიციებს. ისეთი ქორეოგრაფი ჰყავდათ, რომ მიმიკიდან დაწყებული, ხელ-ფეხის ნებისმიერი მოძრაობით დამთავრებული — შინაარსობრივად მესმის ყველა ცეკვა... დღესაც ჟრუანტელი მივლის ხოლმე, ქართულ ცეკვას რომ ვუყურებ და ვფიქრობ — ნეტავ, ქართველი რომ არ ვიყო, მაშინაც ასე თუ მომეწონებოდა-მეთქი, მაგრამ მსოფლიოც ხომ აღაფრთოვანა ქართულმა ქორეოგრაფიამ!..

— არტისტული პოლიტიკოსების რიგს თუ მიაკუთვნებთ თავს?

— არა. არ შემიძლია კაცს პირდაპირ არ ვუთხრა, რა მომეწონა მასში და რა — არა. მაგალითად, ვინმეს შემოეხვევიან ხოლმე, მისი მორიგი ბრიყვული გამოსვლის შემდეგ და აღფრთოვანებას გამოხატავენ — ისეთი მაგარი „რეჩი“ თქვი, რომ ცრემლიც კი მოგვადგაო... მე პირდაპირ ვეტყვი, რასაც ვფიქრობ და სხვისგანაც იმავეს ვითხოვ.

— იუმორთან „როგორ ბრძანდებით“?

— გმადლობთ, კარგად *(იცინის)*. ბევრი მეგობარი მყავს სვანი და განსაკუთრებული ხალისით სვანებზე ვუსმენ ხოლმე ანეკდოტებს, რომ შემდეგ მათ მოვუყვე და რეაქციას დავაკვირდე. ერთს თქვენც მოგიყვებით: „სვანი კამიკაძე მიდის უფროსთან და ეკითხება — შემდეგი დავალება რა იქნება, შეფ?..“

ვახტანგ რჩეულიშვილი:

„ცეკვასა და სიმღერაში“ საკმაოდ უნიჭო ვარ...“

— ბატონო ვახტანგ, რა კავშირშია პოლიტიკა ხელოვნებასთან, ანუ რამდენად კარგი ხელოვანი პოლიტიკოსები გვყავს დღეს?

— ხელოვნება საჭიროა პოლიტიკაში, მით უმეტეს — მსახიობობა და მით უმეტეს — დღევანდელ პირობებში. ხშირად მიწევს ემოციების დამალვა. წინა პარლამენტშიც ვცდილობდი, თავი შემეკავებინა, გაბრაზების ნაცვლად გამეღიმა, მომეთმინა, მაგრამ ხანდახან ვერ მომითმენია და... კი იცით თქვენ *(იცინის)*.

— ხელოვნების სხვა დარგებში რამდენად დაოსტატებული ბრძანდებით? მაგალითად, ცეკვაში?..

— ცეკვა ძალიან მიყვარს, მაგრამ საკ-

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვის შესახებ ამგოგდა ჯემალ გაღაშვილი: ეგ სამოცი წლის კი არ გახდა, მესამედ შეუსრულდა ოცი წელიო?

ა) ბუთხუზ ბასილაიას;
ბ) ვახტანგ ტატიშვილის;
გ) ნუგზარ კვაშალის.

2. რა ეწოდება მონასტერთა უცნაურ კომპლექსს, რომელიც შუაგულ საგერძნეთში კლდის წვერებზეა აშენებული?

ა) მეტეორები;
ბ) კუნძულები;
გ) ამოზიდული ნეკნები.

3. ჭიდაობის რომელ სახეობაში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ვახტანგ გლაგიძე?



ა) ბერძნულ-რომაულში;
ბ) ძიუდოში;
გ) სამბოში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მაოდ უნიჭო ვარ. რამდენჯერმე ვცადე მესწავლა, რადგან ჩემი მეუღლე საკმაოდ კარგად ცეკვავს და მეც მინდა, მასთან ერთად ვიცეკვო ხოლმე, მაგრამ არაფერი გამომდის. ამიტომ მხოლოდ მარტივი, ნელტემპიანი ცეკვებით ვიკმაყოფილებ სურვილს. ყურება კი, ძალიან მიყვარს ქართული ცეცხლოვანი ცეკვების...

— ამბობენ — ვინც ცეკვაშია სუსტი, სიმღერაშია ძლიერიო...

— გარწმუნებთ — სრული სიცრუეა! სიმღერაში კიდევ უფრო უნიჭო ვარ, ვიდრე ცეკვაში *(იცინის)*. სხვათა შორის, მუსიკაზე დავდიოდი კიდეც, შვიდწლედიც დავამთავრე თითქმის, მაგრამ რისთვის მტანჯავდნენ, დღესაც ვერ გამიგია: მალე მივხვდი, რომ ჩემგან კარუზო არ დადგებოდა და მეც დავისვენე და მასწავლებლებიც დავასვენე...

— კინო და თეატრი თუ გიყვართ?

— რა თქმა უნდა. კინო — ცხოვრებაა...

— რომელ ფილმს შეადარებდით დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას?

— „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“.

— ეი. ზემოთ ჩამოთვლილი დარგებიდან, უფრო მეტად, მსახიობობა გამოგდით პოლიტიკაში — ითმენთ, რაც შეგიძლიათ, არა?

— მგონი, არც ეს გამომდის მთლად კარგად *(იცინის)*... ერთი ფრანგი მწერლის წიგნშია აღწერილი: მღვდელს დაიბარებენ და ბრალდებას წაუყენებენ: ღამე ქალთან ერთად გძინავსო. — მერე რა? — ჩვენ შორის ხანჯალი დევსო... — პასუხობს მღვდელი. — კი, მაგრამ რომ ვერ სძლიო ცდუნებას, რას იზამო? —

როცა ვეღარ ვითმენ, იმ ხანჯალს ვიღებ და გვერდზე ვდებო...

ჯანსულ ჩარკვიანი: *„ჯანო კახიძეს ჰიმნის დაწერა ვთხოვე...“*

— ბატონო ჯანსულ, თქვენ პოეტი ბრძანდებით — შემოქმედი კაცი, რომელიც დღეს პოლიტიკის შემოქმედიცაა. რა ხდება პოლიტ-შემოქმედებაში?

— ამ ხნის მანძილზე იმას კი ნამდვილად მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იქ არის... თქვენი ჟურნალი ძალიან მომწონს და მინდა, „გზის“ ფურცლებიდან ვუთხრა ხალხს: ყველამ თავისი გზა უნდა იცოდეს და აუცილებელი არაა, რომ ყველა გზა „სკამთან“ მიდიოდეს...

— თქვენი აზრით, რომელი სიმღერა მიესადაგება დღევანდელ ვითარებას?

— ეჰ, რა ვიცი, ჩემო კარგო...

— ... ქვეყანავ?

— ო, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ — აი, ასეთი უნდა იყოს საქართველოს ჰიმნი... სულ ვეუბნებოდი ცხონებულ ჯანო კახიძეს: რაიმე ასეთი დაწერე-მეთქი... — შენ ტექსტი მოამზადე და მეც დავწერო, — მიპასუხა, მაგრამ არ დასცალდა...

— რამდენადაც ვიცი, მამუკა ჩარკვიანის მამაც მშვენივრად მღერის...

— მთელი ჩვენი ოჯახი ოდითგანვე მღეროდა. მეც კარგად ვმღერი, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური განათლება მიღებული არა მაქვს. მღერის ჩემი შვილიშვილიც, რომელიც საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული გახდა — არადა, ეს პატარა გოგონა კონკურსის ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო. ასე რომ, გრძელდება ტრადიცია, რომელიც ჩემს ბავშვობაშიც გვქონდა ოჯახში.

— ცეკვის ტრადიციაც გაქვთ?

— ცეკვაც ძალიან მიყვარს. ქართულ ცეკვებს რა სჯობს?! განსაკუთრებით, „ბაღდადურს“. ბავშვობაში ცოტა ხანი ცეკვაზეც ვიარე, ერთი გოგონა მომწონდა და იმის გამო შევედი წრეზე.

— ეი. ცეკვაც შეგიძლიათ?

— არ გამომდის, მაგრამ „ბაღდადური“ ისე მომწონს, რომ უარს ვერც ახლა ვამბობ ხოლმე...

როგორც ხედავთ, ხელოვნებასთან შეხების მხრივ ჩვენს პოლიტიკოსებს არცთუ ისე ცუდად აქვთ საქმე. შესაძლოა, ზოგი მათგანის სახით, ჭეშმარიტი შემოქმედიც დაკარგა საქართველომ... ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მათგანის შემოქმედებითი პოტენციალი გაგაცანით, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია! — ვინ იცის, კიდევ რამდენი ვარსკვლავი „ბუდობს“ ქართველ პოლიტიკოსთა უზარმაზარ წრეში?!. ■

ეროვნული ნაკრები ჰოლანდიასთან გამარჯვების შემდეგ, 2000 წ.
დათო – პირველ რიგში, მარცხნიდან პირველი

დათო ბოლოაშვილი:

ავსტრალიაში ჟენგურუს მწვადის საჭმელად ნამდვილად არ მივდივართ

ჯაბა ლეონიძე

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებებში თავისი წვლილი დათო ბოლოაშვილსაც მიუძღვის. 23 წლის მორაგბეს ქვეყნის მთავარ გუნდში 20 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ნაკრების მაისური პირველად 1999 წელს მოირგო — მაშინ იტალიელებმა ტესტ-მატჩში გვარიანი უპირატესობით დაჯაბნეს „ბორჯღალოსნები“. ამის მიუხედავად, ქართველთაგან დებიუტანტი დათო ბოლოაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რომელმაც ქართველთა ფრანგ მწვრთნელს, კლოდ სორელს დაანახვა, რომ მისი მოწვევით არ შემცდარა და მას შემდეგ თუ ტრავმა არ აწუხებს, ყველა პრინციპულ მატჩში გამოჰყავს მინდორზე.

დათო ბოლოაშვილი შერკინებას მესამე ხაზში – 6, 7 და 8 ნომრებზე – თანაბარი სიძლიერით თამაშობს. დიდი რაგბის თამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში დაიწყო, მერე საფრანგეთში წავიდა, ორ იქაურ კლუბში მოსინჯა ძალები, საქართველოში დაბრუნებულმა კი ისევ მშობლიურ კლუბს მიაშურა.

— დათო, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც მორაგბეობა, როცა ბიჭების უმრავლესობას უფრო პოპულარული სპორტის სახეობები იტაცებს — თუნდაც, ფეხბურთი ან კალათბურთი?

– ბავშვობაში კალათბურთზეც დავდიოდი და ცურვაზეც, მაგრამ რაგბის რომ გავუგე გემო, ყველაფერი დამავიწყდა. თბილისის 23-ე სკოლაში ვსწავლობდი, „პლეხანოვზე“. გია ჭუმბურიძემ, რომელიც ამჟამად საქართველოს რაგბის კავშირის ერთ-ერთი მენეჯერია, ბავშვთა გუნდი ჩამოაყალიბა, რომელიც უნივერსიტეტის რაგბის კლუბს ეკუთვნოდა. ჩემს მეგობრებთან ერთად დავიწყე ამ გუნდში ვარჯიში, მაშინ 13 წლის ვიყავი. თავიდან ბევრი არაფერი მესმოდა რაგბისა, მაგრამ მერე შემიყოლია, შემიყვარდა და როცა ხელშესახებ სპორტულ წარმატებებს მივაღწიე და ცოტა ანგარიშგასაწევ მოთამაშედაც ვიქეცი, მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე ნაპოვნი მქონდა.

— თქვენი პირველი ლელო თუ გახსოვთ?

– ბავშვობაში სად და ვის გავუტანე პირველი ლელო, ნამდვილად ვერ გავიხსენებ... უკვე უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობდი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდიოდა. გუნდში მგონი ყველაზე პატარა მე ვიყავი. თბილისის „ლელოს“ ვხვდებოდით. აი, მაშინ „ლელოს“ გავუტანე ლელო. ეს ჩემი პირველი ლელო იყო დიდ გუნდში და დღემდე კარგად მახსოვს. სხვათა შორის, ის თამაში მოვიგეთ. 1996 წლის ჩემპიონატი იყო.



საფრანგეთი, ქ. მაზამე,
დათო საკუთარ სახლში

— საერთოდ, მშობლებს დიდად არ უხარიათ, როცა შვილებს რაგბიზე სიარულის სურვილი უჩნდებათ: ხიფათიანი სპორტია. თანაც მორაგბეობა ჩვენში არც მყარ მატერიალურ გარანტიებსა და დალხინებულ ცხოვრებას უქადის კაცს. ოჯახში წინააღმდეგობა არ შეგხვედრიათ, როცა მორაგბეობა გადაწყვიტეთ?

– თავიდან არც ჩემს ოჯახს გამოუჩენია დიდი სურვილი, რომ რაგბი მეთამაშა. თუმცა, არც დაუშლიათ, მაგრამ რომელ დედას სიამოვნებს, შვილი ყოველ საღამოს ტალახში ამოსვრილ სპორტულ ფორმას რომ მიუტანს, თავად კი დაბეჟილი და თვალებჩალურჯებული გამოეცხადება?!. დედაჩემი მცირე წინააღმდეგობას კი მიწევდა – არ გინდა, შვილო, რაგბი, სხვა, უფრო „ადამიანური“ სპორტის სახეობა აირჩიე, – მაგრამ მერე ნელ-ნელა შეეგუა და დღეს მშობლები ჩემი ერთგული ქომაგები არიან.

— ჩვენში დამკვიდრებულია აზრი, რომ მორაგბეები განსაკუთრებული ვაჟკაცობით, პატიოსნებითა და პატრიოტიზმით გამოირჩევიან. ცოტა გაზვიადებული ხომ არ არის ეს შეხედ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეკალილ
უბის წიგნაკიდან:

1. პირველად ტაქსი ლონდონში, 1903 წელს გაჩნდა.
2. ჯარში, გამოკლებული ცხენების ახლით შევსებას რემონტი ეწოდება.
3. თოფის კონდახის გასაკეთებლად საუკეთესო მასალად კაკალი ითვლება.
4. იოსებ გრიშაშვილი ახალგაზრდობაში თეატრში სუფლიორად მუშაობდა.
5. ამობურცული ბეჭდვის სისტემას უსინათლოთათვის – ექტიპოგრაფია ჰქვია.

6. იტალიური საავტომობილო ფირმებიდან ყველაზე მეტ მანქანას „ფიატი“ უშვებს.
7. „მაკულატურა“ ლათინური სიტყვაა და ქართულად დასვრილს, დალაქულს ნიშნავს.
8. ნურასოდეს ენდობით პოლიტიკოსს, ქალს და ამინდს – ღაღადებს ინგლისური ანდაზა.
9. საქართველოში საჭურვლის დამზადებისას სამჭედლოებში წაბლის ხის ნახშირს იყენებდნენ.
10. მსოფლიოს ქვეყნების დედაქალაქთა შორის ყველაზე ჩრდილოეთით, რეიკიავიკი მდებარეობს.
11. მზის სისტემის პლანეტებში ურანოსის გარდა, ყველა პლანეტა რომაულ სახელწოდებას ატარებს.
12. „ამ ქვეყანაზე რომ ითარეშო, გჭირდება სუფთა საპირფარეშო,“ – აცხადებს კოტე ყუბანეიშვილი.
13. აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თბილისის განახლების პროექტი ალექსანდრე გრიბოედოვს ეკუთვნის.
14. ასტეროიდ №1621-ს ვალენტინა ტერეშკოვას პატივსაცემად „ჩაიკა“ უწოდეს. ეს სახელი კოსმონავტი ქალის სამსახურებრივი მეტსახელი იყო.
15. ირლანდიელი მოცეკვავე მაიკლ ბრედლი გინესის რეკორდების წიგნშია შესული, როგორც ყველაზე სწრაფი ფეხების მქონე მოცეკვავე. იგი ფეხებით ერთ წამში 23 მოძრაობას აკეთებს.
16. ბოროტ დემონს, მეთუნეთა მტერს, ბერძნულ მითოლოგიაში საბაქტე ერქვა. იგი ღუმელში გამოწვის დროს ჭურჭელს ამსხვრევდა. მეთუნე ოსტატები შესთხოვდნენ შეწყალებას საბაქტეს და მერე იწყებდნენ მუშაობას.
17. სექტემბრის პირველ კვირადღეს ქალაქ ვაიმარში ჩასულ ტურისტებს ძალზე უჭირთ ცრემლების შეკავება. ამ დროს, იქ ხახვის დიდი ბაზრობა იმართება.

ულება? ნუთუ, მართლა ყველა მორაგბეზე ვრცელდება?

– ძნელია ჩემი და ჩემი მეგობრების ღირსებებზე ლაპარაკი – ეს ხომ სპორტული შედეგები არ არის, ციფრები და სტატისტიკა მოვიშველიო, მაგრამ რაკიღა მკითხეთ... რაგბის მართლაც, სხვანაირი ხალხი თამაშობს; უზნეო, ამორალურ კაცს ჩვენი სამყარო ვერ იგუებს. თუ მეგობრის გატანა, ტკივილის ატანა, მიტევება, საქმის ერთგულება არ შეგიძლია, რაგბის ვერ ითამაშებ. სხვა თუ არაფერი, მინდორზე მაინც არაფერი იმალება: თუ, ვთქვათ, ბრძოლას თავი აარიდე და ისე დააპირე ფონს გასვლა, ამას თანაგუნდელები უცებ შეამჩნევენ. ეს უკვე ბიჭების, გუნდის ღალატია. ღალატს კი არავინ გაპატიებს. მე ვერ წარმომიდგენია, რომ გავიდე მოედანზე, გულგრილად ვუცქირო დასისხლიანებული მეგობრების თავდადებულ ბრძოლას და მასში აქტიურად არ ჩავება. რა თავში ვიხლი იმ ძალასა და ენერგიას, თუ გუნდის ინტერესებს არ შევალიე?!

— თქვენ ქართული რაგბის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ და მნიშვნელოვან მატჩში ვერ იასპარეზეთ — შარშან, 13 ოქტომბერს, მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ მატჩში, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ. რატომ გამოტოვეთ ეს შეხვედრა?

– მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის წინა მატჩში, ირლანდიის ნაკრებთან შეხვედრისას, ტრავმა მივიღე – მარცხენა მხარის კუნთი დავიზიანე. რუსების წინააღმდეგ ჩვენი ბიჭების ბრძოლას ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალყურს. თუმცა, ვადევნებდი კი არა – ჭკუაზე არ ვიყავი: ვხედავდი – ბიჭებს უჭირდათ მინდორზე, მე კი ვერაფრით ვეხმარებოდი. არადა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მატჩის მოგებას: ერთი, რომ მსოფლიო თასის საგზური იყო მოსაპოვებელი და მეორეც – რუსების დამარცხება ხალხს სწყურდა. აკი, მოიგეს კიდეც ჩვენმა ბიჭებმა. ამდენი სიხარულის ცრემლი, ამდენი ღიმილიანი სახე, კარგა ხანი იყო, არ მენახა...

— დათო, ნაკრების მხოლოდ რამდენიმე წევრი თამაშობს ქართულ გუნდებში, დანარჩენები საფრანგეთისა და იტალიის ჩემპიონატებში ასპარეზობენ. ვიცი, რომ ერთხანს თქვენც საფრანგეთში თამაშობდით. რატომ ვერ მოიკიდეთ ფეხი ევროპულ რაგბიში?

– 1999 წელს წავედი საფრანგეთში. ქალაქ ლილის უნივერსიტეტის გუნდში გამოვდიოდით: მე, ბადრი ხეხელაშვილი და ირაკლი მოდებაძე. 2 წელი დავყავი ლილში, მერე საფრანგეთის სამხრეთით მდებარე, ქალაქ მაზამეს, ამავე სახელის გუნდში ვთამაშობდი. იქ უკვე თედო ზიბზიბაძესთან და მალხაზ ურჯუკაშვილთან ერთად ვიყავი. ისე მოხდა, რომ „ლილი“ ვერ გადავიდა პროფესიულ ლიგაში და ამის გამო დავტოვე, გადავედი „მაზამეში“. შარშანწინ, რუსეთის ნაკრებთან ევროპის ერთა თასზე მატჩისას, ფეხის კუნთის ძლიერი ტრავმა მივიღე და „მაზამეში“ ვეღარ გავაგრძელე კარიერა. იძულებული გავხდი, თბილისში დავბრუნებულიყავი. ბევრი არ მიფიქრია – ისევ უნივერსიტეტის გუნდს მივაშურე.

— ბოლღაშვილს კახური სიჯიუტე და „მრავალსართულიანი“ გინება თუ გჩვევიათ?

– კი, ცოტა ჯიუტი ვარ – კახელი ვარ და რა ვქნა?! ბილწსიტყვაობას კი, სხვისას ვერ ვიტან. თუმცა, ზოგჯერ, თამაშისას, მეც ვერ ვიკავებ ხოლმე თავს და ხან მსაჯს ვლანძღავ კახურ-თბილისურად და ხან მოწინააღმდეგეს. უფრო ხშირად, მაინც მსაჯის გინება მიწევს – ოღონდ, ისე, რომ მან არ გაიგონოს...

— დათო, პოპულარულ ახალგაზრდა სპორტსმენს ალბათ გოგონების ყურადღებაც არ გაკლიათ...

– თაყვანისმცემლები ნამდვილად არ მაკლია. თავს კი არავის მოვაბეზრებინებ – გასართობად ნაკლებად ვიცლი: აქეთ –

ფრანგული „მაზამეს“ ქართველი მორაგბეები: დათო ბოლღაშვილი, თედო ზიბზიბაძე და მალხაზ ურჯუკაშვილი

საფრანგეთი. ლილის ტბის მიდამოები

ნაკრები, იქით – უნივერსიტეტის გუნდი, კიდევ ვსწავლობ და სხვა საქმეც საკმარისად მაქვს.

— დაოჯახებას ჯერ არ აპირებთ?

– შეყვარებული მყავს, მაგრამ ჯერ დაოჯახებას არ ვჩქარობ. ცხოვრებაში კონკრეტული მიზნები მაქვს, არც ისე შორეული და როცა მას მივაღწევ, მერე შევირთავ ცოლს. ცხადია, ჩემი მიზნები რაგბის უკავშირდება. ჯერ უფრო დიდი რაგბი უნდა ვითამაშო, მეტს უნდა მივაღწიო სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე...

— ეროვნულ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო, ბოლო მატჩებში, არაერთმა დებიუტანტმა ითამაშა. ნაკრების თავკაცი კლოდ სორელიც დაუფარავად ამბობს, რომ ეს მტკივნეული პროცესი უკვე მიმდინარეობს. რას იტყვით — როგორი ცვლა მოდის ქვეყნის მთავარ გუნდში? შეძლებენ ახალგაზრდები იმ ვალმოსდილი ბიჭების ღირსეულად შეცვლას, რომელთაც ქართული რაგბი მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს?

– თაობათა ცვლის პროცესი გარდაუვალია ნებისმიერი გუნდისთვის, თავისთავად მტკივნეული პერიოდია და ვერც ჩვენ გადავურჩით. რამდენიმე წელიწადში, ნაკრების მთავარი ბირთვი წავა, თავს დაანებებს სპორტს. ამიტომ, რაც უფრო დროულად გამოუჩნდებიან წამსვლელებს შემცვლელები, მით უკეთესი. ჩემი აზრით, ძალიან კარგი თაობა მოდის. მალე არავისზე ნაკლებნი არ იქნებიან: დათო ხინჩიგაშვილი, ირაკლი ბარკალაია, მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ელიზბარაშვილი და სხვები. ამ ბიჭებს მხოლოდ მეტი პრაქტიკა, გამოცდილების შეძენა სჭირდებათ და მერე ნაკრების ლიდერებსაც აღარ დაუდებენ ტოლს. მე, ასე ვთქვათ, საშუალო თაობას მივეკუთვნები – ჯერ არც წამსვლელი ვარ და დებიუტანტობის პერიოდიც რა ხანია, გავიარე.

— კლოდ სორელზე რას გვეტყვით? როგორი ადამიანია? ამბობენ, ჩვენმა მორაგბეებმა მთლად გააქართველესო...

– არა, კლოდი ტიპური ფრანგია, უბრალოდ ცდილობს, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელ თვისებებს ანგარიში გაუწიოს. კარგი პიროვნებაა და ჩინებული მწვრთნელი. მარტო ის რად ღირს, რომ 30 ქართველისგან შემდგარ გუნდში, დისციპლინა დაამყარა?! არადა, მოგეხსენებათ, ეს არც ისე იოლია...

— უცხოეთში ხომ აღარ აპირებთ წასვლას?

– მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ, ალბათ წავალ – ვფიქრობ, საფრანგეთში: ამ ქვეყანაში უკვე მითამაშია, ფრანგული ენაც ვიცი. თანაც უამრავი ქართველი მორაგბე გამოდის იქ და არ გამიჭირდება – მარტო არ ვიგრძნობ თავს.

— დაბოლოს — მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების შანსებზეც მითხარით თქვენი აზრი...

– ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით – იმდენად, რომ ლოგიკურად, თუ ვიმსჯელებთ, ჯგუფიდან გასვლას ვერ შევძლებთ. შემდეგ ეტაპზე თამაშის უპირობო ფავორიტები ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის გუნდები არიან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ავსტრალიაში კენგურუს მწვადის საჭმელად ნამდვილად არ მივდივართ. ყველა მეტოქეს დიდ, უშეღავათო ბრძოლას გავუმართავთ. ვგეგმავთ ურუგვაის ნაკრების დამარცხებას, არ ვაპირებთ სამოას ნაკრებთან წაგებას – ვეცდებით, სამოელებსაც მოვუგოთ. რაც შეეხება გრანდებს – ინგლისელებსა და სამხრეთაფრიკელებს – უბრძოლველად, არც მათ გავატანთ რაიმეს... საქართველოს სახელის ღირსეულად დასაცავად არაფერს დავიშურებთ – ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩვენ სხვა სტიმული და მოტივაცია აღარ გვჭირდება, რომ მსოფლიო თასზე თითოეულ მატჩში თავდადებით ვიბრძოლოთ.

■

ინფორმაციულ-უმეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

18. ჩინური სიბრძნის მიხედვით წმინდანებს გულაღმა სძინავთ, ცოდვილებს – პირქვე. მეფეებს მარჯვენა გვერდზე სძინავთ, ბრძენებს – მარცხენაზე.

19. რომის დამაარსებელმა რომულუსმა დიდხანს იმეფა და ბოლოს ცოცხლადვე ამაღლდა ზეცად. იმ დღიდან მას კვირინიუსი, ხოლო რომაელებს კვირიტები ეწოდათ.

20. „კიტოვან ტოპურია!“ – ასე გამოაცხადა ჟიურიმ ქეთა თოფურიას სახელი და გვარი სოჭის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მომღერალმა პირველი ადგილი დაიკავა. ამ ამბის შემდეგ მომღერალს ახლობლები დასცინოდნენ, ახლა სახელის და გვარის ნაცვლად ორი გვარი გაქვსო.

21. ცნობილი რომაელი მწერალი და ისტორიკოსი პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი მხედართმთავარ აგრიკოლას სიძე იყო. თხზულება „აგრიკოლა“ მან სიმამრის სახელის განსადიდებლად დაწერა.

22. ოვიდიუსის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟს, გლეხს, რომელიც მწვავე ვენერიული დაავადებით იყო დაავადებული, სიფილისი ერქვა.

23. ფრანგებმა 1909 წელს ეიფელის კოშკის დაშლა დააპირეს. პარიზის ეს სიმბოლო იმ გარემოებამ გადაარჩინა, რომ იმ დროისთვის უკვე გამოგონებული იყო რადიო და საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, კოშკზე რადიომიმღები დაემონტაჟებინათ. P.S. მეორე მსოფლიო ომის დროს სწორედ ეიფელის კოშკზე დამონტაჟებული ლოკატორით დაიჭირეს გერმანელთა რადიოგრამა, საიდანაც შეიტყვეს, რომ ფაშისტები პარიზის აღებას გეგმავდნენ.

24. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში არსებობს ტრადიცია, თუ ლექტორს სტუდენტის ჩაჭრა არ უნდა, აძლევს შეკითხვას: სად დაიბადა გერცენი. თუ სტუდენტმა ესეც არ იცის, მაშინ არადამაკმაყოფილებელ ნიშანს იღებს. გერცენი იმ შენობაში არის დაბადებული, სადაც ამჟამად ლიტერატურის ინსტიტუტია განთავსებული.

25. შეუძლებელია ბაზარში საყიდლებზე შესული ტაბელური იარაღის მფლობელი პოლიციელი წონაში მოტყუვდეს. ყველა პოლიციელმა ზუსტად იცის საკუთარი იარაღის წონა და ნებისმიერი სასწორის სიზუსტის შემოწმება შეუძლია.

■

ვერსალის სასახლესა და სასტუმრო „ბელვუს“ სამთავრობო აპარტამენტების შემდეგ, ტიპური სამოთახიანი ბინა ვაკეში საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება იმ ადამიანისთვის, ვისი სახელიც მართალია, ისტორიის ფურცლებზე არ დაფიქსირებულა, მაგრამ „დიდი საბჭოეთის“ პოლიტიკის წარმატებებში უდავოდ შეტანილი აქვს სერიოზული წვლილი...

ემა გელოვანი

ჩოგორ ვახდა „ვანკულაკების“ ოჯახის ვვილი საბჭოური რეზიდენტური წამყვანი ფიგურა

1946 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ, შვეიცარიაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პირველი დიპლომატიური წარმომადგენლობა ჩამოაყალიბა, სადაც პირველ კონსულად, უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი, ნიკოლოზ ღვინაძე დანიშნეს. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება, დამშვიდებისა და ყურადღების მოდუნების საფუძველს არ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისთვის. ბუნებრივია, მისი აგენტურა ევროპის ყველა ქვეყანაში ფხიზლობდა და აქტიურადაც მოქმედებდა. საერთაშორისო პასპორტი და დიპლომატის სტატუსი საუკეთესო საშუალებები იყო უპრობლემოდ გადაადგილებისა. სხვადასხვა საიდუმლო დავალების შესასრულებლად, ბატონმა ნიკომ ბევრი ქვეყანა შემოიარა. კაგებეს აგენტის სტატუსი მისგან თითქმის უნივერსალურ ცოდნას მოითხოვდა. ახლობლების თქმით, ნიკო ღვინაძეს შეეძლო, ევროპის ნებისმიერი ქალაქის ყველაზე უმნიშვნელო შენობების დანიშნულების შესახებაც კი სცოდნოდა...

ბატონი ნიკო ქართლის შუაგულში, ერთ პატარა სოფელში დაიბადა. მისი ოჯახი იმ დროისთვის საკმაოდ შეძლებულად ითვლებოდა. 1932 წელს, მას ჩამოართვეს ყველაფერი, რაც საბჭოთა კრიტერიუმებით სიმდიდრედ იყო მიჩნეული. მეუღლის, ქალბატონი **შურა ჩხაიძის** *თქმით, ბატონი ნიკო და-ძმებს შორის გარეგნობითა და გამჭრიახობით გამოირჩეოდა, ამიტომ მისმა ბაბუამ, როცა მოახლოებული უბედურება ივრძნო, ღამით სახლიდან გააპარა. მეორე დღეს, ხელისუფლებამ მათი ოჯახის „ვანკულაკება“ (ახალი თაობის მკითხველთათვის დავაზუსტებთ: ბოლშევიკური რეჟიმი „კულაკს“ შეძლებულ გლეხს უწოდებდა და მისი გაღარიბების მიზნით, ზედმეტ ქონებას ართმევდა, რასაც „ვანკულაკება“ ერქვა) მოახდინა... მხოლოდ თოთხმეტი წლის ასაკში შესულა ბატონი ნიკო სასწავლებლად გორის ერთ-ერთ სკოლაში. სასკოლო პროგრამა მოკლე ხანში აუთვისებია. მოგვიანებით თბილისში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მექანიკის ფაკულტეტზე ჩაუბარებია, სადაც მისი ინტელექტუალური პოტენციალი მავანთა ყურადღების არეში მოექცა...*

შურა ჩხაიძე *მოგვითხრობს:*

— 1943 წელი იყო, როდესაც ნიკო გავიცანი. მოსკოვში მუშაობდა და თბილისში დროებით იყო ჩამოსული. მოსკოვში ლავრენტი ბერიას გადასვლიდან ძალიან მალე, გაწვევა მოუვიდა და სწორედ იქ გაიარა სპეციალური მომზადება 101-ე სკოლაში (სავარეო დაზვერვის უმაღლესი სასწავლებელი). მხ-

კაგებეს ყოფილი თანამშრომლები იაკობ გოკიელი და ნიკოლოზ ღვინაძე

ოლოდ ახლა გავიგე ამ სკოლის დანიშნულების შესახებ — მაშინ, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის ბიოგრაფიას ვკითხულობდი: მასაც ამ სკოლაში გაუვლია სათანადო კურსი. 1944 წელს, ნიკოს მოსკოვში ჩავაკითხე. უშიშროების სამინისტროში მუშაობდა, უკვე მაიორის წოდება ჰქონდა მიღებული. 1946 წელს კი, სტალინმა აღადგინა დიპლომატიური კავშირი შვეიცარიასთან და ჩემს მეუღლესთან ერთად ბერნში მივლინებულ პირველ საბჭოთა წარმომადგენლობას ვახლდი თან. შვეიცარიაში დიდი მოწიწებითა და პატივისცემით დაგვხვდნენ უძლეველი ქვეყნის წარმომადგენლებს, მაგრამ ჩვენი თვითმფრინავიც კი ისე ღარიბულად გამოიყურებოდა მათ ფუფუნებასთან შედარებით... რამდენიმე თვე, ცნობილ სასტუმრო „ბელვუს“ აპარტამენტებში ვცხოვრობდით, შემდეგ უმაღლესი კლასის საცხოვრებელი გამოგვიყვეს.

— თავიდან თქვენს მეუღლეს რა სტატუსი ჰქონდა?

— ელჩი იყო კულაჟენკოვი, ხოლო ნიკოს პირველი კონსულის თანამდებობა ეკავა. ელჩმა ალბათ იცოდა, რომ ნიკო ევროპის ქვეყნებში საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთი წამყვანი რეზიდენტი იყო, საელჩოს სხვა თანამშრომლებისა კი რა მოგახსენოთ...

— რამდენ ენას ფლობდა თქვენი მეუღლე?

— ფრანგულს და ინგლისურს — სრულყოფილად. ჩვენთვის — ე.ი. არა თანამშრომლებისათვის, ენის შესწავლა ნებაყოფლობითი იყო, ამიტომ მე გერმანულის გაკვეთილებს ვესწრებოდი.

— თქვენ მიმართ თუ იყო რაიმე მოთხოვნები, მეუღლის საპასუხისმგებლო სამსახურის გამო?

— საერთო ფონზე, ეს შეუმჩნეველი იყო. როგორც გითხარით, მხოლოდ ელჩმა იცოდა თითოეული თანამშრომლის ვინაობის შესახებ. დაცვა, მძღოლი, მოსამსახურეებიც კი, მოსკოვიდან გამოგვაყოლეს. ჩვენი შვილებისთვის რუსული სკოლა გახსნეს. ექიმიც კი, პერსონალური მოგვიჩინეს ყველას. მახსოვს, ერთ-ერთ თანამშრომელს ბრმა ნაწლავის სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და ამის შესახებაც კი, მაშინვე, მოსკოვს აცნობეს.

— თქვენ ძირითადად, რას საქმიანობდით?

— ბევრი თანამშრომლის მეუღლე, საელჩოს კანცელარიის თანამშრომელი იყო. მათთან შედარებით, მე უფრო შეზღუდული ვიყავი: არ შემეძლო ქალაქში თავისუფლად სიარული, სურსათს ტელეფონით ვუკვეთდი და ა.შ. საერთოდ, ყველაფერი მოსკოვის კარნახით ხდებოდა...

— ხომ არ ნანობდით თქვენ მიერ გაკეთებულ არჩევანს?

— არა, ამას არ ვნანობდი. თუმცა, ჩემი კუთხის, ჩემი ქვეყნის მონატრების გრძნობა,

სუფრას ყოველთვის რამდენიმენაირი სასმელი ამშვენებდა, ამიტომ უნდა გვცოდნოდა, თუ რა როდის და როგორ უნდა მიგვერთმია. ჩემი მეუღლე ყველაზე მოხერხებულად ხმარობდა „სერვიროვკას“ და სუფრაზე თამადობაც უყვარდა... (ცენტრში, უკანა პლანზე)

ხშირად იმართებოდა წვეულებები, სადაც აუცილებლად უნდა გვცმოდა შავი კოსტიუმი და ქვედაბოლო. შურა ჩხაიძე – მარცხნიდან მეორე

უჩვეულო პირობების გამო, კიდევ უფრო გამძაფრებული მქონდა... მახსოვს, ფილმი – „ბერლინის დაცემა“ ჩამოიტანეს მოსკოვიდან და კინოჩვენებას მთელი წარმომადგენლობა ესწრებოდა. ფილმის დასასრულს, ყველა ფეხზე წამოდგა და დარბაზში მქუხარე ტაშმა იქუხა... შვეიცარიასა და ევროპაში 1958 წლამდე ვცხოვრობდით. მთელი ამ ხნის მანძილზე, ორჯერ მოვახერხე საქართველოში ჩამოსვლა: ერთხელ, ნათესავი გაგვიხდა ავად და გვთხოვეს, სტრეპტოციდი გაგვეგზავნა; მხოლოდ სპეციალური საშვის გაცემის შემდეგ დაგვრთეს ამის ნება...

— ალბათ გარკვეული ეტიკეტის დაცვა, შესაფერისი ტანსაცმლის ტარება თქვენთვის აუცილებლობად იქცა...

— ძალიან ხშირად იმართებოდა წვეულება, მიღება, სადაც უამრავი უცხოელი იყრიდა თავს. აუცილებლად უნდა გვცმოდა შავი კოსტიუმი და ქვედაბოლო, ხელთათმანები და ქუდი. სუფრას ყოველთვის რამდენიმენაირი სასმელი ამშვენებდა, ამიტომ უნდა გვცოდნოდა, თუ რა როდის უნდა მიგვერთმია. მრავალრიცხოვანი თეფშის, ჩანგლისა თუ სხვა ატრიბუტის დანიშნულებისა და ხმარების წესებში უნდა ვყოფილიყავით გარკვეულები. ჩვენი წარმომადგენლობის წევრებს შორის, ჩემი მეუღლე ყველაზე მოხერხებულად ხმარობდა „სერვიროვკას“ და სუფრაზე თამადობაც უყვარდა...

— თუ იცოდით რაიმე თქვენი მეუღლის საქმიანობის შესახებ?

— არასოდეს ჩავძიებივარ, ვინაიდან ვიცოდი, რომ ეს მე არ მეხებოდა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ელჩისაგან განსხვავებით, რომელსაც მოსკოვის ნებართვის გარეშე ქალაქის დატოვების უფლება არ ჰქონდა, მე და ჩემი მეუღლე ხშირად მივემგზავრებოდით ჟენევაში. ნიკო გაეროს კონფერენციებს ესწრებოდა, მე კი, ჩვენთვის განკუთვნილ სახლში ვუცდიდი მას. ვცხოვრობდით საფრანგეთში, სადაც ნიკო საბჭოთა ტყვეების რეპატრიაციაზე მუშაობდა. სხვადასხვა ქვეყანაში ხდებოდა ტყვეების აღწერა და სამშობლოში მათი დაბრუნების მომზადება. ნიკო ხვდებოდა ქართველ ემიგრანტებს და მოლაპარაკებებს აწარმოებდა მათთან. ვიცი, რომ რამდენჯერმე შეხვდა ექვთიმე თაყაიშვილს – პარიზში, სპირიდონ კედიას – ბერნში, კერენსკის *(1917 წლის რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე. – ავტ.)* – გერმანიაში, მაგრამ მათი საუბრების შინაარსი ჩემთვის უცნობია. გარდა ამისა, ნიკო პირადად იყო ჩართული მწერალ ილია ერენბურგის რუსეთში დაბრუნების პროცესში და მასთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

— სტალინთან თუ ჰქონია შეხვედრები?

— სხვათა შორის, უცხოელები ნიკოს სტალინს ამსგავსებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე მაღალი და შავგვრემანი იყო, სტალინი კი – წითური...

— თუ არსებობდა ადამიანი, რომელთანაც ბატონი ნიკო ბოლომდე გულახდილი იყო და თავის საქმიანობაზე უამბობდა რაიმეს?

— ოჯახსა და ახლობლებში – არავინ; სამსახურში კი, ზოგისთვის ალბათ ცნობილი იყო მისი საქმიანობის დეტალები. საერთოდ, არ უყვარდა ამ თემებზე საუბარი. ყველა ცდილობდა, ცოტა რამ მაინც შეეტყო მისი საიდუმლო მისიების შესახებ, მაგრამ წლების შემდეგაც, როგორი ნასვამიც არ უნდა ყოფილიყო, ახერხებდა არაფრისმთქმელი ფრაზებით აბეზარი ადამიანების თავიდან მოცილებას... ბევრს გამოუთქვამს სურვილი მის სიცოცხლეში, დაეწერა ნიკოს საქმიანობისა და ცხოვრების შესახებ, მაგრამ ყველას სასტიკი უარით ისტუმრებდა... მისი კოლეგებისაგან მსმენია, რომ ისევე, როგორც ფილმში – „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, სადაც შტირლიცს პასტორი შვეიცარიის მთებით გადაჰყავს საზღვარზე, ნიკოსაც არაერთხელ გადაუყვანია აგენტები... უდიდესი ნებისყოფით გამოირჩეოდა. უკვე მოხუცებულს, ინფარქტი დაემართა და რესპუბლიკური საავადმყოფოს მეშვიდე სართულზე თავისი ფეხით ავიდა.

— შემდგომში ალბათ ხშირად ესმოდა საბჭოთა რეჟიმისა და საერთოდ, პოლიტიკის უარყოფითი შეფასება. როგორი რეაქცია ჰქონდა ხოლმე ამაზე?

— თავს არასოდეს იმართლებდა და ამბობდა: ახლა, წლების გადასახედიდან, ის ყველაფერი, ცხადია, მოსაწონი არ არისო, – მაგრამ ის პირნათლად ემსახურებოდა თავის სამშობლოს და ეამაყებოდა, რომ ისე განვლო თავისი ხანგრძლივი ცხოვრება უშიშროების სისტემაში, რომ არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია... სხვათა შორის, ნიკო იყო სასტუმრო „ივერიის“ პირველი დირექტორი – უშიშროების სისტემიდან პენსიაზე გასვლის შემდგომ, „ინტურისტის“ სისტემაში მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე და საკმაოდ სოლიდურ ასაკს მიღწეული – 85 წლისა გარდაიცვალა... ■

ბერნში, რუს დიპლომატებთან ერთად (მარცხნიდან პირველი)

თქვენ იმდენ ხანს ელოდით და იმდენ ხანს იბრძოდით საკუთარი ბედნიერების მოსაპოვებლად, რომ ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეთ ამას და დღეს უბედნიერესი ადამიანი ხართ. ყოველღამე მის გვერდით იძინებთ, ყოველ დილას კი გაღვიძებისთანავე, ის გეუბნებათ: „დილა მშვიდობისა, ძვირფასო!" თითქოს, არაფერს შეუძლია იდილიის დარღვევა, მაგრამ თქვენს სულში საიდანღაც ეჭვი ჩნდება. „არ შეიძლება ასეთი ბედნიერი ვიყო, — ფიქრობთ თქვენ, — ეი. სულ მალე რაღაც საშინელება დამატყდება თავს..."

ბედნიერებამ არ უნდა შეგაშინოთ

გახსოვდეთ, თუ გამუდმებით ცუდი დღის მოლოდინში იქნებით, იგი აუცილებლად დადგება!

თქვენი წარმოსახვა კონტროლს აღარ ექვემდებარება

მაგალითად, თქვენი პარტნიორი სამსახურში შეყოვნდა. წარმოსახვა მოსვენებას აღარ გაძლევთ და ერთ საშინელ ხილვას მეორე ცვლის: აი, ის თავის თანამშრომელ ქალთან ერთად განმარტოვდა (ის კი გავიწყდებათ, რომ მის ყველა თანამშრომელს იცნობთ და ინტიმური ურთიერთობისთვის შესაფერისი ქალი არც ერთი არ არის); აი, ის ასფალტზეა გართხმული და „სასწრაფოს" ექიმები და პოლიციელები თავს დასტრიალებენ (არც ის გახსენდებათ, რომ თქვენს სატრფოს საკმაოდ ფრთხილად დაჰყავს მანქანა და ფეხით სიარული პრაქტიკულად არ უწევს)... ბოლოს და ბოლოს, ის სამსახურიდან სრულიად უვნებელი ბრუნდება და იმასაც გიხსნით, თუ რატომ შეაგვიანდა თხუთმეტიოდე წუთით, მაგრამ პროცესი უკვე დაწყებულია — საღი აზრი ფანტაზიას უთმობს ასპარეზს. თქვენ გამუდმებით რაღაც დიდი, გარდაუვალი უბედურების მოლოდინში ხართ. განუწყვეტლივ ღალატსა და მარტოობაზე ფიქრობთ. თავადაც ვერ აფიქსირებთ, ისე მოულოდნელად თქვენი საყვარელი ადამიანის ჯიბეების ჩხრეკის დაუძლეველი სურვილი გეუფლებათ. ხოლო როცა ის ზღურბლზე გამოჩნდება ხოლმე, ცდილობთ, მისთვის შეუმჩნევლად შეიგრძნოთ, სხვისი სუნამოს სურნელს ხომ არ აფრქვევს. არა, საკუთარ თავს არც სკანდალის და არც ეჭვიანობის სცენის მოწყობის უფლებას არ მისცემთ; უბრალოდ, ხშირ-ხშირად ეძებთ რაღაც მიზეზს, რათა ყოველ თხუთმეტ წუთში, სამსახურში ან მობილურზე დაურეკოთ. ეჭვი კი, გამუდმებით ტანჯავს თქვენს სულს და ყოველ ცისმარე დღეს, კატასტროფის მოლოდინში იმყოფებით.

შეუკვეთეთ უბედურება? მიიღებთ კიდეც!

მოულოდნელად ამჩნევთ, რომ თქვენი ყველაზე ცუდი ეჭვები მართლდება. მართალია, თქვენი სატრფო კვლავინდებურად საღ-სალამათია, არც ავტოკატასტროფაში მოხვედრილა და არც ბანდიტები დასხმიან თავს, მაგრამ ის თანდათან გშორდებათ. საუბარსაც გაურბის და ამბორსაც, თავისუფალი დროის გატარებას კი, შინიდან შორს ცდილობს. და აი, დგება დღე, როცა რომელიღაც მზრუნველი კეთილისმსურველი გაცნობებთ, რომ თქვენ ერთადერთი ხართ, ვინც არ იცის, რომ მას ახალი სატრფო ჰყავს... „რატომ? რისთვის? — ეკითხებით საკუთარ თავს და სიმწრის ცრემლებს იწმენდთ. — მე ხომ ყველანაირად ვცდილობდი, არასოდეს ვსაყვედურობდი, არც არასდროს ვეწინააღმდეგებოდი. მე ხომ ის მთელი სულითა და გულით მიყვარდა და ამის სანაცვლოდ თითქმის არაფერს ვითხოვდი?!"

შესაძლოა, უბრალოდ ენამ გიყივლოთ...

თქვენი ნათქვამი სიმართლეს შეეფერება, მაგრამ შეეცადეთ, სიტუაციას სხვა მხრიდან შეხედოთ. ნუთუ, მოგეწონებოდათ ისეთ ადამიანთან ცხოვრება, რომელიც გამუდმებით უნდობლობას იჩენს თქვენდამი და თვალებში შიში ჩასდგომია? ეს მხოლოდ თქვენ გგონიათ, რომ „მსუბუქ" თვალთვალსა და კონტროლს ვერ ამჩნევს. არავის, არც ქალს და არც მამაკაცს არ სიამოვნებს ასეთი არაჯანსაღი დამოკიდებულება. გაითვალისწინეთ: ძლიერი სქესის წარმომადგენლები უნდო და ეჭვიან ქალებთან ცხოვრებას ხშირ შემთხვევაში, ისევ სკანდალისტ ქალებთან ურთიერთობას ამჯობინებენ.

სამწუხაროდ, ეჭვიანი და ავი წინათგრძნობით შეპყრობილი ქალებისა და კაცების რაოდენობა არცთუ ისე მცირეა. მათი ასეთი მდგომარეობა შესაძლოა, განპირობებული იყოს თვითრწმენის არქონითა და წარსულში გადატანილი სტრესითა თუ პირადი დრამით. გამუდმებით უბედურების მოლოდინით შეპყრობილი ადამიანები არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ირგვლივმყოფებსაც ტანჯავენ, სხვათა შორის, გამოთქმა — „ენამ მიყივლა" სულაც არ განეკუთვნება მისტიკის სფეროს და ხშირად, რეალობას ასახავს. რა თქმა უნდა, თქვენი უსაფუძვლო შიშების გამო, უახლოეს მომავალში სამყაროს აღსასრული ნამდვილად არ დადგება; მაგრამ ქმარს შესაძლოა, მოჰბეზრდეს უბედურების მოლოდინში მყოფი ცოლის ყურება და უფრო ლაღ ქალთან წავიდეს. ■

ეჭვიანობა მანკიერი ჩვევა კი არა – დიაგნოზია



როცა მამაკაცი ოტელოს როლს მეტისმეტად ბუნებრივად ერწყმის, ქალმა შესაძლოა, დეზდემონას ხვედრი გაიზიაროს...

ეჭვიანობის მსხვერპლის გამომეტყველებით გამოცნობა სულაც არ არის ძნელი. ქალს შიში და დაძაბულობა აღბეჭდვია სახეზე. ის თავშეკავებულად გამოხატავს საკუთარ აზრებს, თვალები თითქმის ყოველთვის დახრილი აქვს და ქმრის თანდასწრებით, საერთოდ მდუმარედ ყოფნას ამჯობინებს, რათა ბოთლიდან არ ამოუშვას ჯინი, რომელსაც ეჭვიანობა ჰქვია. საიდან იღებს სათავეს ადამიანის ღირსების ეს დამამცირებელი გრძნობა? ვცადოთ, გავარკვიოთ.

მემკვიდრეობითი ავადმყოფობა

ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, მამაკაცის ეჭვიანობა შორეული ბავშვობიდან იღებს სათავეს. ამას კი ბიჭუნას აღზრდა და მშობლებთან ურთიერთობა უდევს საფუძვლად. სპეციალისტები ეჭვიანობის გრძნობას ოიდიპოსის კომპლექსს უკავშირებენ და მათ შორის კავშირზე მიუთითებენ: ბიჭუნას ეჭვი ეპარება დედის სიყვარულში და მამაზე ეჭვიანობს. როგორც წესი, ასაკის მატებასთან ერთად, ეს გრძნობა ქრება: მეგობრები, სპორტი, კომპიუტერი თუ მუსიკა მოზარდს აიძულებს, ყურადღება სხვა მხარეს მიმართოს. ამასობაში კი დედ-მამის როლის სწორი აღქმაც ხდება, მაგრამ განვითარებაში რაღაც გადახრებისა და ბავშვობაში მიღებული მძიმე სულიერი ტრავმის გამო, ბავშვური კომპლექსები შესაძლოა, მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვეს. ასეთი კომპლექსის ერთერთ ფაქტორად, დედის განსაკუთრებულად გულგრილი დამოკიდებულება იქცევა ხოლმე. – მოზარდი სითბოსა და სიყვარულის დეფიციტს განიცდის. მეორე ფაქტორად კი, მამის მიერ გამოხატული ეჭვიანობა შეიძლება იქცეს, როცა იგი ლანძღავს და ხელითაც კი ეხება მეულლეს.

მე ვეჭვიანობ – დამნაშავე შენ ხარ!

უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერი, უსაფუძვლო ეჭვიანობა, თავისთავად ადამიანის ავადმყოფური, ნევროტული მდგომარეობაა. ასეთ დროს, მისი გონს მოყვანა და რამეში დარწმუნება, პრაქტიკულად შეუძლებელია. მსგავს სიტუაციაში მისი დახმარება მხოლოდ კვალიფიციურ ფსიქოთერაპევტს შეუძლია; ამასთანავე, მამაკაცი თავადვე უნდა აცნობიერებდეს საკუთარ პრობლემას და მისი გადაჭრაც სურდეს.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეჭვიანობა ყოველთვის ავადმყოფური როდია. ჩვეულებრივი, „ყოფითი" ეჭვიანობა, ალბათ ნებისმიერი ქალისთვისაა ნაცნობი. ზოგიერთს ეს მოსწონს კიდეც, რადგან გავრცელებულია აზრი: ეჭვიანობს – ე.ი. ვუყვარვარ. მაგრამ თქვენი ეს რწმენა ყოველთვის საფუძვლიანი როდია. ზოგიერთი მამაკაცი ეჭვიანობას ცოლის დასამცირებლად მიმართავს, რათა კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს მას, თუ ვინ არის ოჯახის უფროსი. ხშირად ისეც ხდება, რომ ქალები, ოღონდაც ქმარს ასიამოვნონ, აღარც მეგობრებთან დადიან, აღარც კინოსა თუ თეატრში და ზოგჯერ, სამსახურსაც კი ანებებენ თავს. მაგრამ ის, ვინც ეჭვიანობის სცენას ოჯახში პოზიციის გასამყარებლად მართავს, ყოველთვის მოძებნის მიზეზს იმისას, თუ რაში შეედავოს და რაში დაადანაშაულოს ცოლი. მსგავს სიტუაციაში, გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებთ, თუკი აღიარებთ იმას, რაც არასოდეს ჩაგიდენიათ (იმ მიზნით, რათა ქმრის საყვედურებს დააღწიოთ თავი). ასეთი აღსარებით საკუთარ მდგომარეობას კიდევ უფრო გაიუარესებთ.

უმიზეზოდ ნუ შეჰფიცავთ!

ზოგჯერ, საქმე გვაქვს ისეთ სიტუაციასთან, როცა ქმარს იმდენად უყვარს ცოლი და მისი დაკარგვა იმდენად აშინებს, რომ მასზე უსაფუძვლოდაც კი ეჭვიანობს. მსგავსი პათოლოგიური დამოკიდებულება მეტყველებს იმაზე, რომ მამაკაცს საკუთარი ძალების რწმენა არ გააჩნია. ამის მიზეზი კი, შეიძლება იყოს წარსულში გადატანილი, პარტნიორის ღალატი ან საკუთარი ხელმოცარულობის შეგრძნება. მართალია, ასეთ ადამიანს ეჭვი შეაქვს ცოლის ერთგულებაში, მაგრამ გულწრფელად სურს, რომ იგი საპირისპირო ქმედებაში დაარწმუნოს. მსგავს სიტუაციაში, შეგიძლიათ დათმობაზე წახვიდეთ: წყნარად აუხსენით ყველაფერი და შთააგონეთ, რომ მისი ეჭვები უსაფუძვლოა, თქვენ ის გიყვართ და სხვა არავინ გჭირდებათ. ოღონდ გაფრთხილებთ, ასეთი ახსნა-განმარტებები ხშირად არ გაუმეოროთ ქმარს, რადგან შესაძლოა, პარტნიორმა ეჭვიანობის სცენები შეგნებულად გაგიმართოთ, რათა შემდეგ, თქვენი სიყვარულის ფიცი მოისმინოს. ხშირად გამეორებისას კი, ყველაზე გულწრფელ სიტყვებსაც აზრი ეკარგება...



მორენა მერკვილაძე

რამდენიმე დღეში მართლმადიდებლური ეკლესია ბზობის დღესასწაულს აღნიშნავს. ბზობის ანუ ბაიაობის დღესასწაული, თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან პირველი მოძრავი დღესასწაულია — ის დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს აღინიშნება. ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე განგვიმარტავს.

ბზობა

— აღდგომამდე ერთი კვირით ადრე, მართლმადიდებლური ეკლესია იხსენებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრებიდან — იესო ქრისტეს დიდებით შესვლას იერუსალიმში, რომელიც თორმეტ საუფლო დღესასწაულთა რიგს მიეკუთვნება.

— რატომ ჩათვალა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ საჭიროდ, რომ იერუსალიმში მაცხოვრის დიდებით შესვლა თორმეტ საუფლო დღესასწაულთა რიცხვში შეეტანა და მისი სადღესასწაულო აღნიშვნა დაეწესებინა — ანუ რა სულიერი შინაარსია ჩადებული ამ მოვლენაში?

— საღმრთო გადმოცემის თანახმად, მაცხოვარი ყოველთვის დადიოდა იერუსალიმში, თუმცა არასოდეს შესულა იქ ისეთი დიდებით, როგორითაც ლაზარეს აღდგინების შემდეგ. ამ დრომდე, უფალი ყოველთვის გაურბოდა მიწიერ დიდებას და პატივს, მაგრამ როდესაც მისი ვნების დრომ მოაწია, საჭირო გახდა იუდეველებისთვის ეჩვენებინა, რომ იგი იყო ჭეშმარიტად აღთქმული მესია, რომელიც ადამიანებს მშვიდობასა და ხსნას მიანიჭებდა, რათა იუდეველებს, როდესაც მას უარყოფდნენ, არ ჰქონოდათ მიზეზად, რომ მაცხოვარი არ გამოეცხადა მათ, როგორც უფალი. ამასთანავე, რაკი მაცხოვარმა წინასწარ იცოდა, რომ ადამიანებს შორის დიდხანს აღარ დარჩებოდა (სულ მალე ელოდა ჯვარცმა და სიკვდილი, როგორც ადამიანს), იერუსალიმში დიდებით შესვლით, თავის მომხრეებს სიყვარულისა და ერთგულების გამოხატვის საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებს — მისი შეცნობისა და მოქცევის...

— რა საერთო აქვს ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას და უფლის იერუსალიმში დიდებით შესვლას?

— ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება მაცხოვრის მიერ მოხდა პასექის დღესასწაულის წინ. პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში უამრავი ხალხი იკრიბებოდა. ეს განსაცვიფრებელი სასწაული — ლაზარეს აღდგინება, ღვთის განგებით ზუსტად ამ დროს მოხდა, რათა უფრო მეტ ადამიანს დაენახა მაცხოვრის ჭეშმარიტი ღვთიურობა და უფრო მეტი ადამიანი შესდგომოდა ჭეშმარიტების გზას — ე.ი. ერწმუნათ უფლის, რაც მათივე გადარჩენისთვის იყო აუცილებელი. როგორც „ახალი აღთქმიდანაა“ ცნობილი, იერუსალიმში დიდებით შესულ მაცხოვარს „დიდძალი ხალხი თავის სამოსელს უფენდა გზაზე. სხვები კი ხეებიდან ტოტებს ჭრიდნენ და გზაზე უფენდნენ“. (მათე 21,8). სწორედ ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების მხილველი ხალხის დიდი ნაწილი ეგებებოდა დიდებით მაცხოვარს და თავის რწმენას უფენდა გზაზე პალმის ტოტებად, რადგან ამ სასწაულით ბევრმა დაინახა მაცხოვარში ჭეშმარიტი ღმერთი და კაცობრიობის მხსნელი.

— როდესაც იერუსალიმში მიმავალი მაცხოვარი ბეთბაგეს და ბეთანიის მთას მიუახლოვდა, ორი მოწაფე პირდაპირ მდებარე სოფელში წარგზავნა და დაავალა, რომ სოფლის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი მიეყვანათ, რომლის ზურგმაც არ იცოდა ადამიანი. რატომ ინება მაცხოვარმა, სახედარზე ამხედრებულიყო და არა რომელიმე სხვა ცხოველზე, რომელიც მის დიდებას კიდევ უფრო მეტ ზეიმურობას შემატებდა?

— მაცხოვარი ჩოჩორზე შეჯდა ნიშნად იმისა, რომ მას მოაქვს მშვიდობა, რომ ის მშვიდობის მეუფეა, რადგან უძველესი დროიდან მოყოლებული, აღმოსავლეთში ეს ცხოველი მშვიდობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, მას არ იყენებდნენ ომებსა და ბრძოლებში. მაცხოვარი ეტლით კი არ წავიდა, როგორც ჩვეულებრივი ქვეყნიური მეფეები იქცეოდნენ, არამედ არჩია ვირზე ჯდომა, რითიც გვიჩვენა უდიდესი სიმდაბლე და ჩვენ კი მოგვცა წესი ცხოვრებისა — თავმდაბლობა. ხოლო ისეთი ცხოველი, რომლის ზურგმაც არ იცოდა ადამიანი, იმიტომ შეარჩია, რომ ძველ დროს, ცხოველებს, რომელთაც ჯერ არ ჰქონდათ უღელი დადგმული, განსაკუთრებით საღვთო საქმისთვის არჩევდნენ.

— როგორც „ახალი აღთქმა“ გვაუწყებს, კარაულზე თავმდაბლად ამხედრებულ მაცხოვარს იერუსალიმის ქუჩებში გამოფენილი ხალხი შემდეგი სიტყვებით ეგებებოდა: „ოსანა დავითის ძეს, დიდება დავითის ძეს! ოსანა მაღალთა შინა!“ რას ნიშნავს სიტყვა „ოსანა“?

— „ოსანა“ — ეს არის 117-ე ფსალმუნის სიტყვა და ნიშნავს — შვებისა და შეწევნის თხოვნას ღმერთისადმი.

— რატომ აირჩია უფალმა იერუსალიმი, რათა იქ დიდებით შესულიყო?

— არსებობს ასეთი გამოთქმა — ზეციური და მიწიერი იერუსალიმი. იერუსალიმი დედამიწაზე სიწმინდის სიმბოლოდ ითვლებოდა — ისევე, როგორც, მაგალითად, ეგვიპტე — უკეთურებისა. მაცხოვარი შევიდა მიწიერ იერუსალიმში დიდებით, რათა ზეციური კარი გაეღო მათთვის, ვინც ამას მოისურვებდა — ანუ ადამიანებისთვის, რომლებმაც ირწმუნეს ჭეშმარიტი ღმერთი.

— იერუსალიმის დანახვისას უფალს თვალზე ცრემლი მოერია. რატომ?

— იერუსალიმში უნდა მომხდარიყო ყველაზე საშინელი ბოროტმოქმედება — ღმერთის, როგორც ადამიანის სიკვდილი, რამეთუ იმ დროისთვის, ბევრმა ადამიანმა ვერ იცნო მაცხოვარი, როგორც ჭეშმარიტი ღმერთი და ყოვლის დამბადებელი. ამისთვის დაისჯებოდა იგი და ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა. იერუსალიმში დიდებით შემავალი მაცხოვარი წინასწარ ჭვრეტდა ამ სამეუფო ქალაქის დაცემას და

ფიქრობდა იმ საშინელ სასჯელზე, რაც ამ წმინდა და ამავე დროს, ცოდვით აღსავსე ქალაქს ელოდა. მაცხოვარი წინასწარ ხედავს თავისი შვილების დაღუპვას, მათივე უკეთურების გამო. სწორედ ამიტომ მოერია ცრემლი თვალზე მაცხოვარს იერუსალიმის დანახვისას.

— რატომ ეწოდება ამ დღესასწაულს ბზობა?

— ბევრ მართლმადიდებლურ ქვეყანაში, იერუსალიმში მაცხოვრის დიდებით შესვლის დღესასწაულზე იყენებენ პალმის ტოტებს, რაც სიმბოლურად იმ პალმის ტოტებზე მიგვანიშნებს, რომელსაც ხალხი მაცხოვარს გზაზე უფენდა, ვითარცა მძლევარს. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენში პალმა ცოტაა, იგი ბზით შეიცვალა და თვით დღესასწაულის ჩვენში დამკვიდრებული სახელწოდება — ბზობა ამ მცენარის სახელიდან მომდინარეობს. რაკი ჩვენში პალმის ტოტები, ბზის ტოტებით შეიცვალა, ცხადია, მასაც იგივე სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რაც პალმის ტოტებს. ხოლო ღვთისმსახურების დროს, ბზის ტოტები ხელში გვიჭირავს იმისთვის, რისთვისაც ეჭირათ იმ ადამიანებს, რომლებიც ეგებებოდნენ იერუსალიმში დიდებით შესულ მაცხოვარს — ანუ ბზის ტოტებით ხელში ვაღიარებთ, რომ გვაქვს რწმენა უფლისა.

— რატომ ეწოდება იერუსალიმში ქრისტეს დიდებით შესვლის დღესასწაულს ბაიაობა?

— ის ტოტები, რომელსაც ხალხი მაცხოვარს გზაზე უფენდა, ახალგამოკვირტული იყო — რასაც ბაია ეწოდება.

— აუცილებელია თუ არა, ბზობის დღესასწაულზე ნაკურთხი ბზა ინახებოდეს ქრისტიანის ოჯახში და სად უნდა მივუჩინოთ მას ადგილი?

— ბზობის დღესასწაულზე აუცილებლად ღვთისმსახურს უნდა ვაკურთხებინოთ ბზის ტოტები, რადგან მხოლოდ კურთხევის შემდეგ ხდება ბზა ღვთიური მადლის მატარებელი. ნაკურთხ ბზას კი, ადგილი უნდა მივუჩინოთ ხატების კუთხეში და მომდევნო წლის ბზობის დღესასწაულამდე შევინახოთ.

— აუცილებელია თუ არა, წინა წლის ნაკურთხი ბზის ტოტების ეკლესიის ეზოში მიტანა და იქ დაწვა, თუ შეიძლება, შინაც დაიწვას?

— წინა წლის ნაკურთხი ბზის ტოტები შეიძლება, შინაც დაიწვას და ნამწვავები დაიმარხოს სუფთა ადგილზე (მაგალითად, ყვავილების ბაღში ან ვენახში). ■

ვნების შვიდეული

წმინდა დიდმარხვის ანუ სააღდგომო მარხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ვნების კვირა, ანუ ვნების შვიდეული, რომელიც ბზობის დღესასწაულის შემდეგ, დიდი ორშაბათით იწყება და მთელი კვირის მანძილზე, ე.ი. აღდგომის დღესასწაულამდე გასტანს. არქიმანდრიტ რაფაელის განმარტებით: „წმინდა დიდმარხვა ორი ურთიერთშერწყმული და გაერთიანებული მარხვისგან შედგება, ისინი ქრისტე მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების სხვადასხვა მოვლენას ასახავს. დიდმარხვის პირველი ნაწილი — ორმოცდღიანი მარხვა ეკლესიის მიერ დაწესებულია ღირსსახსოვრად იმისა, რომ ქრისტემ ორმოცი დღე იმარხულა იუდეის უდაბნოში — უკაცურ, საშინელ ადგილზე, რომელსაც „საცდურების მთა“ ეწოდება. მეორე ნაწილი — ვნების შვიდეული ეძღვნება ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, ჯვარცმას და იესო ქრისტეს, როგორც ადამიანის სიკვდილს“, რომელსაც ვნების შვიდეულს ანუ ვნების კვირას, იმ ტანჯვისა და წამების გამო უწოდებენ, რომელიც უფალმა მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში — ჯვარზე გაკვრისა და ვნების დროს დაითმინა.

ეკლესიური სწავლებით, ვნების შვიდეულის კვირა მორწმუნემ მძიმე მარხვაში და თითქმის გამუდმებით ლოცვაში უნდა გაატაროს. მძიმე მარხვა გულისხმობს, რომ მორწმუნენი იკვებებიან უზეთოდ დამზადებული კვების პროდუქტებით, ან მხოლოდ წყალსა და პურზე გადადიან. თუმცა, სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევის გარეშე, მარხვის გამკაცრება დაუშვებელია. დიდ ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს, ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში აღესრულება პირველშეწირული წირვა (ლიტურგია); დიდ ოთხშაბათს, მართლმადიდებლური ეკლესია იხსენიებს იესო ქრისტეს გაცემას იუდას მიერ; დიდ ხუთშაბათს ხდება უფლის საიდუმლო სერობის მოხსენიება. ვნების შვიდეულის ხუთშაბათს, ღვთის მსახური აკურთხებს წმინდა ნაწილებს. ე.ი. ამზადებს წმინდა ძღვენს, რომელსაც ათავსებენ საკურთხეველში დაბრძანებულ სანაწილე ყუთში და მთელი წლის მანძილზე ინახება. როდესაც ადამიანი მომაკვდავია ან იმდენად არის დაუძლურებული, რომ ვერ ახერხებს ტაძარში საზიარებლად მისვლას, ღვთისმსახური თვითონ მიდის მასთან შინ ან საავადმყოფოში, თან მიაქვს სანაწილე ყუთში მოთავსებული წმინდა ნაწილები და აზიარებს.

დიდ პარასკევს ხდება ქრისტეს ვნებათა მოხსენიება. ვნების შვიდეულის ხუთშაბათ საღამოს და პარასკევს ცისკრის ჟამს იკითხება „ათორმეტი სახარება“ — სახარების თორმეტი მონაკვეთი, სადაც აღწერილია ქრისტეს ვნება. ცისკრის შემდეგ, მგალობელნი და მეფსალმუნენი კითხულობენ სამეუფო ჟამნებს (პირველ ქრისტიანებს ჩვევად ჰქონდათ — განსაზღვრულ ჟამსა ანუ საათზე ელოცათ); ჟამნებს ითვლიდნენ ებრაულად, მაგალითად: მესამე ჟამზე — ე.ი. დღის 9 საათზე — მოსახსენებლად იმისა, რომ მოციქულებზე ამ დროს გადმოვიდა სულიწმიდა; მეექვსე ჟამზე — დღის 12 საათზე — მოსახსენებლად იმისა, რომ ამ დროს ჯვარს აცვეს მაცხოვარი; აქედან წარმოდგა ახალი ჟამნების ლოცვა, რომელიც ფსალმუნებისა და სხვადასხვა ლოცვისგან შედგება. დიდ პარასკევს დაახლოებით ორ საათზე, ტაძარში გამოასვენებენ გარდამოხსნას.

დიდ შაბათს აღესრულება წმ. ბასილი დიდის წირვა, განთიადზე „დიდება მაღალიანის“ გალობის ბოლოს კი, ეკლესიის გარშემო გარდამოხსნას შემოატარებენ. დიდი შაბათი ვნების შვიდეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა, რამეთუ ამ დღეს შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი. შაბათს მაცხოვრის სხეული იმყოფებოდა სამარხში, ხოლო სული ჩავიდა ჯოჯოხეთში, ამცნო გარდაცვლილთა სულებს სიკვდილზე გამარჯვება, გამოიყვანა იქიდან მართალთა სულები და სამოთხეში დაამკვიდრა, ე.ი. გახსნა სასუფევლის კარი. ■

სიყვარულის კოეფიციენტი

ანუ ჰოგოს დავიჯიროთ „გენომის ხმა“

„თუ ერთი ნახვით შეგიყვარდათ ადამიანი, რომლის შესახებაც არაფერი იცით და მაინც მზად ხართ, ქვეყნის დასალიერში გაჰყვეთ მას, ეს თქვენი ქარაფშუტობის ნიშანი კი არა, „გენომის ხმის გაგონების უნარის დადასტურებაა!“ – ირწმუნება რუსი მეცნიერი, ე.წ. „სიყვარულის რელიზორული კონცეფციის“ ავტორი, გენადი სიმკინი.

რა არის სიყვარული? მწერლებმა, პოეტებმა, ფილოსოფოსებმა ამ ფენომენს უამრავი მშვენიერი განსაზღვრება მოუძებნეს. დიდი ვოლტერი ამბობდა – სიყვარული ვნებათაგან ყველაზე ძლიერია, რადგან ის გონებას, გულსა და სხეულს ერთიანად იპყრობსო. „ანგელოზები მას ციურ ნეტარებას ეძახიან, ეშმაკები – ჯოჯოხეთურ ტანჯვას, ადამიანები – სიყვარულს“, – წერდა ჰაინე. აი, ლაროშფუკო კი, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერც მოუძებნა გასაღები, რადგან შემდეგი განსაზღვრებით შემოიფარგლა: „ნამდვილი სიყვარული მოჩვენებას ჰგავს: მასზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ ნახვით კი, არავის უნახავს“.

მაშ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სიყვარული ამოუცნობი საიდუმლოა? ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გენადი სიმკინი, რომელიც ამავე დროს ირწმუნება, რომ მან შეძლო, ოდნავ მაინც აეხადა ფარდა ამ ამაღლებული გრძნობის საიდუმლოსთვის. დარვინისეული თეორიის პოსტულატებთან თანამედროვე გენური ინჟინერიის უკანასკნელ მონაცემებთან შეჯერების გზით, მან დაასკვნა, რომ საწინააღმდეგო სქესისადმი ადამიანის ლტოლვა ბუნებამ მის გენებში ჩადო, ამიტომაც უსიყვარულოდ შექმნილ საქორწინო წყვილებს სრულყოფილი შთამომავლობაც არა ჰყავთ. მეცნიერის თქმით, სიყვარული წარმოადგენს დახვეწილ მექანიზმს, რომელიც პარტნიორთა კომპლიმენტარულ (ე.ი. ურთიერთშემავსებელ) ურთიერთლტოლვას ეფუძნება. ბუნება არ იცნობს გრძნობებს, – აღნიშნავს მეცნიერი, – მისი მთავარი ამოცანა, შთამომავლობაა; აქედან გამომდინარე, თუ მშობლები ერთმანეთს გენურ დონეზე მიუდგებიან, ამის შედეგად, პრაქტიკულად ყოველთვის გაჩნდება სრულიად ჯანმრთელი და ინტელექტუალურად სრულყოფილი ბავშვი.

მაგრამ ჩნდება კითხვა: როგორღა უნდა დაადგინონ პარტნიორებმა, შეეფერებიან თუ არა ისინი ერთმანეთს? ჯერჯერობით, მსოფლიოს არც ერთ მეცნიერს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ადამიანს აქვს საოცარი უნარი, ჩაიხედოს უჯრედის ბირთვში ან სხვა ადამიანის გენეტიკური კოდი ამოიცნოს. თურმე, ეს არც არის საჭირო, რადგან ბუნებამ ამაზეც იზრუნა.

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ავსტრიელმა კონრად ლორენცმა XX საუკუნის შუა პერიოდში შეიმუშავა წარმოდგენა რელიზორული ელემენტების ანუ რელიზორების (ინგლ. release – გათავისუფლება) შესახებ, რომელიც ელემენტარულ გამღიზიანებლებს, ე.წ. ქცევის ბირთვებს წარმოადგენს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სიგნალები, რომელიც ათავისუფლებს ჩვენს ემოციებს და ლტოლვას იწვევს. თვალის ფერი და ფორმა, წამწამების ზომა, ტუჩის კუთხეები, თითები, ხმის ტემბრი, ზურგი, მიმიკისა და მოძრაობის პლასტიკა – გარეგნობის ყველა ეს ელემენტი იშლება მილიონობით უწვრილეს რელიზორულ ელემენტზე; ამ ელემენტების მთლიანობა წარმოადგენს ინდივიდუმს, რომლის ერთ გამოხედვასთან შეჯახებაც კი ცხადყოფს, რომ თქვენს მეორე ნახევარს შეხვდით...

„იმისათვის, რომ ორ ადამიანს შორის გაჩნდეს ემოციურად აღგზნებადი კონტაქტი, რელიზორები, როგორც სასიგნალო მაშუქები, ადამიანის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს, ზედაპირზე გამოაქვს გენური შეთავსებადობის ნიშნები, – ამბობს დოქტორი სიმკინი. – გარშემომყოფთა წრიდან ადამიანი შეუცნობლად არჩევს თავისი იდეალის თავისებურებებს და მისკენ მიილტვის. ავიღოთ უბრალო მაგალითი: 2 მმ-იანი წამწამები გაშინებთ, 3 ან 4 მმ-იანი – ნორმალური გეჩვენებათ, 6 მმ სიგრძისა, თანაც აპრეხილი, თქვენში ისეთ ემოციას იწვევს, რომლის გამოც მის მფლობელს ქვეყნის დასალიერამდეც კი თვალდახუჭული გაჰყვებით. ამგვარად, გენეტიკურ ევოლუციას ჰარმონიისა და სრულყოფილებისკენ მივყავართ“.

ერთი შეხედვით, ასეთი მიდგომით ყველა წყვილს ერთმანეთი პირველი დანახვისთანავე უნდა უყვარდებოდეს, მაგრამ არა, თურმე, არც ისეთი მარტივი ყოფილა რელიზორთა თანხვედრის პროცესი. ერთი ნახვით შეყვარება ბიოლოგიური თვალსაზრისით, სიყვარულის ყველაზე იშვიათი

ბიოლოგი გენადი სიმკინი ირწმუნება, რომ „გენომის ხმის“ მეშვეობით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, პირველი დანახვისთანავე შეიცნოს გულის სწორი

და იმავდროულად, ყველაზე ეფექტური სახეობა ყოფილა. ძალზედ მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც ეს ბედნიერება ხვდა წილად, მაგრამ თუ ესოდენ ძლიერ გაგიღიმათ ბედმა და ეს გრძნობა მოულოდნელად გეწვიათ — ე.ი. ბუნებამ გენეტიკურად შესაფერისი პარტნიორი შეგირჩიათ.

ამავე დროს, ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქოს ბევრია იმის მაგალითი, როდესაც ადამიანები საპირისპირო არჩევანს აკეთებენ. მაგალითად, ტანად მამაკაცებს მოკრძალებული სიმაღლის, მინიატურული ქალები მოსწონთ შავტუხა, ყავისფერთვალება სამხრეთელები, ცისფერთვალება, ქერა ქალებზე კარგავენ ჭკუას... თურმე მეცნიერული თვალსაზრისით, ამაში აუხსნელი არაფერია. „ცნობილია — შთამომავლობით მიღებული ყველა გენი წყვილია, — ამბობს სიმკინი. — ამ წყვილში, რომელიც ამა თუ იმ ნიშან-თვისებაზე აგებს პასუხს, ერთ-ერთი გენი დათრგუნვილ მდგომარეობაში იმყოფება და არაფრით ავლენს თავს. იმ დროს, მხოლოდ მისი მეწყვილე — ე.წ. დომინანტური გენი მუშაობს. უბრალო მაგალითს მოვიყვან: ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთს ყავისფერი თვალები აქვს, მაგრამ შთამომავლობით ცისფერი თვალების გენს ატარებს, მეორეს კი ცისფერი თვალები აქვს; ასეთი მშობლების 50%-ს ცისფერთვალება შვილი გაუჩნდება“.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რელიზორებს აქვთ უნარი, „დაინახონ“ არა მარტო შესაფერისი, არამედ შეუფერებელი ნიშან-თვისებები — ისინი ხომ სახეებსა და თითებზე „გვაწერია“, მყლავნდება მიმიკასა და ჟესტებში; უბრალოდ ხშირად, ჩვენ მათ ვერ ვამჩნევთ ან ვერ ვაცნობიერებთ. თუ შესაბამისობის პარამეტრები ისეთი გასაოცარი ძალით გამოირჩევა, რომ ზოგჯერ აკვიატებული იდეის დონეს აღწევს, შეუსაბამობის ნიშნები უკანა პლანზე გადადის ხოლმე და ჩვენ მას ან არ ვაფასებთ, ან საერთოდ ვერ აღვიქვამთ. ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ გრძნობით შეპყრობილები, უგულებელვყოფთ ჩვენი პარტნიორის ნეგატიურ რელიზორებსა და ამის შედეგად ბევრი ოჯახიც ინგრევა ხოლმე.

სიმპათიებისა და ლტოლვის მატრიცა უნაკლოდ მოქმედებს, თანაც არა მარტო ადამიანების, არამედ ცხოველების მიმართაც. „ყოველთვის მომყავს ჩვეულებრივი მაგალითი, — ამბობს მეცნიერი. — რამდენიმე კნუტს შორის გოგონა ერთს — „თავისას“ ირჩევს. მის ხელში გაზრდილი ცხოველი არა მარტო ფსიქოლოგიურად, არამედ მორფოლოგიურადაც კი, თავისი ნორჩი პატრონის მსგავსია. სწორედ ამით აიხსნება ცნობილი ჭეშმარიტება — რომ ცხოველები თავიანთ პატრონებს ემსგავსებიან ხოლმე. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან, როცა ადამიანმა ცხოველების მოშინაურებას მიჰყო ხელი, კომპლიმენტარობის პრინციპი მოქმედებდა. აქედან გამომდინარე, დავასკვენი, რომ რელიზორული სიგნალები ადამიანებს, ცხოველებსა და მცენარეებს შორის მოქმედებს“.

ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: თუ ყველა ადამიანი კომპლიმენტარულია, როგორღა უნდა ავხსნათ ისეთი გრძნობა, როგორიცაა ეჭვიანობა? ნუთუ, ისიც ეწერება სიყვარულის რელიზორულ კონცეფციაში?

„ეჭვიანობა მართლაც, იდუმალი ფენომენია, — პასუხობს სიმკინი, — მე მას „შავი მეს“ სახელით ვიხსენიებ. ადამიანს აქვს უნარი, ქვეცნობიერ დონეზე მოუყაროს თავი საყვარელი ადამიანის რელიზორულ ქმედებებს, რომლის საფუძველზეც ქვეცნობიერი, ავტომატური აზროვნების მექანიზმი მუშავდება. ეს რეაქციები შეუმჩნეველი რჩება პარტნიორებისთვის, მაგრამ ავტომატურად ფიქსირდება „კანონიერი“ პარტნიორის მიერ. საბოლოოდ, წარმოსახვის სისტემა ეჭვიან ადამიანში ჰბადებს ზოგჯერ გაურკვეველ, ხშირად კი საკმაოდ ძლიერ განცდებს, რომელიც საყვარელი ადამიანის შესაძლო ღალატის სურათებს წარმოშობს.

ადამიანის ქცევაში, განსაკუთრებით სასიყვარულო სფეროში, ბევრი რამ გაურკვეველი რჩება. ამის მიზეზი, მეცნიერის აზრით, ის არის, რომ ასწლეულების განმავლობაში, ქორწინებები ოჯახური ტრადიციების, მატერიალური გარემოებებისა თუ სხვა გარემოებების კარნახით ხდებოდა და არა სიყვარულის საფუძველზე. ამგვარად, ყალიბდებოდა დინასტიები, რომელიც ხელს უშლიდა გენეტიკური ფონდის გამდიდრებას. თითოეული არაკომპლიმენტარული ქორწინება, რომელიც უსიყვარულოდ ხორციელდება, გენეტიკური შიმშილის ფენომენის საფრთხეს შეიცავს.

ევოლუციის დღევანდელ ეტაპზე, ადამიანის ფორმირება დასრულებული არ არის. ჰიპოთეზის ავტორის თქმით, დედამიწაზე უამრავი ადამიანია, რომელიც ნეანდერტალელისა და პითეკანთროპისთვის დამახასიათებელი გენეტიკური ბლოკებით ხასიათდება. ამდენად, ჩვენ ჯერ კიდევ ზრდის პროცესში ვიმყოფებით და საკუთარი განვითარების მწვერვალამდე ბევრი გვიკლია. სწორედ ამიტომ, ადამიანი ხშირად უშვებს ხოლმე შეცდომას „გენომის ხმის“ გაგონების მცდელობისას...

■

რონალდო ფენომენი საფეხბურთო მოედანზე და... სანოლში

ცნობილ ადამიანთა განქორწინების დეტალები ყოველთვის ექცევა ხოლმე მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში. ამას წინათ ჩვენს მკითხველს ვაუწყეთ, რომ მადრიდის „რეალის“ სუპერვარსკვლავი, რონალდო, ცოლს ეყრებოდა. ბრაზილიურ და ევროპულ პრესაში გამოქვეყნდა სხვადასხვა ვერსია იმისა, თუ რატომ გაშორდა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მილენე დომინგესს.

რონალდოსა და მილენეს განქორწინების შესახებ სენსაციური სიახლე მკითხველს პირველად „ჯოურნალ დუ ბრაზილმა“ 13 მარტს აცნობა, რის შემდეგაც ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ მსოფლიოში. რონალდოს პირადი პრესმდივანი, როდრიგო პაივასი იძულებული გახდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება გაეკეთებინა. მან ფაქტი არ უარყო და მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ კიჭა და მილენე სრულიად მშვიდობიანად გაეყარნენ ერთმანეთს, მეგობრებადაც დარჩებიან და არც ადვოკატები დასჭირდებათ ქონების გასაყოფად, როგორც ეს „ჯოურნალ დუ ბრაზილმა“ ივარაუდა.

ვიდრე 26 წლის რონალდოს დაქორწინებასა და განქორწინებაზე უფრო ვრცლად მოგითხრობდეთ, ორიოდე სიტყვით თავად მილენე დომინგესზე მოგახსენებთ.

როდესაც რამდენიმე წლის წინ, კიჭა აღფრთოვანებული ლაპარაკობდა მილენეზე და ამტკიცებდა, რომ მისი რჩეული ისეთივე შესანიშნავი ფეხბურთელი იყო, როგორიც ზიდანი, ასეთი შეფასების საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. დომინგესზე, როგორც „ბურთის ფლობის ჯადოქარზე“, ჯერ კიდევ მაშინ ლაპარაკობდნენ, როდესაც გოგონა 14 წლის იყო. სწორედ ამ ასაკში მიიღეს 2002 წლის ოქროს ბურთის მფლობელის მომავალი მეუღლე ბრაზილიაში ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად აღიარებულ „კორინთიანსის“ ქალთა გუნდში. უკვე სამი წლის შემდეგ – 1997 წელს, მან მიზნად დაისახა, რომ ბურთით ჟონგლიორობაში მსოფლიო რეკორდები გაეუმჯობესებინა. საამისოდ მილენე განსაკუთრებული მეთოდით ვარჯიშობდა. მაგალითად, მის მოსამზადებელ პროგრამაში ასეთი ამოცანაც შედიოდა: ჭამის ან სხვა ბუნებრივი მოთხოვნილების რეალიზების პროცესში თავზე ბურთი უნდა გაეჩერებინა...

საუცხოო ნებისყოფის წყალობით, მილენემ ეს ტრიუკი მალე აითვისა. ცოტა ხანში, ბრაზილია მილენეს ახალი მიღწევების მომსწრე გახდა – ქალთა ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა ცხრა საათისა და ექვსი წუთის განმავლობაში კენწლა ბურთი, რის შედეგადაც „ჟონგლიორი დედოფალი“ უწოდეს. დომინგესს ხშირად იწვევდნენ ტელევიზიაში, რისი წყალობითაც მან რონალდოს ყურადღებაც მიიქცია.

ცნობილია, რომ კიჭა ქერათმიანი ლამაზმანების დანახვისას ჭკუას კარგავს. მილენე დომინგესმა კი, რომელიც ბურთის ფლობაში თითქმის აღარაფრით ჩამოუვარდებოდა „რეალის“ ფორვარდს, ეს უკანასკნელი სულ მთლად გადარია და როცა ტელეეკრანზე უნახავს, თურმე სრულიად დაუკარგავს მშვიდი ძილი. მალე კიჭამ ერთ-ერთი თავისი მეგობარი გოგონას დახმარებით დომინგესის ტელეფონის ნომერიც დაადგინა, დაუკავშირდა და სადილზეც მიიწვია. „როდესაც რონალდომ სადილზე დამპატიჟა, გავიფიქრე, რომ ვიღაც მასხრად მიგდებდა“, – იხსენებს მილენე, რომელსაც იმ პერიოდში ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კიჭას სახით, ოცნების მამაკაცი და ცხოვრების თანამგზავრი იპოვა... შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე: ბედნიერი წყვილი გამუდმებით ერთად ატარებდა დროს და მალე მილენე დაორსულდა კიდეც. 1999 წლის 24 დეკემბერს კი, რონიმ და დომინგესმა ჯვარიც დაიწერეს. თუმცა, თაფლობის თვის რიგიანად გატარების საშუალება არ მიეცათ: ქორწინებამდე ერთი თვით ადრე, რონალოდომ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც 10 იანვარს სამკურნალოდ პარიზისაკენ გაეშურა..

2000 წლის 6 აპრილს, რონალდოსა და მილენეს ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც რონალდი დაარქვეს. ბრაზილიაში

ამან ბევრი გააკვირვა, რადგან სწორედ ეს სახელი ჰქვია ერთ-ერთი ბრაზილიური გასართობი ტელეგადაცემის პერსონაჟ კლოუნს. შვილის შეძენიდან ექვსი დღის შემდეგ, კიჭა საფეხბურთო მინდორს დაუბრუნდა. იმ დღეს მისი გუნდი – „ინტერი“ „ლაციოს“ ხვდებოდა. რონიმ მოედანზე სულ რაღაც ექვსი წუთი დაყო, რის შემდეგაც კვლავ უმძიმესი ტრავმა მიიღო ახალმოშუშებულ მუხლზე. სწორედ ამ მომენტიდან გააცნობიერა მილენემ ის, რომ რონალდოს ცოლობა მისთვის საკმაოდ მძიმე უღელი ყოფილა. „ჩემი ქმარი მთლად დაეცა სულიერად. მე კი, შინ ჯდომით მიღონდებოდა გული – თანაც ორი მამაკაცის – რონალდისა და დეპრესიაში მყოფი მამამისის – მოვლა არცთუ ისე იოლი საქმე გახლდათ“, – ამბობს მილენე, რომლის კიდევ ერთ ცხოვრებისეულ გამოცდად, კიჭას გადაჭარბებული მექალთანეობა იქცა. ცხადია, დომინგესმა კარგად იცოდა, რომ გვერდზე გახედვა ყველა მამაკაცის თვისებაა, მაგრამ რონი მაინც სრულიად აუტანელი იყო. 2001 წლის თებერვალში კი, ფეხბურთელთა ოჯახს სხვა უსიამოვნებაც შეემთხვა – მშობიარობამდე ორი თვით ადრე, მილენეს მუცელი მოეშალა. მაისში კი, უკვე გავრცელდა ხმები დომინგესისა და რონალდოს განქორწინების შესახებ, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ქორწინებიდან წლინახევრის თავზე, მათი ოჯახი ღრმა კრიზისს განიცდიდა. ყველას გასაკვირად, რონიმ და მილენემ მასმედიის მხრიდან მძიმე ფსიქოლოგიურ ზეწოლას გაუძლეს, „ჭორის“ გამავრცელებელ ყველა გაზეთს სასამართლოში უჩივლეს და ხუთი პროცესიდან ოთხში გაიმარჯვეს კიდეც.

მსოფლიო ჩემპიონატის წინა პერიოდში, ტრავმამოშუშებული რონალდო ინტენსიურად ვარჯიშობდა და თანდათან იბრუნებდა თავის ჩვეულ სპორტულ ფორმას. იგივე შეიძლება ითქვას მილენეზეც, რომელიც უკვე აღარ იყო იძულებული, დილიდან საღამომდე შინ მჯდარიყო. ის ქალთა საფეხბურთო გუნდ „ფიამა მონცაში“ გაწევრდა, რომლის ბაზაც მილანის მახლობლად მდებარეობს. შემდეგ იყო კორეა-იაპონიის მუნდიალი, საიდანაც რონალდო ტრიუმფატორად დაბრუნდა. ერთი შეხედვით, კიჭას ცხოვრება მშვენივრად აეწყო, მაგრამ მოულოდნელად, მან მილანის „ინტერში“ თამაში აღარ ისურვა. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ მას შემდეგ, რაც მილენეს „რეალში“ მეუღლის გადასვლის შესახებ შეუტყვია, იგი შოკში ჩავარდნილა. „რატომ გააკეთა მან ეს!? აქ ხომ მე ამდენი მეგობარი მყავს – ფეხბურთელიც და არაფეხბურთელიც. მადრიდში კი, არავინ მეყოლება,“ – ქვითინებდა თურმე მილენე დომინგესი.

მისი აღშფოთება საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ესპანეთში თავისი შესაფერისი საფეხბურთო კლუბიც ვერ მოძებნა: „რეალს“ ქალთა გუნდი არ გააჩნდა, „რაიო ვალეკანოში“ კი, იგი იმის გამო არ მიიღეს, რომ კლუბში ლეგიონერთა ლიმიტი უკვე ამოწურული იყო. ამიტომ, მილენე იძულებული გახდა, რომ კვლავ „ფიამა მონცაში“ დაბრუნებულიყო და გუნდის თითოეულ მატჩში მონაწილეობის მისაღებად იტალია-ესპანეთის საზღვარი გადაელახა.

იმავე პერიოდში გავრცელდა ხმები, რომლის თანახმადაც რონალდოს საფეხბურთო მოსაზრებების გამო არ შეუცვლია კლუბი. იგი „ინტერშიც“ კომფოტულად გრძნობდა თავს და მილანიდან წასვლას არ აპირებდა, მაგრამ მილენესა და კლარენს ზეედორფის რომანის შესახებ მოულოდნელად აგორებულმა სკანდალმა მისი გეგმები რადიკალურად შეცვალა. ამას მოჰყვა კიჭას სასიყვარულო თავგადასავლის ირგვლივ აჟიოტაჟი. ლოველასი ვარსკვლავის „სექსმარშრუტებს“ შორის მოსკოვიც კი იყო დასახელებული... ერთი სიტყვით, აპენინის ნახევარკუნძულზე ჩინებული თავშესაქცევი გასჩენოდათ სკანდალების მოყვარულთ, ხოლო მილენე ამ ყველაფერს მოთმინებით იტანდა. მაგრამ დადგა მომენტი, როდესაც მას რონის უტიფრობის მშვიდად ყურება აღარ შეეძლო. ამის მიზეზად კიჭასა და ცნობილი ბრაზილიელი მოდელის – ვივიანა ბრუნერის ურთიერთობა იქცა, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც რონალდო „ჰსვ ეინდჰოვენის“ ღირსებას იცავდა. ერთი შეხედვით, მათი რომანი დიდი ხნის მივიწყებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოულოდნელად, 28 წლის ვივიენემ განაცხადა, რომ თანამემამულე ფორვარდისაგან ექვსი თვის ფეხმძიმე იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მანამდე, თავისი მომავალი ვაჟიშვილის, კიოტოს მამად ბრაზილიელი მოდელი, ფეხბურთის სხვა ვარსკვლავს – რივალდოს ასახელებდა, ხოლო როდესაც ბავშვი ქვეყანას მოევლინა (ეს 12 მარტს მოხდა), ვივიენემ დენილსონს „დაადო ხელი“. ყველაფრის დაწვრილებით მოყოლასა და საიდუმლოებისათვის ფარდის ახდას ბრუნერი საზოგადოებას თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ჰპირდება, რომელიც ზაფხულში გამოვა. სხვათა შორის, ვივიენემ დაუფარავად განაცხადა, რომ ბრაზილიელ ვარსკვლავებთან თავისი ინტიმური ურთიერთობების დაწვრილებით აღწერას აპირებს. ცხადია, ბრუნერის ავტობიოგრაფიული წიგნი ბესტსელერად იქცევა, რაც ყველაზე ნაკლებად მილენე დომინგესს გაახარებს. თუმცა, ფეხბურთელი ქალბატონი ამ მოვლენას შეიძლება, სრულიად გულგრილადაც შეხვდეს, რადგან მისთვის უკვე სულ ერთი იქნება ის, თუ ვისთან ერთობოდა მისი ყოფილი ქმარი წარსულში. ამჟამად კი, მილენე მილანში, „ფიამა მონცასთან“ ახლოს დასახლებას აპირებს. ბოროტი ენები ირწმუნებიან, რომ კიჭას ყოფილი ცოლი ცდილობს, კლარენს ზეედორფის სიახლოვეს აღმოჩნდეს...

მოსკოვში, „ლოკომოტივთან“ მაგჩის წინ რონალდოს ქალებისთვის არ „სცხელოდა“

P.S. ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა რონალდოს ყოფილი სიდედრის, ლუსია დომინგესის ინტერვიუ, სადაც ეს უკანასკნელი მოურიდებლად აკრიტიკებს „რეალის“ ფორვარდს: „არასოდეს მიხაროდა მათი დაქორწინება და ქორწილშიც კი არ მივსულვარ. რონალდოს ჩემთვის იმედი არასოდეს გაუცრუებია, რადგან ის ისედაც არასოდეს მხიბლავდა. ყოველთვის ვიცოდი, როგორი ტიპიც ბრძანდებოდა. მასზე ამბობენ, ფენომენიაო. ჰო, ის არის ფენომენი – მეძავებთან ურთიერთობის თვალსაზრისით...“ ■

გარეგნობით დაკომპლექსებულ გოგონას კინოკარიერაზე არასოდეს უოცნებია

„ძლიერი ქალების“ როლებით განთქმულმა რენე რუსომ ერთხელ აღიარა, რომ დიდი ხანია ოცნებობს ღირსეულ პარტნიორთან ერთად, რომანტიკულ კომედიაში გადაღებაზე. „მაგრამ ეს ალბათ არასოდეს მოხდება: ასეთი როლები ხომ ჯულია რობერტსისა და მეგ რაიანისთვისაა განკუთვნილი“. ამ შემთხვევაში, რენე, ცოტა არ იყოს, შეცდა: მეგ რაიანი დიდი სიამოვნებით გაცვლიდა საკუთარი „კარგი გოგონების“ როლებს ჭკვიანი და ძლიერი ქალების ამპლუაზე, რომელიც ყოველთვის რუსოს ხვდებოდა ხოლმე წილად.

რენე რუსოს დღევანდელი ცხოვრება ბევრს აფიქრებინებს, რომ ის დაბადებიდანვე ტკბებოდა ბედნიერებით. მაგრამ ეს ასე როდია — სწორედ ბავშვობისა და სიყრმის წლებში, რუსოს ცოტა რამ თუ ჰქონდა გასახარელი.

ის 1954 წლის 17 თებერვალს, კალიფორნიის შტატის ქალაქ ბურბენკის ღარიბთა კვარტალში მოვლინა ქვეყნიერებას. როცა გოგონა ორი წლის იყო, მამამ — პროფესიით მექანიკოსმა, ოჯახი მიატოვა. დედა ორ მცირეწლოვან გოგონასთან ერთად მარტო დარჩა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე მსგავს სიტუაციებში, პატარა რენეს, მამის წინაშე დანაშაულისა და მარტოობის გრძნობა წლების განმავლობაში არ აძლევდა მოსვენებას. „ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ 15 წლის შემდეგ შევხვდით, — იხსენებს რუსო. — მანამდე კი, მძინარე მზეთუნახავივით სულ უფლისწულის მოსვლას ველოდი. ოღონდაც, ჩემს შემთხვევაში, ცოტა განსხვავებული სიტუაცია იყო: მე იმედი მქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მამაჩემი გამომეცხადებოდა“.

შვილებისადმი არცთუ ისე დიდი მზრუნველობით გამორჩეული კაცი, სამაგიეროდ, სუსტი სქესის წარმომადგენლების სიყვარულით გამოირჩეოდა და დღესდღეობით, რენეს სულ ექვსი და-ძმა ჰყავს. თუმცაღა, ბავშვობაში გოგონას დაუძლეველი სიმორცხვისა და მარტოსულობის გრძნობა ტანჯავდა. მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა რენეს ათი წლის ასაკში სკოლიოზის დიაგნოზი დაუსვეს და იძულებული გახდა, თაბაშირის კორსეტი ოთხი წლის განმავლობაში ეტარებინა. ისედაც მორცხვი და დათრგუნვილი გოგონა, უფრო მეტად ჩაიკეტა საკუთარ თავში და თანაკლასელების დაცინვის ობიექტად იქცა. კორსეტის მოხსნის შემდეგ, თავი სხვა პრობლემამ იჩინა: მოულოდნელად თანატოლებმა აღმოაჩინეს, რომ რუსო მათთან შედარებით ბევრად მაღალი იყო; მორცხვ გოგონას ახალი მეტსახელი — მხიარული გოლიათი შეარქვეს, რამაც მას საკუთარი ძალების რწმენა კიდევ უფრო შეურყია.

საბოლოოდ, რენემ სწავლას თავი დაანება და საშუალო სკოლაც კი არ დაუმთავრებია... გოგონამ ეს გადაწყვეტილება, უკვე ნახსენები პრობლემების გარდა, იმიტომაც მიიღო, რომ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება სურდა. დედამისი დღის განმავლობაში ფაბრიკაში მუშაობდა, საღამოობით კი, ადგილობრივ ბარს ალაგებდა, მაგრამ ოჯახს მაინც ძალიან უჭირდა. 16 წლის რენემ ადგილობრივ თეატრში ბილეთების გამყიდველად დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე, ოპტიკური ლინზების საწარმოში შედარებით მაღალანაზღაურებადი სამსახური გამოჩნდა და იქ გადავიდა. გოგონას იმდენად ეჭვი ეპარებოდა საკუთარ გარეგნობასა და ძალებში, რომ კინოკარიერაზე არასოდეს უოცნებია.

სამაგიეროდ, ის სხვა რამეზე ოცნებობდა. „როლინგ სთოუნზის“ უდიდეს თაყვანისმცემელ, სხვა ფანატი გოგონების მსგავსად, მიკ ჯაგერის სიყვარული და მისი ცოლობა ეზმანებოდა. ასეთი ფანტაზიებით ფრთაშესხმული რენე ერთ მშვენიერ დღეს, ლოს-ანჯელესში გასტროლებზე მყოფი მისი საყვარელი ჯგუფის კონცერტზე წავიდა იმ იმედით, რომ თავის კერპსაც შეხვდებოდა. მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა. მოგვიანებით, რენემ მართლაც საკმაოდ ახლოს გაიცნო ჯაგერი, მაგრამ იმ საღამოს ბედი მას თურმე სულ სხვა რამეს უმზადებდა. „კონცერტის დამთავრების შემდეგ, ჩემი მანქანისაკენ მივდიოდი, თან წარმოვიდგინე, რომ საპატარძლო კაბაში გამოწყობილი, საკურთხეველთან ვიდექი და მიკი ჩემს კოცნას აპირებდა“, — იხსენებს მსახიობი. სწორედ იმ მომენტში, მანქანების სადგომზე მყოფი რენე, აგენტმა ჯონ კროსბიმ შენიშნა. „მოულოდნელად, ვიღაც ტიპი მომიახლოვდა და მკითხა, ფოტომოდელობა ხომ არ მსურდა, — იხსენებს რუსო. — გავიფიქრე, რომ ეს საკმაოდ საეჭვო წინადადება იყო. როგორც ჩანს, მან ჩემი აზრები წაიკითხა, რადგან მომენტალურად დასძინა: „დედასთან ერთად მოდი“ — და თავისი სავიზიტო ბარათი მომაჩეჩა“. იმ დღეს, გოგონას მართლაც გაუღიმა ბედმა: ჯონ კროსბი ხომ ტალანტების ცნობილი მაძიებელი იყო. ეფექტურმა, გრძელფეხება, შავთმიანმა რუსომ მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შემდგომში ის ყოველთვის ამბობდა: „რენე ყველაზე ლამაზი გოგონა გახლდათ, ვინც კი ცხოვრებაში ოდესმე მენახა“.

მოგვიანებით, ფოტოსტუდიაში ისინი მართლაც შეხვდნენ ერთ-

მანეთს. კროსბიმ რენეს ფოტოები ლოს-ანჯელესელ კოლეგებს უჩვენა. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. რუსოს სილამაზემ არა მხოლოდ ჯონ კროსბი მოხიბლა (იგი შემდეგ მის უცვლელ აგენტად იქცა), სამოდელო სააგენტო „ფორდის“ წარმომადგენლებიც აღტაცებულნი იყვნენ მისი სილამაზით. სულ მალე, რენე საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც Revlon-ის ხაზის სარეკლამოდ, პირველი პროფესიონალური ფოტოსურათები გადაუღეს. მომავალი ვარსკვლავი გადაღებებისას იმდენად ღელავდა, რომ კინაღამ ყველაფერი გააფუჭა, მაგრამ მას ამ შემთხვევაშიც გაუმართლა: რენეს, საქვეყნოდ ცნობილი ფოტოგრაფი, რიჩარდ ავედონი უღებდა ფოტოებს, რომელმაც ახალგამომცხვარი მოდელის მეურვეობა იკისრა.

მოკლე ხანში, რუსო დიდების მწვერვალზე აღმოჩნდა Ford Agency-ს ახალ ვარსკვლავზე კონკურსი გამოცხადდა; როცა ცხრამეტი წლის რენეს სურათი Vogue-ის გარეკანზე დაბეჭდეს, მოულოდნელად, მას „დაკარგული“ მამა გამოეცხადა და პოპულარული შვილის ცხოვრებაში დაბრუნება სცადა. მაგრამ რენემ მასთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა (ამ თემაზე საუბარს ვარსკვლავი დღემდე გაურბის).

ცხრამეტი წლის ასაკისათვის, რუსო აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ და ძვირად ღირებულ ფოტომოდელად იქცა. „არ ვიცი, რამ განაპირობა ჩემი ასეთი პოპულარობა, – მხრებს იჩეჩს რენე. – მართალი გითხრათ, გოგონები, რომლებსაც ჩემ გვერდით იღებდნენ, ყოველთვის ჩემზე ლამაზებად მეჩვენებოდნენ, მაგრამ ბევრი რამ ამქვეყნად შემთხვევის წყალობით ხდება. 70-იანი წლების მოდაში მაღალი, გამხდარი ქალები დამკვიდრდნენ. სამოდელო ბიზნესში, სილიკონის მკერდის ეპოქაში რომ მოვხვედრილიყავი, ვერანაირ წარმატებას ვერ მივაღწევდი. მით უმეტეს, რომ სასტიკად წინააღმდეგი ვარ ხელოვნური სილამაზის“.

მოდელის კარიერამ რენეს არა მარტო პოპულარობა, არამედ ფინანსური დამოუკიდებლობაც მოუტანა. ბოლოს და ბოლოს, მან თავისი საყვარელი დედის ტანჯვა-წამების კომპენსირება შეძლო. უზრუნველყოფილმა რენემ ორი სახლი იყიდა: ერთი – თავისთვის, მეორე – დედისა და დისთვის. მოპოვებული აღიარებისა და წარმატების მიუხედავად, მას თავი არასოდეს დაუკარგავს, ყოველთვის აცნობიერებდა, რომ მოდელის კარიერა წარმავალია და საჭიროა მომავალზე ფიქრი.

ერთ მშვენიერ დღეს, რუსომ მიიღო გადაწყვეტილება, თავი დაენებებინა სამოდელო ბიზნესისთვის და კვლავ ჯონ კროსბის დაუკავშირდა. „კინოში გადაღება მინდა“, – განუცხადა მან თავის აგენტს და სულ მალე, მისი კინოდებიუტიც შედგა. იმხანად, რენე 35 წლისა გახლდათ. მწირი სასცენო გამოცდილების მიუხედავად, რუსომ მთავარი გმირის მეგობარი ქალის როლი მიიღო ფილმში – „უმაღლესი ლიგა“ (1989).

ფილმში მონაწილეობა მას ძალიან მოეწონა და იქიდან მოყოლებული, აქტიურად მოღვაწეობს კინოსპარეზზე. გადასაღებ მოედანზე კი მას პარტნიორობას უწევდნენ ჰოლივუდის ისეთი ცნობილი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: კლინტ ისტვუდი, მელ გიბსონი, ჯონ ტრავოლტა, რობერტ დე ნირო, ედი მერფი, პირს ბროსნანი და სხვები.

მის შემოქმედებას კი, ამშვენებს ისეთი ფილმები, როგორიცაა: „მისტერ დესტინი“ (1990), „მარტოხელას მართლმსაჯულება“ (1991), „საიქიოდან ლტოლვილი“ (1992), „სასიკვდილო იარაღი-3,-4“ (1992 და 1998), „ცეცხლის ხაზზე“ (1993), „ჯუჯა“ (1995), „ეპიდემია“ (1995), „თუნუქის თასი“ (1996), „ბადი“ (1997), „ტომას კრაუნის აფერა“ (1999), „როკისა და ბულვინკლის თავგადასავალი“ (2000).

თითოეული ამ ფილმის გადაღებებთან რენეს რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა აკავშირებს. „საიქიოდან ლტოლვილის“ გადაღებებზე იგი მიკ ჯაგერს შეხვდა, რაზეც ბავშვობიდან ოცნებობდა. თუმცაღა, მათ შორის განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. სამაგიეროდ, ამ სურათზე მუშაობისას მან თავისი ჭეშმარიტი სიყვარული – დენი ჰილროი იპოვა. დენი ამ ფილმის სცენარის ავტორი გახლდათ და მის გადაკეთებაზე უარს აცხადებდა. თავის მხრივ, რენემ სამჯერ თქვა უარი სურათში მონაწილეობაზე. მაგრამ შემთხვევით ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და მოულოდნელად საკუთარი აზრი ორივემ შეიცვალა. სულ მალე კი, რენე და დენი დაქორწინდნენ. მათ ახლა ექვსი წლის გოგონა – როუზი ჰყავთ.

კიდევ უფრო დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა „ტომას კრაუნის აფერაში“ შესრულებულ როლს, სადაც რენემ სასიყვარულო სცენებში შიშველმა ითამაშა. „შენ უკვე 44 წლის ხარ, – მეუბნებოდნენ ახლობლები, – იხსენებს მსახიობი, – და ასეთ წინადადებებზე როგორ თანხმდები?!.“ თავად მსახიობს ეს როლი განსაკუთრებით მოსწონს: „სცენარის მიხედვით, ჩემი გმირი, ბროსნანის გმირთან შედარებით, საგრძნობლად ახალგაზრდაა, ცხოვრებაში კი, ჩვენ თანატოლები ვართ“.

რენეს ძალიან უყვარს ბავშვები და სურს, რომ ისეთ მოზარდებთან ერთად იმუშაოს, რომლებიც შინაგან კრიზისს განიცდიან. „მოზარდებისაგან უამრავ წერილს ვიღებ. ხშირად მათ საკუთარი გარეგნობა არ აკმაყოფილებთ და ამას ძალიან მტკივნეულად განიცდიან. ზოგი გახდომაზე ოცნებობს, ზოგს თავისი პატარა მკერდი არ მოსწონს... მე ვცდილობ, შეძლებისდაგვარად დავამშვიდო ისინი, ვუყვები საკუთარი ბავშვობის დროინდელი პრობლემების შესახებ და ვეუბნები, რომ ისინი ლამაზები არიან სწორედ ისეთები, როგორებიც არიან... იმედი მაქვს, რომ ჩემი გულახდილობის წყალობით, მათ საკუთარ პრობლემებთან გამკლავება გაუიოლდებათ“.

ამ ლამაზი და ძლიერი ქალბატონის თავგადასავალი კი, ჭეშმარიტი დასტურია იმისა, რომ არავინ იცის, სად და როდის გაუღიმებს ფორტუნა... ■

დაგვიანებული ჩეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-15

თანაკურსელი კახა ჯღარკავა, რომელსაც კარგა ხანია, რაც დეაზე თვალი უჭირავს, მას თავისი ახალი მანქანით შინ მიყვანაზე დაითანხმებს. ის-ისაა, კახა დეასთან და კიდევ ორ თანაკურსელ გოგონასთან — თიკოსა და თათასთან ერთად მანქანაში ჩაჯდება, რომ გაჩერებაზე ვიღაც ტყავისქურთუკიან ბიჭს დაინახავს, სასწრაფოდ გადავა მანქანიდან და იმ ბიჭს რაღაცაზე აუხირდება.

თათა ბიჭს მაშინვე იცნობს და დეას ეტყვის — კახას მისი ქურთუკი მოსწონსო... დეა მაშინვე მანქანიდან გადავა და სიტუაციის განმუხტვას შეეცდება. ტყავისქურთუკიანი, დეას ძმის, თემოს თანაკლასელი გიორგი აბრამიძე აღმოჩნდება...

შინ დაბრუნებულ დეას, დედა გიტარას დაახვედრებს: ვიღაც სიმპათიურმა ყმაწვილმა დაგიტოვაო. დეა მიხვდება, რომ ის ყმაწვილი გურამია. გურამის მიერ დატოვებულ კონვერტში დედა-შვილი ფულს ნახავს და ოქროს მედალიონს, მაგრამ მათ, მდგმური, ლონდა გააწყვეტინებს საუბარს და თავის გასაჭირს გაუზიარებს: შვილი მყავს და ჩემმა საყვარელმა, კაკომ ეს რომ შეიტყოს, უეჭველად მიმატოვებს და შიმშილით მოვკვდებიო...

— შენ მაგაზე ნუ დარდობ, შიმშილით ნამდვილად არ დავიხოცებით, რამეს მოვიფიქრებთ, — დაამშვიდა ლონდა ქალბატონმა ელენემ.

— რას მოვიფიქრებთ? შენ გგონია, ბინის დაგირავება ასე ადვილია? კაკოსნაირი მაყუთიანი, ბევრი კი არ გამოჩნდება...

— ნუ გეშინია, გამოჩნდება. ამ ქალაქში ბევრი ფულის ტომარა დადის...

— არა, რა, ელიჩკა დეიდა, გეხვეწები! — უცბად საწოლზე ჩამოუჯდა ლონდა ელენეს და ხელები დაუკოცნა. — შეიძლება, მართლაც გამოჩნდეს, მაგრამ მერე მე რაღა მეშველება?! გინდა, რომ ქუჩაში დავრჩე და მართლა ფეხები გავფშიკო?

ოთახში ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოწვა, რომელსაც მხოლოდ ელენეს არათანაბარი, ხმაურიანი სუნთქვა და კედლის საათის მონოტონური წიკწიკი არღვევდა.

— კარგი, — დაიწყო შემდეგ ქალბატონმა ელენემ. — დროებით ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის...

— შენ შემოგევლე, ელიჩკა დეიდა! ვიცოდი, რომ გამისწორებდი! — ელენე გულში ჩაიკრა ლონდამ და დეა რომ დროზე არ წამოშველებოდა, იქნებ, ხელშიც კი აეტაცა...

— კარგი, გოგო, ნუ დამახრჩვე! — ელენემ ლონდას მარწუხებივით მკლავებიდან თავი დეას დახმარებით ძლივს გაითავისუფლა. — მაგრამ გაფრთხილებ: როგორც კი შესაფერის მომენტს გამონახავ, კაკოს მაინც ყველაფერს ეტყვი და ბავშვსაც ჩამოიყვან, გასაგებია?.. რა მითხარი, რა ჰქვიაო?

— ქეთუშა, ქეთევანი! — სიხარულით შეჰყვირა ლონდამ.

— დედაჩემის სახელი რქმევია. დეასთვისაც ქეთევანის დარქმევას ვაპირებდი, მაგრამ მამამისმა არ დამანება...

კმაყოფილმა ლონდამ ამის შემდეგ, ცოტა კიდევ იქოთქოთა, შემდეგ დედაშვილს დაემშვიდობა და სადღაც კისრისტეხით გავარდა.

— ისე, მაინც მაგარი ნაგიჟარია... — გაეღიმა დეას და დედას, ლონდას მიერ მიჭმუჭნილ-მოჭმუჭნილი საბანი გულმოდგინედ ამოუკეცა.

— შენ შენს სიგიჟეებს მიხედე! — ისევ გაიმკაცრა ხმა ქალბატონმა ელენემ. — აბა, მითხარი, ეს ფული და ოქროულობა ვინ მოგცა?

— რომელი ოქროულობა, დედა? აქ მხოლოდ ერთი მედალიონია, — ხელი ლეიბქვეშ შეყო დეამ, კონვერტი გამოაძვრინა და მისი შიგთავსი ერთხელ კიდევ შეამოწმა. — მგონი, აქ წერილიც უნდა იყოს და შენც გეშველება და მეც, — გაეღიმა მას შემდეგ და კონვერტიდან მართლაც ამოიღო ოთხად გაკეცილი ფურცელი, მაშინვე გაშალა და გაკრული ხელით ნაწერს თვალებგაფართოებული დააცქერდა:

„დეა, იცოდე, შენებურად არ აპილპილდე და ეს წერილი ბოლომდე ჩაიკითხე. ფულით დედაშენს უმკურნალე — სამწუხაროდ, მეტის დატოვება არ შემიძლია. მედალიონი კი მე შემინახე. იცოდე, რომ დავბრუნდები, ორივე ადგილზე უნდა დამხვდეთ!.. გკოცნი ბევრს, შენი გურამი“.

— რას ჩაშტერებიხარ? აღარ მეტყვი, რა წერია მაგ წერილში? — ქალიშვილს თავი შეახსენა ელენემ.

დეამ მას წერილი უსიტყვოდ გაუწოდა და თავად სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

წარბშეკრულმა ელენემ სტრიქონებს სწრაფად გადაურბინა და როგორც კი კითხვა დაასრულა, შუბლიც გაეხსნა:

— შვილო, დეა, მგონი, ბედი მართლა კარზე მოგადგა...

— რომელი ბედი, დედა? იცი, მაგის დამწერი ახლა სად არის?

— სად?

— სად და ცხრა მთას იქით — გერმანიაში...

— რას მეუბნები? კი, მაგრამ როდისღა წავიდა? ამ დილით ხომ...

— აქედან პირდაპირ აეროპორტში წავიდოდა, იქიდან კი — გერმანიაში, ტუტუ... — სევდიანად გაეღიმა დეას.

— კი, მაგრამ საქართველოში აღარ დაედგომებოდა?

— რა ვიცი, ალბათ — არა... ადრე რაღაც ბიზნესი ჰქონია, შემდეგ გაკოტრებულა და ყველაფერი მევალეებს წაურთმევიათ...

— აბა, გერმანიაში როგორღა წავიდა?

— მამაპაპისეული სახლი გაყიდა. ეტყობა, ეს ფულიც იქიდან მორჩა და

ჩვენ დაგვიტოვა...

— რა კარგი ბიჭი ყოფილა, შვილო, როგორი გულისხმიერი...

— ჰო, ალბათ... — ამოიოხრა დეამ.

— არა, ასე ნამდვილად აღარ შეიძლება! — აღშფოთდა უცბად ელენე. — ხედავ, უკვე რა ვაჟკაცები, რა საჯიშე ქართველები ტოვებენ საქართველოს?!

— რა არის, დედა, ეს „საჯიშე“ რაღაა, საიდან მოიტანე? — იწყინა დეამ.

— ვითომ, რა არ მოგწონს მაგ სიტყვაში? სანამ კაცს საკუთარი ჯიში და ჯილაგი ახსოვს, კაცადაც მანამ ვარგა, თორემ მერე, აიღე და ხევში გადააგდე. მაგ ბიჭს კი, ჯიში კოჭებშივე ეტყობა...

— ნეტავ, რაღაცას არ იგონებდე... — ხელი ჩაიქნია დეამ და ფული და მედალიონი ისევ კონვერტში ჩააბრუნა, წერილი კი, ერთხანს, ხელში ათამაშა, შემდეგ გულმოდგინედ დაკეცა და ჩანთაში შეინახა.

— ისე, მაგ ბიჭზე გული, მგონი, შენც შეგივარდა... — ისევ დაიწყო ელენემ.

— კარგი, რა, დედა, ერთ საღამოში რა გულის შევარდნა-გამოვარდნაზეა ლაპარაკი?!

— მე და მამაშენსაც ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი... — არ ცხრებოდა ელენე.

— მერე, ან ერთმა რა მოიგეთ ამით და ან მეორემ?! — დაუფიქრებლად წამოისროლა დეამ, თუმცა, ამას მაშინვე მიხვდა და დედას დარცხვენილმა გადახედა.

ელენეს კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია და კედელზე ერთ წერტილს მიშტერებოდა. შემდეგ, ნელ-ნელა, მზერა ისევ დეაზე გადაიტანა და აკანკალებული ხმით უპასუხა:

— იცი, რომ მე და მამაშენს ერთმანეთთან უსიყვარულოდ ერთი დღეც კი არ გვიცხოვრია?

— ვიცი... — ძლივსღა ამოილუღლუღა ნირწამხდარმა დეამ.

— ისიც თუ იცი — ხვალ რომ ხელახლა დაიწყოს ჩემი ცხოვრება, ისევ მამაშენს რომ ავირჩევდი?..

— ეგეც ვიცი.

— მაშინ, სიყვარულს ხელი არ აუქნიო, შვილო, თორემ, მთელი ცხოვრება დაიტანჯები. იმიტომ, რომ შენც ჩემი ჩამონატეხი ხარ და უსიყვარულოდ, უბრალოდ, ვერ გაძლებ...

— კარგი, გეთანხმები, მაგრამ თუ მაინცდამაინც სიყვარულზე მიდგა საქმე, იქნებ, მე გურამი კი არა, კახა ჯღარკავა მიყვარს? ბოლოს და ბოლოს, ბავშვობიდან, ოჯახებით ვიცნობთ ერთმანეთს... — სიტყვის ბანზე აგდება სცადა დეამ.

— ეგ რომ მართლა ეგრე იყოს, დარდით გულიც გამისკდებოდა.

— ვითომ რატომაო? ჯღარკავებს დოლარები აკლიათ თუ ოქროულობა?

— ჯღარკავებს მთავარი აკლიათ, შვილო: სინდის-ნამუსი და ადამიანობა. იცი, გიზო ჯღარკავას რამდენი ადამიანი ჰყავს გამწარებული?

— ვიცი. ისე, არც კახა აკლებს ხელს... აი, ახლაც, სხვის „კურტკაზე“ უჭირავს თვალი...

— აბა, ხელმრუდი მამისგან სასიკეთოს რას ისწავლიდა?! გიზო ახალგაზრდობაში ჯინსის შარვლებს იპარავდა და მერე ყიდდა!

— რას მეუბნები? მაღაზიიდან იპარავდა?

— მაშინ ჯინსს მაღაზიაში რა უნდოდა?! გადამყიდველებთან თუ იშოვიდი... გასაშრობად გაფენილს, პირდაპირ სარეცხი თოკიდან ხსნიდა...

— წარმოგიდგენია?!. ახლა კიდევ, პარლამენტში ზის და კანონებს გვიდგენს...

— აბა, სადაა სამართალი?! ეგ პარლამენტში უნდა იჯდეს და მამაშენი „კაპიკების“ საშოვნელად აქეთ-იქით დაწანწალებდეს?

— მამაჩემმა საკუთარ თავს დააბრალოს ყველაფერი... — ჩაიბურტყუნა დეამ და მაშინვე, ისევ ჯღარკავების თემას მიუბრუნდა: — ჰო, მართლა, იცი, ვისი „კურტკა“ მოსწონს ჯღარკავა-უმცროსს?

— ვისი?

— თემოს კლასელის... გახსოვს, რომ ახსენებდა — მთელი კლასი მათემატიკას გიორგი აბრამიძისგან ვიწერთო?..

— როგორ არ მახსოვს?.. ანგელოზივით ბიჭი იყო, ლამაზი, ჭკვიანი, ნიჭიერი... ახლა სად არის, რას აკეთებს?

— უნივერსიტეტში სწავლობს, მათემატიკურზე...

— კახა ჯღარკავამ საიდანღა გაიცნო?

— არ ვიცი... მაგრამ დღეს, ჩემ თვალწინაც კი აუხირდა და რომ არ ჩავრეულიყავი, ალბათ ჩხუბიც მოუვიდოდათ...

— ეს რა მითხარი?! შვილო, დეა, ის ბიჭი თუ სადმე ისევ ნახო, გააფრთხილე, ჯღარკავებს მოერიდოს, მათგან მართლა ყველანირი სისაძაგლეა მოსალოდნელი... ისე, მაინც რა „კურტკა“ აცვია ისეთი?

— არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ, კახას ბიჭებთან დაუქადნია — გავხდიო და...

ვახშმის შემდეგ, დეამ დედა, მეზობელი ქალის დახმარებით აბანავა, ქათქათა ლოგინში ჩააწვინა და საბანი საგულდაგულოდ ამოუკეცა:

— ახლა დაიძინე და აღარაფერზე იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება. ხვალ აფთიაქში გავივლი, დანარჩენ წამლებსაც გიყიდი და მკურნალობის სრულ კურსსაც ჩაიტარებ. ისე, რაც მართალია, მართალია — გურამის დატოვებულმა ფულმა სულზე მოგვისწრო...

— რაღაც მინდა გთხოვო... — მორიდებით დაიწყო ელენემ.

— რა იყო?

— იქნებ, ცოტა ფული თემურიკოსთვისაც მიგვეწოდებინა, დედა მოუკვდეს... ვიცი, თვითონ კი ძალიან იუარებს, მაგრამ ციხეში უფულო კაცს ათასი ხიფათი ემუქრება...

— კარგი, დედა. მომავალ კვირას აუცილებლად ვინახულებ და ფულსაც მივუტან, — დაამშვიდა დეამ.

— შენ კი, ახალი პალტოს ყიდვა არ გაწყენდა, ძველიდან უკვე ბავშვივით ამოიზარდე... — ისევ აწუწუნდა ელენე.

— არა უშავს. ამ ზამთარს როგორმე გავათრევ და მერე ვნახოთ...

— ჰო, შვილო, შემოგევლოს დედა, ცოტა კიდევ გაიჭირვე... ამასობაში, იქნებ, გადარეულმა ლონდამაც დაგვაყენოს საშველი და კაკოს მართლა აგირავებინოს ბინა. აი, მაშინ მართლა ამოვისუნთქავთ.

— ისე, ცოტა მეტი ფული რომ გვქონდეს, იცი, პირველ რიგში, რას გავაკეთებდი? — ეშმაკურად გაეღიმა დეას.

— მაინც რას? — დაინტერესდა ელენე.

— ჩვენს თემურიკოს გიგოლასავით ერთი ღამით მაინც გამოვიყვანდი ციხიდან და გაჩვენებდი...

— ეჰ, შვილო, აბა, ჩვენ მაგის თავი და შესაძლებლობა ვინ მოგვცა?!. — ამოიოხრა ქალბატონმა ელენემ.

— ისე, იქნებ, გიგოლასათვის გვეთხოვა დახმარება... ჰა, რას იტყვი?

— არც იფიქრო! — უყვირა ელენემ. — მაგ კაცის სახელის ხსენება არ იყოს ჩემს ოჯახში!

— არის! — მხედრულად გაეჭიმა დეა და ის იყო, თავადაც დასაწოლად მოემზადა, რომ კარზე ენერგიული კაკუნი გაისმა.

— ნეტავ, ვინ უნდა იყოს? — გული შიშით შეუხტა დეას.

— ნუ გეშინია, შვილო, — დაამშვიდა ელენემ. — ლონდა გადარეული იქნება, გასაღების წაღება დაავიწყდებოდა. მაგრამ მაინც ჰკითხე, ვინა ხარ-თქო, კარი ისე არ გააღო.

დეამ ღამის პერანგზე ხალათი მოიცვა და შემოსასვლელი კარის გასაღებად

გაემართა. ამასობაში კაკუნი ისევ განმეორდა.

— ვინ არის? — იკითხა დამფრთხალმა დეამ.

— მე ვარ, დეიკო, — მოისმა კარს იქით ლონდას ხმა.

დეამ საკეტი სწრაფად გადაატრიალა და როგორც კი კარი გამოაღო, ზღურბლზე სიცივისგან აკანკალებული ლონდა, მისი საყვარელი კაკო და კანონიერი ქურდი გიგოლა გამოჩნდნენ. გიგოლას დანახვაზე, დეამ ინსტინქტურად უკან დაიხია.

— დეიკო, სიცოცხლე, — სასწრაფოდ აკაკანდა ლონდა, — არ იფიქრო, გასაღები დამავიწყდა. უბრალოდ, კაკო და ბატონი გიგოლა მყავს სტუმრად და უნებართვოდ შემოსვლა მოგვერიდა. შეიძლება?

— მობრძანდით, — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად შეიპატიჟა მოსულები დეამ.

ლონდამ მაშინვე ოთახში ისკუპა და ჯერ კიდევ თბილ ელექტროქურას მიეფიცხა. კაკომ ჯერ მისალმების ნიშნად წაიბურტყუნა რაღაც, შემდეგ განზე გადგა და გზა გიგოლას დაუთმო, მაგრამ ეს უკანასკნელი ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

— მობრძანდით, — გაუმეორა დეამ.

დამფრთხალმა კაკომ ისევ გიგოლას გადახედა.

— გმადლობთ, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო გიგოლამ, შემდეგ კართან დაფენილ ტილოზე ფეხები გულმოდგინედ გაიწმინდა და ზღურბლს გადმოაბიჯა. გახარებული კაკო მას ძუნძულით მიჰყვა.

— დეა, ვინ არის? — საძინებლიდან გამოსძახა შვილს ელენემ.

— ლონდასთან არიან... — რაღაცნაირად, უხერხულად ჩაილაპარაკა დაბნეულმა დეამ და შემდეგ, კაკოს ისე გადახედა, თითქოს უნდოდა ეკითხა — ახლა რაღა ვქნაო?

მაგრამ დეაზე არანაკლებ დაბნეულმა კაკომ თვალები დამნაშავესავით დახარა. ბოლოს, სიტუაცია ისევ გიგოლამ განმუხტა:

— კაკო, უკვე ძალიან გვიანია, ამიტომ იქნებ, უთხრა შენს იმას... ლანდას, რომ თავისთან აგვიყვანოს...

— ბატონო გიგოლა, მე ლანდა კი არა — ლონდა მქვია! — სკამზე უკმაყოფილოდ შესწორდა ლონდა. — და სხვათა შორის...

— ლონდა იყოს... — სათქმელის დასრულება აღარ აცალა ლონდას გიგოლამ. — ოღონდ, ახლა წამოხტი, გოგონი, და წინ გაგვიძეხი, გასაგებია?

საბოლოოდ დაფეთებულმა კაკომ ლონდას თვალები გადაუბრიალა — რაღას უცდიო, — მაგრამ ფეხზე ფეხგადადებული ლონდა ადგილიდან მაინც ზლაზვნით წამოიწია და მეორე სართულზე ამავალ კიბეს ტანის გამომწვევი რხევით აუყვა. კაკო კი, ისევ განზე გადგა და მორჩილად შეხედა.

— შენც შენს „ნაშოჩკას“ აჰყევი, მე კი ქალბატონ დეასთან პატარა სალაპარაკო მაქვს და მერე დაგეწევით, — მიუგო გიგოლამ მხრებაწურულ კაკოს და მაშინვე დეას მიუბრუნდა...

კაკო კიბეს ძუნძულით აუყვა, გიგოლა კი დეას მიუბრუნდა:

— დედათქვენი როგორ არის, ქალბატონო დეა?

— გმადლობთ, არა უშავს... — მხრები უხერხულად აიწურა დეამ.

— ექიმები რას ამბობენ?

— რა ვიცი... ახალს არაფერს...

— დეა, ვის ელაპარაკები? — ისევ მოისმა საძინებლიდან ქალბატონი ელენეს ხმა. — ვინ არის მანდ?

— ხომ გითხარი, ლონდასთან არიან-მეთქი! — უპასუხა გაღიზიანებულმა დეამ დედას.

— კარგით, თავს აღარ შეგაწყენთ, მიხედეთ დედათქვენს... — სასწრაფოდ დაასრულა ლაპარაკი გიგოლამ და სანამ კიბეს აუყვებოდა, ერთხელ კიდევ შედგა, ჯიბიდან რაღაც ამოიღო და მაგიდაზე დადო:

— კინაღამ დამავიწყდა... რაღაცაში ალბათ ესეც წაგეშველებათ...

— ეს რა არის? — ღამის ნათურის მქრქალ შუქზე დეამ ვერაფრით გაარჩია, თუ გიგოლამ მაგიდაზე რა დადო.

— ისეთი არაფერი... ცოტა ფულია...

— ფული? — ხმა გაებზარა დეას. — ბატონო გიგოლა, ძალიან გთხოვთ...

— მეც ძალიან გთხოვთ, — გააწყვეტინა გიგოლამ, — ამ გროშების გამო ნუ ვიდავებთ. თანაც, ფულს გასართობად კი არა, ავადმყოფის სამკურნალოდ გიტოვებთ... ორ-სამ დღეში კი, იქნებ, რომელიმე ცნობილ ექიმსაც მოველაპარაკო და დედათქვენი ვაჩვენოთ...

— დიდი მადლობა, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, ასე რატომ წუხდებით? — გაოცება ვეღარ დაფარა დეამ.

— ვინ გითხრათ, რომ ვწუხდები? — ცივად გაეღიმა გიგოლას. — თქვენი დახმარება ჩემთვის მხოლოდ სიამოვნებაა.

ამის შემდეგ, გიგოლამ დეას თავი დაუკრა და კიბეზე აბიჯა. ერთხანს, დეა კიდევ უძრავად იდგა, შემდეგ მხრები აიჩეჩა და საძინებელში შევიდა.

— აბა, ახლავე მითხარი — ვინ მოიყვანა მაგ ტუტუცმა ამ შუაღამისას? — შვილის დანახვისთანავე იფეთქა ელენემ.

— კაკო და ვიღაც მისი ძმაკაცი, — მშვიდად მიუგო დეამ.

— რომელი ძმაკაცი? სახელი არა აქვს?

— თვითონ არ უთქვამს და მე ხომ არ ვკითხავდი, რა გქვია-მეთქი?.. — თვალები დამნაშავესავით დახარა დეამ.

— აბა, თვალებში შემომხედე და ისე მიპასუხე! — უბრძანა შვილს ელენემ.

— კარგი, რა, დედა, რა მოგივიდა?

— ვის ელაპარაკებოდი-მეთქი?

— კარგი, ბატონო, რაკი არ იშლი, გეტყვი, — წელში საგანგებოდ გასწორდა დეა და ელენეს თვალი თვალშიც ჯიქურ გაუყარა: — კანონიერ ქურდ გიგოლას ან შეიძლება, მის ორეულს — ეს კი, ზუსტად მართლა არ ვიცი... დაკმაყოფილდი?..

— ასეც ვიცოდი... — სიტყვებს გულიც კინაღამ თან ამოაყოლა ელენემ. — ყველაფერი წინასწარ ვიცოდი...

— ვერ გავიგე — მაინც რა იცოდი?

— რა და... თემოსთან რომ ციხეში გიშვებდი, ვგრძნობდი, რომ აუცილებლად რაღაც ხიფათს გადაეყრებოდი... მაგრამ თუ ეს ხიფათი სახლშიც ასე უცბად შემოგვივარდებოდა, მაინც არ მეგონა...

— კარგი, რა, დედა, ნუ აზვიადებ... ჯერ ერთი, ეგ კაცი ჩვენთან კი არა, ლონდასთან მოვიდა და მეორეც: ნამდვილად არაფერი უკადრებია... უბრალოდ, შენთვის კარგი ექიმის მოყვანა შემომთავაზა, ეს იყო და ეს... — გიგოლას მოცემულ ფულზე დეას რატომღაც არაფერი უთქვამს.

— გადაეცი, რომ მაგის მოყვანილი არავინ მჭირდება! — ისევ იფეთქა ელენემ. — გასაგებია შენთვის?

— გასაგებია. ყველაფერს სიტყვასიტყვით გადავცემ, ოღონდ ახლა დაწყნარდი, ძალიან გთხოვ... ხომ იცი, შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება...

— დეა, შვილო, — თვალზე ცრემლი მოადგა ელენეს, — გული რაღაც, ძალიან ცუდს მიგრძნობს, იცოდე...

— მე კი გეუბნები, აზვიადებ-მეთქი...

— ღმერთმა ქნას, მართლა ვაზვიადებდე... ახლა გადი, შემოსასვლელი კარი კარგად ჩაკეტე და დაწექი...

— კარი როგორ ჩავკეტო, როცა სტუმრები ჯერ არ წასულან...

— აბა, რა იქნნენ?

— ზემოთ ავიდნენ, ლონდასთან.

— ლონდა მაგას და ჯანდაბა! თუ ცოტა ჭკუას არ მოუხმო, ხვალვე აქედან გავამსერებ! — ისევ აბობოქრდა ელენე. — გაგონილა — უკაცო ოჯახში შუაღამისას კაცების მოყვანა?! ახლა, მოდი და

ელოდე, ეგ ყაჩაღები აქედან როდის წავ-ლენ... ტუტუცი ლონდას გადამკიდე, აღარც სიმშვიდე გვაქვს და აღარც მოსვენება...

სწორედ ამ დროს, კიბეზე ფეხის ხმა მოისმა.

— მგონი, უკვე მიდიან და იქნებ, ახლა მაინც დაისვენო... — ბუზღუნ-ზე გადავიდა გაღიზიანებული დეაც.

— მე კი ნუ მებუზღუნები, გადი და როგორც კი წაეთრე-ვიან, კარი საგულდაგულოდ გადარაზე!

— ცოტა ხმადაბლა, არ გაიგონონ... — შეშფოთდა დეა და სანამ ელენე კიდევ რამეს იტყოდა, საძინებლიდან სასწრაფოდ გამოვიდა და კიბეზე ტაატით ჩამომავალი გიგოლა დაინახა, რომელსაც უკან თავჩაქინდრული კაკო მოჰყვებოდა. ცოტა ხანში, კი-ბის თავში ლონდაც გამოი-ზლაზნა:

— დეიკო, კარს შენ ჩაკეტავ, ხომ? — ჩამოსძახა მან დეას.

— აუცილებლად, — მშვიდად უპასუხა დეამ.

— ბიჭო, კაკო, ვერ გამიგია, ყველა შენი ბოზი ზრდილობასთან მწყრალად რატომ არის? ამისთანა „მარგალიტებს“ მაინც სად პოულობ?.. — კბილებში გამოცრა გაღიზიანებულმა გიგოლამ.

— რა ვიცი, აბა... — წამოიკნავლა კაკომ და თან ჩუმად მუშტი მოუღერა ლონდას. პასუხად ლონდა კაკოს მხ-ოლოდ დაეჭყანა, ადგილიდან კი მაინც არ დაძრულა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო დეა, — თავაზიანად დაემშვიდობა დაბლა ჩასული გიგოლა დეას და თან, ცალი თვალით მაგიდისკენ გაიხედა, სადაც ფული ხელუხლებლად იდო. — იმედია, ჩემს თხოვნას გაითვალისწინებთ...

— დიახ... აუცილებლად, — რამდენა-დაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა დეამ, თუმცა, ისიც აშკარად იგრძნო, შიშით გული ყელში როგორ მოებჯინა.

მამაკაცების წასვლის შემდეგ, დეამ შემოსასვლელი კარი მართლაც საგულ-დაგულოდ გადარაზა და კიბის თავში, მოაჯირზე უშნოდ გადმოყუდებულ ლონ-დას გაღიზიანებით ასძახა:

— მართლა და მართლა, რას მიარჭე ფეხი? კარამდე ჩამოცილება რაღა იყო?

— ერთი მაგ ახვრების დედაც... — წაიბურტყუნა ლონდამ და კიბეზე დაეშ-ვა.

დეამ გიგოლას დანატოვარი ფული მაგიდიდან მაშინვე აიღო და იმის შიშით, ლონდამ არ დაინახოსო, ხალათის ჯიბე-ში ხელის კანკალით ჩაიტენა:

— რა იყო? ასე მაინც რით გაგაბრაზ-ეს, რომ კაცივით გინებაზეც გადახვედი?

— რითი? — მაგიდას შინაურულად მიუჯდა ლონდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და აკანკალებული ხელებით სიგარეტს ძლივსღა მოუკიდა: — ეგ მონა ეგა! მე მაგის...

— კაკოზე ამბობ?

— აბა, ვისზე?!. ეგეთი საყვარელი კი არა, ქმარიც არ მინდა! ახვარმა გიგოლამ ერთი თვალი გადაუბრიალა და ამანაც მაშინვე არ ჩაისვარა?!.

— მორჩი, რა, უზრდელობას და დალაგე-ბულად ამიხსენი, რა მოხდა? — გაღიზი-ანდა დეაც.

— რა მოხდა და დღეს კაკოს უნდა შევხვედროდი, აქ მომეყვანა და ელიჩკა დეიდასთან ბინის საკითხი საბოლოოდ გადაგვეწყვიტა... ამ დამპალმა კიდე, „სტრელკაზე“ გიგოლაც არ დამახვედრა?! რაღას ვიზამდი? — ავდექი და ეგეც დავ-პატიჟე...

— ...და ამით დედაჩემი ისე გააცოფე, რომ სერიოზული ლექციის წაკითხვასაც გიპირებს...

— მოიცა, რა, დეა, რა დროს ელიჩკა დეიდას ლექციებია?! მგონი, ისევ უსახ-ლკაროდ ვრჩები...

— საიდან მოიტანე?

— საიდან და გიგოლამ კაკო გააფრთხ-ილა: ამ სახლის დაგირავებაზე არც იფიქროო...

— კი, მაგრამ გიგოლას ჩვე-ნი სახლის დაგირავებას ვინ ჰკითხავს?

— რა ვიცი აბა?!. შეიძლე-ბა, თქვენი სახლის ამბავს მარ-თლა არავინ ჰკითხავს, მა-გრამ კაკო რომ გიგოლას სი-ტყვას არ გადავა, ეს ნაღდია. იცი, როგორ ძაღლივით მიელაქუცა — როგორც შენ იტყვი, ისე იქნებაო?.. კინაღამ გული ამერია...

— მერე შენ რაღას გიპირებს?

— მე ცალ ფეხზე არ ვკიდივარ?!

— კიდევ რაზე ილაპარ-აკეს?

— მეტი არაფერზე... გიგო-ლამ უთხრა: დანარჩენზე მარტო ვიბაზრებთო... არა, არა... ისევ ქუჩა-ში რომ დავრჩე, ნამდვილად გავაფრენ!

— ნუ გეშინია, არ დარჩები! — მტ-კიცედ მიუგო დეამ და ისე საგანგებოდ გასწორდა წელში, თითქოს ვიღაცასთან საომრად ემზადებაო.

— კი, მაგრამ როგორ?.. ვინ მიშვე-ლის?

— ვინ და მე!

— შე-ენ? — თვალები ჭყიტა ლონდამ. — გოგო, დეა, ხომ არ გაუბერე?! იცი, გიგოლა ვინ არის?

— ვიცი! მაგრამ ამაზე ხვალ ვილა-პარაკოთ, ახლა ძალიან მეძინება, — უპა-სუხა დეამ და სანამ ლონდა კიდევ რა-მის თქმას მოასწრებდა, საძინებელში გავი-და და კარი მჭიდროდ მოხურა...

მეორე დღეს, ლექციებზე წასვლამდე, დეამ „ივერიელში“ შეირბინა და რედაქ-ტორისგან ახალი დავალება მიიღო. შემ-დეგ, რედაქტორის პირად მდივანს, მაიკოს წაეჭორავა და ის იყო, წასასვლელად მოემზადა, რომ რედაქციის მისაღების კარი ვიღაცამ კი არ შემოაღო — კინაღამ შემოგლიჯა — და ზღურბლზე დეას თანაკურსელი ანა მხეიძე გამოჩნდა, რომელ-იც სულს ძლივს ითქვამდა და ცრემ-ლებიც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა...

— ანა, რა მოხდა? — თითქმის ერთად შეჰყვირეს შეშინებულმა დეამ და მაიკომ.

— კახამ... კახა ჯღარკავამ უნივერ-სიტეტის წინ ვიღაც ბიჭი მოკლა!.. — ამოიკვნესა ანამ და კედელთან ჩამწკრივე-ბული სკამებიდან ერთ-ერთზე მოწყვეტით დაეშვა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ანგლო-ქურთულ-თურქული დაპირისპირება სანდერლენდში

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ეხსომებათ უეფას თასის გათამაშების „გალათასარაი“-„ლიდსის“ ავადმოსაგონარი მატჩი სტამბოლში, რომლის დაწყებამდეც, თურქ და ინგლისელ ქომაგებს შორის მომხდარი შეტაკებისას ბრიტანელი ფანი დაიღუპა. მას შემდეგ თურქი და ალბიონელი გულშემატკივრები ერთმანეთის დაუძინებელი მტრები არიან, რაც, ცხადია, დიდ პრობლემებს უქმნის იმ ქალაქის სამართალდამცავ ორგანოებს, რომელშიც ამ ორი ქვეყნის გუნდებს უწევთ თამაში. ამას წინათ, სანდერლენდში გამართული ინგლის-თურქეთის მატჩის წინ, თავიანთ სამხრეთელ კოლეგებს მოუთმენლად ელოდნენ ინგლისელი ფანები, რომლებსაც ადგილობრივი ქურთებიც შეუერთდნენ და წარსულის გამო თურქებზე შურისძიებას გეგმავდნენ. ქურთებმა ავტობუსებზე მიიტანეს იერიში, ხოლო ინგლისელებმა ბოთლები დაუშინეს პოლიციელებს. საბედნიეროდ, წესრიგის დამცველებმა უმსხვერპლოდ მოახერხეს ინციდენტის აღკვეთა და 96 შფოთისთავის დაპატიმრება.

დიდა შეიძლება ციხეში აღმოჩნდეს

„მილანის“ ბრაზილიელ გოლკიპერს, დიდას შვიდთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ მან პორტუგალიური პასპორტის მისაღებად ყალბი დოკუმენტები წარადგინა. მისდა სასიკეთოდ, იტალიური კანონმდებლობის თანახმად, დიდას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღუკვეთენ თავისუფლებას, თუ უახლოესი 5 წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდენს რაიმე დანაშაულს. სხვათა შორის, დიდა პირველი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი არ არის, რომელიც ყალბი საბუთების გამო დააკავეს. მანამდე ამგვარ საქმიანობაში ხუან სებასტიან ვერონი და ალვარო რეკობა ამხილეს.

ბატიგოლმა ჯაპელოს ცოდვები გაუხსენა

არგენტინელი ფორვარდი, გაბრიელ ბატისტუტა ამბობს, რომ „რომადან“ უმთავრესად, კლუბის მთავარი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს გამო წავიდა. „პირველი ორი წლის განმავლობაში კაპელო თამაშის საშუალებას მაძლევდა, შემდეგ კი, სათადარიგოთა სკამზე გამამწესა. რატომ წამართვა მან იმის საშუალება, რომ ჩემი შესაძლებლობები ყველასთვის დამემტკიცებინა?!“ ბატისტუტა მის წინაშე ახალ კლუბში – „ინტერში“ შექმნილ პრობლემებსაც შეეხო და გულწრფელად თქვა: „ჯერჯერობით საქმე კარგად არ მიმდის. გულშემატკივრები ჩემგან გოლს ელოდებიან, მე კი ამჟამად ეს არ შემიძლია. ღმერთმა ქნას, რომ ისინი მალე გავახარო!“ „რომაელთა“ თავკაცმა კი, სამხრეთამერიკელ ვარსკვლავს ლაკონიურად უპასუხა: „მისი ბრალდებები უსაფუძვლოა. იმისთვის, რომ რაიმე დაამტკიცო, სურვილისა და სტაბილურობის დემონსტრირებაა საჭირო. გაბრიელს არც ერთი ეს თვისება არ ახასიათებს.“

ფეხბურთის მოყვარული გოჯი

სასაცილო სიტუაცია შეიქმნა ავსტრიის თასის გათამაშების ერთ-ერთ მეოთხედფინალურ შეხვედრაში: მატჩის 83-ე წუთზე, რომელშიც ერთმანეთს „ვატენ ვაკერი“ და „ზალცბურგი“ ხვდებოდნენ, ადგილობრივი სტადიონის – „ინსბრუკ ტივოლის“ მოედანზე მოულოდნელად გოჯი გამოვარდა, რის გამოც თამაში გარკვეული ხნით შეჩერდა. ამის შემდეგ მთელი 20 წუთის განმავლობაში სტადიონის მომსახურე პერსონალი უშედეგოდ ცდილობდა დაუპატიჟებელი სტუმრის შეპყრობას, რომელიც პუბლიკის მხრიდან მისდამი დიდი ყურადღების გამოჩენის გამო, ცოტა არ იყოს, შეშინებული ჩანდა. მალე, საცოდავი ცხოველის შესაპყრობად „კოალიციაში“ თავად ფეხბურთელებიც ჩაებნენ. ყველაზე მოხერხებული, როგორც მოსალოდნელი იყო, მეკარე აღმოჩნდა, რომელმაც ზუსტი ნახტომით შეიპყრო შეცბუნებული გოჯი. თერთმეტი ათასი ქომაგის ღრიანცელის ფონზე, ფეხბურთის მოყვარული გოჯი ბადრაგის თანხლებით გააბრძანეს სტადიონიდან და უახლოეს ფერმაში გაამწესეს.

ძვლების მტვრეველ სტოიჩკოვს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევს

ბულგარეთის ნაკრების ყოფილი მთამაშე, ხრისტო სტოიჩკოვი, რომელიც ამჟამად აშშ-ში ასპარეზობს, თავისი გუნდის – „დი. სი. იუნაიტედის“ პირველ ორ თამაშს გამოტოვებს MLS-ის ჩემპიონატში. დისკვალიფიკაციის გარდა, ბულგარელი ფეხბურთის ვარსკვლავი 2.000 დოლარითაც დააჯარიმეს, რადგან მან ერთ-ერთ შეხვედრაში მეტოქეს მარჯვენა ფეხის ორი ძვალი მოსტეხა.

გრაფი საიდუმლოდ ვარჯიშობს

ოფიციალურად ჯერჯერობით არავითარი განცხადება არ გაკეთებულა, მაგრამ გერმანულ პრესაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შტეფი გრაფი ჩუმ-ჩუმად ვარჯიშობს და წყვილთა ტურნირებში თავის მეუღლესთან, ანდრე აგასისთან ერთად საასპარ-ეზოდ ემზადება. გრაფის ნაცნობის, ბერლინის საჩოგბურთო ტურნირის დირექტორის, ებერჰარტ ვენსკის თქმით, „შტეფი ძალიან სერიოზულად ეკიდება ამ ამბავს. ის ყოველ-დღე ვარჯიშობს და საკუთარ თავზე მუშაობს“. ჭორების მოყვარულმა ზოგიერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა კი, უკვე გამოითვალა კიდეც, თუ როდის შეიძლება საჩოგბურთო სამყაროს კორტზე იხილოს ვარსკვლავური წყვილი. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდება, შესაძლებელია, აგასი-გრაფი უკვე მაისში, პარიზის ტურნირზეც ვიხილოთ. სხვათა შორის, მათ სწორედ ამ ქალაქში იქორწინეს 1999 წლის მაისში და მას შემდეგ სამაგალითო ცოლ-ქმრის სახელით სარგებლობენ. ■

წითელი მარნი „ფორმულა–1“–ში კიდევ 21 წლით დარჩება

მიხაელ შუმახერმა განაცხადა, რომ „ფორ-მულა-1“-ს არ მიატოვებს, ვიდრე „სამეფო რბოლებ-ის“ ყველა რეკორდს არ გაუმჯობესებს. „წითე-ლი ბარონი“ მიიჩნევს, რომ სრული ბედნიერებ-ისათვის „ფორმულა-1“-ის ისტორიაში გრან-პრიზე მოასპარეზე სპორტსმენებს შორის ყველაზე ხანდაზმული პილოტის სახელიც უნდა დაიმკვიდროს. „მე უკვე დავამყარე ყველა რეკორდი „ფორმულა-1“-ში და რადგანაც რბოლები და გამარჯვებები კვლავაც მანიჭებს სია-მოვნებას, გადავწყვიტე, რომ ფრანგი ლუი-ალექსანდრ შირონის მიღწევა გავაუმჯობესო, რომელმაც გრან-პრიში მონაწილეობა 55 წლის ასაკში მიიღო“, – განაცხადა The Sun-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა. ასე რომ, ავტოსპორტის მოყვარულები კიდევ 21 წლის განმავლობაში მიადევნებენ თვალს შუმახერ-უფროსის ასპარეზობას. „არც გაკვირვებულები ვართ და ძალიანაც გაგვახარა ჩვენი პილო-ტის გადაწყვეტილებამ, – ამბობს Ferrari-ს ბოსი, ჟან ტოდტი, – ადრეც ვთავაზობდით მიხაელს, რომ მას კონტრაქტი გუნდ-თან იმდენ ხანს გაეგრძელებინა, რამდენ ხანსაც თავად ისურ-ვებდა, მაგრამ არ გვეგონა, რომ ის ამდენი ხნით კარიერის გაგრძელებას ისურვებდა“... შეგახსენებთ, რომ ამჟამად, შუმახ-ერი რეკორდსმენია მოგებული გრან-პრის (64), ჩემპიონატების (5), მოპოვებული ქულების (953), წრის შემოვლის სისწრაფის (52) და ლიდერის პოზიციაზე ყოფნის (3535) რაოდენობათა მიხედვით. კიდევ 21 წლის მანძილზე კი, წითელი ბარონი უთუოდ გაუმჯობესებს გრან-პრიზე ასპარეზობათა რაოდენო-ბის, რიკარდო პატრეზეს მიერ დამყარებულ რეკორდს (256). იმასაც გაცნობებთ, რომ დღემდე შუმის 180 გრან-პრიში აქვს მონაწილეობა მიღებული. ■

მერიონ ჯონსი მედნიერია

მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელსაც ზაფხულში პარიზმა უნდა უმასპინძლოს, ამერიკელი ვარსკვლავის, მერიონ ჯონსის გარეშე ჩაივლის. ამის შესახებ სპრინტში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავად განუცხადა გაზეთ „ლოს-ანჯე-ლეს თაიმსის“ კორესპონდენტს და საპატიო მიზეზიც დაასახ-ელა. საქმე ის გახლავთ, რომ ივლისში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, ჯონსმა უნდა იმშობი-აროს. 27 წლის სპორტსმენი ქა-ლის თქმით, ის და მისი ქმარი – 100-მეტრიან დისტანციაზე მსოფ-ლიო რეკორდსმენი ტიმ მონტ-გომერი უზომოდ ბედნიერები არი-ან, მათ ცხოვრებაში მომხდარი სიახლის გამო. „ჩემი ნატვრა ყოველთვის ის იყო, რომ ნორ-მალური ოჯახი მქონოდა,“ – დასძენს ჯონსი, რომლის დებიუ-ტიც ოლიმპიურ თამაშებზე 2000 წელს, სიდნეიში შედგა. მაშინ მან ხუთი მედალი მოიპოვა, მათ შორის, სამი – ოქროსი: 100 და 200 მეტრ დისტანციასა და 4X400 მ-ზე ესტაფეტაში. 2002 წლის სეზონში კი, მერიონს 100, 200 და 400 მეტრის დისტან-ციაზე 21 გარბენში არ წაუგია. ამერიკელმა მძლეოსანმა ისიც განაცხადა, რომ ათენის ოლიმპიადისათვის მზადებას, წლის მიწურულს შეუდგება. „ბავშვის დაბადების პერიოდი იდე-ალურია ჩემთვის, რადგან 2004 წლის ოლიმპიური თამაშები-სთვის მოსამზადებლად საკმარისი დრო მექნება“, – განაცხადა მერიონ ჯონსმა. ■

აგილერას გიგანტი სპორტსმენემი მოსწონს

ბოლო დროს, ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ პოპ-ვარსკვლავი კრის-ტინა აგილერა შოუბიზნესში მოღ-ვაწე მამაკაცებით ვეღარ კმაყოფი-ლდება და ახლა, სპორტსმენებზე „მიიტანა იერიში“, უპირატესობას კი, ახოვან ვაჟებს ანიჭებს. თავიდან მომღერალი ბეისბოლისტებითა და ფრენბურთელებით იყო გატაცებუ-ლი. შეგახსენებთ, რომ 2000 წელს, აგილერამ სიდნეის ოლიმპიადაზე ჰიმნი შეასრულა, რის შემდეგაც NBA-თიც დაინტერესდა. კრისტი-ნამ სარეკლამო კომპანია Love it Live-ში მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ კი, თურმე ისეთივე ცხოვრებას მიჰყო ხელი, როგორიც ხშირად,მის კლიპებშია ნაჩვენები: მას ხან ერთ კალათბურთელთან ჩახუტებულს აფიქსირებდნენ და ხანაც მეორესთან. მკითხ-ველისთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ის, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა ეროტიკული ვიდეოკლიპის გადაღება შაკილ ო`ნილის, მაიკლ ჯორდანისა და სხვა გიგანტი კალათბურთელების გარემოცვაში... სხვათა შორის, სკანდალური ვიდეორგოლის პრემიერა უკვე შედგა კიდეც 6 აპრილის, „ვაშ-ინგტონ“-„ბოსტონის“ მატჩზე. ■

ოთხთვლიანი „დათუნია"

კორპორაცია General Motors-ში შემავალმა, გერმანულმა კომპანია Opel-მა წარმოებისთვის მოამზადა მინივენის სპეციალური მოდელი Agila Haribo. საინტერესოა, რომ „ოქროს დათუნია" Haribo ერთ-ერთი გერმანული ტელეკომპანიის პერსონაჟია. პოლონეთის ქალაქ გლივიცაში მდებარე, „ოპელის" ქარხნის ნაწარმი ავტომობილი აღჭურვილია უკვე კარგად ნაცადი, ბენზინის ძრავათი – Ecotec, რომლის სამუშაო მოცულობა 1,2 ლ, ხოლო სიმძლავრე 75 ცხ.ძ-ა. გამონაბოლქვის ტოქსიკურობით ის უმკაცრეს სტანდარტს – Euro-4-ს აკმაყოფილებს. კომპლექტაციაში შედის: კონდიციონერი, მინების ელექტრონული ამწეები, დისტანციური მართვით აღჭურვილი, ცენტრალური საკეტი, ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქები და 14-დუიმიანი, ე.წ. ნადნობი საბორბლე დისკები. Haribo აღიჭურვება აგრეთვე უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშებით, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და საჭის გამაძლიერებლით. აღსანიშნავია, რომ მანქანის ყველა ეგზემპლარი ოქროსფერი მეტალიკის ფერისაა, სალონი კი ლურჯი აქვს. დილერების აზრით, ძალზედ მოხდენილი და ამავე დროს ორიგინალური მინივენი განსაკუთრებით ქალბატონებს უნდა მოუვიდეთ თვალში. და კიდევ ერთი დეტალი: ამ ავტომობილის თითოეული მყიდველი ფირმისაგან მიიღებს: 30-სანტიმეტრიან დათუნია-თოჯინას, ელეგანტურ ქოლგასა და სპეციალურ ბრელოკს. მანქანის სერია ლიმიტირებულია, მისი ფასი კი 13.495 ევროს შეადგენს. ■

Audi-ს სამთო ყველგანმავალი

წლის დამდეგს, გერმანულმა კომპანიამ ავტომოყვარულთა სამსჯავროზე კონცეპტუალური მოდელი – Pikes Peak Quattro გამოიტანა. მას კოლორადოს შტატში მდებარე მწვერვალის სახელი შეარქვეს, რადგან იმ მიდამოებში სისტემატურად იმართება სამთო-საავტომობილო შეჯიბრებები და არ რალიში „აუდის" ავტომანქანებს უკვე სამჯერ გაუმარჯვია.

კომპანიის ახალი ნიმუში „აუდის" იმ კურსის გაგრძელების დამადასტურებელია, რომელიც სრულამძრავიანი ავტომობილების შექმნას ემსახურება. ამ მოდელებში საუცხოოდაა შერწყმული ბიზნეს-კლასის კომფორტულობა და ყველგანმავლის ტექნიკური ღირსებები. Pikes Peak Quattro ამ ოჯახის ტიპური წარმომადგენელია. ძრავას ის სპორტულ მოდელს – Audi RS 6-ს დაესესხა. 8-ცილინდრიანი, ტურბოდაბერვიანი აგრეგატი 500 ცხ.ძ. სიმძლავრესა და 250 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარემდე კი, სულ რაღაც 5 წმ-ში „გაარბენინებს" მანქანას. ამაზე ოდნავ უკეთესი დინამიკურობით მხოლოდ Porsche Cayenne Turbo გამოირჩევა.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი კვანძი – კერძოდ ჩარჩო, საკიდარი და ტრანსმისია – კონცეპტ-ავტოს სერიული ყველგანმავლის – Volkswagen Touareg-ისგან აქვს ნასესხები. საკიდარი პნევმატურია და სიმაღლეზე რეგულირებადია. რაც შეეხება სალონს – ის „აუდის" საუკეთესო ტრადიციების შესაბამისადაა შესრულებული, საუცხოო გემოვნებითა და სისადავით გამოირჩევა. მოხდენილი ჩანართების დამზადებისას გამოყენებულია ალუმინი და ხის ძვირად ღირებული ჯიშები. მარჯვენა სარკეში ჩამონტაჟებულია მინიატურული ვიდეოკამერა, რომლის ობიექტივი წინა მარჯვენა ბორბლისკენაა მიმართული; მისი გამოსახულება, ხელსაწყოთა პანელზე მოთავსებულ დისპლეიზე მოდის და ამგვარად, მძღოლს საშუალება ეძლევა, მუდმივად აკონტროლოს ე.წ. მკვდარი ზონა, რაც საიმედოობის შეგრძნებას მატებს მას მთაგორიან მოსახვევებში მოძრაობისას.

გადაწყვეტილება კონცეპტის სერიულ წარმოებაში ჩაშვების თაობაზე უკვე მიღებულია: Audi Pikes Peak Quattro ავტობაზარზე 2004 წელს გამოჩნდება. ■

მოდერნიზებული Subaru

ევროპის საავტომობილო ბაზარზე Subaru Impreza-ს განახლებული მოდელი გამოდის. მოდერნიზაცია ძირითადად, სავალ ნაწილსა და ძრავას შეეხო: ახალ მოდიფიკაციაზე, რომელსაც Subaru WRX ჰქვია, აგრეგატის სიმძლავრე 225 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. 100 კმ/სთ სიჩქარეს ეს მოდელი 5,9 წმ-ში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 232 კმ/სთ-ს აღწევს. მეორე მოდიფიკაცია – Subaru WRX STI, 265 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი იქნება აღჭურვილი, 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,5 წმ-ში განავითარებს, მაქსიმალური სიჩქარე კი 244 კმ/სთ ექნება.

გარეგნულად კომპაქტური Impreza თითქმის არ შეცვლილა: წინა ფრთები ოდნავ უფრო მასიური გაუხდა, მაშუქები კი – გაიზარდა. კორექტივები განიცადა მანქანის საკიდრის მახასიათებლებმა. კომპაქტური Subaru Impreza მკვეთრად გამოხატული, სპორტული ხასიათის ავტომობილია: მახვილი ვირაჟების გავლისას ამ მანქანის მდგრადობა არაერთგზის გამოსცადეს სხვადასხვა პრესტიჟული რალის მონაწილეებმა და მომსწრეებმა. ეს საუცხოო თვისება კი, სრული ამძრავის, ძარისა და საკიდრის არაჩვეულებრივი კონსტრუქციის წყალობითაა მიღწეული.

ექსპერტთა აზრით, ორივე ახალი მოდიფიკაცია, ფასების თვალსაზრისითაც ძალზედ მიმზიდველი იქნება ავტომოყვარულთათვის: WRX-ის მინიმალური ფასი 29.250 იქნება, ხოლო WRX STI –38.150 ევრო ეღირება. ■

„ქუვიანი" გადაცემათა ყოლოფი

Volkswagen-ის ჯგუფში შემავალი კომპანია „აუდის" კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს როდსტერი Z 4, რომელიც მალე გამოჩნდება ევროპის ავტობაზრებზე და შესაძლოა, შეავიწროოს თავისი ძირითადი კონკურენტი BMW. წლევანდელი ზაფხულისთვის ორი მოდელი – TT და TT Roadster მოხვდება სავაჭრო ქსელში. კომპანიის ამ ნიმუშებს აერთიანებს 6-ცილინდრიანი, V ტიპის ძრავა, რომლის სამუშაო მოცულობა 3,2 ლ-ს შეადგენს და 250 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ამ მანქანებში აქცენტი დინამიკასა და სისწრაფეზეა გადატანილი. ახალი TT, 250 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს განავითარებს (ის ელექტრონული შემზღუდავით იქნება აღჭურვილი, ისე კი, სპიდომეტრი 280 კმ/სთ-ს აფიქსირებს), 100 კმ/სთ-ს კი – 6,4 წმ-ში.

რაც შეეხება Audi TT-ს მთავარ კოზირს – ეს სპორტული კოლოფი DSG-ა, რომელიც პირველად, რალისთვის გათვალისწინებულ მანქანაში – Audi Sport Quattro – გამოიყენეს. ახლა მას სერიულად აწარმოებენ და TT-ს გარდა,Volkswagen R 32-შიც გამოიყენებენ. მისი თავისებურება ის გახლავთ, რომ გადაცემათა გადართვის კორექტირება ელექტრონიკის მეშვეობით ხდება, მძღოლის არჩევანის შესაბამისად. მექნიკური რეჟიმის შემთხვევაში, გადაცემათა გადართვა, საჭეზე მოთავსებული „ფოთლების" მეშვეობით მოხდება.

გარეგნულად TT 3,2 მასიური წინა და უკანა სპოილერებით გამოირჩევა. ის აღჭურვილია ქსენონის მაშუქებით, უსაფრთხოების 4 ბალიშით და კლიმატ-კონტროლიანი კონდიციონერით. TT Roadster-ისთვის გათვალისწინებულია აგრეთვე, სახურავის დასაკეცად განკუთვნილი, ელექტროჰიდრავლიკური ამძრავი. ახალი TT-ს ფასები უკვე გამოცხადებულია: TT Coupe-ს მინიმალური ფასი 41.200, TT Roadster-ისა კი – 44.000 ევრო იქნება. ■

ამერიკა – ქვეყანა, სადაც ყველაზე კარგი მეგობარი... ფულია!

აკაკი გეგენავა

თუ ჩემს ამერიკულ დღიურებს ადევნებდით თვალს, ალბათ გეხსომებათ, რომ დიდი შრომისა და წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მიზანს მივაღწიე – ამერიკული მართვის მოწმობა ავიღე. უფრო მეტიც: ერთი მშვენიერი აგენტი გოგონას ხმამ სატვირთო გადაზიდვების კომპანიაში მიმიყვანა. ამ კომპანიის წევრიც გავხდი და ხვალ უკვე დაიწყება ჩემი პირველი სამუშაო დღე Allpoint Amerika-ში (ასე ჰქვია კომპანიას)...

გლორია და შტატების რუკა

მთელი დღე ვერ მოვისვენე. როგორი საქმეა – საკმაოდ ცნობილ ამერიკულ კომპანიაში ვიწყებ მუშაობას! გუშინ კიდევ ერთხელ შევიარე კომპანიაში (სიტუაციის დასაზვერად). სოლიდური ორგანიზაციაა, 200-ზე მეტი კაცია აქ დასაქმებული. დიდი, სამსართულიანი შენობის უმეტესი ნაწილი საწყობებს უკავია, სადაც კლიენტები ინახავენ ავეჯს, კომპიუტერულ და აუდიო-ვიდეოაპარატურას, ათასგვარ საოჯახო ნივთს. ადმინისტრაციულ სექტორში ოცამდე თანამშრომელია, უმეტესად – ახალგაზრდა გოგონები. ჩვენთვის ნაცნობი, შავკანიანი, საოცრად მომხიბვლელი ლანაც აქ არის, ჯგუფის მენეჯერია. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ლანას, ისევე, როგორც აქ მომუშავე სხვა გოგონებს, ორი „ნიღაბი“ აქვს: როცა საქმე სამუშაოს ეხება (ვთქვათ, კლიენტს ან ჩემსავით ადგილის მაძიებელს), ლანა ალერსიანიცაა, ყურადღებიანიც და სექსუალურიც. მაგრამ საქმის მიღმა, ცივი, უყურადღებო და უკარება ხდება... რას იზამ – ესეც ამერიკული ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

თუმცა, ამას ვერ ვიტყვით გლორიაზე – ჩემს დიდი ხნის ნაცნობ, ცისფერთვალება ბიბლიოთეკარზე, რომელმაც ბრუკლინში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე, თითქოს ის სიცარიელე შემივსო, რომელსაც ახლობლების მონატრება ჰქვია.

ჰოდა, ამჯერადაც გლორიას მივაკითხე. გაუკვირდა – ამდენ ხანს რომ არ გამოჩნდი, ვიფიქრე, სამშობლოში გაემგზავრაო.

როცა ყველაფერი ვუამბე, ძალიან გაიხარა, წარმატება მომილოცა და გამომცდელად შემომხედა: მაგრძნობინა – მხოლოდ ჩემს სანახავად არ მოხვიდოდი და დროზე მითხარი, რაში გჭირდება დახმარებაო?..

მეც ამოვღერღე:

– გლორია, სკოლაში გეოგრაფიას კარგად კი ვსწავლობდი, მაგრამ ამერიკის შესახებ ბევრს არაფერს „გვიმხელდნენ“. რაც ვიცი, ისიც წიგნების წყალობით. ხვალიდან სატვირთო გადაზიდვების კომპანიაში ვიწყებ მუშაობას. შეიძლება სხვადასხვა შტატში მომიწიოს მოგზაურობამ...

– ...შტატების რუკა კი, არ გაქვს, ხომ? – მიმიხვდა გლორია.

– არც რუკა მაქვს და თანაც ახლა, არც ინგლისურიდან რაიმის თარგმნა შემიძლია და იქნებ, რომელიმე რუსულენოვანი გამოცემა მომიძებნო...

ეტყობა, ისეთი საცოდავი გამომეტყველება მქონდა, რომ გლორიამ ხელი მზრუნველად ჩამკიდა, ერთ-ერთ მაგიდასთან დამსვა, გამიღიმა და მითხრა: დამელოდე, ახლავე გიშველიო.

მართლაც, რამდენიმე წუთში, ჩემს მაგიდაზე ერთ-ერთი ილუსტრირებული საბჭოთა გამოცემა იდო. „Страны и народы“-ს ამ ტომში ლამის ყველაფერი ეწერა ამერიკის შეერთებულ შტატებზე (მართალია, ტენდენციურად, „კომუნისტურად“, მაგრამ მაინც საინტერესოდ).

...ესეც შტატების რუკა. მე ნიუ-იორკის შტატში ვიმყოფები, აქედან სულ ახლოსაა ვერმონტის, მასაჩუსეტსის, პენსილვანიის, ოჰაიოს, კონეკტიკუტის შტატები... შეიძლება ბედმა გამიღიმოს და ამერიკის დედაქალაქშიც ამოვყო თავი... თუმცა, გული დამწყდა, კალიფორნია და არიზონა ლამის ქვეყნის დასალიერს რომ „აღმოვაჩინე“. მომიწევდა კი ამ შტატებში მოგზაურობა?.. მოკლედ, ამ წიგნის თვალიერებით ისე გავერთე, რომ ვერც შევნიშნე, როგორ შემომაღამდა.

...თავს გლორია მადგა, იცინოდა და თავის ქმარს, რომელიც ლამის ყოველდღე აკითხავდა სამუშაო დღის ბოლოს, რაღაცას უხსნიდა. მივხვდი, ჩემზე საუბრობდნენ. წამოვდექი, „სიძეს“ თავაზიანად მივესალმე და წასასვლელად გავემზადე. მაგრამ თურმე სიურპრიზი მელოდა: გლორიამ კომპიუტერიდან ამობეჭდილი, შტატების შავ-თეთრი, მინიატურული რუკა მისახსოვრა...

ბიბლიოთეკიდან სამივენი ერთად გამოვედით და ჩვენ-ჩვენს გზას დავადექით. ქმარმა წელზე მოხვია ხელი გლორიას და ისე წაიყვანა. ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს, ლამაზი წყვილი იყო. ახლაღა შევამჩნიე, რომ გლორიას მუცელი წამოზრდოდა....

ისევ კომპანიის შესახებ

Allpoint Amerika-ს ავტოფარეხში 20-მდე დიდი ტრაილერი და ორი ამდენი, სხვადასხვა გაბარიტის სატვირთო ავტომობილი იდგა. შავ სამუშაოს, მუშებთან ერთად, მძღოლებიც ასრულებდნენ. აქაც, ისევე, როგორც მთელ ამერიკაში, ინტერნაციონალური კოლექტივი იყო, რასაც თავისებური ხიბლი ჰქონდა.

კომპანია ორი მიმართულებით მუშაობდა: პირველი გახლდათ ადგილობრივი გადაზიდვები. ეს იმას ნიშნავდა, რომ სხვადასხვა ტვირთი ნიუ-იორკსა და მის შემოგარენში უნდა გვეტარებინა. ამ შემთხვევაში, რეისი ერთდღიანი იყო. მანძილი იშვიათად თუ გასცდებოდა 100 მილს (140-მდე კმ-ს). თითქოს ამაში საინტერესო არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სრულიადაც არა! ადგილობრივმა გადაზიდვებმა ნიუ-იორკის ისეთ ეგზოტიკურ ადგილებშიც კი მომახვედრა, რომ გასახსენებლად ალბათ მთელი სიცოცხლეც არ მეყოფა. თანაც, ისე შევისწავლე ქალაქის ქუჩები, რომ ამ მხრივ მკვიდრ ნიუ-იორკელსაც არ ჩამოვრჩებოდი.

მეორე მიმართულება იყო შორეული რეისები. ამ დროს, ზოგჯერ თვეობით არ ვბრუნდებოდი ნიუ-იორკში — ამერიკის სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკვე „გაშინაურებული“ დავატარებდი უზარმაზარ ტრაილერს.

ერთი სიტყვით, ერთი გასროლით ორი ჩიტი დავიჭირე — კიდეც ვმუშაობდი და კიდეც ვმოგზაურობდი. მართალია, ზოგჯერ ისე საშინლად ვიღლებოდი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ ის ვნებათაღელვა და სიხარული, რაც ჩემს ორიგინალურ მოგზაურობას ახლდა თან, ყველაფერს მავიწყებდა...

გურჯი ვარ, ეფენდი, გურჯი!

Allpoint Amerika-ში ჩემს პირველ სამუშაო დღეს, დათქმულ დროზე ნახევარი საათით ადრე გამოვცხადდი. ავტოფარეხის ტერიტორიაზე მძიმე სატვირთო მანქანების ძრავების ხმაურს მიჰქონდა ყველაფერი. მძღოლები და მუშები მხიარული შეძახილებით ხტებოდნენ კაბინებში და ეზოს ტოვებდნენ...

იქითკენ წავედი, სადაც კომპანიის პრეზიდენტი, ედმონდი შევნიშნე, რომელიც სამ ახალგაზრდა მამაკაცს ესაუბრებოდა და ისინიც დიდი გულისყურით უსმენდნენ. ეტყობოდა, ბოსი მითითებებს იძლეოდა.

— ყოჩაღ! ჩანს, დაგვიანება არ გიყვარს! — მითხრა ედმონდმა და მაგრად ჩამომართვა ხელი. მეც ყველას მივესალმე და იქვე გავჩერდი.

— ჯონი, დღეს ეს ახალგაზრდა წამოგყვება. ახალი თანამშრომელია, ბარემ ფორმაც გამოუწერე... — უთხრა ედმონდმა ერთ-ერთ მძღოლს და ისიც მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და მთხოვა, წავყოლოდი. ჯონი სპორტული აღნაგობის, შავგვრემანი კაცი იყო. კი არ მიდიოდა — მირბოდა, ძლივს ვეწეოდი. საწყობამდე ხმა არ ამოუღია. ერთ-ერთ ოთახში მოზრდილი კარადის კარი გამოაღო და ზომების მიხედვით ჩამწკვრივებულ ტანსაცმელზე მანიშნა:

— ამოარჩიე, რომელიც მოგეწონება და სამი კომპლექტი აიღე. სამუშაოზე საფირმო ტანსაცმლით დავდივართ... მოკლედ, 10 წუთში მანქანასთან იყავი, დროზე წავიდეთ.

ჯონიმ ამ უჩვეულო გარდერობთან მარტო დამტოვა. ისეთი განწყობა მქონდა, რომ ახლა, ეს ქურთუკები, შარვლები, პერანგები და სპორტული ფეხსაცმელი ლამის ვერსაჩეს კოსტიუმებს მერჩივნა. არჩეული სამი კომპლექტიდან, ერთ-ერთი მოვირგე კიდეც და ახალ ფორმაში გამოწყობილი გამოვეცხადე ჯონის, რომელიც საშუალოგაბარიტიან სატვირთო ავტომობილთან იდგა და რაღაც ქაღალდებში იქექებოდა.

— გიხდება! ხომ მზად ხარ? — ღიმილით გადმომხედა.

— მუდამ მზად ვარ!.. — გამახსენდა პიონერული წლები და „ჩესტი“ ავუღე. ახლა კი, სიცილი ვერ შეიკავა და მანქანაში გამხიარულებული შემიძღვა.

ეზოდან გამოსვლისას, კომპანიის პრეზიდენტმა შეგვაჩერა:

— აკაკი, ერთი თვე ადგილობრივ გადაზიდვებზე იმუშავებ, ჩვენს სპეციფიკას გაეცნობი და შორეულ რეისებში მერე გაგიშვებთ. აბა, შენ იცი! — ეს მითხრა და კაბინის კარი მოხურა. ეტყობა, არ დავიწყებია, რომ ვუთხარი — მოგზაურობაზე ჭკუა მეკეტება-მეთქი.

...იწყებოდა ამერიკაში ჩემი პირველი სამუშაო დღე მძღოლის ამპლუაში.

— დღეს საკმაოდ იოლი სამუშაო გველოდება... — დაიწყო ჩემ გვერდით მჯდომმა ჯონიმ.

ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა მეთქვა — საჭესთან მე ვიჯექი!..

— პირდაპირ მანჰეტენის მე-12 ქუჩაზე მიდი, იქიდან ვესტჩესტერში უნდა წავიდეთ... — გააგრძელა ჯონიმ.

— კი წავალ, მაგრამ გზა რომ არ ვიცი?.. — ნირწამხდარმა ვუთხარი.

— როგორ თუ, არ იცი? — გაოცდა ჯონი. მერე უფროსის სიტყვები გაახსენდა, ახალი რომ ვიყავი და რომ უნდა დამხმარებოდა. არა უშავსო, — დამამშვიდა, მაგრამ თან „მმართველობაც“ აიღო ხელში: მე მომისმინეო, — მითხრა და გზას მკარნახობდა. მივდიოდით და თან ერთმანეთს ვეცნობოდით.

— საიდან ხარ? — მკითხა ჯონიმ.

— ჯორჯიიდან!..

— ატლანტაში არასოდეს ვყოფილვარ. ისე, როგორი ქალაქია? — იკითხა ინტერესით.

ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა: ეს თუ ატლანტაში (და შესაბამისად, ჯორჯიის შტატში) ჯერაც არ ყოფილა, მე როდისღა მომიწევს ამ ქალაქის ნახვა-მეთქი? — გავიფიქრე, ჯონის კი ვუპასუხე:

— აბა, როგორ გითხრა... არც მე ვყოფილვარ ატლანტაში!

— ახლა არ მითხარი, ჯორჯიიდან ვარო?! — გაუკვირდა.

— მე სხვა ჯორჯიიდან ვარ — ოკეანის გაღმიდან!.. — თავაზიანად გავუღიმე.

— ვერ ჩავწვდი შენს ხუმრობას!..

— მე იქიდან ვარ, ე-ე, იქიდან!.. — ოკეანის მხარეს გავიშვირე ხელი.

— ა-ა, რუსი ყოფილხარ! — გაეხარდა ჯონის.

— რუსი კი არა, ქართველი ვარ! — უკვე მერამდენედ მიწევდა ამ თემაზე ამერიკელებთან ლაპარაკი და ცოტა არ იყოს, გავღიზიანდი კიდეც. ათიოდე წუთი, უსიტყვოდ ვმართავდი მანქანას. ბოლოს, ისევ მე დავარღვიე პაუზა:

— შენ საიდანღა ხარ, ჯონი?

— ამერიკაში დავიბადე, ისე, წარმოშობით თურქი ვარ.

— სალამ ალეიქუმ, ეფენდი!.. — „ჩავუთურქულე“.

— აი, საღოლ, საღოლ! — სახე გაუბრწყინდა ჯონის.

ყინული გალღვა...

— თურქული კარგად იცი? — ვკითხე.

— თურქი ვარ და სირცხვილი არ იქნება, რომ არ ვიცოდე?

— მე გურჯი ვარ, ეფენდი, გურჯი! — გახარებულმა ვუთხარი: მეგონა, ახლა მაინც მიხვდებოდა, ვინც ვიყავი.

— ბერძენი ხარ?

— ვაი, შენს პატრონს!.. — ჩავილაპარაკე ქართულად, მერე მუხლზე ხელი დავარტყი და დავამშვიდე: რუკას მოვიტან და გაჩვენებ ჩემს ქვეყანას, ახლა კი სჯობს, გზა მიკარნახო-მეთქი.

მანჰეტენის ხიდი როგორც კი გადავკვეთეთ, დანიშნულების ადგილზეც მალე მივედით. კლიენტი ძველმოდური, სამსართულიანი შენობის ბოლო სართულზე ცხოვრობდა. სახლს ლიფტი არ ჰქონდა და

ნიუ-იორკის ქუჩებში საგვირთო მანქანებსაც შეხვდებით

ფეხით მოგვიხდა ასვლა. კარი 40-ოდე წლის, სათვალიანმა, მელოტმა კაცმა გაგვიღო. ისეთი შეშინებული სახე ჰქონდა, უნებლიეთ ტანსაცმელზე დავიხედე – რაიმე ხომ არ მჭირს-მეთქი.

– გადაზიდვების კომპანიიდან ვართ, თქვენი შეკვეთით მოვედით, – გამოუცხადა ჯონიმ და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

– კი, მაგრამ მე... ასე ადრე არ გელოდით. თანაც, ახლა სასწრაფო საქმე მაქვს მოსაგვარებელი... უკაცრავად, მაგრამ უნდა დამელოდოთ! – ამის თქმა და კარის მოხურვა ერთი იყო.

– პიჟონი!.. გამომივიდა აქ საქმიანი კაცი! – უკმაყოფილოდ წამოიძახა ჯონიმ და გაბრაზებული იქვე, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

– ახლა რამდენ ხანს უნდა ველოდოთ ამას? – გაოცებულმა ჩავილაპარაკე.

– ჩემი ნება რომ იყოს, წავიდოდი და აქეთ აღარც გამოვიხედავდი, მაგრამ ბოსს რა ვუთხრა – კლიენტი უხეშად მოგვექცა და არ მოვემსახურეთ-მეთქი? მაშინვე სამსახურიდან დამითხოვს და შენს თავსაც „დესერტად“ ზედ მომაყოლებს! – დანანებით მიპასუხა ჯონიმ.

ესეც შენი ამერიკა!..

სხვა რა გზა იყო? – ქვემოთ ჩასვლას აზრი აღარ ჰქონდა და მეც გვერდით მივუჯექი ჩემს ახალ მეწყვილეს. ერთი საათი მაინც ვისხედით ასე. ლაპარაკის ხასიათი ორივეს წაგვიხდა, თუმცა რამდენჯერმე ვკითხეთ ერთმანეთს, რაც არც ერთმა არ ვიცოდით: ბევრი რამე ხომ არ ჰქონდა გადასატანი უჟმურ კლიენტს? კიბით მძიმე საგნების ჩატანაზე ფიქრი არცთუ ისე სასიამოვნო პერსპექტივად გვესახებოდა.

აი, ასეთი გზებია ნიუ-იორკში

ბოლოს, როგორც იქნა, კლიენტმა იკადრა კარის გაღება და შინ მიგვიპატიჟა. გადასაზიდი ბარგიც გამზადებული ჰქონდა: დივანი, ოთხი სკამი, საწერი მაგიდა, კომპიუტერი პრინტერით, რამდენიმე მცირე ზომის ყუთი, რომელშიც წიგნები იდო, ორი მოზრდილი ჩანთა და ორიც ფუმფულა კატა, რომლებიც ფერად გალიებში იყვნენ გამომწყვდეულნი...

– სულ ეს არის? – გაუკვირდა ჯონის.

– დიახ, – უნიათოდ გაიღიმა კლიენტმა.

– ამის გადატანა ვესჩესტერამდე მხოლოდ... ათასი დოლარი დაგიჯდებათ, – აუღელვებლად თქვა ჯონიმ.

– რა-ა?! – გაოცებისგან ენა ჩაუვარდა კლიენტს და სახე აელეწა.

– მგონი, თქვენ კარგად იცნობთ ჩვენს პრეისკურანტს – ჩვენი ფასები ხომ იცოდით... თუ არ მოგწონთ, სხვა გამოიძახეთ – ოღონდ, გაფრთხილებთ: ამ შემთხვევაში, ჯარიმის გადახდა მოგიწევთ, – გაყინული ტონით განუმარტა ჯონიმ.

– არა, ამდენის გადახდას ნამდვილად ვერ შევძლებ! მაგრამ უბედურება ისაა, რომ დღეს აუცილებლად უნდა დავცალო ეს ბინა, თორემ, მეპატრონე ორმაგ ჯარიმას დამაკისრებს... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა კლიენტი.

– ე.ი. თანახმა ხართ. დავიწყოთ ჩაზიდვა? – „გამოიჭირა“ იგი ჯონიმ.

– არა, არა! იქნებ ფასი დამიკლოთ. ათასი დოლარი!.. ეს მეტისმეტია!.. – მუდარით მოგვმართა კლიენტმა.

– ვერაფრით დაგეხმარებით. მე უბრალო შემსრულებელი ვარ... თუმცა, შეგიძლიათ, ახლავე დაუკავშირდეთ მის ხელმძღვანელობას და შეუთანხმდეთ... – და ჯონიმ მობილურზე ნომერი აკრიბა, შემდეგ ტელეფონი კლიენტს მიაწოდა.

„შეთანხმება“ თითქმის 20 წუთი გაგრძელდა. ფასზე ვაჭრობა ისეთ წვრილმანებამდე დავიდა, რომ თავი ნავთლულის ბაზარში წარმოვიდგინე. ბოლოს, არაქთგამოცლილმა კლიენტმა (რომელიც მართლა გულით შემებრალა) გვითხრა: 600 დოლარზე შევთანხმდითო; მერე ჯონის ფული გადაუთვალა, მისამართი მისცა, თანაც დასძინა – აწი ჭკუას ვიხმარ და თქვენნაირ ყაჩაღებთან საქმეს აღარ დავიჭერო, – და ოთახიდან გავიდა.

ერთ საათსაც არ მოვუნდით კლიენტის მთელი ავლადიდების ჩატანას. ძრავა ავამუშავე და ვესჩესტერისკენ ავიღეთ გეზი. ეს დასახლება ნიუ-იორკის გარეუბანშია და ქალაქიდან ნახევარი საათის სავალიც არ არის. ჯონიმ კიდევ ერთხელ დაურეკა მობილურით შეფს და კარგა ხანს ელაპარაკა. ეტყობოდა, ჩატარებული „ოპერაციით“ ორივე კმაყოფილი დარჩა...

– ჯონი, ამხელა თანხა რომ „მოუხიე“, არ შეგეცოდა ის საწყალი?

– არა უშავს, როგორმე გადაიტანს. აბა, რა ეგონა, მთელი საათი გარეთ რომ გვაყურყუტა?!

– მაგრამ ხომ შეეძლო, საერთოდ უარი ეთქვა ჩვენს მომსახურებაზე?

– შეეძლო, როგორ არა!.. მაგრამ მაშინ ჯარიმა არ ასცდებოდა...

– რამდენი უნდა გადაეხადა?

– ასე, 500 დოლარამდე (!). ყველაფერი გათვლილი გვაქვს! ეს ამერიკაა, აკაკი! აქ ტყუილუბრალოდ არაფერი ხდება... წაიმუშავებ ცოტას და ყველაფერში გაერკვევი...

ხმა არ ამომიღია. ჩავფიქრდი. კიდევ ერთხელ ცხადად დავინახე ამერიკული ცხოვრების მკაცრი თავისებურება...

– ისე, ამდენი ფულის გადახდას არ სჯობდა, დაეძახა მეგობრებისთვის, დაექირავებინა მანქანა და თვითონვე გადაეზიდა ყველაფერი... – ჩავილაპარაკე.

– ყველაზე კარგი მეგობარი ამ ქვეყანაში ფულია. ფული გადაწონის მეგობრობასაც, სიყვარულსაც და ყველაფერს!..

– ჩემს სამშობლოში, მეგობრობა ფარავს ყველაფერს!.. – ამაყად მივუგე.

– მერე, თუ ასეთ კარგ ქვეყანაში ცხოვრობდი, აქ რაღას მოდიოდი?!. ისე, კაცმა რომ თქვას, საინტერესოც კია ისეთი ქვეყნის ნახვა, სადაც ფულს არ აღმერთებენ. ხომ არ დამპატიჟებდი შენს სამშობლოში?.. – ირონიულად ჩამეკითხა ჯონი.

– როცა გენებოს! – იხტიბარი არ გავიტეხე და ომახიანად ვუპასუხე. გულმა კი რეჩხი მიყო: ვაითუ, ტყუილი ბაქიბუქი გამომივიდეს და ამ ამერიკელთან თავი შევირცხვინო-მეთქი...

ამასობაში, დანიშნულების ადგილზე მივედით. ერთი საათიც არ დაგვჭირვებია ბარგის გადმოტვირთვისა და ბინაში შეტანისათვის. კლიენტიც ადგილზე დაგვხვდა – ეტყობა, თავისი მანქანით წამოვიდა და ჩვენზე ადრე მოსულიყო. ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩვენთვის, არც წამოსვლისას დაგვმშვიდობებია. ახლაც ყურში ჩამესმის კარის ხმა, რომელიც კლიენტმა მოგვიჯახუნა...

ამრიგად, პირველი სამუშაო დღე All-point Amerika-ში, არცთუ ისე სასიამოვნო ემოციებით დაიწყო.

თუმცა, აქვე იმასაც დავძენ, რომ მორიგი „მოგზაურობანი“ გაცილებით საინტერესო და შინაარსიანი აღმოჩნდა. ასე რომ, მომავალ ნომრებში მრავალ შთამბეჭდავ ამბავს მოგიყვებით... ■

კეტრინ ზეტა-ჯონსის „შემოსავლები და ხარჯები“

კეტრინ ზეტა-ჯონსის სტუდია „მილქვუდ ფილმი“, დიდი ბრიტანეთის „ნეიშენალ ლოთერი ფრანჩისი“ და ფრანგული კინოკომპანია „ფას ფიქჩერს სთარბორდ ინთერთაინმენთი“ იღებენ ერთობლივ ფილმს – „შემოსავლები და ხარჯები“. ეს არის რომანტიკული კომედია ქალზე, რომელიც ფინანსურ ბაზრებზე თამაშობს, შემოსავლებს კი, საქველმოქმედო მიზნით ხარჯავს. როცა მას მოულოდნელად თაღლითობაში დაადანაშაულებენ, ქალი წარსულში ცნობილი ადვოკატის, იმხანად კი, მონასტერში აღკვეცილი ბერის ძებნას იწყებს, რათა პროცესზე მისი დაცვა სწორედ მან იკისროს. ფინანსისტთან ურთიერთობის შემდეგ, ყოფილი ადვოკატი საკუთარ მსოფლმხედველობას იცვლის. სცენარის ავტორია მაიკლ დ. ჩეპიგი, რომელმაც იგი სპეციალურად კეტრინ ზეტა-ჯონსისთვის დაწერა. ■

ანჯელინა ჯოლის ჩეჩნეთში ვიზიტი აქვს დაგეგმილი

მსახიობი ჩეჩნეთში ჩასვლას და იძულებით გადაადგილებულთა ბანაკების მონახულებას აპირებს. მას სურს, გაეცნოს ჩრდილოეთ კავკასიაში გაეროს მისიის თანამშრომელთა მუშაობის პირობებს. ჯოლი რეგიონში 10 დღე დარჩება. მსგავსი ვიზიტი მსახიობისთვის პირველი როდია – აქამდე ის ყოფილა სიერა-ლეონეში, პაკისტანსა და სხვა ქვეყნებში, სადაც ლტოლვილთა ბანაკებია. ჯოლი გაჭირვებაში ჩავარდნილთ, მხოლოდ მოგზაურობისას როდი ეხმარება. მან ლარა კროფტის როლისთვის აღებული ჰონორარიდან მილიონი დოლარი კამბოჯელ ლტოლვილებს გადაურიცხა, ერთი მილიონიც, ავღანელთა დახმარების ფონდში ჩარიცხა. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ანჯელინა გაეროს კეთილი ნების ელჩი გახდებოდა, ის ჰუმანიტარული მისიით კამბოჯას, სიერა-ლეონეს, ტანზანიას, პაკისტანსა და სხვა ქვეყნებს ესტუმრა და ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრებნი მოინახულა. ■

მადონას შემოქმედების ყვავილაზე პირადული სიმღერა

მადონამ შეთხზა თავისი ყველაზე პირადული სიმღერა – „დედა და მამა“, რომელიც დედის ხსოვნას მიუძღვნა. მომღერალი სულ ხუთი წლის გახლდათ, როცა დედა კიბოსგან გარდაეცვალა. ჰიტი „დედა და მამა“ დაწერილია ბავშვის პოზიციიდან, რომელიც უდედოდ იზრდება და მარტოობაზე ფიქრობს. ამ სიმღერაში მადონა ბავშვური, მგრძნობიარე ხმით მღერის იმის შესახებ, თუ რა ძნელია შეეგუო ასეთ ტკივილს. ცნობილია, რომ ბავშვობაში მადონას მხოლოდ მუსიკა და ცეკვა დაეხმარა დედის სიკვდილით გამოწვეული სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლაში. ამასთანავე, მადონას მამამ უდიდესი მზრუნველობა გამოავლინა ბავშვისადმი: 6 წლის გოგონა ფორტეპიანოსა და ბალეტის კლასში შეიყვანა.

სიმღერა შევიდა მადონას ახალ ალბომში: „ამერიკული ცხოვრება“, რომელიც 21 აპრილიდან გამოჩნდება მუსიკალურ მაღაზიებში. ■

ჰოლი ბერის საშინელებათა ფილმში იღებენ

ჰოლი ბერი ჟურნალისტებს თავისი ახალი როლის შესახებ ესაუბრა. მას ამჟამად იღებენ საშინელებათა ჟანრის ფილმში – „გოტიკა“, რომლის რეჟისორია მეთიუ კასოვიტი. გადაღებები სტუდია Warner Bros-ში მიმდინარეობს. „ეს რაღაც შუალედურია „ზარსა“ და „მეექვსე გრძნობას“ შორის. მასში არა მხოლოდ მოჩვენების ამბები იქნება გადმოცემული – ეს არის ფსიქოლოგიური ტრილერი“, – განაცხადა ბერიმ ჟურნალ „ინთერთაინმენთ უიქლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ჰოლი ამ ფილმში ფსიქიატრის როლს თამაშობს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, სულით დაავადებულ მკვლელთა ჰოსპიტალში მოდის გონს. ქალი ცდილობს, ექიმს (რობერტ დაუნი-უმცროსი) შეატყობინოს, რომ ის ქმარმა სასიკვდილოდ გაიმეტა. ვინ არის იგი სინამდვილეში – ნამდვილად ფსიქიატრი თუ ჰოსპიტლის პაციენტი, რომელსაც ამნეზია აქვს? ამ კითხვაზე პასუხს მაყურებელი ოქტომბერში შეიტყობს, როცა ფილმი ეკრანებზე გამოვა.

■

სიუზან სარანდონის შვილს სკოლაში ავიწროებენ

გარდა იმისა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატისათვის – სიუზენ სარანდონისათვის ჰოლივუდში ბოიკოტის გამოცხადებას აპირებენ, მის 13 წლის ვაჟს – ჯეკს, სასკოლო სპექტაკლებში მთავარ როლებს აღარ აძლევენ, ყველაფერი ეს კი, სარანდონის მიერ ერაყში ომის წინააღმდეგ გამოთქმულ მკაცრ შეფასებებს მოჰყვა. ქვეყნის ერთ-ერთ რესპექტაბელურ გაზეთში – „ნიუ-იორკ პოსტში“ დაიბეჭდა სტატია, სადაც აღნიშნული იყო, რომ სასკოლო სპექტაკლში ბიჭისთვის შეთავაზებული უმნიშვნელო როლის გამო, ჯეკმა დადგმაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო. განრისხებულმა სარანდონმა სტატიის ავტორის

წინააღმდეგ გაილაშქრა და მას სიცრუის გავრცელებაში დასდო ბრალი. „გაკვირვებული ვარ, ჩემი შვილისა და ჩემი ოჯახის გარდა, ვის შეიძლება აწუხებდეს ეს ამბავი? ვინ არის ის ტიპი, რომელიც საკუთარი თავის გამოსაკვებად ასეთ სისულელეებს წერს?“ – განაცხადა მსახიობმა. ■

„ძებნილები“ ჯერ იმის დამტკიცებას ჯერ-ობით

„შავი პრინცის ძმები, ძებნილები და ჯერონიმო, ჩვენი რომ გაიგო, ბევრი უნდა იკაიფო...“ — უკვე რამდენიმე თვეა, რაც „ძებნილები“ თავიანთ მსმენელებს ასე მოუწოდებენ კაიფისკენ... სწორედ ამ სიმღერით გახდა პოპულარული ეს ჯგუფი, თუმცა, ის გაცილებით დიდი ხნის წინ — დაახლოებით 10 წელია, რაც ჩამოყალიბდა. რატომ ჰქვიათ „ძებნილები“ და კაიფობენ თუ არა თვითონ რეპერი ქუთაისელები — ინტერვიუდან შეიტყობთ. ჩვენ ექვსიდან ხუთ „ძებნილს“ შევხვდით, მაგრამ მხოლოდ ერთი — ჯგუფის ენაწყლიანი ხელმძღვანელი გვესაუბრა. მაშ ასე — ჩვენი რესპონდენტია თვით „შავი პრინცი“ — აკაკი („ძებნილებს“ გვარების გამოცხადება არ უყვართ).

ნინო ჯავახიშვილი

— როგორ შეიქმნა თქვენი ჯგუფი და რატომ დაარქვით მაინცდამაინც „ძებნილები“? თუმცა, ბევრი, „ძებნილები და ჯერონიმოსაც“ გიწოდებთ...

– პროფესიით ქორეოგრაფი ვარ. 1993 წელს, ევროპული ცეკვების წრე ჩამოვაყალიბე. ამ ცეკვებში ძირითადი დატვირთვა ჰქონდა ჰიპ-ჰოპს. იმ ბავშვებიდან, ვინც წრეში ცეკვავდა, ორი – ფრედი და დათო (მასტი) ავირჩიე, როცა ჯგუფის ჩამოყალიბება გადავწყვიტე. მინდოდა, ალტერნატიული, ცოცხალი ჰიპ-ჰოპი დაგვეკრა. ამისთვის სამი კაცი არ იყო საკმარისი და დავიწყეთ ძებნა იმ ადამიანებისა, ვინც გვერდით დაგვიდგებოდა. პროფესიონალების მოძებნა კი, ძალზედ გაგვიჭირდა და სწორედ ერთმანეთის ძებნაში გაჩნდა იდეა, რომ ჯგუფისთვის „ძებნილები“ დაგვერქმია. ასე რომ, ჯგუფის სახელწოდება არის „ძებნილები“ და არა – „ძებნილები და ჯერონიმო“.

— ელოდით, რომ ერთი სიმღერის შემდეგ, ასე უცებ მოვიდოდა პოპულარობა?

– ამდენი ხნის შემდეგ, როცა იქნებოდა, მაინც მოვიდოდა პოპულარობა... ბევრი გაჭირვება გვინახავს. ახლა კი, თავს კარგად ვგრძნობთ და ბედის მადლიერები ვართ. თუმცა, მოსალოდნელი მარცხიც არ გვაშინებს. ყველაფერზე ვიკაიფებთ და ყველაფერს გადავიტანთ...

— პროდიუსერის აყვანას ისევ არ აპირებთ?

– არ ვაპირებთ. თუ ვინმე აგვიყვანს – კი, ბატონო, უარს არ ვიტყვით... პროდიუსერი ძალიან განათლებული უნდა იყოს და დაახლოებით იგივე გზა უნდა ჰქონდეს

გავლილი, რაც ჩვენ გავიარეთ. ამ წლების მანძილზე, თვითონაც კარგად ჩავწვდი ამ პროფესიის შინაარსს. ახლა ფული უფრო გვჭირდება, ვიდრე პროდიუსერი. იმიჯმეიკერიც არ გვჭირდება — ჩვენ თვითონ ვწყვეტთ, რა ჩავიცვათ კონცერტზე. ვცდილობთ, ვინმეს არ დავემსგავსოთ, რათა უფრო ადვილი იყოს სხვებისგან ჩვენი გარჩევა. ესეც ხელს უწყობს ჩვენს პოპულარობას.

— ე.ი. „ძებნილი“ რომ გახდე, აუცილებლად ბლანჟე უნდა გქონდეს, ბენდენა წაიკრა თავზე და ტყავის ტანსაცმელი გეცვას?

— არა, ასე არ არის! „ძებნილი“ რომ გახდეს ვინმე, ბევრი უნდა გვეძებოს!..

— ასეთი უცნაური მეტსახელები რატომ გაქვთ ან ვინ შეგირჩიათ?

— როდესაც ჰიპ-ჰოპის შემსრულებელი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად გაქვს გავლილი ქუჩის სკოლა. მეტსახელები კი, სწორედ ქუჩაში იბადება. მე, როგორც იცით, „შავი პრინცი“ მქვია, ანზორას — ჯერონიმო, დათოს — მასტი, გიორგის — ჯოკერა, სერგის — მეგოთი, ფრედს კი — უბრალოდ ფრედი და მორჩა...

— შეიძლება ითქვას, რომ პოპულარულები გახდით მას შემდეგ, რაც სიმღერა — „შავი პრინცის ძმები“ წლის ჰიტად იქცა. მაინც რა გახდა ამ სიმღერის პოპულარობის მიზეზი — ტექსტი უფრო მოეწონა მსმენელს თუ მელოდია?

— საერთოდ, ყველა სიმღერის ტექსტს ჩვენ თვითონ ვწერთ. ვსხდებით, ვამუშავებთ თემას და მერე იწერება ტექსტიც და მუსიკაც. ამ სიმღერის ტექსტი ჩემი დაწერილია, თუმცა მელოდია — საკმაოდ ძველია. მუსიკა ისეთია, რომ ალბათ ყველა დროის მსმენელს მოეწონება.

— მე მგონი, ტექსტმა უფრო მოხიბლა მსმენელი. ალბათ „ბევრი კაიფის“ პერსპექტივამ იქონია გავლენა... ისე, კაიფში მაინც რას გულისხმობთ?

— ყველანაირ კაიფს ვგულისხმობ — მარტო „წამლით“ კაიფზე არა გვაქვს მინიშნება. როგორ გითხრათ, თვითონ ყველაფერი მეკაიფება, ახლა აქ რომ ვსხედვართ, ისიც კი...

— რატომ?

— იმიტომ, რომ მომწონს აქაურობა *(ჩვენი შეხვედრა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ შედგა. — ავტ.)* — კარგი სიტუაციაა, კომფორტია, ჟურნალისტთან ვსაუბრობ, მეგობრებთან ერთად ვარ, კონცერტისთვის ვემზადები და ა.შ.

— თვითონ თუ კაიფობთ ხოლმე? — „წამალს“ ვგულისხმობ...

— ჩვენ? ხანდახან ვკაიფობთ, მაგრამ ხშირად, როგორც უკვე გითხარით, „საკაიფოს“ გარეშეც ვკაიფობთ!.. მსმენელსაც მოვუწოდებთ — ნუ „დაიგრუზებიან“ და ნუ ჩამოყრიან ყურებს, იკაიფონ ამ ცხოვრებაზე და იყვნენ — ოღონდ, ცოტა ხელიც გაანძრიონ, რომ ცხოვრება მოიწყონ!..

— როგორც ჩანს, ყველანი ძალიან ოპტიმისტები ხართ...

— როგორ გითხრათ — ვართ სევდიანებიც და მხიარულებიც, მაგრამ ოპტიმისტები ნამდვილად ვართ!

— როგორც ვიცი, არც ერთი არ ხართ დაოჯახებული. რატომ? თავისუფლებას ვერ ელევით?

— 30 წლის ვარ და სიმართლე რომ გითხრათ, რამდენჯერმე ვცადე დაოჯახება, მაგრამ არ გამომივიდა. ერთი-ორ ქალს შევთავაზე — შევუღლდეთ-მეთქი, — მაგრამ უარი მივიღე. ამიტომაც არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი. ახლო მომავალში არაფერს ვგეგმავ. რაც შეეხება ბიჭებს — ჯერჯერობით მათი გულებიც თავისუფალია.

ახლა ფული უფრო
გვჭირდება,
ვიდრე პროდიუსერი

— ახალი სიმღერების ჩაწერას ან ალბომის გამოშვებას ხომ არ აპირებთ?

— ამჟამად ვმუშაობთ ახალ სიმღერაზე, რომელზეც გადავიღებთ კლიპს და რომელიც ქართულ შოუბიზნესში ახალ იმიჯს დაამკვიდრებს. ჩვენ შევასრულებთ „ლაით“ ჰიპ-ჰოპს და ვფიქრობ, ამით დიდ სიამოვნებას მივანიჭებთ ჩვენს მსმენელს. დღესდღეობით სულ 4 სიმღერა გვაქვს ჩაწერილი. ვამზადებთ ჯერონიმოს პირად ალბომს, სადაც დანარჩენი „ძებნილებიც“ მიიღებენ მონაწილეობას. გარდა ამისა, ვგეგმავთ სოლო კონცერტის ჩატარებას თბილისში. ვნახოთ, რა იქნება...

— ვინ გაფინანსებთ?

— „ძებნილები“ საკუთარ თავს თვითონ აფინანსებენ! ჩვენი ფინანსური წყაროები ჩვენი ოჯახები და კონცერტებია. ის თანხა, რასაც კონცერტებიდან ვიღებთ, საკმარისი არ არის, მაგრამ აქამდე ესეც არ გვქონდა. ამიტომაც ღმერთის მადლიერები ვართ; ხვალ და ზეგ ალბათ მეტი გვექნება...

— საქართველოდან წასვლას მართლა აპირებთ?

— მინდა, რაღაც შევცვალოთ და უფრო მეტი ვისწავლოთ. თვითონაც მომწყინდა ყოველდღე ერთი და იგივეს ყურება და მოსმენა. შანსი როგორ არ გვაქვს? მთავარია, აქედან წასვლა გადავწყვიტოთ და წავალთ კიდეც. მაგრამ ჯერჯერობით საქართველოდან წასვლაზე არ ვფიქრობ...

— კრიტიკაზე როგორ რეაგირებთ? ბევრს თუ მოსწონს, ბევრსაც არ მოსწონს თქვენი სიმღერა...

— კრიტიკა არავის მოსწონს, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს ერთგვარი სტიმულია. თან აუცილებელი არც არის, ყველას მოვწონდეთ. მთავარი ის არის, რომ პოპულარობას ჩვენ თვითონ, პროდიუსერისა და ფულის გარეშე მივაღწიეთ. ყველაზე მეტად კი ის მახარებს, რომ პატარა ბავშვებს და ტინეიჯერებს მოვწონვართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 10-15 წლის შემდეგაც, ისევ ისეთივე პოპულარულები ვიქნებით, როგორებიც დღეს ვართ...

■

ორთაბრძოლა ჰიპერტონიასთან

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გასული საუკუნის ბოლოსა და ახლის დასაწყისში ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვან მიღწევათა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ის ფაქტი, რომ ადამიანმა ისწავლა ზოგიერთ დაავადებასთან შეგუება და თანაარსებობა. ასეთ დაავადებათა რიცხვს ეკუთვნის არტერიული ჰიპერტონია – „ჩუმი მკვლელი", როგორც მას უწოდებენ. ათეროსკლეროზთან ერთად იგი წარმოადგენს ინსულტებისა და ინფარქტების ძირითად მომმარაგებელს. „ჩუმი" კი იმიტომ არის, რომ დაავადება შესაძლოა არაფრით არ ავლენდეს თავს, განსაკუთრებით – საწყის ეტაპზე და ადამიანიც მას უბრალოდ ვერ გრძნობს.

მომატებული არტერიული წნევა ყველა შემთხვევაში დამანგრევლად მოქმედებს სისხლძარღვებზე, უპირველეს ყოვლისა გულის, ტვინის, თირკმლების, თვალის ბადურის სისხლძარღვებზე – სწორედ აღნიშნული ორგანოები წარმოადგენს ჰიპერტონიის „სამიზნეებს".

ჰიპერტონია საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა. სტატისტიკის მიხედვით, პლანეტის მოსახლეობის მესამედს აქვს იგი. მათ შორის უმრავლესობა 50 წელს გადაცილებულია.

კაცობრიობამ ისწავლა ჰიპერტონიასთან გამკლავება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ადამიანმა იცის თავისი დაავადების შესახებ და სწორად მკურნალობს. დიაგნოზს სვამს ექიმი, რადგან ამისათვის აუცილებელია პაციენტის სამედიცინო გამოკვლევა. შემდგომში კი წნევის კონტროლი თავად ავადმყოფს ევალება. სწორედ ნორმალური წნევის შენარჩუნებასა და საშიში გართულებების თავიდან აცილებაში მდგომარეობს ჰიპერტონიასთან ბრძოლის სტრატეგია, ტაქტიკა კი – ექიმის რეკომენდაციების ზუსტ დაცვასა და ანტიჰიპერტენზიული პრეპარატების რეგულარულ მიღებაში.



დღეს მედიცინა ასეთ პრეპარატთა ფართო არსენალს ფლობს. რადგანაც ჰიპერტონიას იწვევს არა ერთი, არამედ სხვადასხვაგვარი მიზეზი – ნერვული სტრესები, ჭარბი წონა, თირკმლის დაავადებები, მემკვიდრული ფაქტორი, შესაბამისად, გამოიყენება სხვადასხვა მოქმედების მქონე პრეპარატები. ფართოდაა გავრცელებული ანგიოტენზინგარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორთა ჯგუფის წამლები, რომელთა შორის საკმაოდ ეფექტურია ახალი, მესამე თაობის პრეპარატი – დიროტონი. მისი განსაკუთრებულობა ის არის, რომ არ მონაწილეობს ღვიძლის მეტაბოლიზმში და ამ ორგანოს დაავადების დროსაც კი, არ იცვლება მისი მოქმედება.

● უზრუნველყოფს წნევის თანდათანობით დაწევას და 24-30 საათის განმავლობაში აქვს ეფექტი.

● ახორციელებს „სამიზნე ორგანოების" მაქსიმალურ დაცვას. აადვილებს გულის მუშაობას, აუმჯობესებს სისხლძარღვთა შიგნითა გარსის – ენდოთელიუმის ფუნქციას, აგვაცილებს თირკმლის უკმარისობის განვითარებას.

ჰიპერტონიასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაწილი – წამლებით თერაპია, უნდა შეავსოს მკურნალობის არამედიკამენტოზურმა მეთოდებმა. პირველ რიგში, *შეზღუდეთ რაციონში მარილი* 5 გ-მდე (1 ჩაის კოვზი) დღეში. ამ რაოდენობას რომ არ გადააჭარბოთ, გამორიცხეთ მარილიანი პროდუქტები (მწნილები, მლაშე ყველი, დამარილებული თევზეული, ლორი). კერძი კი უმარილო მოამზადეთ და მარილი სუფრასთან მოაყარეთ თქვენთვის განკუთვნილი 5 გ-დან.

ყურადღება მიაქციეთ სხეულის წონას, რადგან ზედმეტი კილოგრამები – ზედმეტი ციფრებია ტონომეტრის სკალაზე. ჭარბი წონის დასაკლებად შეზღუდეთ ცხოველური ცხიმითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვები, მათ შორის ტკბილეული და ცომეული. ეცადეთ, იკვებოთ ხშირ-ხშირად და მცირე ულუფებით. საღამოს კი, დაძინებამდე 3 სთ-ით ადრე მაინც უნდა მიიღოთ საკვები.

იყავით ფიზიკურად აქტიური, მაგრამ არ გადაიტვირთოთ. ვარჯიშის, სიარულის შემდეგ არ უნდა გეწყებოდეთ ქოშინი, ტკივილი გულის არეში, არითმია.

თავი დაანებეთ სიგარეტს და *ბოროტად ნუ გამოიყენებთ ალკოჰოლს.*

გონივრული, ყურადღებიანი დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობისადმი, ექიმის მიერ დანიშნული თანამედროვე სამკურნალო პრეპარატების რეგულარული მიღება, ჰიპერტონიის დამარცხების სწორი გზაა.

არსებობს ასეთი გამონათქვამი: „თუ ავადმყოფი დაავადების მოკავშირეა, ექიმი უძლურია, მაგრამ თუ იგი თავის სენს ექიმთან ერთად ებრძვის, დაავადებაც უკან იხევს". ■

მამოლოგია

მკერდის სიმსივნის შემთხვევათა აღმნუსხველი სტატისტიკა შემაშფოთებელია, მაგრამ არ უნდა იქცეს პანიკის საფუძვლად. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, საკმარისია ყური მიუგდოთ საკუთარ სხეულს და მაშინ საშიში დაავადება ზიანს ვეღარ მოგაყენებთ.

რისკის ფაქტორები

არსებობს ფაქტორთა ჯგუფი, რომელიც პასუხს აგებს სიმსივნურ პროცესებზე. გაეცანით მათ და თუ რამდენიმე პუნქტი მაინც გეცნობათ, აუცილებლად დაგჭირდებათ მამოლოგის კონსულტაცია:

● რაც მეტია ქალის ასაკი, მით მეტია ონკოლოგიური დაავადების გამოვლინების შანსი. ავადობა მატულობს 35 წლის შემდეგ, ხოლო პიკი 60-70 წლის ასაკზე მოდის.

● უარყოფით გავლენას ახდენს ხშირი სტრესები და ცუდი ეკოლოგია.

● დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრულ ფაქტორს. რისკი მატულობს, თუ მკერდის სიმსივნე ჰქონდა დედას, დას, დეიდას, დეიდაშვილს...

● დადგენილია ურთიერთკავშირი ესტროგენების (ჰორმონი) მატებასა და სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარებას შორის.

კერძოდ, რისკ-ჯგუფში იმყოფებიან ისინი, ვისაც მენსტრუაცია ძალიან ადრე დაეწყო ან მენოპაუზა (კლიმაქსი) გვიან განუვითარდა. მკერდის ჯირკვალი „უჯანყდება“ უშვილო ქალებს და მათაც, ვინც დაგვიანებით იმშობიარა. უარყოფით ფაქტორებს წარმოადგენს აბორტები და მკერდით კვებაზე უარის თქმა.

● რისკავს ის, ვინც ცხოველურ წარმოშობის ცხიმებს დიდი რაოდენობით იღებს.

● რისკის ჯგუფში არიან მსუქანი ქალები, რომელთაც დარღვეული აქვთ ნივთიერებათა ცვლა.

● მნიშვნელოვანია ქალის ფსიქიკური მდგომარეობა. სიმსივნის შიში ხშირად აძლიერებს კლინიკურ გამოვლინებებს – მაგალითად, მასტოპათიის დროს. თუმცა ეს დაავადება უკვე აღარ ითვლება სიმსივნისწინა მდგომარეობად. არსებობს სიტუაციები, განსაკუთრებით გამოხატული ჰორმონული დარღვევების დროს, როდესაც ასეთი შემობრუნება შეიძლება მოხდეს.

● უარყოფით გავლენას ახდენს ქალური სიმარტოვე ნებისმიერ, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკში. მცირე მენჯის ორგანოებში სისხლის შეგუბების გამო ირღვევა ჰორმონული რეგულაცია. ვითარდება დისტრეს-სინდრომი, რომელსაც თან ახლავს ცუდი განწყობა და ჰორმონული ფონის მუდმივი მოშლა.

● სიმსივნის მიზეზი შეიძლება გახდეს ტრავმები და დაჟეჟილობები. გამოიმუშავეთ რეფლექსი: ყველა მოულოდნელ სიტუაციაში მკერდი გადაჯვარედინებული ხელებით დაიფარეთ.



იყავით ფხიზლად

მედიკოსებმა ისწავლეს მკერდის სიმსივნის საწყისი ფორმების ამოცნობა. ასე რომ, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროს, დიდი შანსი გაქვთ შეინარჩუნოთ ცხოვრების ხარისხი და დარჩეთ ჯანმრთელნი. ქალები, რომლებიც რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან, გადიან სპეციალურ ტესტირებას, რათა გამოავლინონ, აქვთ თუ არა სიმსივნის განვითარებაზე პასუხისმგებელი გენი. რაც უფრო ადრეულ სტადიაზე შეიტყობენ ამას, მით მეტია სიტუაციის კორექტირების შანსი.

უმრავლეს შემთხვევაში სარძევე ჯირკვლის კიბო გამოვლინდება ხოლმე პატარა შემკვრივებით, რომელსაც თვითონ ქალი აღმოაჩენს. შემკვრივება შეიძლება კეთილთვისებიანი იყოს (ასეა ხოლმე უფრო ხშირად), მაგრამ ექიმს მაინც აუცილებლად უნდა ეჩვენოთ: რაც ნაკლებია სიმსივნის ზომა დიაგნოზის დასმის მომენტში, მით მეტია განკურნების შანსი.

ყველა ქალბატონი 35 წლის შემდეგ წელიწადში ერთხელ უნდა იღებდეს მამოლოგის (სარძევე ჯირკვლის სპეციალისტი) კონსულტაციას. და რაც ყველაზე მთავარია, ექიმის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც შეიტყობთ, რომ ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც რეგულარულად განაგრძეთ მკერდის თვითშემოწმება, დაეჭვებისა და შიშის გარეშე იზრუნეთ მის ჯანმრთელობაზე. ■

თქვენი პატარა

ნევროლოგის კონსულტაცია

სიცოცხლის პირველ წელს პატარას ყველა სპეციალისტთან მოუწევს სტუმრობა. ნევროლოგი პირველია მათ შორის, ვისთანაც პედიატრი გაგაგზავნით. თუ მშობიარობა რთული იყო, ვიზიტი პირველივე თვეში უნდა შედგეს, ხოლო თუ ყველაფერი რიგზე იყო, მაშინ მე-3 თვეს.

რას აქცევს ნევროლოგი ყურადღებას და რა შეიძლება გირჩიოთ მან?

ნორმალურად ვითარდება თუ არა ნერვული სისტემა

ნერვული სისტემის სიმწიფეს ნევროლოგი ზოგიერთი თანდაყოლილი რეფლექსის არსებობის მიხედვით განსაზღვრავს. ექიმი დააწვება ბავშვს ხელისგულების ცენტრზე და პატარა პირს გააღებს: ეს კარგია. ჩაუდებს ხელში თავის თითს და პატარა მაგრად მოუჭერს: ესეც მშვენიერია – მოჭიდების რეფლექსი აქვს. ექიმი აიყვანს ჩვილს იღლიებით და „დააყენებს“ მაგიდაზე: თუ იგი ფეხებს გადააბიჯებს, თითქოს დადისო, ეს ნიშნავს, რომ დაყრდნობისა და ავტომატური სიარულის რეფლექსი სახეზეა.

ერთი და იგივე რეფლექსი სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად ფასდება. მაგალითად, თუ 1-2 თვის ბავშვი „დადის“, ეს კარგია, მაგრამ 3-4 თვის ასაკში – უკვე ცუდი. 2 თვის შემდეგ, ავტომატური სიარულის რეფლექსი უნდა გაქრეს.

აი, კიდევ ერთი რეფლექსი: ექიმი ტაშს შემოჰკრავს – პატარა უეცარ ხმაურზე ხელებს გაშლის და შემდეგ მკერდზე გადაიჯვარედინებს. 4 თვემდე ასეთი რეფლექსი ნორმალურია, ხოლო 6 თვის შემდეგ, მისი არსებობა ემოციურ სფეროში ბავშვის ჩამორჩენაზე მეტყველებს. ასეთი ბავშვი აღგზნებული და მშიშარა იქნება.

თუ 3 თვის პატარა თავს ვერ იჭერს მუცელზე დაწვენისას, შესაძლოა, მას ბავშვთა ცერებრული დამბლა ემუქრებოდეს. ექიმი აუცილებლად დააკვირდება, ხომ არ აჯვარედინებს ბავშვი ფეხებს. თუ გადაჯვარედინება ტერფების დონეზეა – ჯერ საშიში არაფერია. თუ ფეხები ბარძაყების დონეზეა გადაჯვარედინებული, ნევროლოგი აუცილებლად გასინჯავს პატარას 6 თვის ასაკში: ამ დროისათვის ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოსტირება ყოველთვის შესაძლებელია.

ნორმალურია თუ არა კუნთოვანი ტონუსი

ახალშობილს ხელები ტანზე აქვს მიკრული. მტევნები მუშტადაა შეკრული, ფეხები მოხრილი. საერთო კუნთოვანი

ტონუსი მომატებულია. თვე-ნახევრამდე ეს ნორმალურია. შემდგომში იგი უნდა შესუსტდეს. შესაძლებელია სხვა საშიშროებაც: ზოგჯერ ტონუსი დაქვეითებულია, რაც ასევე არ გამოეპარება ექიმს.

ნორმალურია თუ არა შიდა ქალის წნევა

მძიმე ორსულობისა და გართულებული მშობიარობის დროს ნაყოფის ტვინს არ მიეწოდება საკმაო რაოდენობით ჟანგბადი. ამის გამო მშობიარობისას ტვინის პარკუჭებში ბევრი თავ-ზურგტვინის სითხე ხვდება, პარკუჭები ფართოვდება და ტვინის გარკვეულ უბნებს აწვება. პატარა, რომელსაც მომატებული აქვს შიდა ქალის წნევა, ადვილად აღგზნებადია, ცუდად სძინავს. ბევრს ტირის, ჭამის შემდეგ ხშირად ამოაქარვებს ხოლმე...

ტვინის პარკუჭების გადიდებას ულტრაბგერითი გამოკვლევა დაადგენს, თუმცა ყველაზე ზუსტი მაჩვენებელი ყიფლიბანდისა და ქალის ძვლებს შორის ნაკერების მდგომარეობაა. თუ ყიფლიბანდი გამობერილი არ არის (ოდნავ ჩავარდნილია), ნაკერები ძვლებს შორის არ არის გაფართოებული, თავის გარშემოწერილობა კი ასაკს შეეფერება, მაშასადამე, აღელვების მიზეზი არა გვაქვს.

როგორია სენსორული აღქმა

უფრო მარტივად რომ ვთქვა, როგორ რეაგირებს პატარა სინათლეზე, ბგერაზე, უცხო სახის დანახვაზე, თვე-ნახევრის ბავშვი წუთით მაინც უნდა აჩერებდეს მზერას მისკენ დახრილ ადამიანზე; 2 თვისა კი, უკვე თვალს აყოლებს მოძრავ საგნებს, რეაგირებს ბგერასა და სინათლეზე. იგი თავს აბრუნებს სინათლისა და ბგერის წყაროსაკენ.

როგორ მიდის ემოციური განვითარება

თვის ბავშვის სახეზე უკვე ჩნდება ღიმილი. მსგავსი რამ შესაძლოა, მანამდეც შეგიმჩნევიათ, მაგრამ ეს არ იყო გაცნობიერებული ემოციური რეაქცია. ახლა კი იგი უღიმის ადამიანს – არა მხოლოდ დედიკოს, არამედ დახატულს და თოჯინასაც კი, მაგრამ ეს მხოლოდ 4 თვემდე გრძელდება. ამის შემდეგ მდუმარე ნიღაბი პატარას აღარ აკმაყოფილებს და თუ მის ღიმილს რეაქცია არ მოჰყვა, ბრაზდება და ტირის. მაშასადამე, ბავშვი იზრდება და სწორად ვითარდება. 4 თვის პატარა უკვე ხმამაღლა სიცილს სწავლობს.

მინიშნებანი ყურადღებიანი დედისათვის

ნევროლოგთან მისვლისას უნდა გაიხსენოთ ყველაფერი, რაც აწუხებს თქვენს პატარას.

როგორ სძინავს? ახალშობილს დღე-ღამეში 16-18 სთ უნდა ეძინოს. თუ პატარა ცუდად იძინებს, ურევს დღესა და ღამეს, ცოტა სძინავს, ამის შესახებ აუცილებლად უნდა უთხრათ ნევროლოგს.

ბევრს ხომ არ ტირის? პირველი თვის განმავლობაში პატარა ეგუება ახალ სამყაროს და განიცდის ძლიერ სტრესს. ამიტომ იგი ხშირადაა ცუდ ხასიათზე და როცა არ სძინავს, ხშირად ტირის ხოლმე, მაგრამ გამუდმებით და უმიზეზოდ მტირალმა ბავშვმა აუცილებლად უნდა მიიპყროს განსაკუთრებული ყურადღება.

კარგად ჭამს თუ არა? თუ ბავშვი უარს ამბობს ძუძუს წოვაზე, ეს შემაშფოთებელია, რადგან ამის მიზეზი შესაძლოა სამშობიარო სტრესი ან უფრო სერიოზული ნევროლოგიური პრობლემა იყოს.

როგორია მეტყველებისწინა განვითარება? ერთი თვის ბავშვი პირველად ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემს, თვე-ნახევრის ასაკში კი, ხმოვანი ბგერები ჩნდება. 4 თვის ბავშვი დილაობით მღერის. თუ იგი არავითარ ბგერებს არ გამოსცემს, პატარა, ექიმს უნდა უჩვენოთ.

■

თუ ხველება არ გაქინებთ

როგორც ცნობილია, მწვავე რესპირატორული დაავადებების სიმპტომები განსაკუთრებით ღამღამობით მწვავდება: მატულობს ტემპერატურა, ძლიერდება ხველა. ამ დროს, ხშირად, წამალიც ვერ გშველით და შესაძლოა, ხალხურმა მეთოდებმა უკეთ იმოქმედოს. სცადეთ, იქნებ, წინამდებარე რეცეპტით დამზადებულმა საშუალებამ გაჩუქოთ მშვიდი ძილი.

შეურიეთ ერთმანეთს: 2 ს/კ კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩ/კ პურის ფქვილი, 2 ჩ/კ ნატურალური თაფლი; მიიღეთ თითო ჩ/კ, 3-4-ჯერ დღეში.

ტემპერატურის დასაწევად და სუნთქვის გასაუმჯობესებლად (განსაკუთრებით რეკომენდებულია ბავშვებისა და ხანდაზმულებისთვის), გაიკეთეთ კარტოფილის კომპრესი: მოხარშეთ კანიანად კარტოფილი და გაახვიეთ ტილოში; მერე კარგად დასრისეთ და დაიდეთ გულმკერდზე (ოღონდ, არა გულის არეზე).

სასარგებლოა აგრეთვე: ვაშლის ჩირის ნახარში, 1 ჩ/კ თაფლთან ერთად; ასკილის ნაყენი ლიმონით ან შემთბარი ბორჯომის წყლით.

ყველა სათვალიანი კაცი ჭკვიანია?!

ეს შეხედულება ადრეც, ბევრს სმენია, მაგრამ სათვალეს შეუჩვეველი, სიჭარმაგეში შესული და ახალშეძენილი შორსმხედველობით შეწუხებული მამაკაცები ხშირად, თურმე ვერ ეგუებიან სათვალეს, რადგან ფიქრობენ – ის მათ ასაკს გასცემს... არადა, სათვალიანი კაცი, თუ მაღალი ინტელექტუალური დონით არა, ე.წ. ინტელექტის კოეფიციენტის (IQ) მაღალი მაჩვენებლით მაინც გამოირჩევა. ეს კანონზომიერება, ილინოისის (აშშ) უნივერსიტეტის მედიცინისა და ბიოლოგიის ცენტრის ოფთალმოლოგებმა დაადგინეს. მათ 15-დან 60 წლამდე ასაკის, შორსმხედველი 1500 მამაკაცი გამოიკვლიეს და ირწმუნებიან: მათი 80%-ის – ვინც სათვალის ტარებას არ ერიდება, ეს ყბადაღებული IQ გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი იმ თანატოლებისა, რომლებიც მხედველობის დაქვეითებას მალავენ.

■

როგორ შევარჩიოთ ეგზოტიკური ხილი

ავოკადო

როდესაც ავოკადო პირველად გამოჩნდა ჩვენში, საუკეთესო ნაყოფის ყიდვა იაფად შეიძლებოდა, რადგან გამყიდველები მიიჩნევდნენ, რომ კარგია გლუვი და მაგარი ნაყოფი, ხოლო რბილი და მუქი მურა ფერის ნაყოფს მეორეხარისხოვნად თვლიდნენ. მაგრამ როგორ ცდებოდნენ თურმე ისინი...

ავოკადოს გემო ჯერ კიდევ უძველეს დროში აცტეკებსა და ინკებს აოცებდა. დღეს მისი 400-მდე სახეობაა ცნობილი. ზოგიერთს გლუვი და მწვანე კანი აქვს, ზოგს კი – მუქი და უხეში, მაგრამ მწიფე ნაყოფის გამორჩევა ადვილია: რაც უფრო რბილია იგი, მით უკეთესი.

თუ თქვენ მაგარი ნაყოფი იყიდეთ, ჩადეთ ქაღალდის პარკში ვაშლთან ან ბანანთან ერთად და მოათავსეთ ოთახის ტემპერატურაზე. 3-4 დღეში ავოკადო დამწიფდება.

რისთვისაა სასარგებლო

გული და სისხლძარღვები. მწიფე ნაყოფი მდიდარია უჯერი ცხიმოვანი მჟავებით. მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ რაციონში სწორედ მათი ნაკლებობა ხდება სისხლში ქოლესტერინის მატებისა და ათეროსკლეროზის განვითარების მიზეზი. გარდა ამისა, ავოკადო შეიცავს ბევრ კალიუმს, რომელიც არეგულირებს წყალ-მარილოვან ცვლას და მეტად საჭიროა გულის მუშაობისთვის.

კანი. ამ ეგზოტიკურ ბოსტნეულში ბევრია A და C ვიტამინი, მცენარეული ცილები და ცხიმები, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული კანის სიმყარე და ელასტიკურობა.

ნაწლავები. ავოკადოში შემავალი უჯრედისი ავჯანსაღებს ნაწლავის მიკროფლორას. ათავისუფლებს მას წიდებისაგან, აუმჯობესებს პერისტალტიკას და ხელს უშლის ყაბზობას.

სისხლის წარმოქმნა. ნაყოფში შემავალი რკინა და სპილენძი გვიცავს ანემიის განვითარებისაგან. სხვათა შორის, სპილენძის თანაარსებობისას რკინა უკეთ შეიწოვება.

როგორ გამოვიყენოთ

ხილის ჯემი ყაბზობისთვის. დაალბეთ 30-30 გ ლეღვის, გარგარისა და შავი ქლიავის ჩირი (უკურკო), გაატარეთ ხორცსაკეპში. მიღებულ მასას შეურიეთ 30 გ დანამცეცებული ავოკადოს რბილობი, დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი. პროფილაქტიკისათვის მიიღეთ თითო ს/კ ძილის წინ, ხოლო სამკურნალოდ – 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ. ჯემი შეინახეთ მაცივარში, თავდახურულ შუშის ჭურჭელში.

ნიღაბი ნაოჭებისა და კანის აქერცვლის სამკურნალოდ. გახეხეთ 50 გ ავოკადო, შეურიეთ 1 ჩ/კ ზეითუნის ან სელის ზეთი და მაშინვე დაიდეთ სახეზე თხელ ფენად.

კრემი-ნიღაბი მშრალი თმისათვის. გაფცქვნილი ნაყოფის ნახევარი გახეხეთ მსხვილ სახეხზე. მიღებულ ფაფას დაუმატეთ ერთი ბანანის რბილობი და კვერცხის გული. ყველაფერი აურიეთ და დაიდეთ სუფთა თმაზე. რბილად შეიზილეთ თავის კანში. ნიღაბი ჩამოიბანეთ თბილი წყლით, 5-10 წთ-ის შემდეგ.

როგორ მოვამზადოთ

იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ავოკადოს ნაზი არომატი და სასარგებლო თვისებები, იგი თერმულად არ უნდა დაამუშაოთ და ცოცხალი სახით უნდა გამოიყენოთ.

ნაყოფის რბილობი სწრაფად შავდება ჰაერზე, ამიტომ ავოკადოს კერძი შესანახად არ მოამზადოთ.

ავოკადოს ნაზ გემოს ჩრდილავს ტკბილი და ცხარე სანელებლები, ლიმონისა და ფორთოხლის წვენი. ■

სახის კანის მოვლა ორსულობის დროს

ორსულობის დროს, ბევრ ქალს სახის კანი ეცვლება, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ქალის ორგანიზმი დიდ ფიზიკურ და ჰორმონულ დატვირთვას განიცდის. თუ შეამჩნევთ, რომ თქვენი კანი მეტისმეტად მშრალი ან, პირიქით, ცხიმიანი გახდა, ნუ შეშინდებით: ამ პრობლემასთან გამკლავება საკმაოდ ადვილია. სიმშრალეს უმეტესად, A ვიტამინის დეფიციტი იწვევს, ამიტომ ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები ჭარბად უნდა მიიღოთ. ცხიმიანი კანის შემთხვევაში, შეზღუდეთ ტკბილეული და ცხოველური ცხიმები (შეგიძლიათ, ის მცენარეულით შეცვალოთ). თუ სახეზე გამონაყარი გაგიჩნდათ, შეგიძლიათ სპირტიანი ხსნარები გამოიყენოთ, შალფეის ან გვირილის ნაყენთან ერთად.

ბევრ ორსულს, პიგმენტური ლაქები უჩნდება, რაც C ვიტამინის დეფიციტზე მიუთითებს; ლაქების მიზეზი შეიძლება მზეზე ხანგრძლივად ყოფნაც იყოს. ასეთ დროს, მთავარ პროფილაქტიკურ და თერაპიულ საშუალებად, C ვიტამინით მდიდარი პროდუქტების მიღება ითვლება. პიგმენტიანი და ცხიმიანი კანისთვის უებარია ასეთი ნიღაბი: ახალი საფუარი გახსენით ლიმონისა და პურის ან კარტოფილის ფქვილის პასტაში – თანაფარდობით 50X50 და დაიდეთ სახეზე. თუმცა, უფრო მარტივი რეცეპტიც შეგიძლიათ გამოიყენოთ – უბრალოდ, დაიზილეთ სახე ლიმონით ან ახალი კიტრით. ■

65 წლის ქალბატონი დედა გახდა

ინდოეთში მცხოვრებ წყვილს, სატიაბჰამ მაჰაპატრუსა და მის ქმარს, ასაკის გამო, ექიმები შვილის ყოლას არ ურჩევდნენ, რადგან ეშინოდათ, რომ მომავალი დედის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩავარდნილიყო. მაგრამ ცოლ-ქმარს იმდენად დაუძლეველი სურვილი ჰქონდა შვილის ყოლის, რომ ამ სარისკო ნაბიჯის გადადგმა მაინც გადაწყვიტა. ექიმებმა მათი დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, მოვლენების შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლობა მოიხსნეს და სატიაბჰამს დონორის (მისი 26 წლის ძმისშვილის) ემბრიონი გადაუნერგეს. ბუნების მიერ დადგენილ დროს კი, სატიაბჰამმა პირმშო საკეისრო კვეთის მეშვეობით გააჩინა.

გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები ამ არაორდინარული შემთხვევით დაინტერესდნენ და მზად არიან, რომ ჩვენი დროის ყველაზე ასაკოვანი მშობიარე რეკორდების წიგნში შეიყვანონ. აქამდე ეს რეკორდი ჩრდილოეთ კალიფორნიისა და იტალიის მკვიდრ ორ ქალბატონს ეკუთვნოდა. მათ 63 წლის ასაკში გააჩინეს შვილები.

ექიმების თქმით, დედაც და ახალშობილიც თავს შესანიშნავად გრძნობენ. სატიაბჰამი და მისი მეუღლე სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავენ. ■

მაიკლ დუგლასის გახდა, ყველა მამაკაცი იდიოტი ყოფილა

მაიკლ დუგლასი ერთ-ერთ გამოსვლაში ყველასათვის მოულოდნელად, თავს დაესხა თავისი ამჟამინდელი ცოლის – კეტრინ ზეტა-ჯონსის ყოფილ შეყვარებულებს და იდიოტები უწოდა მათ. ვალიელი ლამაზმანი, რომელიც 25 წლით უმცროსია ქმარზე, გათხოვებამდე ხვდებოდა ჩვენთვის ნაკლებად ცნობილ ინგლისელ მსახიობებს: ჯონ ლესლის, ენგუს მაკფედიენს და მიკ ჰაკნელს. დუგლასთან ინტერვიუ გაზეთ „ივნინგ სტენდარდში“ დაიბეჭდა, სადაც ნათქვამია: „მე დავრწმუნდი, რომ კეტრინს ოჯახთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი აქვს და იმ იდიოტებთან ურთიერთობის მთელი სიმძიმე, ვისაც იგი ადრე ხვდებოდა, სწორედ მის ოჯახზე გადადიოდა...“

ასაკობრივ სხვაობასა და კეტრინის პოპულარობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს მაიკლმა ასეთი პასუხი გასცა: „მე მისტერ დედიკოდ ყოფნას არ ვაპირებ. მანამდე, ვიდრე გიყვარს ქალი, ასაკს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ვიცი, რომ ჩემი ცოლი ჩემზე 25 წლით უმცროსია და თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფება, მაგრამ მე სიამოვნებით ვაძლევ მას თავისუფლებას და დროს, რაც ამ ეტაპზე მას განსაკუთრებულად სჭირდება“. ■

ბიზნესმენს ქალწული სასოლის ძებნა 120 ათასი დოლარი დაუჯდა



ჩინელმა ბიზნესმენმა გაზეთებში გამოაქვეყნა განცხადება, რომლის მეშვეობითაც იგი ქალწულ საპატარძლოს ეძებს. გაზეთებში ამ განცხადების განთავსება ბიზნესმენს 120 ათასი დოლარი დაუჯდა. 35 წლის ბიზნესმენის თქმით, მისი ქონება, რომლის გაყოფასაც მომავალ მეუღლესთან აპირებს, 12 მლნ დოლარს შეადგენს. შანხაიში მცხოვრებ მილიონერს, განცხადებაში საკუთარი ვინაობა არ მიუთითებია, თუმცა, აღნიშნა, რომ იგი გაყრილია ცოლთან და ხუთი წლის ვაჟი ჰყავს. მოგვიანებით ისიც გაარკვა, რომ გაზეთებში განცხადების გამოქვეყნებიდან სულ ერთ საათში, ბიზნესმენს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, 100 კანდიდატი გამოეხმაურა. ■

ლიზ ჰარლი ოჯახის შექმნაზე ოცნებობს



სავარაუდოა, ამჯერად მის ოცნებას ახდენა უწერია. ოთხთვიანი თავბრუდამხვევი ვნებისა და რომანტიკული ურთიერთობის შემდეგ, ბედნიერმა შეყვარებულებმა – ინგლისელმა მსახიობმა ლიზ ჰარლიმ და ინდოელმა მულტიმილიონერმა არუნ ნაიერმა – დაქორწინება გადაწყვიტეს. თუმცა, საკურთხევლისკენ მიმავალ გზაზე მათ ერთი წინაღობა აქვთ გადასალახავი – ეს გახლავთ ბიზნესმენის ცოლი, ვალენტინა პედრონი. როგორც პრესა იტყობინება, ქალბატონი პედრონი ცდილობს, შეინარჩუნოს ოჯახი, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ნაკლებსავარაუდოა, რომ მან ეს მოახერხოს.

არუნ ნაიერმა მუმბაიში მცხოვრებ მშობლებს თავისი საცოლე უკვე წარუდგინა. როგორც ლიზის მეგობრები ამბობენ, იგი ბედნიერებისაგან მეცხრე ცაზეა: მარტოხელა დედა უკვე დიდი ხანია ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა, მაგრამ რატომღაც სიყვარულში არ უმართლებდა. მისი ყოფილი ბოიფრენდის, ჰიუ გრანტის სასიყვარულო ინტრიგების შესახებ პრესა გაუთავებლად წერდა; ჰარლის ერთი წლის ბიჭუნას მამა კი, საერთოდ უარს ამბობდა მამობაზე და ლიზს დნმ-ს ანალიზის ჩატარება დასჭირდა. ამის შემდეგ, განაწყენებულმა ჰარლიმ, ბიჭუნას მამის მიერ შეთავაზებულ ფინანსურ დახმარებაზე უარი განაცხადა და შვილის აღზრდა თავად იკისრა. ■

„პრადო“ „ლუვრი“
ორნამენტი
ამერიკელი მწერალი ... დრაიზერი
დიდი ჩაქუჩი
მოუსარ-ბავი
ამერიკელი როკ-მომღერალი ... ტერნერი
თამაშობა: კითხვებზე პასუხის გაცემა
საძრახისი ქმედება
გადამდნარი კარაქი
ბელგიის დედა-ქალაქი
„შავყურა თეთრი ...“
მელოტის სინანული
სახელმ-წიფო დასავლეთ აფრიკაში
ბალახო-ვანი მცენარე
„ასკრიბვინი ქლაჯ“ ჰომროსის თქმით
მომწამლავი აირისგან დამცავი საშუალება
ორსახოვანი ღმერთი რომულ მითოლოგ.
ძვირფასი ქვა
გემრიელი საჭმელებ-ის მცოდნე
ჰანზას მთავარი ქალაქი
ტროპიკუ-ლი ტყე
გერმანელი ფილოსოფოსი
„აირზენას“ ვიცე-პრეზიდენ-ტი
ქართული ანბანის ასო
კეტბურთი
იორდანიის დედაქალაქი
ქართველი მოჭადრაკე
თბილისის უბანი
უხეში სელის ქსოვილი
გულადი, გაბედული
სამართალ-მცოდნე
შემო-ქმედების ბუნებრივი უნარი
მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა
თავისუ-ფალი, თამამი, ამაყი
ფინური მობილ-ური
ტყუილა აშბავი, მითქმა-მოთქმა
კურკოვანი მცენარე
კამათელი (ჟარგონზე)
ბულგარუ-ლი ეროვნული სასმელი
შეადგინა რამაზ ალანიამ



26-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა.

კვირის (21 – 27 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/IV-21/V

ბოლოს და ბოლოს, მოგეცემათ საშუალება, დაგროვილი იდეები გამოამზეუროთ. მას კარგად შეხვდებიან და უმალ აიტაცებენ გარშემომყოფნი. გამორიცხული არ არის, რომ ამ კვირაშივე, ახალ-ახალი ვალდებულებებიც დაგაკისრონ და იდეების განხორციელებაც მოახერხოთ.

მარიხვი – 22/V-21/VI

ამ კვირაში ხშირად, ფსიქოლოგიურ დისკომფორტს იგრძნობთ. ეს იმით აიხსნება, რომ საქმეებსა და პირად პრობლემებს შორის არჩევანის გაკეთება გიჭირთ. უქმეებში, პირადულს მიანიჭებთ უპირატესობას. შესაძლოა, სიყვარული აგიხსნან (ან თქვენ აუხსნათ) და დაოჯახებაც გადაწყვიტოთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კომპრომისებზე წასვლა მოგიწევთ. რაც უფრო მეტ სიჯიუტეს გამოიჩენთ სადაგ დღეებში, მით უარეს მდგომარეობაში ჩავარდებით უქმეებში. შაბათს და კვირას თქვენი მავნე ჩვევების ტყვეობაში აღმოჩნდებით.

ლომი – 23/VII-23/VIII

ამ კვირაში, გარშემომყოფთა თვალში ამაღლდებით. შინ ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარებას შეძლებთ, ხოლო სამსახურში ბრწყინვალე იდეებით გააოცებთ ყველას.

ქალწული – 24/VIII-23/IX

გაიხარეთ – რომ იტყვიან, ახლა თქვენი დროა! საკმაოდ მსუბუქი სამუშაო კვირა გექნებათ და მეგობრებისა და საყვარელი ადამიანისთვისაც მოიცლით. ბევრი სასიამოვნო განცდა გელით და მომავლისთვის ძალზედ კარგი პერსპექტივაც გადაგეშლებათ.

სასწორი – 24/IX-23/X

დროა, უარი თქვათ იმ პროექტებზე, რომელიც უშედეგოა და დაემშვიდობოთ პარტნიორებს, რომელთაც ფუჭი დაპირებების გარდა, არაფერი შეუძლიათ. თავადაც გაგიკვირდებათ, იმდენად ადვილად შეძლებთ ამას.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

მთელი კვირა, სიყვარულის ბურუსში იქნებით გახვეული. ასე რომ, სამუშაოზე ყურადღების კონცენტრირება გაგიჭირდებათ. მაგრამ თუ თავს ძალას მაინც დაატანთ, კვირის შუა პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწევთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ყურადღება გაამახვილეთ წვრილმანებზე, განსაკუთრებით – დოკუმენტებზე მუშაობისას, თორემ შესაძლოა, ძალზედ სერიოზული შეცდომა დაუშვათ. შეიძლება, ისეთ ადამიანთან ერთად მოგიწიოთ საქმიანობა, რომლის გამოც უსიამოვნება შეგხვდებათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ძალიან სასიამოვნო კვირა გექნებათ. მართალია, განსაკუთრებული არაფერი მოხდება, მაგრამ არც უსიამოვნება შეგხვდებათ. ბევრი დაუვიწყარი საღამო გელით. თეატრში ან კონცერტზე წასვლის საშუალებაც მოგეცემათ.

მერწყული – 21/I-19/II

ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები კვირის შუა პერიოდში უნდა მოაგვაროთ. არადა, ყველაზე მეტად სწორედ ამ დღეებში გაგიჭირდებათ საქმეზე კონცენტრირება. ამიტომ წინასწარ მოემზადეთ ფსიქოლოგიურად და ადვილად აარიდებთ თავს უსიამოვნებას.

თევზები – 20/II-20/III

ფინანსური სფეროს გარდა, ნებისმიერ სხვა საქმეში წარმატება გელით. ფულთან დაკავშირებით, ყველაფრის წინასწარ გათვლაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სავალალო შედეგი მიიღოთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ამ კვირაში, შესაძლოა, დაგაწინაურონ და შრომის ანაზღაურებაც გაგიორმაგონ. ოღონდ, არავითარ შემთხვევაში არ აჩქარდეთ – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას ხელმძღვანელობა მოგთხოვთ. თუ გსურთ, დასახულ მიზანს მიაღწიოთ, თქვენი ყოველი ქმედება კარგად გააზრებული უნდა იყოს.

ზოდიაქოს ჯვეჭი

ძვირფასი, ნახევრად ძვირფასი და ფერადქვიანი ნაკეთობანი შესანშნავი საჩუქარია, როგორც ქალისთვის, ასევე მამაკაცისთვის. მაგრამ ქვას წარმატება და ჯანმრთელობა მხოლოდ იმ თვეში დაბადებულისთვის მოაქვს, რომელსაც იგი ჰოროსკოპით შეესაბამება...

ვერძის ქვაა წითელი იასპი. არეგულირებს ტემპერატურას, კურნავს ქალურ სნეულებებს, ამახვილებს ყნოსვას. სასარგებლოა ჰელიოტროპიც: იცავს ქონებას, ბოღმისა და მელანქოლიისგან გაგათავისუფლებთ. ***ჯიროს*** ქვებია საფირონი და მალაქიტი. ლურჯი საფირონი მრავალ დაავადებას კურნავს, მალაქიტი კი, ადამიანებთან ჰარმონიულ ურთიერთობას უწყობს ხელს. ეს ქვები არ შეეფერება ვერძებსა და ღრიანკალებს. ***ტყუპებს*** შეეფერება აქატი,ზურმუხტი და ქრიზოპრაზი. მათი მწვანე შეფერილობა ააქტიურებს აზროვნებას და ფიზიკურ ენერგიას მატებს ადამიანს. ეს ქვები არ შეეფერება მშვილდოსნებსა და თხის რქებს. ***კირჩხიბის*** ქვად ითვლება მარგალიტი, რომელიც მთვარის ენერგიას ინახავს და სულიერი წონასწორობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. არ არის რეკომენდებული ნაკლებემოციური, აგრესიული და ამპარტავანი ადამიანებისთვის. ***ლომის*** ქვებია ქარვა, ტოპაზი და ლალი. ისინი აკაჟებს სხეულსა და სულს, წმენდს აურას. შეეფერება აგრეთვე მშვილდოსანსა და ვერძს. ***ქალწულის*** ქვებია სერდოლიკი და მთის ბროლი; ისინი წმენდს აურას, კარგად მოქმედებს კუჭ-ნაწლავზე. არ შეეფერება ლომებს, მშვილდოსნებსა და თევზებს. ემოციურ ***სასწორს*** სარგებლობას მოუტანს ნეფრიტი, ვარდისფერი კვარცი, ვარდისფერი ქალცედონი, იასამნისფერი ამეთვისტო. ***ღრიანკალს***, რომელსაც „მოგიზგიზე ყინულს“ ეძახიან,შინაგანი ძალების მატებასა და სწორი მიმართულებით მის წარმართვაში, ფირუზი და სარდონიქი დაეხმარება. ***მშვილდოსანს*** მუქი ისფერი ამეთვისტო, ყვითელი ტოპაზი და ფირუზი სჭირდება. ეს ქვები დაბლა სწევს არტერიულ წნევას, კურნავს ღვიძლს. არ უხდება ტყუპებსა და ქალწულებს. ***თხის რქას*** სჭირდება, გიშერი, შავი ბროლი და ალმასი, რომლებიც ხელს უწყობს მისი მტკიცე და მიზანსწრაფული ხასიათის გამოვლენას. არ შეესაბამება ვერძსა და კირჩხიბს. ***მერწყულის*** ქვებია ძოწი, ლაზურიტი, ცირკონი და ზოლიანი ონიქსი. ეს ქვები მათთვისაა, ვისაც არაორდინარული ნაბიჯების გადადგმა სჩვევია. ზედმეტად გაწონასწორებულ ადამიანებს ნაკლებად უხდება. ***თევზებს*** გულგახსნილობის მიღწევასა და სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში ალექსანდრიტი და ამეთვისტო დაეხმარება; მათ შეესაბამება აგრეთვე: ფირუზი, მარჯანი, სადაფი და ქარვა. ეს ქვები დიდად არ წაადგება „ცეცხლოვან“ ნიშნებსა და გონებრივი შრომის წარმომადგენლებს.

ქალებისთვის

როგორი დიასახლისი ხართ?



1) ჩვეულებრივ, როგორ ხვდებით მოულოდნელად მოსულ სტუმრებს?

ა) ცდილობთ, ისე მოიქცეთ, რომ სტუმრებმა თავი უხერხულად არ იგრძნონ – 3;

ბ) შემოიპატიჟებთ, მაგრამ ძალიან ინერვიულებთ – 2;

გ) არც ეცდებით დაფაროთ, რომ მათი მოსვლით არ აღფრთოვანდით – 0.

2) რის ასოციაციას იწვევს თქვენში სიტყვა „ზაფხული“?

ა) მზე, ჰაერი, წყალი... მოკლედ რომ ვთქვათ – დასვენების – 0;

ბ) ქილები, კონსერვები, ხილი... – ზამთრისათვის მზადების – 3;

გ) აგარაკზე დასვენებისა და ბოსტანში ფუსფუსის – 2.

3) ჩვეულებრივ, როგორ მიდიხართ რამის საყიდლად?

ა) მიზანმიმართულად, რადგან ყოველთვის იცით, რისი შეძენა გსურთ – 3;

ბ) საჭირო ნივთებს მაშინ ყიდულობთ, როცა სხვა საქმეებზე გიწევთ გარეთ გასვლა – 0;

გ) არაფერს გეგმავთ – უბრალოდ მიდიხართ და იმას ყიდულობთ, რაც გსურთ – 2.

4) რას ნიშნავს თქვენთვის გაურეცხავი ჭურჭელი?

ა) ისევე, როგორც მტვერი, ჭურჭლის გროვაც ძალიან გაღიზიანებთ და ერთი წუთითაც არ ტოვებთ გაურეცხავს – 3;

გ) ჭუჭყიანი ჭურჭელი არასდროს გიგროვდებათ – 2;

გ) ჭურჭლის რეცხვა საშინელი საქმეა – ნეტავ, ერთჯერადი ქვაბებიც არსებობდეს – 0.

5) როგორ იწყება თქვენი დილა?

ა) ფეთიანივით დარბიხართ ოთახიდან ოთახში და საჭირო ნივთებს ეძებთ – 0;

ბ) ადრე დგებით, რომ ტანსაცმელი შეარჩიოთ და მშვიდად გაიკეთოთ მაკიაჟი – 1;

გ) ადრე დგებით, რომ საუზმე მოამზადოთ და ოჯახის წევრებს მოემსახუროთ – 2.

6) რით ხელმძღვანელობთ ახალი კაბის ყიდვისას?

ა) სუპერმოდური უნდა იყოს – 0;

ბ) ძლიერ უნდა მოგეწონოთ – 1;

გ) პრაქტიკული, ხარისხიანი უნდა იყოს და თქვენთვის მისაღები ფასი უნდა ედოს – 2.

7) თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ თქვენი ბინა მიმზიდველად გამოიყურებოდეს?

ა) ძვირფასი ავეჯი – 0;

ბ) ლამაზი წვრილმანები – 3;

გ) სისუფთავე და წესრიგი – 2.

დაჯამეთ ქულები

14-19: იდეალური დიასახლისი ხართ. საოცარია — საიდან გაქვთ ამდენი საუცხოო თვისება? დიდი მოთმინებით გამოირჩევით, მშვენიერი ორგანიზატორი ხართ და კარგად უვლით ოჯახის წევრებს. თქვენს ბინაში მუდამ წესრიგია. სამაგიეროდ, ხშირად გავიწყდებათ საკუთარ თავზე ზრუნვა.

7-13: კარგი დიასახლისი ხართ, მაგრამ ზოგჯერ, დადგენილი წესებიდან გადახვევასაც არ გაურბიხართ, რაც სულაც არ არის ურიგო. შინ გამეფებული წესრიგი თქვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ არც თვითმიზანს წარმოადგენს. ბევრს თქვენი შურს, რადგან მშვენივრად მოახერხეთ ე.წ. „ოქროს შუალედის“ პოვნა. ოჯახის წევრებიც კმაყოფილები არიან თქვენით, მაგრამ არც საკუთარი თავი გავიწყდებათ.

0-6: საოჯახო საქმეები თქვენს მოწოდებას ნამდვილად არ წარმოადგენს. ალბათ სხვა სფეროში უფრო ნიჭიერი ხართ და თავის გამოსაჩენად სხვა ასპარეზი უნდა ეძებოთ. თუმცა, როცა მოისურვებთ, ოჯახის მიხედვასაც ახერხებთ და სამსახურშიც წარმატებით საქმიანობთ. საუკეთესო გამოსავალი თქვენთვის, დამხმარე ქალის შინ მოყვანაა — ცხადია, თუ ამის მატერიალური საშუალება გაქვთ.

როგორი მეხსიერება გაქვთ?

1) შეგიძლიათ თუ არა, ერთ დღეში დაიხსომოთ ხუთი სხვადასხვა სატელეფონო ნომერი?

ა) დიახ, თავისუფლად – 1;

ბ) არა – 0.

2) დაგვიწყებიათ თუ არა ოდესმე, საქმიან შეხვედრაზე წასვლა?

ა) არასოდეს – 1;

ბ) ერთი-ორჯერ – 0.

3) შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ, რა მიირთვით საუზმეზე სამი დღის წინ?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

4) შეგიძლიათ თუ არა, რამდენიმე წუთში დაივიწყოთ უსიამოვნო ინციდენტი?

ა) დიახ, თავისუფლად – 0;

ბ) არა, ასეთი რაღაცები დიდი ხნით გამახსოვრდებათ – 1.

5) გახსოვთ თუ არა სკოლაში გატარებული პირველი დღე?

ა) დიახ, ცხადად – 1;

ბ) არა – 0.

6) შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ სკოლის პერიოდში ნასწავლი რომელიმე ლექსი?

ა) დიახ, რამდენიმე – 1;

ბ) არა, ვერც ერთს ბოლომდე ვერ იხსენებთ – 0.

7) შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ რაიმე ტანსაცმელი, რომელიც 10 წლის წინ გეცვათ?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

8) ახლობლებთან ან მეგობრებთან დასარეკად, გჭირდებათ თუ არა უბის წიგნაკში მათი ნომრის მოძებნა?

ა) დიახ, რა თქმა უნდა – 0;

ბ) არა, ახლობლების ტელეფონის ნომრები ზეპირად იცით – 1.

9) შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ იმ თანაკლასელის სახელი, ვისთან ერთადაც დაწყებით კლასებში ერთ მერხზე იჯექით?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

10) კარგად გახსოვთ თუ არა ახლო მეგობრების დაბადების დღეები?

ა) დიახ, რა თქმა უნდა – 1;

ბ) არა, ხანდახან გავიწყდებათ – 0.

დაჯამეთ ქულები

0-3: სუსტი მეხსიერების პატრონი ხართ. ხშირად გავიწყდებათ შეხვედრებზე წასვლა თუ ახლობლებთან დროულად დარეკვა, მაგრამ ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს — უსიამოვნებებსაც მალე და ადვილად ივიწყებთ.

4-6: ნორმალური მეხსიერება გაქვთ: ახლო წარსულში მომხდარი ყველა ამბავი მკაფიოდ გახსოვთ. თუმცა, 10 წლის წინანდელ და უფრო ადრინდელ მოვლენებს ვერ იხსენებთ და ამაზე არც სწუხხართ — ძველ ამბებს თქვენთვის მნიშვნელობა აღარ აქვს.

7-10: საუცხოო მეხსიერებით გამოირჩევით: ძალიან ბევრ რამეს თავისუფლად იმახსოვრებთ და საჭიროების შემთხვევაში, იხსენებთ კიდეც. თუმცა, კარგი მეხსიერების გამო, თავში ბევრი ზედმეტი ინფორმაციაც გაქვთ დაგროვილი.

დანების მსხოლელმა ცოცხალი სამიზნე ჰიდეპარკში დაჭრა

23 წლის ცირკის მსახიობი, ჯეიდ ჰენსონი, რეკორდსმენია დანების მარჯვედ სროლაში. იგი ბრიტანული ტელეკომპანია ITV-ის დილის შოუში პირდაპირ ეთერში საკუთარი ოსტატობის დემონსტრირებას ახდენდა, როცა მის მიერ ნასროლი დანა თავში მოხვდა მის ასისტენტს და მეგობარს, 22 წლის იანა როდიანოვას. როგორც ტელეკომპანიის პრესმდივანმა აღნიშნა, გოგონა თავს ნორმალურად გრძნობს და მხოლოდ მსუბუქი ჭრილობა აქვს. „საერთოდ კი, მართალი გითხრათ, მსოფლიო რეკორდსმენისგან ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდით“, — დასძინა მან. ჰენსონს მაყურებლისთვის უნდა ეჩვენებიან, თუ ცოცხალი სამიზნისთვის ერთ წუთში რამდენი დანის სროლას მოახერხებდა. მისი რეკორდია — წუთში 120 სროლა.

როგორც გაირკვა, ასისტენტი მანამდეც ორჯერ ყოფილა დაჭრილი. ამ ინციდენტის შემდეგ კი, იანამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სარისკო ნომერში მონაწილეობა აღარ მიიღოს. ■

ვენესუელელებმა სახელმწიფო დროშა ყველაზე მოდუი აქსესუარად აქციეს

პატრიოტმა ვენესუელელებმა თავიანთი ნაციონალური სიმბოლო ულტრამოდურ აქსესუარად აქციეს. ამ ბოლო ხანებში, ვენესუელაში დროშისგამოსახულებიანი მაისურები, შორტები, ქვედაბოლოები, ზურგჩანთები და ბიკინებიც კი გამოვიდა. ტანსაცმელი, რომელზეც გამოსახულია სამფეროვანი, ყვითელ-ლურჯ-წითელი დროშა, რკალითა და შვიდი თეთრი ვარსკვლავით, კარაკასის ნებისმიერ მაღაზიაში შეიძლება შეიძინოთ.

ბოლო ხანებში სახელმწიფო დროშის ასეთი უჩვეულო პოპულარობა, ქვეყნის პრეზიდენტის, უგო ჩავესის მიერ მიღებულმა კანონმა განაპირობა. ამ კანონის თანახმად, პოლიტიკური აქციებისა და დემონსტრაციების დროს, ეროვნული სიმბოლიკის გამოყენება აკრძალულია. ოპოზიციამ კანონს საპროტესტო გამოსვლებით უპასუხა, მეწარმეებმა — დროშისგამოსახულებიანი მრავალფეროვანი საქონლის გამოშვებით. თუმცა, ზოგიერთი ვენესუელელის აზრით, მათი გატაცება ეროვნული სიმბოლოთი, ცოტა არ იყოს, ზღვარგადასულია: „პატრიოტიზმი პატრიოტიზმად, — ამბობენ ისინი, — მაგრამ დროშისგამოსახულებიანი ბიკინი, ეს ხომ უკვე მეტისმეტია“.

12 მარტს, ვენესუელაში ოფიციალურად აღინიშნება სახელმწიფო დროშის დღე. წლეულს ამ დღეს, კარაკასში ნაციონალური სიმბოლოსადმი მიძღვნილი მოდური ტანსაცმლის ჩვენება შედგა. ■

ჩრდილოეთ დაკოტაში დაუქორწინებელი წყვილების თანაცხოვრება აკრძალულია

აშშ-ის შტატის — ჩრდილოეთ დაკოტის სენატმა უარი განაცხადა 113 წლის წინ მიღებული კანონის გაუქმებაზე. ამ კანონის თანახმად, შტატის ტერიტორიაზე დაუქორწინებელ წყვილებს ერთად ცხოვრების უფლება არა აქვთ. როცა სენატის წინაშე კანონის გაუქმების საკითხი დაისვა, მის შენარჩუნებას 26-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, 21 კი, წინააღმდეგი იყო.

სხვათა შორის, ამ კანონის დამრღვევს 30-დღიანი პატიმრობა და ათასდოლარიანი ჯარიმა ელის. იმ სენატორების აზრით, რომლებმაც ამ კანონს დაუჭირეს მხარი, ეს არის შეხსენება იმისა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მართებულად და რა — არა.

ადვოკატები, რომლებმაც კანონის გადახედვა მოითხოვეს, ირწმუნებიან, რომ მართლმსაჯულებას იგი არასოდეს გამოუყენებია და მისი ცხოვრებაში გატარება პოლიციას ბევრ პრობლემას შეუქმნის, რადგან მას საკმაოდ „არატრადიციული სამუშაოს“ ჩატარება მოუწევს. გარდა ამისა, ისინი ამტკიცებენ, რომ კანონი აშშ-ის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სენატორებმა კანონი ძალაში დატოვეს. ამჟამად ჩრდილოეთ დაკოტის შტატში თერთმეტი ათასი არარეგისტრირებული წყვილი ცხოვრობს. ეს კანონი კი შტატის პარლამენტის პირველ სესიაზე, 1890 წელს მიიღეს. სხვათა შორის, ამ კანონით მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან თანაცხოვრებაა აკრძალული. მასში ჰომოსექსუალიზმზე ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი. ■

ჰოლივუდში ქვეყნის პოლიტიკური კურსის ნიადაგზე განხეთქილება მოხდა

მას შემდეგ, რაც კინოაკადემიის მიერ მოწყობილ „ოსკარების“ ცერემონიაზე, ამერიკელმა კინოდოკუმენტალისტმა — მაიკლ მურმა, ჯორჯ ბუშისა და ერაყში გაჩაღებული ომის წინააღმდეგ გაილაშქრა (მის გამოსვლას ზოგი აპლოდისმენტებით შეხვდა, ზოგი კი — აღშფოთებული სტვენით), ჰოლივუდში ვნებები არა და არ ცხრება. კინემატოგრაფისტები ქვეყნის პოლიტიკური კურსის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად იყოფიან. გაზეთებში კი, უკვე აქვეყნებენ „არასასურველთა“ და „სწორად მოაზროვნეთა“ სიებს. ზოგი იმ ზომამდეც კი მივიდა, რომ ღიად მოუწოდებს, არანაირი დახმარება არ გაუწიონ ხელოვანთა პირველ ნაწილს, მეორეს კი — ყოველგვარი დახმარება აღუთქვან. „შერისხულთა“ რიგში უკვე მოხვდნენ: ტიმ რობინსი, სიუზენ სარანდონი, შონ პენი, ლორენს ფრიშბერნი, სემუელ ელ. ჯექსონი, ელფრი ვუდარდი, დენი გლოვერი, მარტინ შინი, ალეკ ბოლდუინი, ედუარდ ნორტონი და თვით ჯულია რობერტსიც კი! არავინ უწყის, რა გაგრძელება ექნება ამას, არც ის, თუ ომის დამთავრება როგორ შედეგებს მოახდენს ჰოლივუდში წარმოქმნილ კონფრონტაციაზე. ■

ფოტოკუჩიოზები



N8(42) 17/IV-30/IV.-2003.

ოჯახის მეუნიკალური

საშვილიშვილო ჟურნალი

ფასი 70 თ.

მთავარი თემა
გული

საგვილოსნოს მიოგა

ძილის პარადოქსები

ნაღვლის გუშგის ანთება

ცხელულიგი

თქვენი და
თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის